

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა განათლების მეცნიერებები

ნინო პოპიაშვილი

ეთნიკური უმცირესობების ენების სწავლების თავისებურებები
საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოში (აფხაზური და ოსური ენების
მაგალითზე)

განათლების მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ჭკუასელი,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ

სამადლობელი სიტყვა

მსურს მადლობა გადავუხადო ყველა ადამიანს, რომელმაც რჩევებით, კონსულტაციებით, მასალების გაზიარებით ხელი შემიწყო, მეორე სადისერტაციო ნაშრომზე მემუშავა. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფესორ ქეთევან ჭკუასელს, რომლის საფუძვლიანი რეკომენდაციები დიდად დამეხმარა სადისერტაციო ნაშრომის მომზადების დროს. მსურს, აგრეთვე, გულითადი მადლობა გადავუხადო ამ თემატიკაზე მომუშავე ჩემს კოლეგებს, ასევე მეგობრებს, ოჯახის წევრებს, რომლებიც მამხნელებდნენ კვლევის სხვადასხვა ეტაპზე, არ იშურებდნენ რჩევებს, კეთილ სურვილებს, რაც მოტივაციას კიდევ უფრო მიმაღლებდა. აფხაზური და ოსური ენების სწავლების თავისებურებებზე დაკვირვება მოითხოვდა მრავალწლიან მუშაობას, საარქივო და მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებას, ასევე, საქართველოს კონტროლირებად და არაკონტროლირებად ტერიტორიებზე ემპირიულ კვლევებს, რაც შესაძლებელი გახდა ჩვენი მრავალწლიანი მუშაობის შედეგად. ეს ნაშრომი არის აფხაზური და ოსური ენების სწავლების შესახებ პირველი კომპლექსური სამეცნიერო გამოკვლევა. ყველა საქმიან მოსაზრებასა და რეკომენდაციას სიამოვნებით მივიღებთ.

სარჩევი

ცხრილების ჩამონათვალი	V
აბსტრაქტი	VII
Abstract	X
შესავალი	1
ტერმინების დაზუსტება	11
თავი I	
აფხაზური და ოსური ენების სწავლება XIX საუკუნეში	13
I.I.1 ორგვარი მიდგომა განათლების პოლიტიკაში XIX საუკუნეში.....	17
I.I.2 „მუნჯური მეთოდი“ აფხაზური და ოსური ენების სწავლების დისკურსში.....	19
I.I.3 ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება სოხუმსა და ცხინვალში	24
I. II აფხაზური ენა და ანბანი	25
I. III აფხაზური ენის სწავლება XIX საუკუნეში	27
I. III. 1 ვასილი გეიმანისა და არქიეპისკოპოს აგაფოდორის სასწავლო სისტემა.....	32
I.III.2 პირველი წიგნები აფხაზურ ენაზე.....	46
I. IV ოსური ენა და ანბანი	47
I. V ოსური ენის სწავლება XIX საუკუნეში	57
I. V. 1 ოსური სასულიერო კომისია	58
I. V. 2 მიხეილ ყიფიანი და ოსთა განათლების საკითხები	64
I. V. 3 ოსური ენის სწავლება თბილისის სასულიერო სემინარიაში XIX საუკუნეში.....	67
I. VI პირველი წიგნები ოსურ ენაზე	74
თავი II	
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) და ეროვნული უმცირესობების სწავლების საკითხები	76
თავი III	

აფხაზური და ოსური ენების სწავლება საბჭოთა ეპოქაში	85
III. I ბილინგვური განათლების სათავეებთან საქართველოში (აფხაზური და ოსური ენების სწავლების მაგალითზე)	86
III. II საბჭოთა იდენტობის ფორმირების ენობრივი ასპექტები საბჭოთა კავშირში და ეროვნული უმცირესობების განათლების საკითხი	89
III. III აფხაზური და ოსური ანბანების რეფორმები მე-20 საუკუნის 20-იან-50-იან წლებში: მიზეზები და შედეგები	92
III.III. 1 ნიკო მარის „იაფეტური თეორია“ და ანბანთა ლათინიზაციის თეორიული და იდეოლოგიური საფუძვლები	94
III.III. 2 ანბანთა ცვლილება და აფხაზური ენა	102
III.III. 3 ანბანთა ცვლილება და ოსური ენა	108
III.III. 4 თბილისის უნივერსიტეტის დაარსება და აფხაზური და ოსური ენების სწავლების საკითხი	111
III.III. 5 სასკოლო განათლება მე-20 საუკუნის 20-50-იან წლებში	114
III.III. 6 აფხაზური ენის სწავლების თავისებურებები 20-50-იან წლებში	115
III.III. 7 ოსური ენის სწავლების თავისებურებები 20-50-იან წლებში	122
III.III. 8 სწავლების ენისა და დარგობრივი ტერმინოლოგიის საკითხისათვის აფხაზურ და ოსურ სასკოლო სახელმძღვანელოებში სტალინურ ეპოქაში	124
III.III. 9 ანბანთა ცვლილებები აფხაზური და ოსური ენების ლიტერატურისა და სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის დისკურსში	127
III.III. 10 სოხუმისა და ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტების დაარსება და ფუნქციონირება საბჭოთა ეპოქაში	130
III.IV აფხაზური და ოსური ენების სწავლება 1960-1980-იან წლებში	137
თავი IV	
აფხაზური და ოსური ენების სწავლება პოსტსაბჭოთა პერიოდში	141
IV. I საქართველოში განხორციელებული პროგრამები ეთნიკური უმცირესობების განათლების ხელშეწყობასთან დაკავშირებით	142
IV. II კვლევითი ნაწილი	144
IV. III აფხაზური და ოსური ენების სწავლება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიებზე	146

IV.III. 1 აფხაზური ენის სწავლება სკოლაში – ენის სტატუსი და სწავლების თავისებურებები (აჭარის სკოლების მაგალითზე)	147
IV.III. 2 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზეთის ინსტიტუტი	149
IV.III. 3 ოსური ენის სწავლება სკოლაში: ენის სტატუსი და სწავლების თავისებურებები (კახეთისა და ქართლის სკოლების მაგალითზე)	150
IV.III. 4 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.....	156
IV. V აფხაზური და ოსური ენების სწავლება საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიებზე	156
IV. V. 1 საგანმანათლებლო სივრცე და აფხაზური ენის სწავლება აფხაზეთში.....	157
IV. V. 2 საგანმანათლებლო სივრცე გალში	164
IV. V. 3 საგანმანათლებლო სივრცე და ოსური ენის სწავლება ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში	166
IV. V. 4 საგანმანათლებლო სივრცე ახალგორში	177
IV. V.5 ახალგაზრდების საუნივერსიტეტო განათლების პერსპექტივები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში	181
დასკვნები	183
რეკომენდაციები	186
გამოყენებული ლიტერატურა	188
დანართები	198

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი №1 – 1890-იან წლებში სოხუმის მთიელთა სკოლის კვირეული განრიგის ცხრილი

ცხრილი №2 – სოხუმის მთიელთა სკოლაში 1869 და 1875 წლებში მოსწავლეთა რაოდენობა ეთნიკური წარმოშობის მითითებით

ცხრილი №3 – 1898 წლის სტატისტიკა სამრევლო სკოლებსა და სასულიერო სემინარია-სასწავლებლებში მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ აფხაზეთის მონაცემების გათვალისწინებით

ცხრილი №4 – ოსი ქალების განათლება XIX საუკუნის ბოლოს

ცხრილი №5 – აფხაზური ანბანების ცვლილებები

ცხრილი №6 – ოსური ანბანების ცვლილებები

ცხრილი №7 – 1921-22 – 1926-27 სასწავლო წლების სტატისტიკა სკოლების საერთო რაოდენობისა და აფხაზური სკოლების რაოდენობის მიხედვით

ცხრილი №8 – სოხუმის პედაგოგიური ტექნიკუმის სტუდენტთა რაოდენობა 1921-39 წლებში

ცხრილი №9 – 1927-28 სასწავლო წლის სასწავლო გეგმა აფხაზეთის ნაციონალური და რუსული სკოლებისათვის

ცხრილი №10 – სკოლების სტატისტიკა აფხაზეთში 1927-1930 წლებში

ცხრილი №11 – 1940-41 სასწავლო წლებში მასწავლებელთა რაოდენობა და კვალიფიკაცია აფხაზეთში

ცხრილი №12 – 1932-33 – 1940-41 სასწავლო წლებში სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა რაოდენობა

ცხრილი №13 – აფხაზეთის მოსახლეობა 2018-2022 წ.წ.

ცხრილი №14 – აფხაზეთის ეთნიკური შემადგენლობა, 2022 წლის 1 იანვრის მონაცემები

ცხრილი №15 – საგანმანათლებლო სფეროს დაფინანსება, 2021 წლის მონაცემები

ცხრილი №16 – სკოლების სახეობა და რაოდენობა, 2016 წლის მონაცემები

ცხრილი №17 – აფხაზეთის სკოლების, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა, 2017-2021 წლების მონაცემები

ცხრილი №18 – აფხაზეთის საშუალო სპეციალიზებული სკოლების რაოდენობა, 2017-21 წლების მონაცემები

- ცხრილი №19** – აფხაზეთის უნივერსიტეტებში სტუდენტთა და პედაგოგთა რაოდენობა, 2017-21 წლების მონაცემები
- ცხრილი №20** – აფხაზეთის უნივერსიტეტების პირველკურსელთა და კურსდამთავრებულთა რაოდენობა, 2017-21 წლების მონაცემები
- ცხრილი №21** – აფხაზეთის არასასკოლო საგანმანათლებლო დაწესებულებები და სახელოვნებო კლუბები, 2017-21 წლების მონაცემები
- ცხრილი №22** – სამეცნიერო საქმიანობა აფხაზეთში, 2017-21 წლების მონაცემები
- ცხრილი №23** – ასპირანტთა რაოდენობა აფხაზეთში, 2017-21 წლების მონაცემები
- ცხრილი №24** – გალის რაიონის სკოლებისა და მოსწავლეების რაოდენობა, 2017-2022 წლების მონაცემები
- ცხრილი №25** – სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა, 2018-22 წლების მონაცემები
- ცხრილი №26** – სამხრეთ ოსეთის ეთნიკური შემადგენლობა, 2015 წლის მონაცემებით
- ცხრილი №27** – საგანმანათლებლო სფეროს დაფინანსება სამხრეთ ოსეთში, 2018-22 წლების მონაცემები
- ცხრილი №28** – სამხრეთ ოსეთის სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობის მითითებით, 2018-22 წლების მონაცემები
- ცხრილი №29** – სამხრეთ ოსეთის სკოლამდელი დაწესებულებების მასწავლებლების განათლება, 2018-22 წლების მონაცემები
- ცხრილი №30** – სამხრეთ ოსეთის სკოლების რაოდენობა და სახეობები, 2018-22 წლების მონაცემები
- ცხრილი №31** – სამხრეთ ოსეთის სკოლების რაოდენობა მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობის გათვალისწინებით 2018-22 წლების მონაცემები
- ცხრილი №32** – ქ. ცხინვალის სკოლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების რაოდენობა 2018-22 წლებში
- ცხრილი №33** – სამხრეთ ოსეთის საშუალო სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობის მითითებით, 2018-22 წლების მონაცემები
- ცხრილი №34** – სამხრეთ ოსეთის არასასკოლო საგანმანათლებლო დაწესებულებები და სახელოვნებო კლუბები, 2018-22 წლების მონაცემები
- ცხრილი №35** – სამხრეთ ოსეთის საუნივერსიტეტო განათლება სტუდენტებისა და პედაგოგების რაოდენობის მითითებით, 2018-22 წლების მონაცემები

ცხრილი №36 – სამხრეთ ოსეთში აბიტურიენტთა, პირველკურსელთა და კურსდამთავრებულთა რაოდენობა, 2018-22 წლების მონაცემები

ცხრილი №37 – ოსურენოვანი საუნივერსიტეტო განათლება – სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა რაოდენობების მითითებით, 2018-22 წლების მონაცემები

ეთნიკური უმცირესო

ბების სწავლების თავისებურებები საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოში (აფხაზური და ოსური ენების მაგალითზე)

აბსტრაქტი

საკვანძო სიტყვები: ეთნიკური უმცირესობების სწავლება, საბჭოთა საქართველო, პოსტსაბჭოთა საქართველო, აფხაზური ენა, ოსური ენა.

დისერტაცია ეხება ეთნიკური უმცირესობების სწავლებას საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოში აფხაზური და ოსური ენების მაგალითზე. ნაშრომი წარმოადგენს მეცნიერულად შეუსწავლელ საკითხს, რადგან აფხაზური და ოსური ენების სწავლების შესახებ კომპლექსური სამეცნიერო კვლევა დღემდე არ ჩატარებულა.

დისერტაციაში განხილულია აფხაზური და ოსური ენების სწავლების თავისებურებები მე-19 საუკუნეში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, საბჭოთა ეპოქაში და პოსტსაბჭოთა საქართველოში. კვლევაში სათანადო ადგილი ეთმობა აფხაზური და ოსური ენების სწავლების თანამედროვე მდგომარეობას როგორც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ისე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის ქართველი მეცნიერებისათვის რთულია აფხაზური და ოსური მხარისაგან სათანადო ინფორმაციის მოპოვება, ჩვენი სამეცნიერო კონტაქტების გათვალისწინებით, მოვიპოვეთ მონაცემები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში საგანმანათლებლო პროცესების შესახებ, ასევე, აფხაზური და ოსური ენების სწავლების საკითხებზე.

ნაშრომი აგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. პერიოდიზაციის პრინციპად განისაზღვრა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები და ცვლილებები, რაც იწვევდა კვლევისათვის აქტუალური საკითხების სისტემურ ცვლილებებს. აფხაზური და ოსური ენების სწავლების განხილვისას ვიყენებთ შედარებითი კვლევის მეთოდებს, ნარატიულ მეთოდს, დოკუმენტაციის ანალიზს, ემპირიული კვლევის მეთოდებით განვიხილავთ პოსტსაბჭოთა ეპოქაში აფხაზური და ოსური ენების სწავლების თავისებურებებს.

კვლევის ძირითადი დასკვნებია:

აფხაზური და ოსური ენების სწავლება დასაწყისიდანვე მიმდინარეობდა ქართული საგანმანათლებლო სივრცეების ჩართულობითა და აქტიური მონაწილეობით; აფხაზური

და ოსური ენების სწავლებისას რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის საგანმანათლებლო პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში ურთიერთმსგავსია; საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წ. წ.) საკანონმდებლო ბაზა განსაზღვრავდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ენების გამოყენებისა და ამ ენებზე სწავლების შესაძლებლობებს; მე-20 საუკუნის 20-50-იან წლებში აფხაზური და ოსური ანბანების ცვლილებები ხასიათდებოდა მსგავსი ტენდენციებით და განპირობებული იყო საბჭოთა კავშირის ენობრივი პოლიტიკით; აფხაზური და ოსური ანბანების ხშირი ცვლილება საფრთხეს უქმნიდა აფხაზურენოვან და ოსურენოვან საგანმანათლებლო პროცესს, ორიგინალური აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ლიტერატურის შექმნას; მე-20 საუკუნის 60-80-იანი წლებში აფხაზური და ოსური ენების სწავლება ხასიათდება სტაბილურობით. ამ პერიოდში სწავლება დაემყარა რუსულ ანბანს და სწავლების ძირითადი ენა გახდა რუსული, აღარ იცვლება ანბანები, გამოიცემა სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები, აფხაზი და ოსი ახალგაზრდა მეცნიერების მნიშვნელოვანი ნაწილი სწავლას აგრძელებს თბილისის უნივერსიტეტსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში; მე-20 საუკუნის 90-იან წლებში წარმოქმნილმა ქართულ-ოსურმა და ქართულ-აფხაზურმა კონფლიქტებმა და შეიარაღებულმა დაპირისპირებებმა, ასევე, 2008 წლის ომმა, მნიშვნელოვნად დააზარალა საგანმანათლებლო პროცესები, მათ შორის, აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი და ქართულენოვანი განათლება; საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს რამდენიმე ინიციატივასა და პროგრამას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები აბიტურიენტებისათვის; აფხაზ და ოს ახალგაზრდებს აქვთ საერთაშორისო განათლების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა; რუსული ენა დიდ გავლენას ახდენს აფხაზური და ოსური ენების მოხმარებაზე, რუსულენოვანი სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლება იწვევს აფხაზურ და ოსურ ენებზე ორიგინალური ლიტერატურისა და თარგმანების შემცირების ტენდენციას; აფხაზური და ოსური ენების სწავლება როგორც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ისე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში შეიცავს ხარვეზებს, აფხაზურ და ოსურ ენებს ახალგაზრდები ნაკლებად იყენებენ ფორმალურ გარემოში, პროფესიებში.

ნაშრომის დასასრულს წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც ეხება აფხაზური და ოსური ენების სწავლების გაუმჯობესებას.

Peculiarities of teaching ethnic minorities in Soviet and post-Soviet Georgia (on the example of Abkhazian and Ossetian languages)

Abstract

Key words: teaching ethnic minorities, Soviet Georgia, post-Soviet Georgia, Abkhaz language, Ossetian language.

The paper is about the issues of teaching ethnic minorities in Soviet and post-Soviet Georgia on the example of Abkhazian and Ossetian languages. The research is a scientifically unstudied issue, because no special scientific research has been conducted on the teaching of Abkhazian and Ossetian languages.

The dissertation discusses the peculiarities of teaching Abkhazian and Ossetian languages in the 19th century, during the period of the Democratic Republic of Georgia, in the Soviet era and in post-Soviet Georgia. In the research, a proper place is given to the modern state of teaching Abkhazian and Ossetian languages both in the controlled territory of Georgia and in Abkhazia and Tskhinvali region/South Ossetia. Although it is currently difficult for Georgian scientists to obtain appropriate information from the Abkhazian and Ossetian sides, taking into account our scientific contacts, we have obtained data on issues related to the teaching of the Abkhazian and Ossetian languages.

The research is structured in chronological order. Important political events and changes were determined as the principle of periodization, which caused systematic changes in important issues for research. In the research of Abkhazian and Ossetian language teaching, we use comparative research methods, narrative method, documentation analysis, and use empirical research methods to investigate the peculiarities of Abkhazian and Ossetian language teaching in the post-Soviet era.

The main conclusions of the research are:

The teaching of Abkhazian and Ossetian languages was carried out from the beginning with the involvement and active participation of Georgian educational spaces; In teaching the Abkhazian and Ossetian languages, the educational policies of the Russian Empire and the Soviet Union are often similar; In the Democratic Republic of Georgia (1918-1921), there were opportunities to use the languages of ethnic minorities living in Georgia and to teach in these

languages; In the 20s-50s of the 20th century, the changes of the Abkhazian and Ossetian alphabets were characterized by similar trends and were determined by the language policy of the Soviet Union; Frequent changes of Abkhazian and Ossetian alphabets threatened the Abkhazian and Ossetian educational process, the creation of original Abkhazian and Ossetian literature; In the 60-80s of the 20th century, the teaching of Abkhazian and Ossetian languages was characterized by stability. During this period, the alphabets no longer change, school and university textbooks are published, a significant part of Abkhazian and Ossetian young scientists continue their studies at a University of Tbilisi and scientific-research centers; The Georgian-Ossetian and Georgian-Abkhazian conflicts and armed conflicts that arose in the 90s of the 20th century, as well as the 2008 war, significantly affected educational processes, including Abkhazian, Ossetian, and Georgian education; The government of Georgia implements several initiatives and programs for entrants living in the occupied territories of Georgia; Abkhaz and Ossetian youth lack access to international education; Russian language has a great influence on the usage of Abkhazian and Ossetian languages, Russian-language school and university education causes a tendency to reduce the original literature and translations in Abkhazian and Ossetian languages; The teaching of Abkhaz and Ossetian languages both in the controlled territory of Georgia and in Abkhazia and Tskhinvali region/South Ossetia contains errors, Abkhazian and Ossetian languages are rarely used by young people in formal environment and professions.

At the end of the paper, recommendations are presented regarding the improvement of the teaching of Abkhazian and Ossetian languages.

შესავალი

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა, რაც სხვადასხვა ისტორიულმა თუ სოციალურმა ფაქტორმა განაპირობა. კულტურათა მრავალფეროვნება და სიმდიდრე კი, თავის მხრივ, იწვევს განათლების სხვადასხვა საფეხურზე სწავლების თავისებურებებს, მათ შორის, ენობრივი თვალსაზრისით.

ეთნიკური უმცირესობების სწავლების კვლევას აფხაზური და ოსური ენების მაგალითზე აქვს როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე მნიშვნელობა. აღნიშნული საკითხის განვითარება გასათვალისწინებელი და განსახილველია შემდეგი მიმართულებებით: მე-18-მე-19 საუკუნეებში, საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობასთან კავშირში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) პერიოდში, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციისა და ნორმატიული აქტების კონტექსტში, საბჭოთა ეპოქაში და პოსტსაბჭოთა საქართველოში.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სწავლება მნიშვნელოვანია ეროვნული უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის, ასევე, მათი კულტურული და ენობრივი მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით. სახელმწიფოსათვის პრიორიტეტულია, უზრუნველყოფილი იყოს ეროვნული უმცირესობების განათლება, რომელიც შეესაბამება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და ხელს შეუწყობს ეროვნულ უმცირესობათა კულტურული და ლინგვისტური იდენტურობის დაცვასა და ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სწავლება ორი მიმართულებით არის საყურადღებო: ერთი მხრივ, მშობლიურ ენაზე სწავლების თავისებურებების თვალსაზრისით და, მეორე მხრივ, სახელმწიფო ენის სწავლების კუთხით. ეთნიკური ჯგუფებისათვის აქტუალური და პრობლემურია მშობლიურ ენაზე სასკოლო განათლების მიღება, ხოლო ნაწილისათვის – სახელმწიფო ენის ცოდნა. შესაბამისად, განათლების პოლიტიკის პრიორიტეტებს შორის არის ეროვნულ უმცირესობათა ენებისა და სახელმწიფო ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღმოცენებულმა პოლიტიკურმა და, ზოგი შეხედულებით, ეთნიკურმა კონფლიქტებმა გამოიწვია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის შეზღუდვა.

სახელმწიფო საგანმანათლებლო პრიორიტეტებს შორის არის აფხაზი და ოსი მოქალაქეების სწავლების ხელშეწყობა როგორც სასკოლო, ისე საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო საფეხურებზე.

საბჭოთა კავშირში საქართველოს იძულებით გაწევრიანების შემდეგ, მე-20 საუკუნის 20-იან წლებში, ქვეყნის ტერიტორიაზე შეიქმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ორივე რეგიონში მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან არ ვრცელდება ქართული იურისდიქცია და წარმოადგენს დე ფაქტო დამოუკიდებელ რესპუბლიკებს.

სადისერტაციო ნაშრომი ეხება ეთნიკური უმცირესობების სწავლების თავისებურებებს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოში (აფხაზური და ოსური ენების მაგალითზე). კვლევა მოიცავს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებს, თუმცა კვლევაში საგანგებო ადგილი ეთმობა მე-19 საუკუნის, ისევე, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-21) საგანმანათლებლო საკითხებს ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებით. კვლევის მთავარი ობიექტია აფხაზური და ოსური ენების სწავლება. აღნიშნული საკითხის კვლევა და ანალიზი **საჭირო და აქტუალურია** როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვე კონტექსტში.

შესასწავლი საკითხის აქტუალობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს:

- აფხაზური და ოსური ენების სწავლება კომპლექსურად დღემდე არ არის განხილული. აღნიშნული საკითხი არის ინტერდისციპლინური და წარმოადგენს როგორც ქართული პედაგოგიური ისტორიის მნიშვნელოვან ნაწილს, ისე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა კვლევის არეალსაც.

- აფხაზური და ოსური ენების სწავლების ანალიზი გულისხმობს როგორც აფხაზური და ოსური ენების სწავლების ინდივიდუალურად განხილვას, ისე შედარებით შესწავლას, რადგან:

- აფხაზური და ოსური ენები საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ენებია;

- აფხაზური ენა ისწავლება მხოლოდ საქართველოში და აფხაზეთის ტერიტორიაზე აქვს სახელმწიფო ენის სტატუსი ქართულ ენასთან ერთად, ხოლო ოსური ენა გამოიყენებოდა ქართულ და რუსულ ენებთან ერთად ქართულ-ოსურ კონფლიქტამდე, მეოცე საუკუნის 90-იან წლებამდე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე;

- აფხაზური და ოსური ენები იუნესკოს ენათა დეპარტამენტმა აღიარა, როგორც გადაშენების საფრთხის პირას მყოფი ენები;
- აფხაზური და ოსური ენების სწავლება მიმდინარეობდა და დღესაც მიმდინარეობს საქართველოს ტერიტორიაზე;
- აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არ ვრცელდება ქართული იურისდიქცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს საკითხები პოლიტიკურ ჭრილშიც განიხილება და აფხაზური და ოსური ენების სწავლების ისტორიისა და თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა მჭიდროდ არის დაკავშირებული კონფლიქტთან, ასევე, კონფლიქტის მოგვარების ეტაპებთან როგორც დასაწყისში, ისე -მშვიდობის მშენებლობის ყველა საფეხურზე;
- საქართველო 1999 წლიდან მიერთებულია ენების ევროპულ ქარტიას, ასევე, 1995 წლიდან, ჩარჩო კონვენციას ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, რომლის მიხედვითაც, საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს აქვთ უფლება, ისწავლონ თავიანთ მშობლიურ ენაზე (მუხლი 12; მუხლი 14). შესაბამისად, აღნიშნული ენების სწავლების ისტორიისა და თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა მნიშვნელოვანი და საჭიროა;
- ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების შემდეგ არსებობს მოქალაქეთა შორის იზოლაცია, რაც აფერხებს ინტეგრაციას და ნდობის აღდგენას. ნდობის მშენებლობის ერთ-ერთი ბერკეტი შესაძლებელია იყოს აფხაზური და ოსური ენების შესწავლისა და სწავლების საკითხები;
- აფხაზური და ოსური ენების სწავლების მიმართულებით, ასევე, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი აბიტურიენტების განათლების ხელშეწყობის თვალსაზრისით, გადაიდგა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, კერძოდ, ქართულ ენაში მომზადების საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამაში 2016 წლიდან უკვე შესაძლებელია ჩაერთონ აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი აბიტურიენტები: აფხაზურ ენასა და ლიტერატურაში და ოსურ ენასა და ლიტერატურაში დაწესებულია გამოცდები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე; 2017 წლიდან მოქმედებს სპეციალური პროგრამები აბიტურიენტებისათვის და სხვ. თუმცა გამოიკვეთა ზოგიერთი დაბრკოლება, რომელიც აფერხებს პროგრამების პრაქტიკულ და სრულფასოვან განხორციელებას.

კვლევის სიახლე

საქართველოში ეროვნული უმცირესობების ენებზე სწავლება ერთგვარი ტრადიციაა და დღემდე მრავალმხრივი შესწავლის საგანია.

ჩვენი კვლევა წარმოადგენს მეცნიერულად შეუსწავლელ საკითხს, რადგან აფხაზური და ოსური ენების სწავლების შესახებ საგანგებო სამეცნიერო კვლევა არ ჩატარებულა. ამასთან, ცალკე უნდა აღინიშნოს კვლევის შედარებითი კონტექსტი, რომელიც ასევე წარმოადგენს მეცნიერულ სიახლეს.

ჩვენი კვლევის მეცნიერული სიახლეა:

- აფხაზური და ოსური ენების სწავლების ისტორიული და თანამედროვე ეტაპების შესწავლა, კერძოდ, ამ საკითხის სინქრონულ და დიაქრონიულ ასპექტებზე დაკვირვება;

- როდის და როგორ ისწავლებოდა აფხაზური და ოსური ენები;
- რა მეთოდებითა და მასალების გამოყენებით ისწავლებოდა აფხაზური და ოსური ენები;

- რა ვითარებაა დღეს აფხაზური და ოსური ენების სწავლების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის ქართველი მეცნიერებისათვის რთულია აფხაზური და ოსური მხარეებისაგან სათანადო ინფორმაციის მოპოვება, ჩვენი სამეცნიერო კონტაქტების გათვალისწინებით, მოვიპოვეთ მონაცემები აფხაზური და ოსური ენების სწავლების თანამედროვე მდგომარეობაზე;

- რა სამომავლო პერსპექტივები არსებობს აფხაზური და ოსური ენების სწავლებასთან დაკავშირებით სასკოლო და უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეებში.

კვლევის სამუშაო ჰიპოთეზა

ჩვენ მიერ განისაზღვრა კვლევის სამუშაო ჰიპოთეზა – აფხაზური და ოსური ენები ისწავლებოდა მეცხრამეტე საუკუნიდან. ამ ენების სწავლება განსაკუთრებით ინტენსიური გახდა მეოცე საუკუნის დასაწყისში. მიუხედავად ამისა, არ არსებობდა ერთიანი მეთოდიკა, რასაც მოწმობს აფხაზური და ოსური ანბანების ხშირი ცვლა, კერძოდ, ანბანი სხვადასხვა წლებში ემყარებოდა ქართულ, რუსულ, ლათინურ დამწერლობებს.

I კვლევითი ჰიპოთეზის მიხედვით, აფხაზური და ოსური ენების შესწავლა და სწავლება ღრმად არის დაკავშირებული ქართულ საგანმანათლებლო სივრცესთან მე-18-მე-19 საუკუნიდან თანამედროვე პერიოდის ჩათვლით.

II კვლევითი ჰიპოთეზის მიხედვით, საბჭოთა ეპოქაში ვერ ჩამოყალიბდა აფხაზური და ოსური ენებზე სასკოლო საგნების სწავლების სისტემატიზებული პროცესი, რაც საბჭოთა ენობრივი პოლიტიკით იყო განპირობებული. ამ პროცესს ხელი შეუწყო აფხაზური და ოსური ენებისათვის ანბანთა ხშირმა ცვლილებებმა.

III კვლევითი ჰიპოთეზის მიხედვით, პოსტსაბჭოთა ეპოქაში, როგორც საქართველოს კონტროლირებად, ისე არაკონტროლირებად ტერიტორიაზე, ნაწილობრივ შენარჩუნდა აფხაზური და ოსური ენების სწავლების თავისებურებები.

IV კვლევითი ჰიპოთეზა: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აფხაზური და ოსური ენების სწავლების საკითხები საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ნაკლებად აქტუალური იყო.

კვლევის მიზანი

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზანია შევისწავლოთ აფხაზური და ოსური ენების სწავლება ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით, წარმოვადგინოთ ამ ენებზე სწავლების თავისებურებანი მე-19 საუკუნიდან თანამედროვეობამდე, პოსტსაბჭოთა ეპოქამდე. მიზნის შესაბამისად, ჩვენი კვლევა ეთნიკური უმცირესობების ენების სწავლების თავისებურებების შესახებ მოიცავს შემდეგ პერიოდებს:

1. მე-19 საუკუნის საქართველოში ეთნიკური უმცირესობების სწავლების თავისებურებები აფხაზური და ოსური ენების მაგალითზე;
2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921 წ.წ.) ეთნიკური უმცირესობების სწავლების თავისებურებები აფხაზური და ოსური ენების მაგალითზე;
3. საქართველოს გასაბჭოების (1921-1991) წლებში ეთნიკური უმცირესობების სწავლების თავისებურებები აფხაზური და ოსური ენების სწავლების მაგალითზე;
4. პოსტსაბჭოთა პერიოდში ეთნიკური უმცირესობების სწავლების თავისებურებები აფხაზური და ოსური ენების სწავლების მაგალითზე.

კვლევის ამოცანები

კვლევის ამოცანას წარმოადგენს საქართველოში ეთნიკური უმცირესობების სწავლების თავისებურებების წარმოჩენა ისტორიულ-ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, წყაროთა არგუმენტირებული ანალიზით აფხაზური და ოსური ენების მაგალითზე. კერძოდ, საკითხის ირგვლივ მეორადი ინფორმაციის მოპოვება, კვლევის მეთოდოლოგიის და ინსტრუმენტების შემუშავება, ემპირიული კვლევის

ჩატარება, კვლევის შედეგების დამუშავება, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ენების, აფხაზური და ოსური ენების, სწავლების ისტორიული და თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა.

კვლევის ობიექტია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ენების, აფხაზური და ოსური ენების, სწავლების ისტორიული და თანამედროვე მდგომარეობის შესწავლის პროცესი.

კვლევა აგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. პერიოდიზაციის პრინციპად განისაზღვრა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები და ცვლილებები, რომლებიც იწვევდა კვლევისათვის არსებითი საკითხების სისტემურ ცვლილებებს. აფხაზური და ოსური ენების სწავლების კვლევისას მივმართავთ პარალელური კვლევისა და თხრობის მეთოდს.

კვლევის მეთოდები:

კვლევაში ვიყენებთ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებს. კერძოდ:

თვისებრივი კვლევის მეთოდებიდან: **სამაგიდე კვლევა – მეორადი ინფორმაციის მოპოვება**, რომელიც მოიცავს შემდეგი საკითხების გამოკვლევას: აფხაზური და ოსური ენების შესწავლისა და სწავლების საკითხები დასაწყის ეტაპზე, ანბანთა ცვლილებები, მიზეზები და შედეგები; აფხაზური და ოსური ენების სასკოლო და საუნივერსიტეტო სწავლების საკითხებთან დაკავშირებული ნაშრომები. **ინტერვიუ, ფოკუსჯგუფი** – სამიზნე ჯგუფები: აჭარაში მცხოვრები აფხაზური ენის პედაგოგები, ქართლისა და კახეთის რეგიონებში მცხოვრები ოსური ენის პედაგოგები; თბილისში აფხაზური და ოსური ენების მასწავლებლები, სახელმძღვანელოების ავტორები. გალისა და ახალგორის/ლენინგორის რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდები და სხვ.

რაოდენობრივი კვლევა: მოვიპოვეთ, შევისწავლეთ და დავამუშავეთ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე არსებული მონაცემები; ჩავატარეთ რაოდენობრივი კვლევა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ახალგაზრდებთან.

კვლევის შეზღუდვა

კვლევის შეზღუდვა მოიცავს, პირველ რიგში, პოლიტიკურ საკითხებს. კერძოდ, ამ ნაშრომში, რომელიც ეხება საქართველოში ეთნიკური უმცირესობების სწავლების თავისებურებებს აფხაზური და ოსური ენების მაგალითზე, საჭიროდ არ ვთვლით პოლიტიკური დაპირისპირებებისა და მათ ნიადაგზე შექმნილი მასალის, დოკუმენტების, ფაქტების ანალიზს.

კვლევის შეზღუდვა მოიცავს საბჭოთა ეპოქაში გაბატონებული და ხელოვნურად შექმნილი ე. წ. „ერთა მეგობრობის“ აპოლოგიის შემცველ ტერმინოლოგიასა და ნაშრომებს და ასევე, მის საპირისპიროდ, სიძულვილის ენას. კერძოდ, ნაშრომში პრინციპულად არ ვიყენებთ სიძულვილის ენის შემცველ ტერმინოლოგიასა და ნაშრომებს.

კვლევის შეზღუდვას წარმოადგენდა საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე რესპონდენტების მოძიება, პირადი ნაცნობობისა და ურთიერთობების გამოყენება.

კვლევის შედეგები

ობიექტურად და საფუძვლიანად გამოვიკვლიეთ აფხაზური და ოსური ენების შესწავლისა და სწავლების თავისებურებები სამი პერიოდის მიხედვით: მე-19 საუკუნეში; მე-20 საუკუნეში როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წ.წ.), ასევე, საბჭოთა საქართველოს პერიოდში, გამოვიკვლიეთ აფხაზური და ოსური ენების სწავლების თავისებურებები პოსტსაბჭოთა საქართველოში საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე და საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიებზე.

რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდოლოგიით ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე აფხაზური ენის სწავლების თავისებურებები ბათუმისა და ხელვაჩაურის რაიონებში, ასევე, აფხაზური ენის შესწავლისა და სწავლების თავისებურებები თბილისის უნივერსიტეტებში. ჩანს, რომ აფხაზური ენის სწავლება სკოლებში შემოდებულ იქნა ბოლო წლების განმავლობაში. აფხაზური ენა ისწავლება არჩევითი დისციპლინის სტატუსით, სასწავლო მასალები შემუშავებულია ქართულ და აფხაზურ ენებზე. სულ აფხაზურ ენას სწავლობს წელიწადში დაახლოებით 40 მოსწავლე.

რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდოლოგიით ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა, რომ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ოსური ენის

სწავლებას აქვს ხანგრძლივი ტრადიცია, რომელიც დღეს მცირე მასშტაბებით გრძელდება. ოსური ენა ისწავლება კახეთისა და ქართლის მუნიციპალიტეტების სკოლებში და აქვს არჩევითი დისციპლინის სტატუსი. სულ ოსურ ენას სწავლობს წელიწადში დაახლოებით 100-ზე მეტი მოსწავლე. შეინიშნება სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სასწავლო მასალის ნაკლებობა.

აფხაზური და ოსური ენები სხვადასხვა სტატუსით: სავალდებულო დისციპლინა, არჩევითი დისციპლინა, ზეპირმეტყველების გაკვეთილები – ისწავლება საქართველოს უნივერსიტეტებში. სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები არიან ეთნიკური აფხაზები და ოსები. უმრავლესობას განათლება მიღებული აქვს სოხუმისა და ცხინვალის უმაღლეს სასწავლებლებში.

კვლევისას მოვიპოვეთ და ნაშრომში გამოვიყენეთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის უახლესი სტატისტიკური ინფორმაცია. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაცემები პირველად შემოდის ქართულ სამეცნიერო სივრცეში. სტატისტიკური მონაცემები ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზნებისა და ამოცანების მიხედვით დამუშავდა ჩვენ მიერ, კერძოდ, ყურადღება მივაქციეთ საგანმანათლებლო სივრცეს, სკოლამდელ, სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლებას, განსაკუთრებულად დავამუშავეთ აფხაზური და ოსური ენების სწავლების საკითხები.

კვლევის მნიშვნელოვან შედეგად მიგვაჩნია თვისებრივი კვლევების – ჩაღრმავებული ინტერვიუების ჩატარება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ცალკეულ სამიზნე ჯგუფებთან: პედაგოგებთან, აბიტურიენტებთან და სტუდენტებთან.

კვლევამ აჩვენა, რომ აფხაზეთში, სახელმწიფო სკოლებში, ისწავლება აფხაზური ენა და ლიტერატურა. ისევე, როგორც ჯერ რუსეთის იმპერიაში, ხოლო შემდგომ – საბჭოთა კავშირში, სკოლების ნაწილში აფხაზური ენა და ლიტერატურა ისწავლება ბოლო კლასის ჩათვლით, თუმცა ძირითადი სწავლების ენა არის რუსული და სხვა საგნები რუსულ ენაზე ისწავლება. გარდა ამისა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აფხაზური ფილოლოგიის ფაკულტეტი. სოხუმის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში შეისწავლიან აფხაზურ ენასა და ლიტერატურას. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზურ ენას აფხაზეთში არ აქვს ფართო გამოყენება. ამ ენის ფუნქციონირება ფორმალურ და ოფიციალურ დონეზე შემცირებულია, უმთავრესად, რუსული ენის

ხარჯზე. აფხაზური ენა ნაკლებად გამოიყენება პროფესიებში და ახალგაზრდების საურთიერთო ენად.

სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში ოსური ენის სწავლება და გამოყენება მსგავსია აფხაზეთში აფხაზური ენის სწავლებისა და გამოყენების პროცესისა. ოსური ენა და ლიტერატურა ისწავლება სკოლების ნაწილში, ე. წ. ოსურ სკოლებში, პირველიდან დამამთავრებელი კლასის ჩათვლით, დაწყებით საფეხურზე საგნები ისწავლება ოსურად, ხოლო შემდგომ, სწავლების ენა რუსულია. ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების ენა ასევე რუსულია, თუმცა მოქმედებს ოსური ფილოლოგიის ფაკულტეტიც. ოსური ენა უმთავრესად გამოიყენება სკოლებში, სოციალურ ქსელებში, ოჯახებში. პროფესიებში ძირითადად რუსულ ენას იყენებენ.

კვლევის შედეგად გამოვლინდა საერთო მახასიათებლები გალისა და ახალგორის/ლენინგორის რაიონებში. კერძოდ, ქართულენოვანი სწავლება ორივე რეგიონში შეზღუდულია.

კვლევამ გამოავლინა აფხაზი და ოსი ახალგაზრდების პრობლემები საერთაშორისო განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება:

კვლევის თეორიული ღირებულება: განისაზღვრა აფხაზური და ოსური ენების შესწავლისა და სწავლების თავისებურებები ამ ენების შესწავლის დასაწყისიდან თანამედროვეობამდე. სიღრმისეულად იქნა გამოკვლეული აფხაზური და ოსური ენების ანბანთა შექმნისა და ცვლილებების საკითხები; საგანმანათლებლო პოლიტიკა რუსეთის იმპერიასა და საბჭოთა კავშირში; ანბანთა ცვლილებების ფონზე აფხაზური და ოსური ენების სწავლების, ასევე, ამ ენებზე სასწავლო მასალისა და მხატვრული ლიტერატურის შექმნის დაბრკოლებები და შეზღუდვები.

სადისერტაციო ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე ჩატარებული თვისებრივი კვლევების, სტატისტიკური ანალიზისა და ემპირიული კვლევების მიხედვით შესწავლილ იქნა აფხაზური და ოსური ენების სწავლების თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე როგორც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ისე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში.

კვლევის პრაქტიკული ღირებულება:

კვლევა მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება ქართული პედაგოგიკის ისტორიისათვის, ასევე, აფხაზური და ოსური ენების სწავლების როგორც ისტორიის, ისე თანამედროვე

სწავლების პროცესებით დაინტერესებული მკვლევრებისათვის, დარგის ექსპერტებისათვის, ფართო საზოგადოებისათვის.

კვლევა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ამ საკითხებზე კომპლექსური სამეცნიერო ნაშრომი არ შექმნილა, გარდა ამისა, კვლევაში ჩართულია უახლესი სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც პირველად გამოიყენება ქართულ სამეცნიერო სივრცეში, ასევე, თვისებრივი კვლევის მეთოდებით აღწერილია აფხაზური და ოსური ენების სწავლების თანამედროვე მდგომარეობა.

კვლევა საჭირო და გამოსადეგი იქნება მეცნიერული, სამშვიდობო, საერთაშორისო თვალსაზრისით.

წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

აფხაზური და ოსური ენების სწავლების თავისებურების შესწავლა მრავალმხრივი პირველადი წყაროების ანალიზს მოითხოვს. გავაანალიზეთ საარქივო დოკუმენტები, საგაზეთო მასალები, უცხოელი მოგზაურების, კლაპროტის, ბლეიხშტაინერისა და სხვათა ნაშრომები; აფხაზური და ოსური ენების სასწავლო მასალები, პროგრამები, უახლესი მასალის დამუშავებისას გამოვიყენეთ საკანონმდებლო აქტები, სახალხო დამცველის ანგარიშები, აფხაზური და ოსური სკოლების რაოდენობის, მასწავლებელთა და მოსწავლეთა მონაცემების შესახებ სტატისტიკური მონაცემები, რომელიც პირველად შემოდის ქართულ სამეცნიერო სივრცეში.

ნაშრომში განხილულია მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა, მათ შორის, ქართული, აფხაზური, ოსური, უცხოური ნაშრომები. აფხაზური და ოსური ენების, მათი წარმოშობის, განვითარების, ამ ენებზე სწავლების შემოღების, ანბანთა ცვლილებებისა და ამ ენებზე სწავლების თავისებურებებზე დაკვირვებისას გამოვიყენეთ ნ. მარის, გ. ახვლედიანის, თ. გვანცელაძის, ნ. მაჭავარიანის, ვ. ყურასქუას, თ. ბოლქვაძის, ტ. აჩუგბას, გ. ანჩაბაძის, ს. ჭაავას, თ. გითოლენდიას, ქ. ლომთათიძის, ვ. აბაევის, ბ. კალოევის, მ. ანდრონიკაშვილის, ნ. ბეპიევის, ო. თედეევის, ვ. ტომელერის, მ. ჩუხუასა და სხვათა ნაშრომები. ვრცლად განვიხილავთ ბ. ანდერსონის ნაშრომს ერის, მშობლიური ენისა და კულტურის თაობაზე; სადისერტაციო ნაშრომში სათანადო ადგილი ეთმობა იდენტობისა და მრავალფეროვნების საკითხების განხილვას ე. სმითის თეორიის მიხედვით. ენის ფუნქციების განსაზღვრის დროს გაანალიზებულია ე. საიდის შეხედულება ენის გამოყენებისა და ძირითადი როლის შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო ნორმებზე მსჯელობის დროს ვეყრდნობით ვ. ბაბეკის ნაშრომს

საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების თაობაზე, რომელშიც გაანალიზებულია საქართველოს კონსტიტუციის ცალკეული საკითხები, მათ შორის, ეროვნული უმცირესობების უფლებების საკითხი. სადისერტაციო ნაშრომში შესაბამისი ადგილი ეთმობა ჯ. კუმინსა და მ. სვეინს, კ. გაბუნას, მ. ტაბიძის, შ. ტაბატაძის, გ. სვანიძის, მ. ბერგმანსა და სხვ. თანამედროვე შრომებს ბილინგვური განათლების, ასევე, საქართველოში ბილინგვური განათლებისა და მულტიეთნიკური განათლების შესახებ.

ტერმინების დაზუსტება

საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება ყოფილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამ ტერიტორიებს განიხილავს საქართველოს შემადგენლობაში. საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდგომ ტერიტორიული მოწყობის საკითხს: „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა გადაისინჯება საქართველოს კონსტიტუციური კანონით, უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ” (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 7). ჩვენი კვლევისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ყოფილი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში თანამედროვე საგანმანათლებლო ვითარების აღწერასა და ანალიზს, რის გამოც გვიხდება აღნიშნული გეოგრაფიული პუნქტების დასახელება სხვადასხვა ისტორიულ დროში, როდესაც სხვადასხვა სახელწოდება გამოიყენებოდა, ასევე, ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის ნაწილი ასახავს თანამედროვე საგანმანათლებლო მონაცემებს, სადაც, შესაძლოა, ნახმარი იყოს განსხვავებული ტერმინები. რის გამოც მიზანშეწონილად ვთვლით ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულ ტერმინთა დაზუსტებას.

აფხაზეთი – სადისერტაციო ნაშრომში ამ ტერმინით აღინიშნება საქართველოში, შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე კუთხე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში 1918-21 წლებში აფხაზეთი ავტონომიის სახით იყო წარმოდგენილი. აფხაზეთს გასაბჭოების შემდეგ ეწოდა აფხაზეთის ავტონომიური

რესპუბლიკა. აფხაზეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში 1994 წლიდან ეწოდება აფხაზეთის რესპუბლიკა. ნაშრომში ვიყენებთ ტერმინებს: აფხაზეთი, აფხაზეთის სამთავრო (მე-17 საუკუნის დასაწყისიდან მე-19 საუკუნის ათიან წლებამდე არსებული ერთეული), აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, აფხაზეთი არის ავტონომიური რესპუბლიკა (იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 2), სადაც სახელმწიფო ენა ქართულთან ერთად არის აფხაზური და სახელმწიფო ენა დაცულია ორგანული კანონით. საქართველოს კანონში ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, მუხლი 2, ამ ტერიტორიის აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინი: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიები.

ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი – სადისერტაციო ნაშრომში ამ ტერმინით აღინიშნება საქართველოში, შიდა ქართლში, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია. ამ ტერიტორიას 1991 წლიდან სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში ეწოდება სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა, ხოლო 2017 წლიდან სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა – სახელმწიფო აღანია. ტერმინი სამხრეთ ოსეთი ოფიციალურად შეიქმნა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ამ სახელწოდების შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რასაც მრავალი სამეცნიერო და პოლიტიკური დისკუსია მიემდგნა. ჩვენს კვლევაში, სხვადასხვა ისტორიული პერიოდის აღსანიშნავად, საჭიროებისამებრ ვიყენებთ ტერმინებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (ვეყრდნობით საქართველოს კონსტიტუციას, თავი პირველი, ზოგადი დებულებები, მუხლი 1. სახელმწიფო სუვერენიტეტი). საქართველოს კანონში, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის სათანადო პირობების შექმნის შესახებ (2007 წლის 13 აპრილი, №4625-I), აღნიშნულია ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის ავტონომიური სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების წარმოების საკითხი. საქართველოს კანონში ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, №431, 23/10/2008 გამოყენებულია ტერმინი შემდეგნაირად – „ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები)” (კონსოლიდირებული ვერსია). კვლევაში თანამედროვე ვითარების ანალიზის დროს, საჭიროების შემთხვევაში, ვიყენებთ ტერმინს სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკა. ზოგიერთ წყაროში ამავე მნიშვნელობით იხმარება ტერმინი სამაჩაბლო, რომელიც ფეოდალური საქართველოს

ერთ-ერთი სათავადო იყო მე-15 საუკუნიდან მე-20 საუკუნის დასაწყისამდე, საქართველოს გასაბჭოებამდე. სამაჩაბლოს რეზიდენცია იყო აჩაბეთი. სამაჩაბლოს დიდი წვლილი მიუძღვის რეგიონის განვითარებაში, მათ შორის, საგანმანათლებლო და კულტურული სფეროების თვალსაზრისით, თუმცა, ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი ტერმინი სრულად ვერ ასახავს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიას, ამიტომაც ჩვენ ამ ტერმინს არ ვიყენებთ კვლევაში ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მთლიანი ტერიტორიების აღსანიშნავად.

თავი I

აფხაზური და ოსური ენების სწავლება XIX საუკუნეში

აფხაზური და ოსური ენების სწავლება მეცხრამეტე საუკუნეში დაიწყო. მეოცე საუკუნეში უკვე არსებობდა რამდენიმე საგანმანათლებლო ცენტრი როგორც დაწყებითი განათლების, ისე შემდგომი განათლების მისაღებად. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აფხაზური ენა ამ დროისათვის გავრცელებული იყო აფხაზეთის ტერიტორიაზე, ხოლო ოსური ენა, ძირითადად, ჩრდილოეთ კავკასიაში, სამხრეთით, ზოგიერთ დასახლებაში.

ნაციონალურ ენებზე სწავლება წარმოადგენს კომპლექსურ, მრავალი კომპონენტისაგან შემდგარ საკითხთა ერთობლიობას, რომელიც ევროპულ და დასავლურ აზროვნებაში მე-16-მე-17 საუკუნეებიდან იწყება და უკავშირდება ერთა ფორმირების, კოლექტიური იდენტობის მშენებლობის პერიოდს. ევროპული გამოცდილება იცნობს ლათინური ენიდან ნაციონალურ ენებზე სამწერლობო და საგანმანათლებლო ტრადიციის შექმნას. ეს პროცესები ევროპის სხვადასხვა ნაწილში მიმდინარეობდა მე-16 საუკუნიდან მე-19 საუკუნის ჩათვლით. მაგალითად, რუმინული, ჩეხური, უნგრული, სლოვენური, სერბულ-ხორვატიული და ბულგარული ენების შესწავლა, დამწერლობებისა და სამწერლობო ტრადიციების შექმნა, ასევე, ამ ენებზე წიგნების გამოცემა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს დაიწყო, რასაც მალევე მოჰყვა საგანმანათლებლო სკოლების, ცენტრებისა და უნივერსიტეტების დაარსება.

„განათლების, კომერციის, მრეწველობის, კომუნიკაციებისა და სახელმწიფო აპარატის საერთო წინსვლის პროცესი, რითიც მეცხრამეტე საუკუნე გამოირჩეოდა, თითოეულ დინასტიურ სამეფოში ქმნიდა ახალ, მძლავრ იმპულსებს ადგილობრივი ენის ლინგვისტური უნიფიკაციის მისაღწევად” (ანდერსონი, 2003. გვ. 119). ევროპული პერსპექტივიდან გამომდინარე, ადგილობრივ ენაში ანდერსონი გულისხმობს ნაციონალურ ენებს, რომელთა ანბანებიც ლათინური, საეკლესიო, ეზოთერული ენიდან და დამწერლობიდან ფორმირდება და ეროვნულ სამწიგნობრო ენად ყალიბდება, თუმცა ვფიქრობთ, მისი განზოგადება შესაძლებელია ასევე რეგიონულ ენებზეც.

მე-19 საუკუნის ბოლოს ჟურნალი „ივერია“ „შინაურ მიმოხილვაში“ განსაკუთრებულ ადგილს უთმობს სწავლა-განათლების საკითხებს. ყურადღებას ამახვილებს დედაენაზე სწავლების აუცილებლობაზე და მომძლავრებულ რუსიფიკაციულ გავლენებზე: „ჩვენ უნდა წარმოვსთქვათ, რომ ბავშვმა თავ-და-

პირველად თავის დედა ენაზედ უნდა გაიხსნას გონება და უცხო ენის სწავლას მხოლოდ მაშინ მიჰყოს ხელი, როცა თავის დედა ენაზედ საკმაოდ გაწვრთნილი იქნება, თუ გვინდა საკმაოდ ისწავლოს ბავშვმა უცხო ენა, დროც საკმარისი უნდა ჰქონდეს, თორემ ორსა და სამს წელიწადში, არამც თუ ვერ შეითვისებს უცხო ენას, თავ-ბედი ისე აერევა რომ იმასაც კი დაივიწყებს, რისაც გაგება თავის დედა ენის შემწეობით მოასწრო” (ივერია 1881, №2). სტატიაში ჩამოყალიბებულია მშობლიური ენისა და მეორე ენის, ამ შემთხვევაში, რუსული ენის, სწავლების თანმიმდევრობა და პრინციპები. აღნიშნულია, რომ პირველი სასწავლო წლის პირველ სემესტრში სწავლა უნდა მიმდინარეობდეს სრულად მშობლიურ ენაზე, მეორე სემესტრიდან ნახევარსაათიანი გაკვეთილი შესაძლოა, უცხო ენაზე ჩატარდეს, ეს უნდა იყოს ზეპირმეტყველების გაკვეთილები, ფრაზების გამეორება, რომელსაც ჯერ მშობლიურ ენაზე იტყვიან და შემდეგ – რუსულად. მეორე წელს, მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ, უნდა დაიწყოს რუსულ ენაზე წერა-კითხვის სწავლა, თუმცა რასაც რუსულად სწავლობენ, დედაენაზეც უნდა აუხსნან. მეორე წელს „დღეში სამი გაკვეთილი დედა-ენისა უნდა იყოს და ერთი რუსულისა” (ივერია 1881, №2). მესამე წელსაც გაკვეთილების რიცხვი იგივე უნდა იყოს, რაც მეორე წელს იყო. რუსული მასალა მშობლიურ ენაზე უნდა იყოს ახსნილი. (ივერია 1881, №2). სტატია აკრიტიკებს ახალ პროგრამას, რომელიც ამოკლებს მშობლიურ ენაზე სწავლებას და ზრდის რუსულენოვანი გაკვეთილების რაოდენობას. ენობრივი პოლიტიკის შესახებ სტატიაში აღნიშნულია: „ჩვენი ხალხი თუ რუსულის სწავლებასა თხოულობს სადმე, იმიტომ თხოულობს რომ ჩვენში ეხლა მხოლოდ რუსულს ენასა ხმარობენ ყოველ-გვარს დაწესებულებაში და ადგილის ენები კი, მაგალითად, ქართული ენა ყველგან გამოდევნილია... ქართულის მცოდნე მოსამართლესთანაც კი აკრძალულია ქართულად ლაპარაკი...” (ივერია 1881, №2).

საქართველოში სკოლების რაოდენობის შესახებ საგულისხმო ცნობებს გვაწვდის გაზეთი „კავკაზი” („Кавказъ”) 1901 წ. №172, რომელსაც განიხილავს 1901 წლის „ივერია” №152. კავკაზის სტატისტიკა: საქართველოს ეპარქიაში ორასამდე საეკლესიო-სამრევლო სკოლაა. 39 სკოლაში სწავლობენ ქართველები, 34 სკოლაში ქართველები და სხვა ეროვნების ახალგაზრდები, 32 ბერძნული სკოლაა, 58 რუსული სკოლაა, 37 სკოლაში კი სხვადასხვა ეროვნების ბავშვები სწავლობენ: ოსები, უდები, აისორები, სომხები და სხვ. ამ ჩამონათვალში არ არიან აფხაზები. სტატიაში აღნიშნულია მართლმადიდებელი მოსახლეობის დაახლოებითი რაოდენობა: 590 000. მათ შორის, ეროვნებების მიხედვით:

409 000 ქართველი; 74 000 ოსი; 51 000 რუსი, 47 000 ბერძენი, 7 000 უდი; 2 000 აისორი. გაზეთი „ივერია“ სტატიაში „აუცილებელი დასკვნა“, აღნიშნავს, რომ ქართული სკოლების რაოდენობა ძალზე მცირეა. სტატისტიკა აჩვენებს, რომ ქართველი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით გაცილებით მეტი ქართულენოვანი სკოლა უნდა იყოს. ამასთან, მშობლიურ ენაზე სწავლება დაშვებულია, თუ სკოლაში მშობლიური ენის მასწავლებელი იქნება: „სადაც მოსწავლეები სხვა-და-სხვა ეროვნებისანი არიან, მასწავლებელთ არ შეუძლიანთ, – რუსულის გარდა, – რომელიმე ადგილობრივს ენაზე ასწავლონ. განკარგულებას იმ შემთხვევაშიაც ძალა აქვს, თუნდაც რომ სასწავლებელში ერთი ეროვნების მოწაფეებს მეორე ეროვნების მოწაფეების ენა ესმოდეთ, რაიცა შეეხება სამშობლო ენის სწავლებას, ყველა ეროვნების მოწაფეს შეუძლიან ისწავლოს თავისი დედა-ენა განწესებულს საათებში, თუ სკოლაში იქნება ისეთი მასწავლებელი, რომელიც შეძლებს ამ ენის სწავლებას“ (Кавказъ 1901, №172, ივერია 1901, №152).

გაზეთების: „კავკაზისა“ და „ივერიის“ მასალებზე დაყრდნობით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მე-18 საუკუნის ბოლოს საქართველოში არსებობს 200-მდე სკოლა, რომლებშიც ქართველებთან ერთად სხვა ეროვნების მოსწავლეები სწავლობენ. მიუხედავად იმისა, რომ კანონის მიხედვით, შესაძლებელია მშობლიურ ენაზე სწავლება, ასეთი სკოლების რიცხვი მცირეა და სკოლათა ნაწილში, რომელშიც ქართველები და სხვა ეროვნების მოსწავლეები სწავლობენ, სწავლების ენა რუსულია.

აფხაზური და ოსური ენების შესწავლა დაკავშირებულია რუსეთის იმპერიასთან, თუმცა სწორედ ამ იმპერიაში შემავალ ქართველ ინტელიგენციასთან. სასწავლო კერებისა და სკოლების დაარსებას, ისევე, როგორც სასწავლო გარემოს შექმნასა და ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა მდიდარი ქართული მწიგნობრული და აღმზრდელობითი ტრადიცია (კეკელიძე, 1941, თავზიშვილი, 1938). აფხაზურ და ოსურ ენებს ასწავლიდნენ საგანგებოდ შექმნილ სკოლებში, ძირითადად, ქართველი, აფხაზი და ოსი ინტელიგენციის წარმომადგენლები. ცალკე უნდა აღინიშნოს აფხაზური და ოსური ენების შესწავლის, ანბანთა შექმნისა და ცვლილებების საკითხები, რაც უკავშირდება რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი, საბჭოთა კავშირის იდეოლოგიასა და საგანმანათლებლო პოლიტიკას. აფხაზური და ოსური ენების სწავლება, როგორც სასულიერო-სამრევლო, ისე საერო სასწავლებლებში, ერთ მიზანს ემსახურებოდა, გაზრდილიყო რუსეთის გავლენა კავკასიელ ხალხებზე, თავის მხრივ, სასულიერო სასწავლებლების მთავარი მიზანი იყო ქრისტიანობის/მართლმადიდებლობის გავრცელება, რომელიც, რუსული

გავლენის გაზრდასაც ნიშნავდა. ეს საკითხი მრავალგვარად აისახა აფხაზური და ოსური ენების სწავლებაზე როგორც XIX საუკუნეში, ისე XX საუკუნეში და თანამედროვეობაშიც. XIX საუკუნის ბოლოს, 1893 წელს გამოცემულ რუსეთის „კანონთა კრებულში“ 4372 მუხლში მითითებულია: „პირველდაწყებით სახალხო სკოლებში სწავლა სწარმოებს რუსულ ენაზე“ (ჯავახიშვილი, 1908, გვ. 62-63). 1891 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის „ცირკულარში“ აღნიშნულია: „სასწავლებელი ბავშვებში უნდა ზრდიდეს და აწვითარებდეს იმის შეგნებას, რომ კავკასიის ყველა ნაწილი უნდა შეუსისხლხორცდეს რუსეთის სამეფოს“ (თავზიშვილი 1948, გვ. 25). ეს პოლიტიკა ხშირად იწვევდა კავკასიელი საზოგადოების, ქართველების, აფხაზების, ოსებისა და სხვების პროტესტს, განსაკუთრებით, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო სფეროებში.

ბენედიქტ ანდერსონის შეხედულებით, რუსიფიკაციული პოლიტიკა რუსეთის იმპერიაში ოფიციალური პოლიტიკის ნაწილი გახდა ალექსანდრე მესამის (1881-1894) მეფობის პერიოდში. „1887 წ. ბალტიისპირეთის პროვინციებს იძულებით თავს მოახვიეს რუსული ენა, სახელმწიფოს ყველა სკოლაში დაწყებითი კლასების შემდგომ საფეხურზე სწავლება რუსულად მიმდინარეობდა. მოგვიანებით, ეს ზომები კერძო სკოლებზეც გავრცელდა. 1893 წ. იმპერიის ყველაზე სახელგანთქმული კოლეჯი – დერპტის უნივერსიტეტი დაიხურა იმის გამო, რომ იქ ლექციები გერმანულ ენაზე ტარდებოდა. (გავიხსენოთ, რომ მანამდე გერმანული ამ პროვინციების სახელმწიფო ენად ითვლებოდა და არა სახალხო ნაციონალისტური მოძრაობის ხმად). მსგავსი მოვლენები უსასრულოდ მეორდებოდა“ (ანდერსონი, 2003. გვ. 133-134).

სეტონ-უტსონი 1905 წლის რევოლუციაზე დაკვირვებისას მიუთითებს: „ავტოკრატიის წინააღმდეგ მიმართული მუშების, გლეხებისა და რადიკალი ინტელექტუალების რევოლუციის პარალელურად, ის რუსიფიკაციის წინააღმდეგ მიმართული არარუსული მოსახლეობის რევოლუციაც იყო. უდავოა, რომ ორივე მათგანი მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა ერთმანეთთან. სოციალური რევოლუცია მართლაც ყველაზე მწვავე ხასიათს არარუსულ რეგიონებში ატარებდა, სადაც პროტაგონისტებად როგორც პოლონელი მუშები, ისე ლატვიელი და ქართველი გლეხები გამოდიოდნენ“ (Seton-Watson, 1977, გვ. 87).

ანდერსონი უკვირდება რუსიფიკაციულ პოლიტიკას და აღნიშნავს, რომ ის არ იყო მხოლოდ დინასტიური და პოლიტიკური ელიტის პოლიტიკა, ის გახდა რუსი

ფუნქციონერებისა და მეწარმეებისათვისაც მძლავრი იარაღი. ასეთივე პოლიტიკას იყენებდა ინგლისი ინდოეთში (ანდერსონი 2003).

რუსიფიკაციული პოლიტიკა ვრცელდებოდა მთელ რუსეთის იმპერიაზე, განსაკუთრებით კი, მის პერიფერიებზე, სასაზღვრო რეგიონებში. ამ პოლიტიკის მთავარი ნაწილი იყო რუსულენოვანი გავლენების გაძლიერება-დამკვიდრება რუსული ენის გზით. ამავდროულად, საჭირო იყო ნაციონალური ენების სწავლებაც. საქართველო, რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ეტაპობრივად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია, ერთი მხრივ, იცავს და ამკვიდრებს ქართულენოვან საგანმანათლებლო გარემოს, ლიტერატურას, კულტურას, ხოლო, მეორე მხრივ, მონაწილეობს აფხაზური და ოსური ენების საგანმანათლებლო სივრცეების შექმნაში. ამ ორმაგი როლის შესრულება გრძელდება შემდგომაც, მე-20 საუკუნის დასაწყისში, 20-იან წლებში და საბჭოთა კავშირის არსებობის მთელ პერიოდში.

აფხაზურ და ოსურ ენებზე სწავლების შემოღება ცენტრალიზებული პროცესი იყო, რომელიც გულისხმობდა სასწავლებლების დაარსებას, შესაბამისი პროგრამების შემუშავებას, ანბანების შექმნას, მასწავლებლების მოძიებას, წიგნების გამოცემას და სხვ. ამასთან, არამდგრადი და ცვალებადი პოლიტიკური ვითარებისა და საგანმანათლებლო პოლიტიკის გამო გახსნილი სკოლები ხშირად უქმდებოდა, იცვლებოდა სასწავლო პროგრამები, სწავლების ენები, უქმდებოდა სასწავლო დაწესებულებები, სადაც მშობლიურ ენაზე სწავლა იყო შესაძლებელი. სკოლებისა და სასწავლებლების ნაწილში იცვლებოდა სწავლების ენები, მაგალითად, მშობლიური ენის ნაცვლად, რუსული ენა. აღნიშნული კი, ბუნებრივია, ხელს უშლიდა საგანმანათლებლო პროცესს.

I.I.1 ორგვარი მიდგომა განათლების პოლიტიკაში XIX საუკუნეში

მას შემდეგ, რაც შეიქმნა აფხაზური და ოსური ანბანები, დღის წესრიგში დადგა საგანმანათლებლო საქმიანობა. მეფის რუსეთის დროს ამ მიმართულებით შეინიშნებოდა ორგვარი მიდგომა: რეგიონული პოლიტიკა და ცენტრისტული პოლიტიკა (Гатагова, 1993, გვ. 45). თუ რეგიონული პოლიტიკა მოიაზრებდა რეგიონზე ორიენტირებულ სოციალურ-პოლიტიკურ, კულტურულ და საგანმანათლებლო ინიციატივების მხარდაჭერას, რეგიონის ინტერესების გათვალისწინებით გადაწყვეტილებების მიღებას, ცენტრზე ორიენტირებული პოლიტიკა გულისხმობდა მის საწინააღმდეგოდ, ყველაფრის უნიფიკაციას ცენტრის ინტერესების მიხედვით. შესაბამისად, აფხაზური და ოსური

ენების სწავლების თვალსაზრისით არსებობდა ორგვარი მიდგომა: ერთი მხრივ, სწავლება უნდა ყოფილიყო მშობლიურ ენაზე, ხოლო მეორე შეხედულებით, სწავლება უნდა წარმართულიყო რუსულ ენაზე. ეს ტენდენცია ეხებოდა რუსეთის იმპერიის იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებშიც არარუსი ეროვნების ახალგაზრდები სწავლობდნენ. XIX საუკუნიდან დაწყებული ორგვარი მიდგომა განათლების პოლიტიკაში გაგრძელდა XX საუკუნეში, საბჭოთა ეპოქაში და გრძელდება დღესაც აფხაზური და ოსური ენების სწავლების მიმართულებით (დეტალურად იხ. თავი III, თავი IV). აღსანიშნავია ისიც, რომ პირველი სკოლები ხშირად იყო საანბანო, დაწყებითი, ერთკლასიანი და ორკლასიანი სასწავლებლები, რაც ორგანოფილებიან სწავლებას ნიშნავდა. ერთკლასიანი სასწავლებლები ორწლიანი იყო, ორკლასიანი სასწავლებლები – ოთხწლიანი და ა. შ. საყურადღებოა, რომ ფინანსური ხარჯების გამო რუსეთის იმპერია სკოლების დაარსებას პერიფერიებში ერიდებოდა (თავზიშვილი 1948, გვ. 127).

XIX საუკუნეში საგანმანათლებლო საკითხების კვლევისას გამოიკვეთა რამდენიმე საერთო ტენდენცია, რომელიც აფხაზური და ოსური ენებისა და, ზოგადად, სასწავლო და პედაგოგიური სივრცისათვის არის დამახასიათებელი:

1. სასწავლებელთა ნაკლებობა და მატერიალური სიმწირე;
2. სწავლების საწყის ეტაპზე მოსახლეობის ნაკლები დაინტერესება, რაც გამოწვეული იყო სხვადასხვა ფაქტორით, მათ შორის, ეკონომიკური მდგომარეობით;
3. მშობლიურ ენაზე სასწავლო რესურსების არარსებობა და ნაკლებობა;
4. სასწავლო რესურსების ნაკლებობა ზოგადად;
5. აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი პედაგოგების სიმცირე;
6. ფართო პროფილის პედაგოგების სიმცირე;
7. სკოლებში სასწავლო სისტემების ხშირი ცვალებადობა (მშობლიური ენის ჩანაცვლება რუსულით);
8. პედაგოგიური მეთოდების, მათ შორის, თვალსაჩინოების სიმწირე და არარსებობა;
9. სასკოლო შენობების სიმცირე, გაუმართაობა;
10. სასკოლო ინვენტარის სიმწირე;
11. მოსახლეობა ვალდებული იყო თვითონ შეენახა სკოლა.

I.I.2 „მუნჯური მეთოდი“ აფხაზური და ოსური ენების სწავლების დისკურსში

როგორც უკვე აღინიშნა, რუსეთის იმპერიაში განათლების ორგვარი პოლიტიკა არსებობდა – ცენტრისტული და რეგიონული, რომელიც პერიოდულად იცვლებოდა, ან, ზოგჯერ, ერთმანეთის პარალელურად თანაარსებობდა. ცენტრისტული პოლიტიკისათვის დამახასიათებელი იყო ორიენტირება რუსულ ენაზე, მშობლიური ენის იგნორირება, ისეთი საგანმანათლებლო რეფორმების გატარება, რომელიც სწრაფ შედეგის მომტანი უნდა ყოფილიყო. ცენტრისტული პოლიტიკის, მშობლიური ენის იგნორირებისა და რუსულენოვანი სწავლების გამტარებელი ერთ-ერთი ასეთი მეთოდი იყო იანოვსკისა და ლევიცკის „მუნჯური მეთოდი“, რომელიც გულისხმობდა რუსული ენის სწავლებას მშობლიური ენის გარეშე, მშობლურ ენაზე ხმის ამოუღებლად, „მუნჯურად“ და შემდგომ, მის სრულ განდევნას. გაზეთი „ივერია“ 1901 წლის 5 ივლისის №144 ნომერში აღნიშნავს, რომ საქართველოს საეპარქიო საბჭოს დადგენილებით, სამრევლო-საეკლესიო სკოლებში, რომლებიც დაარსებულია ქალაქებში, სწავლა პირველივე წლიდან რუსულ ენაზე დაიწყება. სოფლის იმ სკოლებში, სადაც მხოლოდ ქართველები არიან, პირველი სამი წლის განმავლობაში ქართულ ენაზე იქნება სწავლა, თუმცა ისწავლიან რუსულ ენას და ლოცვებს რუსულ ენაზე. „სოფლის იმ სკოლებში კი, სადაც ქართველებთან სხვა ტომის შვილებიც (ოსები, ბერძნები, რუსები, თათრები და სხვანი) იქმნებიან, სწავლა პირდაპირ რუსულს ენაზედ დაიწყება ეგრედ წოდებულ „მუნჯურის მეთოდის“ შემწეობით. ეს წესი შემოღებულ იქმნა საეპარქიო მეთვალყურის მ. ვოსტორგოვის მეცადინეობით“ (ივერია, 1901, №144).

„ცნობის ფურცელი“ 1904 წელს აქვეყნებს აფხაზის ფსევდონიმით დაბეჭდილ, მელიტონ გობეჩიას ინფორმაციას, აფხაზეთში, სოფელ მიწარას სასკოლო განათლების შესახებ და აღნიშნავს, რომ რამდენიმე წლის წინ დაარსებულ მიწარას სკოლაში მუნჯური მეთოდით სწავლების წარუმატებლობის გამო სასწავლო პროცესი საერთოდ არ მიმდინარეობს. „მიწარელნი სწავლა-განათლების დიდი მოტრფიალენი არიან. ამ ორიოდ წლის წინად ამათ ააგეს სკოლისათვის მშვენიერი ქვითკირის შენობა, რომელიც 5000 მანეთამდე დაჯდა. გაუმწესეს მასწავლებელი, სომხური ენის არმცოდნე. ახალგაზრდა მასწავლებელი მხნედ მოეკიდა საქმეს; უნდოდა ნაყოფი მოეტანა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ „მუნჯურის მეთოდით“ სურვილს ვერ აისრულებდა, ვერაფერ სარგებლობას მოიტანდა; მალე მიხვდა, რომ ის მასწავლებელი, რომელსაც მოსწავლეებთან და ხალხთან ენა არ აკავშირებს, რაც უნდა წრფელად ეკიდებოდეს საქმეს,

ვერავითარ ზნეობრივ გავლენას ვერ იქონიებს ვერც ამ მოსწავლეებზე, ვერც ამათ მშობლებზე და გადასწყვიტა საქმისათვის თავის დანებება. „მშვიერი ვყოფილვარ, მშვიერივე დავრჩე ოღონდ სინდისი წმინდა მექნეს და იმ წმინდა და საპატიო საქმეს, რომელსაც მასწავლებლობა ჰქვია, იმ წმინდა ტაძარს, რომელსაც სკოლას ეძახიან, ჩემგან ლუკმა პურის გულისთვინ ჩირქი არ მოეცხოს, არ შეიბღალღოსო“, სთქვა იმან და მართლაც განშორდა სკოლას. სოფლელებს გადაუწყვეტიათ, ითხოვონ თავიანთ ხარჯით მეორე მასწავლებელი, რათა შეეძლოს იმათ შვილებს, სახელმწიფო ენასთან, დედაენაც შეასწავლოს...” („ცნობის ფურცელი”, 1904, №2393).

„მუნჯურ მეთოდს” აკრიტიკებს მელიტონ გობეჩია 1904 წლის 28 იანვრის წერილში: „როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ისე აფხაზეთ-სამურზაყანოშიაც ამ ბოლო დროს ხალხი კარგად მიხვდა სკოლის მნიშვნელობას და სწავლა-განათლების საჭიროებას; მიხვდა რომ დღეს უსწავლელად ვეღარას გახდება. მცხოვრებნი, მიუხედავად სიღარიბისა არავითარ, ხარჯს არ ერიდებიან, ოღონდ კი – სკოლა დაიარსონ და შვილებს პირველ-დაწყებითი სწავლა მაინც მიაღებინონ. სწორედ ხალხის ამგვარი შეგნებაა მიზეზი აქაურ სკოლების სიმრავლისა. მთელს აფხაზეთ-სამურზაყანოში არ მეგულება ისეთი თუნდაც სულ მივარდნილ-მიყრუებული სოფელი, სადაც სამინისტრო ან საეკლესიო სკოლა არ არსებობდეს, ბევრია ისეთი სოფელიც, სადაც ორი და სამი სკოლაც – კი არის, მაგრამ ამ სასიამოვნო სურათთა ძალაუნებურად თვალში გვეჩხირება მეორე, არა სასიამოვნო სურათიც: დაარსების პირველ წლებში მოსწავლენი საკმაოდ იკრიბებიან; მერე-კი, რაც დრო გადის, ეს რიცხვი კლებულობს და ბოლოს, ხშირად სკოლა სრულიად ცარიელდება ხოლმე. ს. ბ-შის სკოლაში თითქმის მთელს წელიწადს სწავლა არა ყოფილა ზემო ნათქვამის მიზეზით. ს. ო-რის მასწავლებელი ჩიოდა: უფროსს მოველი და რა ვქნა, რა ქვა ვიხალო თავში, რა ნაყოფი უნდა დავანახო, როდესაც მოსწავლეები სკოლაში არც-კი მეკარებიანო. ამ რამდენსამე წლის წინად ს. გ-ლის მცხოვრებლებმა სრულიად უარი განაცხადეს ბავშვების სკოლაში გაგზავნაზე და მრავალი სხვა... ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი კი იმაში უნდა ვეძებოთ, რომ სკოლა ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, ვერ ამართლებს ხალხის იმედს: ბავშვს ვერასა სძენს; რა გონების ბარგითაც ის სკოლაში შედის, იმავე ბარგით გამოდის იქიდან. ორ-სამ გაზეპირებულ ლექსის მეტი, რომელსაც მალე დაივიწყებს, იმას სკოლიდან თითქმის არა გამოაქვს-რა. ვერ შეხვდებით აქაურ სკოლის მოსწავლეებში ისეთს, ვისაც, თუნდ სამი-ოთხი წელიწადი ევლოს სკოლაში, ორი სიტყვის რიგიანად გადაბმა, სულ უბრალო მოკითხვის

ბარათის დაწერა შეეძლოს. ერთი სიტყვით, ცხოვრებაში გამოსადეგს აქაური სკოლა ბავშვებს არაფერს აძლევს. ამის მიზეზები მრავალზე-მრავალია, ჩვენ კი აქ მხოლოდ ზოგიერთებს დავასახელებთ: პირველი „მუნჯური მეთოდია“. სწორედ ჯვარს აცვა ამ მეთოდმა აქაური მასწავლებლებიც და მოსწავლენიც. ერთი რუსი მასწავლებელი, გვარად ჯ-ვი ამას წინად მეუბნებოდა: – „ოთხი წელიწადი ვიყავი ბერძნების ერთ სოფელში მასწავლებლად და სწორედ ჯოჯოხეთია ჩემთვის ამ დროის მოგონებაო. არ ვიცი მე უფრო ვსტანჯავდი (რასაკვირველია, არა განგებ) საბრალო ბავშვებს, თუ ისინი მეო“. ავტორი ასევე ასახელებს სახელმძღვანელოების გაუმართაობასა და პედაგოგთა არაკვალიფიცირებულობის მიზეზებსაც (ცნობის ფურცელი, 1904. №2538).

გაზეთი „ივერია“ 1909 წელს წერს: „1903 წლამდე ქუთაისში არსებობდა ერთადერთი ქალაქის პირველდაწყებითი სკოლა. იგი თითქმის მთელი 10 წლის განმავლობაში ასრულებდა ბრმა იარაღის როლს მუნჯური მეთოდის გასავრცელებლად ცნობილი ლევიცკის ხელში, ეს ერთადერთი სკოლა იყო გადაქცეული დემონსტრაციულ ცენტრად მთელს ქუთ. გუბერნიაში, სადაც იწვრთნებოდნენ მუნჯური მეთოდით სწავლებაში საქალაქო სკოლებში კურს დამთავრებულნი, მეამბანენი (азбучники) და შემდეგ ეს ტლანქი ძალები შედიოდნენ სოფლის სკოლებში ბავშვების ტვინისა და გონების გასალაყებლად, მშობელი ენის ამოსაგლეჯად“ (ივერია 1909, №28). ეს მეთოდი ფართოდ იყო დანერგილი რუსეთის იმპერიის იმ ნაწილებში, სადაც არარუსი მოსახლეობა ცხოვრობდა. ჩვენი დაკვირვებით, ამ მეთოდს იყენებდნენ როგორც ქართველებთან, ისე აფხაზებთან, ოსებთან და სხვა ეთნოსის წარმომადგენლებთან.

ქართულ პედაგოგიურ აზროვნებაში დამკვიდრებულია იაკობ გოგებაშვილის მეცნიერულად დასაბუთებული შეხედულება, რომ აუცილებელია განათლება, მათ შორის, განსაკუთრებით, დაწყებითი განათლება, დამყარებული იყოს მშობლიურ ენაზე. ეს მოსაზრება ფართოდ არის განვითარებული და დღეისთვის ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს შორის მოიაზრება (ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენცია, 1950). იაკობ გოგებაშვილის აზრით, „არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ისეთი ადამიანური ენა, რომელზეც არ მოხერხდება პირველდაწყებითი სწავლების მოგვარება ისევე, როგორც არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი ადამიანური ენა, რომელზეც უბრალო, ჩვეულებრივი აზრების გამოთქმა არ შეიძლებოდა“ (გოგებაშვილი, 1952, გვ. 161-162). იაკობ გოგებაშვილი აკრიტიკებდა რუსულ საგანმანათლებლო პოლიტიკას, რომელიც მშობლიური ენის სწავლებას უგულვებელყოფდა. აფხაზი და ოსი მოსახლეობისათვის

სწავლა-განათლების საფუძველში, დაწყებითი განათლებისათვის მას მიზანშეწონილად მიაჩნდა სწორედ მშობლიური ენის შესწავლა. სკოლების დირექციის გადაწყვეტილება, რომ აფხაზებისათვის მშობლიური ენის შესწავლის გარეშე სწავლა რუსულ ენაზე დაწყებულიყო, იაკობ გოგებაშვილი ასე გამოეხმაურა: „დირექციის საქმიანობაში ეს გარემოება სრულ თანმიმდევრობას წარმოადგენს, უბედურება და უაზრობა შეიძლება თანმიმდევრული იყოს. თუკი აფხაზური ენა არ გამოდგება პირველდაწყებითი სწავლების იარაღად, მაშინ არც ოსური გამოდგება. ხოლო თუკი ორივე ეს ენა განდევნილ იქნება სახალხო სკოლებიდან, მაშინ რაღა უფლების ძალით შეიძლება სხვა დანარჩენი მთიელთა და თვით არამთიელთა ენების დატოვება სასკოლო სწავლებაში” (გოგებაშვილი, 1954, გვ. 157). ქართველი საზოგადო მოღვაწე უკვირდება საგანმანათლებლო პროცესს, რომელიც მიმდინარეობს აფხაზებითა და ოსებით დასახლებულ ადგილებში, ყურადღებას აქცევს რამდენიმე საკითხს:

1. სწავლა უნდა მიმდინარეობდეს მშობლიურ ენაზე;
2. სასკოლო სახელმძღვანელოები უნდა მომზადდეს აფხაზურ და ოსურ ენებზე, არ უნდა ითარგმნოს რუსულიდან, რადგან რუსული წიგნების თარგმნისას ბევრი ტერმინი უცვლელად გადმოდის, თარგმანის შემთხვევაში არ იქმნება შესაბამისი შესატყვისები, მაგალითად, მათემატიკაში, ეს კი მშობლიურ ენაზე სწავლებას აფერხებს;
3. აფხაზი და ოსი პედაგოგების მომზადება შესაბამის საგნებში;
4. სხვა ეროვნების პედაგოგებისათვის აფხაზური და ოსური ენების ცოდნის აუცილებლობა;
5. უცხო ენის სახელმძღვანელოს, მაგალითად, რუსული ენის სახელმძღვანელოს ცალ-ცალკე შემუშავება აფხაზებისათვის, ოსებისათვის და სხვებისათვის „მშობლიური ენის სისტემატური დახმარებით თვალსაჩინო და ზეპირი სწავლება, აი, რა უნდა შეადგენდეს ამ საფუძველს, რომელსაც უნდა ემყარებოდეს ეროვნულ უმცირესობათა სკოლებისათვის გათვალისწინებული რუსული ენის სახელმძღვანელოები... თითოეულ მსხვილ კავკასიურ ტომს მის თავისებურებებთან შეფარდებული ცალკე სახელმძღვანელო უნდა ჰქონდეს რუსულ ენაში” (გოგებაშვილი, 1954, გვ. 418-420);
6. სწავლებაში თვალსაჩინოების მეთოდის გამოყენება;
7. ე. წ. „მუნჯური მეთოდის” უგულვებელყოფა (გოგებაშვილი, 1954).

აფხაზური და ოსური ენების სწავლების საკითხები XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში მჭიდროდ არის დაახლოებული ქართულ საგანმანათლებლო და მწიგნობრულ წრეებთან. ორივე ენის შემთხვევაში ცხადია, რომ ქართულ ენასა და ქართულ დამწერლობას აფხაზური და ოსური ენებისათვის დიდი როლი და მნიშვნელობა ჰქონდა. ასევე, მნიშვნელოვანი იყო ქართველი საერო და სასულიერო მოღვაწეების წვლილი აფხაზური და ოსური ენების სწავლების ხელშეწყობის თვალსაზრისით.

ნიკოლოზ პირველის დროს პოლიტიკური დამაბულობის, კერძოდ, საფრანგეთის რევოლუციის გამო განსაკუთრებით გამკაცრდა საგანმანათლებლო პოლიტიკა. 1825-1855 წლებში ყველა საფეხურის სკოლების სწავლების წესში შევიდა ცვლილებები, აიკრძალა რუსი მეცნიერების გაგზავნა საზღვარგარეთ, შემოიღეს პროფესორთა ლექციების დაბეჭდვის წინასწარი ცენზურა, გიმნაზიებში გაძლიერდა სწავლების კლასიკური სისტემა, სასწავლებლებში გაძლიერდა პოლიციური რეჟიმი და ჟანდარმული მეთვალყურეობა (თავზიშვილი, 1946; Каптерев, 2004, გვ. 331). 1848 წელს მიიღეს ახალი დებულება კავკასიის სასწავლო ოლქისა და მის ქვემდებარე სასწავლებელთა შესახებ. ამ დებულების საფუძველზე დაარსდა კავკასიის სასწავლო ოლქი. სასწავლებელთა დიფერენციაციის შედეგად გიმნაზიები ამზადებდა დიდგვაროვანთა შვილებს, ხოლო სამაზრო სასწავლებლებში სწავლობდნენ ღარიბ აზნაურთა და მოხელეთა შვილები. ყველასათვის საერთო იყო პირველდაწყებითი სამრევლო სასწავლებლები.

1851 წელს საქართველოში სულ იყო 139 სასწავლებელი, რომელშიც სწავლობდა 5554 მოსწავლე. მათ შორის:

3 გიმნაზია – 787 მოსწავლე

6 სამაზრო სასწავლებელი – 433 მოსწავლე

6 სამრევლო საერთო სასწავლებელი – 218 მოსწავლე

5 დამოუკიდებელი პანსიონი – 68 მოსწავლე.

16 სასულიერო სასწავლებელი, 2 სემინარია. ეკლესიასთან არსებულ სკოლებში სწავლობდა 860 მოსწავლე; პოლკებთან არსებულ სკოლებში – 2300 მოსწავლე; სამხედრო სასწავლებლებში 620 კურსანტი მოსწავლე; ქალთა სასწავლებლებში – 268 მოსწავლე.

მთელ კავკასიაში 1851 წლისათვის იყო 5 გიმნაზია, 20 სამაზრო და საოლქო სასწავლებელი, 315 სამრევლო და სხვა სკოლა და 8413 მოსწავლე, 8117 ვაჟი და 296 ქალი. 30 სამხედრო პოლკის სკოლა, 1040 მოსწავლე, 5 ქალთა სასწავლებელი, 350 მოსწავლე, 1

სამიჯნო სასწავლებელი 50 მოსწავლე, 3 სასულიერო სასწავლებელი – 420 მოსწავლე, სულ კავკასიაში 419 სკოლა, 10273 მოსწავლე (Акты, X, 897).

სასწავლებლების დიდი უმრავლესობა რუსულენოვანი იყო. კავკასიაში მცხოვრები ხალხის ენობრივი მრავალფეროვნება კი, სასკოლო განათლების სრულფასოვნად წარსამართავად, მოითხოვდა მშობლიურ ენაზე სწავლებას, რაც, ბუნებრივია, რუსეთის იმპერიის მიზანს არ წარმოადგენდა.

I.I.3 ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

სოხუმსა და ცხინვალში

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დაარსდა 1879 წელს. ეს იყო მძლავრი საგანმანათლებლო ერთობა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საქართველოში წერა-კითხვისა და მწიგნობრობის გავრცელების საქმეში. საზოგადოების მთავარი მიზანი იყო წერა-კითხვისა და დაწყებითი განათლების გავრცელება მოსახლეობაში, არსებული სკოლების დახმარება და ახალი სკოლების გახსნა, ბიბლიოთეკების დაარსება, პედაგოგების მომზადება, წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემა და სხვ. საზოგადოებამ დიდი როლი შეასრულა სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის, აფხაზეთში, ცხინვალსა და ვლადიკავკაზში წერა-კითხვის გავრცელებასა და საგანმანათლებლო საქმიანობის შექმნასა და აღორძინებაში.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიშებში ასახულია სოხუმის, გუდაუთის, გალის, კავკავის, ცხინვალის სკოლების საქმეები. ორგანიზაციების ანგარიშებიდან ჩანს შეგროვილი თანხები, ბიბლიოთეკებისა და სკოლების დაარსების საკითხები. კერძოდ, სოხუმში საზოგადოების წევრები აფუძნებენ სკოლას, გუდაუთაში დააყენეს საკითხი ქართული სკოლის დაარსების შესახებ, ცხინვალში ხსნიან ბიბლიოთეკასა და სკოლას, ვლადიკავკაზში ხელმძღვანელობენ ქართულ სკოლას, ნიშნავენ პედაგოგებს და სხვ.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები სოხუმში, გუდაუთაში, ცხინვალში, ვლადიკავკაზში ქართველებთან ერთად არიან აფხაზები, ოსები, სომხები, ბერძნები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები, რაც ამკარად მიუთითებს საზოგადოების ინტერესზე, ხელი შეუწყოს განათლების გავრცელებას. ეს მისწრაფება იკვეთება ქართულენოვანი გაზეთების: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „დროება“ და სხვ. მიერ მომზადებულ სტატიებში, სადაც შუქდება აფხაზეთში, გორის მაზრაში,

ვლადიკავკაზში და სხვაგან, განათლების მდგომარეობა, სკოლების დაარსების საკითხი, სკოლების მდგომარეობა, სწავლების პრობლემები და სხვ.

აფხაზი და ოსი ახალგაზრდები, ისევე, როგორც სხვა ეროვნების წარმომადგენლები, განათლებას იღებდნენ გორის, თბილისის, ქუთაისის, თელავის და სხვა სასულიერო თუ საერო სასწავლებლებში, გიმნაზიებსა და სემინარიებში.

I.II აფხაზური ენა და ანბანი

აფხაზური ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ადიღეური ჯგუფის ენაა. აფხაზური ენა აბაზურ ენასთან ერთად ქმნის ერთ ენობრივ ერთეულს. აფხაზურ ენას ორი ძირითადი დიალექტი აქვს: აბჟურული და ბზიფური.

ამ ენაზე ლაპარაკობენ საქართველოში – აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარაში, თურქეთში და სირიაში. საქართველოში (კონტროლირებად და არაკონტროლირებად ტერიტორიებზე) აფხაზურად დაახლოებით 101 000 ადამიანი ლაპარაკობს. დაუდგენელია აფხაზურენოვანი მოსახლეობის რიცხვი დიასპორაში (Çelikpala, 2006). აფხაზური ენა, ქართულთან ერთად, აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენაა და სახელმწიფო ენის სტატუსი კონსტიტუციურად აქვს მინიჭებული.

პირველი ჩანაწერები აფხაზურ ენაზე გვხვდება მეჩვიდმეტე საუკუნეში, თურქი მოგზაურის, ევლია ჩელების (1611-1682) „მოგზაურობათა წიგნში“, რომელშიც ავტორი აღწერს აფხაზურ ენას, უწოდებს მას „აბაზთა უცნაურ და საოცარ ენას“. ჩაწერილი აქვს აფხაზური ენის რიცხვითი სახელები, რამდენიმე ლექსიკური ერთეული, ასევე, დიალოგები. ცალკე აქვს გამოყოფილი აბაზურ-საძური¹ ენა (მეტყველება). ჩელები აღნიშნავენ აგრეთვე იმასაც, რომ ამ ორი ენის გარდა, არსებობდა კიდევ სხვა ენებიც, მაგრამ მახსოვრობაში დარჩა მხოლოდ ეს ორი. ასევე, ჩელების თქმით, ენის ფიქსირების სირთულის გამო, მხოლოდ ამ ორი ენის გადატანა მოახერხა ფურცელზე, რადგან მისთვის საუბრის ჩაწერა ძალზე რთული იყო: ისინი საუბრობდნენ ისე, „თითქოს ჩიტების მომაჯადოებელი საუბარი იყოს“ (Челеби, 1983, გვ. 55). ჩელების ნაშრომი მხოლოდ ფრაგმენტულად ასახავდა აფხაზური ენის ბგერით სისტემას და ლექსიკას, რადგან მან არ იცოდა აფხაზური, ასევე, იწერდა არაბული ასოებით. შესაბამისად,

¹ საძები, იგივე ჯიქები, როგორც ცნობილია, აფხაზებისა და ადიღეელების ერთ-ერთ სუბეთნოსად ითვლება.

არაბული ასოებით აფხაზური ენის ფონეტიკური და ლექსიკური მონაცემების ფიქსირება ხარვეზებს შეიცავდა. ეს საკითხები ფართოდ გამოიკვლია გერმანელმა მეცნიერმა რ. ბლეიხშტაინერმა (Bleichsteiner, 1918, გვ. 64-85). ჩელების მიერ ჩაწერილი მასალის სწორად ამოკითხვა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. გარდა იმისა, რომ ჩელები არაბული ასოებით იწერდა ტექსტებს, აღსანიშნავია აგრეთვე ის შეცდომები, რომლებსაც იგი უშვებდა ჩაწერის დროს.

აფხაზური ენის მეცნიერული შესწავლა მეცხრამეტე საუკუნიდან დაიწყო. „1827 წელს ყველაზე დიდი რაოდენობის აფხაზური ლექსიკა (1 952 სიტყვა) რუსული ასოებით ჩაიწერა რუსმა საზღვაო ოფიცერმა, ვლადიმირ რომანოვმა, ხოლო 1846 წელს ბერლინში დაიბეჭდა პროფ. გეორგ როზენის მიერ დაწერილი აფხაზური ენის მოკლე გრამატიკული მიმოხილვა, რომელშიც ამ მეცნიერმა გამოიყენა ქართული გრაფიკა (მხედრული). პროფესიონალი ენათმეცნიერის, პროფ. გ. როზენის აზრით, კავკასიის ენათა სპეციფიკური ფონემების გადმოსაცემად ყველაზე ოპტიმალური ქართული გრაფიკა იყო” (გვანცელაძე, ჭაავა, 2021, გვ. 42). ჩელების, რომანოვის, როზენისა და სხვათა ჩანაწერები შეიცავს მრავალ უზუსტობას, რადგან არცერთ შემთხვევაში არ იყო აფხაზური ენისათვის შესაბამისი ანბანი შექმნილი.

რუსმა გენერალმა, კავკასიოლოგმა პეტრე უსლარმა (1816-1785) 1862 წელს შექმნა აფხაზური ენის ანბანი რუსული გრაფიკის საფუძველზე. ანბანში გამოყენებული იყო რუსული ანბანის 25 ასო, ლათინური ანბანის 9 ასო, 7 რუსულ გრაფემას შეუცვალა მოხაზულობა სპეციფიკური აფხაზური ფონემების გადმოსაცემად, ბერძნული ანბანიდან გადმოიღო 3 ასო, ქართულიდან 3 ასო (დეტალურად იხ. გვანცელაძე, ჭაავა, 2021, გვ. 43-44). უსლარის შექმნილმა ანბანმა შემდგომაც განიცადა ცვლილებები. 1887 წელს მიხაილ ზავადსკის რედაქტორობით დაიბეჭდა აფხაზური ენის გრამატიკა, სადაც რედაქტორმა 12 ფონემა შეცვალა.

1865 წელს რუსმა მეცნიერმა, პეტერბურგის აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, გენერალ-ლეიტენანტმა ივანე ბარტლომეიმ (1813-1870), რომელიც კავკასიაში (ჩეჩნეთში, აფხაზეთსა და თბილისში) მსახურობდა და კავკასიის არქეოლოგიას, ისტორიასა და ნუმისმატიკურ მასალას იკვლევდა, შეადგინა და გამოსცა აფხაზური ანბანი ქართული დამწერლობის მიხედვით, თუმცა ეს ანბანი ხმარებაში არ შემოღებულა. ამისი ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ აფხაზური ანბანი დაემყარა არა აზერულ, არამედ ბზიფურ

დიალექტს, რაც ანბანის გამოყენებისას აბჟურ დიალექტზე მოსაუბრეთათვის დიდ სირთულეს ქმნიდა.

1892 წელს გამოიცა კონსტანტინე მაჭავარიანისა და დიმიტრი გულიას აფხაზური ენის საანბანო სახელმძღვანელო. ეს იყო აფხაზური ანბანის ფორმირების კიდევ ერთი მცდელობა, სადაც დაზუსტდა რამდენიმე ბგერა. ანბანი დაემყარა რუსულ გრაფიკას. რუსულ გრაფიკაზე აფხაზური ანბანის დაზუსტების პროცესი გრძელდებოდა XX საუკუნის დასაწყისშიც. აფხაზური დამწერლობის შექმნა სალიტერატურო ენის შექმნის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი იყო.

1926-1928 წლებში აფხაზური დამწერლობა ლათინურ შრიფტზე გადავიდა. ამისთვის აკად. ნ. მარმა შექმნა ე. წ. „ანალიზური აფხაზური დამწერლობა“. 1928 წლიდან 1937 წლამდე აფხაზურ დამწერლობად გამოიყენებოდა ლათინური გრაფიკა, რომელიც შემუშავებული იყო ნ. იაკოვლევის, ე. პოლივანოვის, ს. ჭანბასა და მ. აჰმადეშაშვას მიერ (დეტალურად იხ. თავი III).

1938-1954 წლებში აფხაზური მწიგნობრული ენა ქართულ გრაფიკაზე გადავიდა. ამ გრაფიკის დამფუძნებლები იყვნენ დიმიტრი გულია, სიმონ ჯანაშია და აკაკი შანიძე. 1954 წელს აფხაზური დამწერლობა დაუბრუნდა პ. უსლარის დამწერლობის მ. ზავადსკისეულ ვარიანტს. 1994 წელს დაზუსტდა 6 ბგერის დაწერილობა.

I. III აფხაზური ენის სწავლება XIX საუკუნეში

აფხაზურ ენაზე სწავლების ისტორია შესაძლებელია დათარიღდეს 1810 წლიდან, როდესაც აფხაზთა სამთავრო ჯერ კიდევ ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას. დეკანოზ იოანე იოსელიანის ინიციატივით, სოფელ ლიხნში, აფხაზეთის მთავრის რეზიდენციასთან, უნდა შექმნილიყო სასულიერო სასწავლებელი, სადაც აფხაზი ბავშვები თავიანთ მშობლიურ ენაზე მიიღებდნენ განათლებას. ამ საკითხს მხარს უჭერდა აფხაზეთის მთავარი, თუმცა რუსეთის ხელისუფლებამ მსგავსი სასწავლებლის შექმნაზე უარი განაცხადა (გვანცელაძე, 2010).

1851 წლიდან რუსეთის ეკლესიის სინოდის გადაწყვეტილებით, გაიხსნა აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელი, რომლის დამაარსებელი და ზედამხედველი (დირექტორი) ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე იყო. „1851 წლის 15 აპრილს ალექსანდრე ოქროპირიძე ჯერ არარსებული აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად (დირექტორად) და ადგილობრივი ეპისკოპოსის ამაღლაში

მღვდელმონაზონად დაინიშნა. აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილება კი უწმინდესმა სინოდმა 1851 წლის 30 მაისს მიიღო” (გამახარია, 2006, გვ.12). სასწავლებელი წარმოადგენდა სოფელ ლიხნში მოქმედ ოთხკლასიან სკოლას, რომელშიც სწავლა 1852 წლის სექტემბრიდან დაიწყო. ამ დროისათვის, 1851 წელს, სასწავლებელი არსებული ილორშიც, რომელიც, სავარაუდოდ, ქართველი ბავშვებისთვის ფუნქციონირებდა. „აფხაზეთის ეპისკოპოსი გერმანე საქართველოს ეგზარქოს ისიდორეს 1852 წლის 27 სექტემბერს აცნობებდა, რომ თუ ილორელი ბავშვები („რომელთაც შარშან ასწავლიდნენ და რომელთა მეორე კლასში გადაყვანა უკვე შეიძლება, როგორც მომზადებულებისა“) საკუთარი სახსრებით მოისურვებდნენ ლიხნში სწავლის გაგრძელებას (ვინაიდან მათთვის არ იყო თანხები ასიგნებული), მაშინ მეორე კლასის დაკომპლექტებაც მოხდებოდა. ეპისკოპოსის სიტყვები ადასტურებს, რომ ილორში მოქმედებდა არა სასულიერო სასწავლებელი, არამედ – არაოფიციალური, დროებითი მოსამზადებელი სკოლა, რომელსაც, ალბათ, მისი ხელმძღვანელი – ალექსანდრე ოქროპირიძე და ადგილობრივი ეკლესია აფინანსებდნენ. ცხადია, ეს სულაც არ აკნინებს არც სკოლის მნიშვნელობას და არც მის ორგანიზატორთა დიდ დამსახურებას აფხაზეთში განათლების კერის დაფუძნების საქმეში” (გამახარია, 2006, გვ. 15).

ლიხნის სკოლა ფუნქციონირებდა მთავარ მიხეილ შარვაშიძის მიერ გამოყოფილ სახლში, რომელიც 40 მოსწავლისთვის იყო მოწყობილი. სასწავლებელი უშუალოდ ექვემდებარებოდა ოსურ სასულიერო კომისიას. სკოლაში თავდაპირველად 11 ბავშვი სწავლობდა, შემდგომში მათი რიცხვი გაიზარდა ოც მოსწავლემდე. 1853 წელს შედგენილ აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ინსტრუქციაში აღნიშნულია, რომ სასწავლებელი განკუთვნილი იყო აფხაზეთის სასულიერო პირებისა და ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის ყველა ფენის შვილების სწავლა-აღზრდისათვის (გამახარია, 2006, გვ. 16). შესასწავლ საგნებს შორის იყო სჯულის კანონი, რუსული ენა, ქართული ენა (როგორც სამოქალაქო, ისე, – საეკლესიო ენა), სუფთა წერა რუსულ ენაზე, სუფთა წერა ქართულ ენაზე, არითმეტიკა, რუსული ენის გრამატიკა, ქართული ენის გრამატიკა, გალობა, გეოგრაფია, პრაქტიკული მეცადინეობა აფხაზურ ენაში (გამახარია, 2006, გვ. 11-17). სახელმძღვანელოებისათვის თანხა საეგზარქოსომ გამოყო. თანხა შეადგენდა 725 მანეთს, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი, 12 მანეთი და 54 კაპიკი დაიხარჯა სახელმძღვანელოებზე, ხოლო დანარჩენი ბანკში შეინახეს, რადგან მოსწავლეებისათვის

საჭირო და აუცილებელ თანხებს მღვდელმონაზონი ალექსანდრე თავად უზრუნველყოფდა. სასწავლებელმა 1855 წლამდე იარსება². მნიშვნელოვანია დაისვას შემდეგი შეკითხვა: რომელი ანბანის საფუძველზე ისწავლებოდა ლიხნის სასულიერო სასწავლებელში აფხაზური ენა? როგორც ცნობილია, ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი პეტრე უსლარისა და ივანე ბარტლომეის ანბანები. ჩვენი აზრით, ამ დროისათვის არ გამოიყენებოდა არც არაბული და არც ლათინური ანბანები აფხაზური ენისათვის. „ეს იყო პირველი შემთხვევა აფხაზური ენის არსებობის ისტორიაში, როცა დაისვა საკითხი აფხაზური ენის გამოყენების შესახებ საგანმანათლებლო სისტემაში“ (გვანცელაძე, ჭავჭავაძე, 2021, გვ. 60). ჯ. გამახარიას შეხედულებით, აფხაზური ენის სწავლება უნდა ყოფილიყო პარალელურად ორი ანბანის, ქართული და რუსული ანბანების დახმარებით: „იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ეწარმოებინათ აფხაზური ენის სწავლება, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის ალექსანდრესა და სამურზაყანოს ბლალოჩინის, დ. მაჭავარიანის სახელზე 1853 წლის 4 მარტს თბილისიდან გაგზავნილი წერილი. მასში ნათქვამია, რომ ეგზარქოსმა, მიიღო რა მხედველობაში აფხაზური დამწერლობის არარსებობა, შეარჩია რამდენიმე სიტყვა „близких понятиям грубого народа“ და ითხოვა ყოველი ამ სიტყვის ქართულად თარგმნა, აგრეთვე ცხრილის შედგენა, სადაც ყოველი რუსული სიტყვის გასწვრივ უნდა მიწერილიყო შესატყვისი აფხაზური სიტყვა რუსული და ქართული ასოებით. სავარაუდოდ, ასეთი უნდა ყოფილიყო აფხაზური ენის პირველი „სახელმძღვანელო“ (გამახარია, 2005, გვ. 419-420).

1850-იან წლებში აფხაზური ენისათვის შესაძლოა გამოიყენებოდა ქართული ანბანი. არქიმანდრიტ ალექსანდრე ოქროპირიძის წერილობით მოხსენებაში „მოსაზრება აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებისა და ქრისტიანობის განვითარების შემაფერხებელი მიზეზების შესახებ“³, რომელიც რუსულ ენაზეა შედგენილი⁴. აღნიშნულია, რომ აფხაზურის, როგორც ადგილობრივი და მშობლიური ენის სწავლება უდავოდ სასარგებლოა, მაგრამ, ამავდროულად, მნიშვნელოვანია ქართული ენის სწავლებაც. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ორივე ენას აფხაზეთში აქვს დიდი გამოყენება,

² სასწავლებელი ყირიმის ომის (1853-1856) გამო გადავიდა ჯერ სამეგრელოში, ხოლო შემდგომ, საომარი მოქმედებების სამეგრელოში გაგრძელების გამო, დაიხურა 1855 წლის ოქტომბერში.

³ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ჯემალ გამახარიამ გამოკვლევაში: „წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი“, თბ., 2006 (გვ. 96-111).

⁴ ჯ. გამახარიას მოსაზრებით, ამ წერილის საფუძველზე უნდა იყოს შექმნილი სხვა დოკუმენტები და პროექტები, რომლებიც ეხება აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელების საკითხს.

ქართულ ენაზე მიმდინარეობს წირვა-ლოცვა, ქართულ ენას აქვს დიდი მწიგნობრული მემკვიდრეობა, აფხაზი მეფეები იყენებდნენ ქართულ ენას, ყველაზე ძველ მონასტრებში ქართული წარწერებია და სხვ. ქართული ენა ფართოდ იხმარება იმ დროისათვის როგორც აფხაზეთის, ისე შავი ზღვისპირეთის რეგიონში, საქართველოს ფარგლებს გარეთაც, აფხაზეთის მთავრები ქართულად თავისუფლად ლაპარაკობენ. ვვარაუდობთ, რომ არქიმანდრიტ ალექსანდრე ოქროპირიძის მიერ მოწყობილ სკოლაში შესაძლებელია, აფხაზური ენის პრაქტიკული გაკვეთილები მიმდინარეობდა ქართული დამწერლობის საფუძველზე შექმნილი ანბანით, რომელიც დღეისათვის დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნულს გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოებები:

- არქიმანდრიტ ალექსანდრეს განწყობა აფხაზური და ქართული ენების სწავლებასთან დაკავშირებით;
- არქიმანდრიტ ალექსანდრეს მიერ აღწერილი მდგომარეობა აფხაზეთში ქართული ენის გავრცელების მდგომარეობის შესახებ;
- არქიმანდრიტ ალექსანდრეს სამომავლო მოლოდინები აფხაზეთში.

ჩვენს მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ არქიმანდრიტ ალექსანდრეს ტყვარჩელში გაუკეთებია ჩანაწერები ქართულ ენაზე: „ფრაგმენტები საქართველოს ისტორიული კუთხეების, ჩრდილოეთ კავკასიისა და რუსეთის საზღვრების, მოსახლეობის, აგრეთვე ქართული ენის აღორძინება-გავრცელების აუცილებლობის შესახებ“, რომელიც დათარიღებულია 1861 წლის 29 ივლისით. ჩანაწერები იწყება აფხაზური სიტყვით – **ჟვებზეი**, რომელსაც იქვე ახლავს ქართული შესატყვისი – **ამბავი** და მთავრდება ასევე აფხაზური სიტყვით **აფსეით**, რომელსაც ასევე ახლავს აფხაზური შესატყვისი **ქართული – დავიღალე**. ორივე სიტყვა ჩაწერილია ქართული ასოებით (იხ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი, ს. 93; გამახარია, 2006, გვ. 120-125).

არქიმანდრიტი ალექსანდრე ოქროპირიძე შემდგომში ეპისკოპოსობისა და მღვდელმთავრობის ხარისხში იქნა აყვანილი. მას დიდი წვლილი მიუძღვის აფხაზეთში სწავლა-განათლების კერების დაარსებისა და გაძლიერების საქმეში. იგი შემდგომაც ეწეოდა საგანმანათლებლო საქმიანობას, ასწავლიდა აფხაზ ახალგაზრდებს. „ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ სწავლა-განათლების საქმეს აფხაზთა შორის სწორედ ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ჩაუყარა საფუძველი. ბიჭვინთის სასულიერო სასწავლებლის გახსნის თუ აღდგენის თაობაზე კრებულში შეტანილი

მრავალრიცხოვანი დოკუმენტები აფხაზეთის ეპისკოპოსის სამომავლო საგანმანათლებლო გეგმებზეც მიუთითებენ. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მომავალ სასწავლებელში ქართული და აფხაზური ენების შესწავლის საქმეს” (გამახარია, 2006, გვ. 40). მიუხედავად ამ დიდი დამსახურებებისა, მღვდელმთავარი ალექსანდრე ოქროპირიძე გაიწვიეს აფხაზეთის მღვდელმთავრობიდან XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს, რადგან მისი ზრუნვის საგანი იყო ეკლესია-მონასტრებში ქართულად წირვა-ლოცვის დამკვიდრება, აფხაზური და ქართული ენების სწავლების ხელშეწყობა, რაც, კავკასიის მთიელთა გადასახლების უდიდესი ტრაგედიის მოწყობის შემდგომ, რომელიც მუჰაჯირობის სახელით არის ცნობილი, რუსეთის იმპერიისათვის მიუღებელი და არასასურველი იყო. აფხაზეთის დატოვებისას ეპისკოპოსმა ალექსანდრემ თავისი ბიბლიოთეკა აფხაზეთის მომავალ სასულიერო სასწავლებელს დაუტოვა. სასწავლებელი, სამწუხაროდ, არ გახსნილა. ალექსანდრე ოქროპირიძე თბილისიდანაც ინარჩუნებდა კავშირს აფხაზეთთან⁵.

1860-იანი წლებიდან იწყება აფხაზური ენის სწავლების ახალი ტალღა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1862 წელს პეტრე უსლარმა შექმნა აფხაზური ენის ანბანი რუსული გრაფიკის საფუძველზე. ამასთან, პარალელურად, იმავე წელს, „კავკასიის მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების” ინიციატივით, თბილისში შეიქმნა კომისია, რომელსაც ევალებოდა აფხაზური საანბანო სახელმძღვანელოს შემუშავება. კომისიის თავმჯდომარე იყო გენერალი ივანე ბარტოლომეი, პეტერბურგის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, არქეოლოგი და ნუმიზმატი, რომელიც 1850 წლიდან მსახურობდა კავკასიაში, მათ შორის, აფხაზეთსა და თბილისში. ბარტოლომეის მიერ შექმნილი ანბანი ქართულ გრაფიკას ემყარებოდა, თუმცა ამ ანბანს გამოყენება არ ჰქონია. „უსლარმა კომისია დაასმინა ხელისუფლებასთან, რის გამოც ი. ბარტოლომეის კომისია აიძულეს, გამოეყენებინა პ. უსლარის მიერ კირილიცას საფუძველზე შედგენილი დამწერლობა” (გვანცელაძე, 2012). აფხაზური ანბანის შექმნა რუსული დამწერლობის საფუძველზე, რასაკვირველია, მიზნად ისახავდა

⁵ ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე 1896 წლის 12 მაისს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ საპატიო წევრად აირჩია “ნიშნად პატივისცემისა იმ დიდი ღვაწლისათვის, რომელიც მას მიუძღვის საქართველოს წინაშე როგორც იმითი, რომ ჰბეჭდავს წარჩინებულთა სასულიერო მწერალთა თხზულებათ, აახლებს შესანიშნავ დანგრეულ ტაძართა და ცდილობს აღადგინოს ძველი ქართული გალობა და ამისათვის ყოველგვარს ღონისძიებასა ჰკლავს, ისე იმითი, რომ ხელს უწყობს საქართველოს ხალხის გონებრივს განვითარებას და თავისი ხარჯით ჰზრდის ბევრს ობოლს სხვადასხვა სასწავლებელში” (ჭიჭინაძე, 1903. გვ. 26-27; ჭიჭინაძე, 1908. გვ. 79-80).

სამომავლოდ რუსულენოვანი გავლენების გაზრდას აფხაზეთში. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ იგივე პროცესები მიმდინარეობდა კავკასიის სხვა ხალხებთან დაკავშირებითაც.

1863 წლის 4 აპრილს გაიხსნა სოხუმის მთიელთა სკოლა, რომელშიც თავდაპირველად 20 მოსწავლე სწავლობდა, 15 აფხაზი და 5 რუსი. „სკოლის მზრუნველად დაინიშნა აფხაზეთში განლაგებული ჯარის სარდალი, გენერალი პაველ შატილოვი. სწავლის ხარჯს ხაზინა ფარავდა. სწავლების ხანგრძლივობა დასაწყისში 3 წელი იყო, შემდეგ კი 5 წელი გახდა” (გვანცელაძე, ჭაავა, 2021, გვ. 61). სკოლის დაარსება და მუშაობა ადგილობრივი, აფხაზი მოსახლეობის უშუალო ჩართულობითა და თანამონაწილეობით მიმდინარეობდა. სწორედ ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივითა და ჩართულობით გაიხსნა კიდევ ერთი სკოლა ლიხნში.

I. III.1 ვასილი გეიმანისა და არქიეპისკოპოს აგაფოდორის სასწავლო სისტემა

მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში, აფხაზურენოვან განათლებაში ახალი პერსპექტივა შეინიშნება, რომელიც გულისხმობს მშობლიური ენის გამოყენებით რუსულენოვანი განათლების გავრცელებას. ამ პერიოდისათვის რუსეთის მმართველობით უკმაყოფილო აფხაზეთი მხარს უჭერს თურქეთს, რის გამოც რუსეთის მთავრობამ უკიდურესი რეფორმები გაატარა: დაიწყო მთიელ ხალხთა და, მათ შორის, აფხაზ მუსლიმთა გადასახლება, რაც მუჰაჯირობის სახელით არის ცნობილი (დეტალურად იხ. Анчабадзе, 2018, ხორავა, 2004, Levene, 1999). ის მოსახლეობა კი, რომელიც მუჰაჯირობას გადაურჩა, პოლიტიკურ ცვლილებებს უნდა დამორჩილებულიყო. ამასთან, რუსეთის იმპერიაში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის ადამიანები აფხაზეთში ჩამოსახლეს. „მე-19 საუკუნის 60-იან-70-იან წლებში აფხაზეთიდან განდევნილ იქნა აფხაზური მოსახლეობა ისევ და ისევ ოსმალთა იმპერიაში (თანამედროვე თურქეთი, იორდანია, ეგვიპტე, სირია, ერაყი); აფხაზური მოსახლეობისგან დაიცალა ფსხუ, გაგრა, დალი, წებელდა, ფსირცხა და გუმი” (ჩუხუა, ანთელავა, მაგომედხანოვი, 2023, გვ. 48).

აფხაზი მეცნიერი, ტ. აჩუგა ამ პერიოდში რუსეთის პოლიტიკის ორ ეტაპს გამოყოფს: აფხაზეთის კოლონიზაციის პასიურ ეტაპს და აფხაზეთის კოლონიზაციის აქტიურ ეტაპს. პასიურ ეტაპში გულისხმობს გენერალ-ადიუტანტის, ვორონცოვისა და ბარონ როზენის გეგმებს აფხაზეთში სხვადასხვა ეთნოსის ადამიანების ჩამოსახლების შესახებ, რათა უზრუნველყოფილი იყოს რუსული გავლენები. კოლონიზაციის აქტიურ

ფაზაში კი აღნიშნავს გენერალ გეიმანის გეგმას. რომლის მიხედვითაც, მუჰაჯირობის შემდეგ გათავისუფლებულ მიწებზე ჩამოსახლება პრაქტიკულად განხორციელდა, პირველ ეტაპზე ჩამოსახლეს რუსები, ხოლო აფხაზებთან დაკავშირებით, ინტეგრაციის ახალი ეტაპი დაიგეგმა (Ахунба, 2010, გვ. 113-120).

რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები, როგორც სამხედრო, ისე სასულიერო პირები, სხვადასხვა მეთოდებით, მათ შორის, განათლების გზით ცდილობდნენ აფხაზთა პოლიტიკური შეხედულებების შეცვლას. ჯერ სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსის, გენერალ-მაიორ ვასილი გეიმანის (1823-1878) შეხედულებებმა, ხოლო შემდგომ, არქიეპისკოპოს აგაფოდორის (პაველ პრეობრაჟენსკის) (1837-1919) მიერ შემუშავდა გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწყებითი განათლება უნდა ეფუძნებოდეს მშობლიურ ენას, რაც საფუძველი იქნება მეორე ენის, ამ შემთხვევაში, რუსული ენის შესწავლისათვის.

ვასილი გეიმანის მოსაზრებები აფხაზებში რუსული ენისა და პოლიტიკის გავრცელების შესახებ ასახულია ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების საბჭოსადმი მიწერილ 1865 წლის 15 ივლისის წერილში: „მთავრობის მიზნების მისაღწევად საჭიროა დავნერგოთ მოსახლეობაში შეგნებული დამოკიდებულება ცოდნისადმი. ჩვენ შორის სრულიად ბუნებრივად არსებობს სურვილი, რომ რაც შეიძლება მალე შევაჩვიოთ მოსახლეობა რუსული ენის ცოდნას და გავხადოთ იგი გაბატონებულ ენად, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ წარუმატებელია ის ხერხები, რომლებსაც ვიყენებთ „ტუზემცების“⁶ ცივილიზებისათვის. მიზნის მისაღწევად ჩვენ უნდა მივიჩნიოთ აუცილებლად დაწყებითი განათლების შემოღება „ტუზემცების“ ენაზე. ამის სარგებლიანობა ცხადია: ჯერ ერთი, ბავშვებს გაუადვილდებათ წერა-კითხვის შესწავლა, როცა ასოებისაგან დედაენაზე შეადგენენ მათთვის ნაცნობ სიტყვებს; მეორე, ბავშვი, რომელიც ახლობლების თანდასწრებით წაიკითხავს მათთვის გასაგებ წიგნს, ყოველგვარ ხერხებზე უკეთ დაარწმუნებს მსმენელებს სწავლის სარგებლიანობაში და დაეხმარება მთავრობას მოსახლეობის განათლებაში; მესამე, აღმოიფხვრება რუსული და აფხაზური ენების მცოდნე მასწავლებლების ნაკლებობა... ამრიგად, აფხაზური წერა-კითხვა უნდა გახდეს

⁶ „ტუზემცები“ (რუს. туземцы) – რუსული დამამცირებელი ეპითეტი, რომლითაც აღინიშნებოდნენ სხვა ეთნოსები, როგორც მათი აზრით, დაბალი კულტურის წარმომადგენლები, გაუნათლებლები, ჩამორჩენილები. აქ იგულისხმება აფხაზები. ამავე მნიშვნელობით გამოიყენებოდა ტერმინი „ინოროდცები“ (რუს. инородцы). იგი ხშირად გვხვდება ოსი ეთნოსის (ასევე სხვა ეთნოსების) წარმომადგენლებთან მიმართებით მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისის რუსულ წყაროებში.

პირველი საფეხური, რომელსაც დაეკისრება „ტუზემცების“ გადაყვანა რუსულ ენაზე შემდგომი განათლებისაკენ. ამ მიზნით აუცილებლად მიმაჩნია ჩემდამი რწმუნებული მხარის სამრევლო სკოლებში ბავშვებს ვასწავლოთ აფხაზურ ენაზე და მოვამზადოთ ისინი რუსული ენის შესასწავლად, ხოლო სოხუმის მთიელთა სკოლაში შემოვიღოთ სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე” (ციტირებულია გამოცემებიდან: Аңчабадзе, 2018, გვ. 360-361; გვანცელაძე, ჭაავა, 2021, გვ. 67).

ვასილი გეიმანის სასწავლო და პოლიტიკური გეგმების მიხედვით, სამრევლო სკოლების კურსდამთავრებულებს სწავლა უნდა გაეგრძელებინათ სოხუმის მთიელთა სკოლაში, მისი დამთავრების შემდეგ კი, მაღალი აკადემიური მოსწრების კურსდამთავრებულები უნდა გაგზავნილიყვნენ არა თბილისის გიმნაზიებსა და სემინარიებში, არამედ რუსეთის სასწავლებლებში, მათ შორის, კრასნოდარის ქალაქ ეისკის გიმნაზიაში, ან სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში, ან სამხედრო სასწავლებელში. ჩემთვის ეისკის გიმნაზიაზე, ან სტავროპოლის სემინარიაზე მითითების საბაზია ის, რომ მათში [ეთნიკური] ელემენტი მხოლოდ რუსულია და აფხაზისათვის, რომელიც აღიზრდება იქ, ბევრად მოსახერხებელი იქნება ყოველგვარი სხვა ზეგავლენის გარეშე შეერწყას ამ ელემენტს და ფესვებს რომ გაუდგამს მასში თავის რწმენას, მერე, როცა დაბრუნდება სამშობლოში, იგი გახდება თავისი შეხედულებების ბეჯითი და შეგნებული გამტარებელი საკუთარი თანატომელების მასაში. რა კარგიც გინდა იყოს თბილისის გიმნაზიები და სემინარია, ყოველი აფხაზი უფრო მალე და კარგად ისწავლის ქართულს, ხოლო რუსულ ენაში მეტად უვარგისი იქნება და გამოვა, რომ ჩვენ გავფლანგავთ სახსრებს, რომ ვასწავლოთ აფხაზებს მათთვის სრულიად უცხო ენა და აფხაზის სიახლოვე რუსეთთან იქნება ისეთივე, როგორც ამჟამადაა. დასასრულ, აფხაზეთს სჭირდება აფხაზი მღვდლები და არა მეგრელები, ან ქართველები” (ციტირებულია გამოცემებიდან: Аңчабадзе, 2018, გვ. 361; გვანცელაძე, ჭაავა, 2021, გვ. 68).

1868-1891 წლებში მუშავდებოდა სასწავლო გეგმები და პროექტები აფხაზეთში განათლების უზრუნველსაყოფად, მათ შორის, **სოხუმის ქალთა სკოლის** დაარსება (ვ. გეიმანის პროექტის მიხედვით), სოხუმის ეპისკოპოსის, აგაფოდორის ექვსწლიანი სასულიერო სკოლის გეგმა. ამ სკოლების პროგრამებში შეტანილი იყო ქრისტიანული რელიგიური საგნები: საღვთო რჯული, საეკლესიო გალობა, მართლმადიდებლური კატეხიზმო, რუსული ენა, არითმეტიკა, გეოგრაფია, აფხაზური ენა და სხვ. სწავლების ენა ძირითადად, რუსული იყო. „1864 წლის შემდგომ აფხაზეთში ჯერ მოქმედებდა მხოლოდ

რამდენიმე სასწავლებელი: სოხუმისა და ოქუშის მთიელთა სკოლები და კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოებისადმი დაქვემდებარებული სამრევლო სკოლები. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იმატა სასწავლებლების რაოდენობამ სოფლებშიც, სოხუმშიც, ოჩამჩირესა და გუდაუთაშიც, მაგრამ აფხაზური ენა არცერთ მათგანში არ გამხდარა სწავლების ენა, ხოლო შესასწავლ საგნად მხოლოდ ზოგ სკოლაში გამოიყენებოდა” (გვანცელაძე, ჭაავა, 2021, გვ. 77).

ვასილი გეიშანის საგანმანათლებლო პოლიტიკასთან დაკავშირებით პროფ. თეიმურაზ გვანცელაძე გამოთქვამს შეხედულებას, რომ ეს სისტემა შეგნებულად ზღუდავდა აფხაზებში ქართულის შესწავლას. „ხელისუფლებას ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია, მოხელეებად აფხაზების, ან აფხაზური ენის მცოდნე სხვა პირების დანიშვნა მოსახლეობასთან კონტაქტის დასამყარებლად... ხელისუფლებას აღიზიანებდა და აშინებდა აფხაზთა შორის ქართული ენის ცოდნის ტრადიციის შენარჩუნება. როგორც ჩანს, ეს გარემოება აფხაზთა გარუსების გზაზე უმთავრეს დაბრკოლებად მიიჩნეოდა. ქართული ენის მიმართ ანალოგიური პოზიცია ადრეც და უფრო გვიანაც გამოუთქვამთ სხვა გავლენიან პირებსაც (პ. უსლარს, ე. ვეიდენბაუმს...)” (გვანცელაძე, ჭაავა, 2021, გვ. 69).

ეპისკოპოსი აგაფოდორი, შემდგომში არქიეპისკოპოსი, სოხუმის ეპისკოპოსად დაინიშნა 1891 წელს, რის შემდგომაც სოხუმის ოლქში დააარსა ალექსანდროვის სამძო და გახსნა ოცდაორი სკოლა. 1892 წელს შექმნა სასულიერო წიგნთა აფხაზურ ენაზე თარგმნის კომისია, ეწეოდა მისიონერულ საქმიანობას. 1893 წელს საქართველოს ეგზარქოსისაგან ითხოვდა სოხუმის მთიელთა სკოლის გადატანას სახალხო განათლების სამინისტროდან სასულიერო დაქვემდებარებაში. აგაფოდორის წერილში აღნიშნულია, რომ აფხაზთა განათლების საკითხი საჭიროებს დამატებით ცვლილებებს, მოსახლეობა არ არის ინტეგრირებული რუსულენოვან სივრცესთან, რაც, მისი აზრით, პოლიტიკურ საფრთხეს განაპირობებს. საჭიროა არა სოფლის მეურნეობისა და ხელობის სწავლება, არამედ პოლიტიკური სანდოობის გაზრდა, რაც, ეპისკოპოსის აზრით, რელიგიური სწავლებით უნდა მოხდეს. „ამ ოკრუგს მთავრობის მხრიდან ესაჭიროება განსაკუთრებული ყურადღება პოლიტიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით. თურქებთან ბოლო ომებმა დაამტკიცეს, რომ აფხაზეთის მოსახლეობა ამთვისებელია ჩვენ მიმართ სამტრო პროპაგანდისა და არ არის მტკიცე პოლიტიკური რწმენის მხრივ. ყველას ახსოვს ის საფრთხე, რაც შეექმნა მტრის გამოჩენისას რუსულ ჯარს, რომლის ზურგშიც იყო რუსეთის მტრისათვის ყოველნაირად დახმარების გასაწევად გამზადებული

მოსახლეობა. მოსახლეობის ამგვარი განსაკუთრებული მდგომარეობის დროს ხომ არ არის ბუნებრივი მივცეთ სკოლას რელიგიურ-ზნეობრივი მიმართულება? რა სარგებელი აქვს მთავრობას იმით, თუ მოსახლეობა გაეცნობა სოფლის მეურნეობის რაციონალურ ხერხებსაც და ხელობასაც, მაგრამ არ შეიცვლის თავის პოლიტიკურ რწმენასა და რელიგიურ-ზნეობრივ შეხედულებებს? ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესებშია აფხაზთა რელიგიური და ზნეობრივი კულტის ამაღლება, მათი დაახლოება რუსებთან და გადაქცევა ერთგულ და თავდადებულ ქვეშევრდომებად” (Анчабадзе, 2018, გვ. 369, გვანცელაძე, ჭაავა, 2021, 71). ამ დროს დაიგეგმა სახარების თარგმნა აფხაზურ ენაზე.

ვასილი გეიმანისა და ეპისკოპოს აგაფედორის სასწავლო სისტემა სრულად იყო მიმართული აფხაზების განათლების გზით რუსულ სივრცესთან ინტეგრაციაზე. თ. გვანცელაძისა და ს. ჭაავას აზრით, „გარუსების პოლიტიკის უმთავრეს ხელისშემშლელ ფაქტორად მიიჩნეოდა ქართული ენა” (გვანცელაძე, ჭაავა, 2021, გვ. 82). რასაკვირველია, ამ მიზნებს ჰქონდა პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზები. პოლიტიკურ მიზნებს შორის კი აღსანიშნავია ანტითურქული ფაქტორი.

XIX საუკუნის 70-იან წლებში აფხაზური სოფლების სამრევლო სკოლებში სწავლება აფხაზურ ენებზე მიმდინარეობდა, თუმცა 1884 წლიდან აფხაზურ ენაზე სწავლება გაუქმდა და რუსულ ენაზე გაგრძელდა. უნდა აღინიშნოს, რომ სოხუმის მთიელთა სკოლის დასრულების შემდეგ აფხაზი ახალგაზრდები სწავლას აგრძელებდნენ საქართველოს სხვადასხვა სასწავლებლებში. აფხაზი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, დიმიტრი გულია სოხუმის მთიელთა სასწავლებლის დასრულების შემდეგ გორის საოსტატო-სამასწავლებლო სემინარიაში აგრძელებს სწავლას გარკვეული დროით (მოსია, 2013, გვ. 17).

აფხაზური ენის სწავლება XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან განახლდა. თ. გვანცელაძისა და ს. ჭაავას აზრით, ამის ინიციატორები იყვნენ დიმიტრი გულია და კონსტანტინე მაჭავარიანი (გვანცელაძე, ჭაავა, 2021, გვ. 61-62).

სოხუმის მთიელთა სკოლაში, 1890-იან წლებში კვირეული საგაკვეთილო განრიგის მიხედვით, აფხაზურ ენას ეთმობოდა 6 საათი, ასევე 6 საათი ეთმობოდა რუსულ ენას. სულ სასწავლო გეგმაში 11 საგანი იყო (Тарда, 1964, გვ.20).

1890-იან წლებში სოხუმის მთიელთა სკოლის კვირეული განრიგის ცხრილი

№	საგნების დასახელება	პირველი განყოფილება	მეორე განყოფილება	მესამე განყოფილება	პირველი კლასი	მეორე კლასი
1	სჯულის კანონი	4	4	4	2	2
2	აფხაზური ენა	6	6	6	6	6
3	რუსული ენა	6	6	6	4	4
4	არითმეტიკა	6	6	6	5	3
5	გეომეტრია	-	-	-	1	2
6	ისტორია	-	-	-	2	2
7	გეოგრაფია	-	-	-	2	2
8	ბუნებისმცოდნეობა	-	-	-	11	2
9	კლასგარეშე კითხვა	1	1	1		1
10	გალობა	1	1	1	1	1
11	ფიზკულტურა	1	1	1	1	1

ცხრილი ემყარება ი. თარბას მასალებს (Tapna, 1964).

ცხრილი ასახავს სოხუმის მთიელთა სკოლის სასწავლო დისციპლინებს, საათების რაოდენობას ყოველკვირეულად. აფხაზური ენა ისწავლება კვირაში 6 საათი, რუსული ენა კვირაში 6 საათი, გარდა ბოლო ორი განყოფილებისა, ხოლო ქართულ ენას არ სწავლობენ.

სოხუმის მთიელთა სკოლის კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებდნენ რუსეთის გუბერნიის სემინარიებსა და გიმნაზიებში. 1875 წელს 10 კურსდამთავრებულიდან ექვსმა სწავლა გააგრძელა შემდეგ სასწავლებლებში: ქუთაისის გიმნაზია – 1 კურსდამთავრებული, სტავროპოლის სემინარია – 2 კურსდამთავრებული, სტავროპოლის გიმნაზია – 2 კურსდამთავრებული, საიმპერატორო სასწავლებელი – 1 კურსდამთავრებული (Tapna, 1964, გვ. 26).

აღსანიშნავია, რომ სოხუმის მთიელთა სასწავლებელში აფხაზებთან ერთად სწავლობდნენ ქართველი, სომეხი, რუსი და სხვა ეროვნების მოსწავლეები. 1869 წელს სწავლობდა 42 მოსწავლე, 1875 წელს – 96 (Tapna, 1964, გვ. 30-31).

ცხრილი №2

სოხუმის მთიელთა სკოლაში 1869 და 1875 წლებში მოსწავლეთა რაოდენობა

ეთნიკური წარმოშობის მითითებით

№	ეთნიკური წარმომავლობა	1869 წელს	1875 წელს
1	აფხაზი	17	42
2	ქართველი	3	24
3	რუსი	15	17
4	ბერძენი	3	5
5	ოსი	1	-
6	სომეხი	1	2
7	ჩეჩენი	1	-
8	პოლონელი	1	-
9	ბულგარელი		2
10	გერმანელი		1
11	ებრაელი		3

ცხრილი ემყარება ი. თარბას მასალებს (Tapna, 1964).

ცხრილის მიხედვით ვლინდება, რომ სოხუმის მთიელთა სასწავლებელში 1869 წელთან შედარებით 1875 წელს მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა. ასევე, სასწავლებელში მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით აფხაზები წარმოადგენენ უმრავლესობას.

XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან საქართველოში დაიწყო აქტიური საგანმანათლებლო მოძრაობა, დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, შეიქმნა მეთოდური და სასწავლო სახელმძღვანელოები, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, გამოიცა იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ 1876 წ. ასევე, მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოები: „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ 1868 წ. „ბუნების კარი“ 1868 წ. რუსული ენის სახელმძღვანელო „Русское слово“ 1887 წ. ეს საგანმანათლებლო პროცესები აისახა აფხაზური ენის სწავლებაზეც. მეოცე საუკუნის დასაწყისში შეიქმნა და 1909 წელს გამოიცა ა. ჭოჭუას

„აფხაზური ანბანი“, რომელიც ი. გოგებაშვილის მიერ შექმნილი პედაგოგიური პრინციპების მიხედვით იყო შედგენილი. სწორედ ამ პერიოდში შემუშავდა აფხაზურ ენაზე მხატვრული ლიტერატურის შექმნის იდეა, აფხაზურ ენაზე სწავლა/სწავლებისა და ღვთისმსახურების დანერგვისა და გაძლიერების საკითხები.

აფხაზეთში საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მეოცე საუკუნის ათიან წლებამდე სხვადასხვა წყაროს მიხედვით განსხვავდება. ზოგი მონაცემის მიხედვით, 1851-1917 წლებში აფხაზეთში 105 სკოლა იყო კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საბჭოს დაქვემდებარებაში (გამახარია, 2005; გვანცელაძე, ჭაავა, 2021). სხვა მონაცემით, სახალხო განათლების სამინისტროს, ეპარქიულ უწყებასა და კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენ საზოგადოებას 1914 წლისათვის 148 სასწავლო დაწესებულება ჰქონდა გახსნილი, მათგან 145 დაწყებითი სკოლა, ერთი საქალაქო სასწავლებელი, ერთი რეალური სასწავლებელი და ერთი ქალთა გიმნაზია (Кураскья, 2003; გვანცელაძე, ჭაავა 2021).

გაზეთი „კვალი“ 1895 წელს №3 ნომერში ყურადღებას ამახვილებს 1894 წლის ნოემბერში სოხუმის ოლქის უფროსისა და ქუთაისის გუბერნიის სკოლების ინსპექტორის რევიზიაზე გუდაუთის სკოლაში⁷. სტატიაში აღნიშნულია, რომ შემოწმების შედეგად გამოვლენილა ნაკლოვანებები: სკოლაში არ ტარდება სასწავლო პროცესი, რადგან მასწავლებელი არ ჰყავდათ და ბავშვებიც არ დადიოდნენ, ხოლო დირექციას ენკენის თვიდან ძველი მასწავლებლის მაგიერი არ გამოეგზავნა. დირექცია შემოწმებიდან მეორე დღეს შეხვდა მოსახლეობას და აუხსნა, რომ მასწავლებლის შესანახი სახსრები მათ უნდა გამოეძებნათ. მოსახლეობა დათანხმდა, მასწავლებლის თანხა გადაეხადათ: „ჩვენ საჭმელ პურს მოვიკლებთ და შკოლას შევეწევით, თუკი რამე დროს გვეშველება გუდაუთში სკოლის დაარსებაო“ (კვალი 1895, №3). შეხვედრის დროს გადაწყდა ორი სკოლის დაარსება. ერთი ქართველი ბავშვებისთვის, რადგან უმრავლესობა ქართველი იყო, ქართველი მასწავლებლით, ხოლო მეორე სასწავლებელთან დაკავშირებით აღნიშნულია: „რაც შეეხება მეორე სამაგალითო სასწავლებლის დაარსებას, ამაზედაც როგორც აფხაზებმა, ისე აქაურმა ქართველობამ დიდი იმედი მისცა ბ. დიმიტრიევს შემწეობის მხრით“ (კვალი, 1895). სტატიაში მითითებულია, რომ შეხვედრის დროს მოლაპარაკების

⁷ წერილის ავტორია თ. გ-ძე, თორნიკე გეგეშიძე (1877-1942).

თემა იყო სასწავლებლის მდებარეობის საკითხი, რადგან სკოლა ყველასათვის ყველასათვის მოსახერხებელ ადგილზე უნდა ყოფილიყო.

გაზეთი „ივერია“ 1900 წელს ყურადღებას ამახვილებს გუდაუთასა და სოხუმის ოლქში სამრევლო და სამინისტრო სკოლების მდგომარეობის შესახებ. გამოქვეყნებულია ცნობილი პედაგოგის, ეთნოგრაფის, ფოლკლორისტისა და საზოგადო მოღვაწის, ნიკო ჯანაშიას (1872-1918) სტატია ჰამუთ-ბეის ფსევდონიმით. სტატიაში ფართოდ არის მიმოხილული სკოლების მდგომარეობა და საჭიროებები. აღნიშნულია, რომ 1892 წლამდე მხოლოდ ერთი სამრევლო სკოლა არსებობდა გუდაუთაში, ხოლო 1894 წელს ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა დაარსებულა. „ამ უკანასკნელ დრომდე ჩვენი უხვად დაჯილდოვებული მხარე სწავლა-განათლების მხრივ სრულიად მივიწყებულია. 25 ათასი მცხოვრები გუდაუთის ნაწილისა შეჰყურებდა 1892 წლამდის ერთადერთს სამრევლო სკოლას. წლეულს-კი გუდაუთში დაარსდა ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა. აი, ამ ორს სკოლას ციურ მანანასავით შეჰყურებდა მთელი ეს მხარე. 1894 წლითგან სულ სხვანაირად დატრიალდა ჩვენი ბედი. ამ წლის შემოდგომაზედ მაშინდელ ქუთაისის გუბერნატორის გენ. შალიკოვის მიერ გამოგზავნილ იქმნა ინსპექტორი დიმიტრიევი, აწინდელი ტფილისის გუბერნიის საერო სკოლების დირექტორი, სკოლების დასაარსებლად. ზოგი სიღარიბის გამო, ზოგიც ერთის ვაჟბატონის ჩაგონებით, საზოგადოებამ უარი გამოუცხადა ბ-ნს დიმიტრიევს, ჩვენის ხარჯით სკოლებს ვერ შევინახავთო“ (ივერია, 1900, №6). რამდენიმე წლის შემდეგ მოსახლეობის ხარჯით დაარსდა სახალხო სკოლები. სოხუმის საეპარქიოს ხელშეწყობით დაარსდა შვიდი სამრევლო სკოლა. შესაბამისად, „ახლა ყოველს დიდს საზოგადოებაში არსებობს სამრევლო თუ სამინისტრო სკოლა, ზოგან-კი ორივე ერთად. ხალხიც, ის ხალხი, რომელიც ამ 15-20 წლის წინად სკოლას განზედ გაურბოდა, ეხლა სკოლას აწყდება. ჩვენს სკოლებში ბავშვების ტევა არ არის“. სტატიის ავტორი ყურადღებას ამახვილებს სწავლების ხარისხზეც და აღნიშნავს, რომ ახლადდაარსებულ სკოლებში, განსაკუთრებით, სამრევლო სკოლებში, სწავლების საქმე „ვერ არის რიგიანად დაყენებული“, თუმცა იმედს გამოთქვამს, რომ „ახლო მომავალში ეს საქმეც თავისს დონეზე დადგება და ბედის უკუღმა ტრიალით დაბეჩავებულს ხალხს მიეცემა საშუალება პირველ დაწყებითს სწავლას დაეწაფოს“. სტატიის ავტორის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ერთკლასიანი სასწავლებელი არ არის საკმარისი განათლების მისაღებად და საჭიროა ახალი სასწავლებლის დაარსება. „რა უნდა ჰქნას

ერთ-კლასიან სკოლაში კურსდამთავრებულმა ბავშვმა? სოფლის სკოლა ხომ ძალიან ცოტას იძლევა, შორს სადმე სწავლის გასაგრძელებად წასასვლელი საშუალება და ფული აქაურ გლეხს არა აქვს. მთელს სოხუმის ოლქში სადაც 110 ათასზე მეტია მცხოვრები, ორ-კლასიან მთიელთა სკოლაზედ (Горская школа) უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობს, ეს სკოლა-კი თავისი პროგრამით უდრის ორ კლასიან ნორმალურს სკოლას” (ივერია, 1900, №6). მოსახლეობამ უკვე გასწია შესაბამისი სამუშაო, შექმნა საზოგადოება, მიმართა მთავრობას და მანაც დაამტკიცა ეს განაჩენი, თუმცა სკოლა ჯერ კიდევ არ არის დაარსებული, რაც სტატიის ავტორის სამართლიან გულისწყრომას იწვევს: „აი, ამ გაჭირვებიდან გამომხსნაში ცოტად გვიშველიდა აქ განზრახული ორკლასიანი სასწავლებელი სამეურნეო განყოფილებით. საქმე აი როგორ არის: ბევრის უნაყოფო ხვეწნა-მუდარის შემდეგ, საზოგადოება დაადგა იმ დასკვნას, რომ თავის თავს თითონვე უშველოს და საკუთარს ხარჯით დააარსოს ზემოხსენებულ სახის სასწავლებელი. მაშინვე შეადგინეს საზოგადოებათა რიცხვისამებრ თორმეტი განაჩენი, რომელთა ძალითაც მომავალ სკოლის სასარგებლოდ და შესანახავად ყოველი კეთილშობილთა ოჯახს უნდა ეხადნა წლიურად ერთი მანეთი; გლეხს-კი-ათი შაური. ეს განაჩენები მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქმნა და 1896 წლის მაისში ადგილობრივ პოლიციას მოუვიდა გუბერნატორის ბრძანება – დაუყოვნებლივ შეუდექით ამ ფულის მოგროვებასა და სექტემბერშივე დაბა გუდაუთაში დააარსეთ სასწავლებელიო”. მაგრამ პატიოსანი და კანონიერი მისწრაფება საზოგადოებისა და ბრძანება უმაღლესი მთავრობისა დღემდის შეუსრულებელი რჩება მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა, თუმცა ეს ბრძანება არა ერთხელ და ორხელ ყოფილა განმეორებული! ნუ თუ უსწავლელისა და ღარიბ-ღატაკის მოვლა-პატრონობა უფრო ადვილია?!” (ივერია, 1900, №6). სტატიაში მითითებულია, რომ გუდაუთაში სოხუმის საეპარქიო-სამოსწავლო საბჭოს დაგეგმილი აქვს სასულიერო-სამოსწავლო სემინარიის დაარსება, რასაც დიდი სიხარულით ელოდებიან.

გუდაუთაში სემინარიის დაარსების ფაქტს აღნიშნავს 1900 წელს გაზეთი „ცნობის ფურცელიც”. ამავე ცნობას კიდევ ერთხელ ბეჭდავს „ივერია” 1900 წლის 12 იანვარს ნომერში, სადაც აღნიშნულია, რომ კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების საბჭოს გადაწყვეტილებით, დაბა გუდაუთაში უნდა დაარსდეს არდონის სემინარიის მსგავსი სამისიონერო სემინარია, რომლისთვისაც 8000 მანეთია გამოყოფილი (ივერია, 1900, №8).

გუდაუთაში სამკითხველოს მუშაობის შესახებ წერს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (1900 წლის 6 თებერვალი, №1036). სამკითხველო გაიხსნა 1895 წელს თეოფილე გოგიტიძის ინიციატივით. სტატიაში აღნიშნულია, რომ ეს სამკითხველო ერთადერთია მთელ სოხუმის ოლქში. „ქ. სოხუმში გახსნილმა სამკითხველომ თავისი დღენი უდროოდ დალია საზოგადოების გულგრილობის წყალობით“. გუდაუთის სამკითხველო მხოლოდ გუდაუთელთა შემწეობით არსებობს.

გაზეთი „ივერია“ ხშირად ბეჭდავს ინფორმაციას აფხაზეთში სამრევლო, სახალხო და სამინისტრო სკოლების დაარსებისა და მათი მდგომარეობის შესახებ. 1900 წლის 12 მარტის №55 ნომერში აღნიშნულია, რომ სოხუმის სასულიერო სასწავლებლის დასაარსებლად ქალაქის ხელმძღვანელობას გამოუყვია ადგილი იმ პირობით, რომ სამი წლის განმავლობაში სასწავლებელი უნდა აშენებულიყო. თუ ეს პირობა სამ წელში არ შესრულდება, გამოყოფილი მიწა კვლავ ქალაქს უნდა დაუბრუნდეს. 1900 წლის 16 მარტის №58 ნომერში აღნიშნულია, რომ სოხუმის საეპარქიო მასწავლებელთა საბჭოს გადაწყვეტილებით, 1901 წლის 1 იანვრიდან სამი წლის განმავლობაში ათი სასოფლო-საეკლესიო სკოლის შესანახად და ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად 5000 მანეთი გამოიყო.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1900 წლის 14 მაისს აქვეყნებს სტატიას სოხუმში პროგიმნაზიული სასწავლებლის დაარსების აუცილებლობაზე. „ქ. სოხუმისათვის კერძოდ და სოხუმის ოლქისათვის საზოგადოდ ისე არ არის რა საჭირო, როგორც საშუალო სასწავლებელი საიდანაც მოზარდ თაობას უმაღლეს სასწავლებელში შესვლა შეეძლოს. რაც თვითმართველობა შემოვიდა, ხმოსანმა ან. ჯულელმა არა ერთ გზით აღძრა კითხვა პროგიმნაზიის დაარსების შესახებ, მაგრამ ზოგიერთ ვაჟბატონების მეოხებით ეს კითხვა კითხვად რჩება, ხოლო სოხუმი უპროგიმნაზიოდ, მცხოვრებთა შვილები კი სასწავლებლის გარეშე, რაკი ქალაქი თვითონ ვერას ახერხებს“ (ცნობის ფურცელი, 1900, №1124). სტატიაში აღნიშნულია, რომ მოსახლეობამ უკვე მიმართა კავკასიაში სწავლა-განათლების საბჭოს, კ. იანოვსკის.

1900 წლის 6 დეკემბერს „ცნობის ფურცელი“ №1319 აქვეყნებს ნიკო ჯანაშიას სტატიას ჰამუთ-ბეის ფსევდონიმით. სტატია ფართოდ მიმოიხილავს ამ პერიოდისათვის აფხაზეთში არსებულ საგანმანათლებლო მდგომარეობას. აღნიშნულია, რომ ის ოცამდე სასწავლებელი სრულად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნას. ასევე მითითებულია, რომ ადრეულ წლებში განათლებისადმი მოსახლეობას განსხვავებული

მიდგომა ჰქონდა, თუმცა ახლა განსაკუთრებით გაზრდილია განათლებისაკენ სწრაფვა, მაგრამ სასწავლებლების ნაკლები რაოდენობა ხელს უშლის მოსახლეობის სურვილს, მიიღოს განათლება: „როგორც უკანასკნელი აღწერის დროს გამოირკვა, მთელს აფხაზეთში (სოხუმის ოლქში) 110 ათასი მცხოვრები ითვლება, და აი ამოდენა ხალხი, მოფენილი 6420 კვადრატულ ვერსზე, თითქმის სრულიად მოკლებულია სწავლა-განათლების ცხოველ მყოფელს, ზეგავლენას. „თითქმის“ ვამბობ იმიტომ, რომ ის ოციოდე პირველ დაწყებითი სკოლა, რომელიც ჩვენში არსებობს, წვეთია ჩვენს ცხოვრებაში და არ შეუძლია დააკმაყოფილოს მცხოვრებთა სურვილი სწავლისადმი. რაც შეეხება საშუალოს, ანუ დაბალს სკოლას, მთელს ოლქში ერთადერთი ქალთა პროგიმნაზიაა ქ. სოხუმში. ამ უკანასკნელ წლებში ხალხში უცბად, გაღძვა თითქოს და მოულოდნელად გაიღვიძა სწავლა-განათლების შეძენის სურვილმა. ეს იმ ხალხში, რომელიც 20-30 წლის წინათ სწავლას ისე უყურებდა, როგორც არა სასურველს აუცილებელ ბეგარას, გადასახადს და იმ ორიოდ შემთხვევაში, როდესაც მთავრობა მოისურვებდა ორი სამი აფხაზის გამოზრდას, საზოგადოება იძლეოდა უჭირისუფლო, უპატრონო ბავშვებსა და მით თავის შვილს აცილებდა ამ „უბედურებას“. ეხლა კი გონს მოვედით და წარამარა თხოვნაზე ვგზავნით: გვიშველეთ, დაგვიარსეთ საშუალო სკოლა და სხვა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი უთავბოლობის გამო ჯერ-ჯერობით ჩვენი თხოვნები უყურადღებოდ არის დარჩენილი. ადგილობრივ საზოგადოებას დიდი იმედი ჰქონდა სოხუმის თვითმართველობისა, რომ აფხაზეთის თავადაზნაურობას წინ წარუძღვებოდა და საერთო ძალით აღძრავდნენ თხოვნას სადაც ჯერ არს და საშუალო სკოლას დაგვიარსებდნენ” (ცნობის ფურცელი, 1900. №1319). წერილში აღნიშნულია, რომ თავადაზნაურობამ რამდენჯერმე მიმართა მთავრობას სკოლების დასაარსებლად, მაგრამ ამ მიმართვებს შედეგი არ მოჰყოლია. წერილში გაანალიზებულია ადგილობრივი მოსახლეობის ფინანსური წვლილი სკოლების ასაშენებლად, თუმცა მთავარი ინიციატორის არარსებობის გამო საზოგადო საქმე წინ ვერ მიდის. სტატიაში აღნიშნულია, რომ სტავროპოლის გიმნაზიაში აფხაზეთისათვის ექვსი სტიპენდიაა გამოყოფილი, თუმცა სტავროპოლის კლიმატი აფხაზი ახალგაზრდებისათვის ძალზე მძიმე ასატანი აღმოჩნდა, მოსახლეობამ მიმართა მთავრობას სტიპენდიების ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში გადმოტანის თაობაზე, მაგრამ ეს თხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

სტატია დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის აფხაზეთში მანამდე დაარსებული სასწავლებლების შესახებ: „პირველი საერო სკოლა, რომელიც გაიხსნა აფხაზეთში ჯერ

ისევ მთავარ ჰამუთ-ბეი (მიხაილ) შარვაშიძის დროს, იყო სოხუმის ორკლასიანი მთიულთა სკოლა (горская школа), დაარსებული 20 ოქტომბერს 1859 წ. და აი მთელი ოლქი ამ ერთად ერთ სკოლას რომლის პროგრამაც არ აღემატება ორკლასიან ნორმალურ სკოლის პროგრამას, შეჰყურებდა 1885 წ. ამ წელს კი დაბა ოჩამჩირეში ადგილობრივ მცხოვრებთ გახსნეს ერთკლასიანი პირველ-დაწყებითი სკოლა. ეხლა უკვე ორკლასიანად გადაკეთებული. 1891 წელს მთავრობამ სოფელ ალექსანდროვკაში ბერძენ მეახალმშენეთათვის⁸ გახსნა ორკლასიანი სკოლა, 1892 წ. კი დაბა გუდაუთამ დაიარსა ერთკლასიანი სკოლა. ამის შემდეგ სკოლების გახსნა შეჩერებული იყო 1896 წლამდის და ამ წლიდან ზედი-ზედ სხვა და სხვა სოფლებში გაიხსნა რამოდენიმე სკოლა ზოგი საზოგადოებათა ხარჯით. დღეს მთელს ოლქში ითვლება 28 პირველ დაწყებითი სკოლა და ერთი პროგიმნაზია ქალთათვის, რომელთ 1899 წელს დაეხარჯათ 35, 428 მანეთი, აქედან პროგიმნაზიას 7, 538 მ. სამთო სკოლას 10, 575 მ. და დანარჩენ 17 სკოლას კი დაუხარჯავთ 17, 315 მანეთი. სკოლათა რიცხვზე რომ გავყოთ მცხოვრებთა რიცხვი გამოდის, რომ ერთი სკოლა მოდის 4 ათას მცხოვრებზე, ანუ 4-ჯერ ნაკლები, ვიდრე ეს საჭიროდ ყოფილიყო ასის წლით წინედ საფრანგეთში: ერთი სკოლა ათას მცხოვრებზედ. დაახლოებით ერთ სკოლაზე მოდის 570 ბავშვი სასკოლო ჰასაკისა.

სამწუხაროდ, ისედაც მცირე რიცხვი სკოლათა მცხოვრებთა შორის თანასწორად არ არის განაწილებული: მეტი წილი მათი მოახალშენეთ ერგო. მთელს სამურზაყანოში კი, სადაც 50 ათასზე მეტი მცხოვრებია, მხოლოდ სამი სკოლაა მაშინ, როდესაც სამურზაყანო შეადგენს მთელის ოლქის ნახევარს! ამ რიგად 17 ათას სამურზაყანოელზე ერთი პირველ დაწყებითი სკოლა მოდის, ანუ ერთ სკოლაზე 2340 სასკოლო ასაკის ბავშვი. განა, მკითხველო გასაკვირველია ამისთანა ქვეყანაში ცრუ მორწმუნეობას ღრმად ფესვი ჰქონდეს გადადგმული?

თუმცა სამრევლო მეტია აქ, ვიდრე საერო სკოლები, მაგრამ მათი ნაყოფი საეჭვოა ჯერ-ჯერობით მაინც, რადგანაც ორიოდ, სამიოდის გარდა, არც ერთს ხეირიანი მასწავლებელი არა ჰყავს. საზოგადოდ ეს სკოლები ასცდნენ თავის ნათელ გზასა...” (ცნობის ფურცელი, 1900, №1319).

⁸ მეახალმშენე, მოახალშენე, იგივე ახალმოსახლე. ამ ტერმინით აღინიშნებოდა რუსეთის იმპერიის რეფორმის შედეგად აფხაზეთში ჩამოსახლებული ხალხი.

1898 წლის სტატისტიკა სამრევლო სკოლებსა და სასულიერო სემინარია-სასწავლებლებში მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ აფხაზეთის მონაცემების გათვალისწინებით

საქართველოს სასულიერო უწყებების სასწავლებლების მოსწავლეები სულ	მოსწავლე ვაჟები	მოსწავ ლე ქალები	სოხუმის ეპარქიის მოსწავლე ვაჟები	სოხუმის ეპარქიის მოსწავლე ქალები
21295	1706	4	1670	375
	7	231		

ცხრილი ემყარება ჟურნალ „მოამბის“ 1900 წლის მარტის №3 გვ. 53 ინფორმაციას.

ცხრილი ცხადყოფს, რომ მე-19 საუკუნის დასასრულს საქართველოს სასულიერო სასწავლებლების დაახლოებით 10% შეადგენდნენ სოხუმის ეპარქიის მოსწავლე ვაჟები და ქალები, რაც შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვან რაოდენობად.

1903 წელს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ აქვეყნებს ინფორმაციას ოჩამჩირეში ორკლასიანი სასწავლებლის საქალაქო სკოლად გადაკეთების შესახებ. ეს ცვლილება მოსახლეობისათვის ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

სოფელ აცში, სადაც 200 კომლამდე ცხოვრობს, 1998 წელს ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა ფუნქციონირებდა, სადაც ლევიცკის მუნჯური მეთოდით ასწავლიდნენ. „სკოლის დაარსებას ხალხი სიხარულით მიეგება და საკმაო მოსწავლეთაც მოიყარეს თავი. მასწავლებელმაც, ამით გახალისებულმა, სრული „სიგრძე-სიგანე“ მისცა „მუნჯურ“ მეთოდს: მოსწავლეებს ზოგს „ოთხზე“ აყენებდა, ზოგს იატაკზე შხლართავდა, ზოგს კლასში აძინებდა, ზოგს თვალებს უხვევდა და „კუკუმალულობას“ ათამაშებდა და სხვა, ამისთანებს სჩადიოდა, როგორც კი ამას „მუნჯური მეთოდი“ მოითხოვს. ეს რა მაიმუნობააო, სთქვა ხალხმა, ამას ხომ ჩვენი ბავშვები თვითონაც კარგად სწავლობენ მწყემსობაში; აბა მისთვის ბავშვს როგორ მოვაცდენო, და მართლაც სკოლა მალე დაცარიელდა, ასე რომ დღეს ერთი ბავშვიც აღარ სწავლობს იქ და მასწავლებელი დაღვრემილი და გულხელ დაკრეფილი გამოიყურებოდა თავის ოთახიდან“ (ცნობის ფურცელი, 1903, №2355). ამავე სოფელში მაჰმადიანი მოსახლეობა ითხოვდა მუსლიმურ სწავლებასაც. „გარდა 2-3 კომლისა, სოფლის მცხოვრებნი მაჰმადიანები არიან. ესენი თუ წერილობით, თუ სიტყვიერათ მუდამ ამას თხოულობენ: მაჰმადის სჯულის სწავლებას ადგილი მიეცეს ჩვენს სკოლაშიო. მაგრამ მათი ამნაირი თხოვნა არავინ შეიწყნარა. აი,

მაგალითად, როგორის სიტყვებით მიჰმართეს სოფლელებმა ამას წინად აქაურ ბლადოჩინს, რომელიც შეეკითხა, რატომ ბავშვებს სკოლაში არ ატარებთო... „მამაო, მიუგეს აფხაზებმა, ვიცით, რომ ჩვენთვის სკოლა საჭიროა და სასარგებლოც. ჩვენც ამიტომ არ დავზოგეთ თავი: თუმცა ღარიბები ვართ, მაგრამ შრომასა და ხარჯს მაინც არ მოვერიდეთ და სკოლისათვის საკუთარი შენობა ავაგეთ. ფიქრობდით, როგორ საზოგადოდ ყველგან, აქაც სჯულის სწავლებას ადგილი მიეცემოდა, მაგრამ მოვსტყუვდით. სინჯეთ, ბატონებო, გაგვიმწესეთ სჯულის მასწავლებელი სკოლაში და ნახავთ რომ მაშინ ბავშვების ტევაც კი არ იქნება აქ, უამისოდ კი უსწავლებლობას ვირჩევთ” (ცნობის ფურცელი, 1903, №2355). სტატია დაწერილია ფსევდონიმით „აფხაზი“. ფსევდონიმი ეკუთვნის პოეტს, პუბლიცისტსა და პედაგოგს, მელიტონ გობეჩიას (1878-1914).

ოჩამჩირეში 1892 წელს დაარსდა ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი. 1904 წელს კი დაიგეგმა მისი გადაკეთება სამოქალაქო სასწავლებლად. 1904 წელს გაზეთი „ივერია“ მიუთითებს, რომ გარდამავალ პერიოდში სწავლა არ მიმდინარეობს. „ოჩამჩირეში, სულ 12 წელიწადია, რაც არსებობს ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი და ამდენ ხანს არ დასდგომია ასეთი გაჭირვება, რაც ამ წელიწადში. გაუჩნდა მოსწავლეებს ყელ-ჭირვება და, ექიმ ბ. ბლიაპისის შემოწმებით, იქმნენ დათხოვილი თებერვლის განმავლობაში; დადგა მარტი, შეგროვდნენ მოსწავლეები, მაგრამ სწავლა მაინც ვერ დაიწყო, იმიტომ, რომ კლასის აივანი გასაკეთებელი აღმოჩნდა. სკოლის მზრუნველმა მოახსენა საზოგადოებას, სკოლის აივანს გაკეთება უნდაო. პასუხად მიიღო, სანამდის ნათხოვნი სამოქალაქო სასწავლებელი არ გაიხსნება, არაფერს არ გავაკეთებთ. ასეა თუ ისე, მეცადინეობა კაი ხანია შეწყვეტილია. მოსწავლეები გულდაწყვეტილნი დადიან, ხედავენ, რომ უსწავლელობისა გამო იღუპებიან. ძლიერ საჭიროა მიექცეს ამ გარემოებას ყურადღება, თორემ თქვენი მტერია, მართლაც დაიღუპებიან მოსწავლეები” (ივერია, 1904, №95).

1915 წელს სოხუმში დაარსდა სამასწავლებლო სემინარია, რომელშიც აქტიურად მოღვაწეობდა აფხაზი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, დიმიტრი გულია. სემინარიის ბაზაზე 1919 წელს დაარსდა ხელნაწერი ლიტერატურული ჟურნალი „მარფიეწვა“ („ცისკრის ვარსკვლავი“) და ამავე წელს გამოიცა აფხაზურენოვანი გაზეთი „აფსნი“.

ქართულენოვანი გაზეთები დიდ ყურადღებას იჩენენ აფხაზეთში სწავლა-განათლების საკითხების მიმართ. გამოქვეყნებული სტატიები აფხაზეთში სკოლების

დაარსებისა და ფუნქციონირების შესახებ ცხადყოფს იმ სირთულეებს, რომლებიც ამ მხარეში არსებობდა სწავლა-განათლების კერების მუშაობისას. იკვეთება სკოლების, დაფინანსების, მასწავლებლების, სახელმძღვანელოთა ნაკლებობის პრობლემები.

I. III. 2 პირველი წიგნები აფხაზურ ენაზე

1865 წელს თბილისში დაიბეჭდა პირველი აფხაზური საანბანო სახელმძღვანელო. მის შესაქმნელად 1862 წელს ჩამოყალიბდა სპეციალური კომისია. „კომისიას თავმჯდომარეობდა გენერალი ი. ბარტოლომეი, ხოლო წევრები იყვნენ: ქართველი დ. ფურცელაძე და რუსი ვ. ტრიროგოვი. კომისიას დახმარებას უწევდნენ აფხაზი მოღვაწეები: უკვე ხსენებული მღვდელი იოანე გეგია, პრაპორშჩიკი გიორგი ქურციკიძე, აზნაური სიმონ ეშბა. კომისიის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს აფხაზური ტექსტი შეამოწმეს და შეასწორეს ჰასან მარღანიაძე, კონსტანტინე გიორგის ძე შარვაშიძემ და გრიგოლ ალექსანდრეს ძე შარვაშიძემ“ (გვანცელაძე, 2010).

1866 წელს გამოიცა „მოკლე საღვთო ისტორია“ აფხაზური სამრევლო სკოლებისთვის. ტექსტი დაბეჭდილია აფხაზურ და რუსულ ენებზე. აფხაზური თარგმანი ეკუთვნით იოანე გეგიას, დავით მარღანიას და გიორგი ქურციკიძეს.

1887 წელს მიხაილ ზავადსკის რედაქტორობით დაიბეჭდა აფხაზური ენის გრამატიკა.

1892 წელს თბილისში გამოიცა დიმიტრი გულიასა და კონსტანტინე მაჭავარიანის აფხაზური ენის საანბანო სახელმძღვანელო. წიგნში შესულია რუსული ენიდან თარგმნილი ლოცვები, „ათი მცნება“ და „მრწამსი“.

1907 წელს გამოიცა იოანეს სახარება აფხაზურ ენაზე თბილისში, დაიბეჭდა საქართველოს ეგზარქოსის განკარგულებით.

1909 წელს გამოიცა ა. ჭოჭუას „აფხაზური ანბანი“, რომელიც ი. გოგებაშვილის მიერ შექმნილი პედაგოგიური პრინციპების მიხედვით იყო შედგენილი. „ამ წიგნის ღირსება ის იყო, რომ იგი მისდევდა იაკობის პედაგოგიურ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, დედაენის შესწავლა მეორეხარისხოვანი საქმე კი არ უნდა იყოს, არამედ დედაენა მოსწავლეს უნდა ეხმარებოდეს სამყაროს აღქმაში, უვითარებდეს მას ცოდნის წყურვილს, შემოქმედებით უნარს, უმაღლებდეს კულტურის დონეს, ხოლო სხვა ენა უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსწავლეს საფუძვლიანი ცოდნა ექნება

დედაენისა და უცხო ენის გავლენა ვეღარ გადააჯიშებს მას. იაკობის ეს პრინციპი ხელს უწყობს ეთნოსის ენობრივი და ეთნიკური იდენტობის გადარჩენას” (გვანცელაძე, 2010).

1919 წელს დაარსდა ხელნაწერი ლიტერატურული ჟურნალი „შარფიეწვა“ („ცისკრის ვარსკვლავი“).

1919 წელს გამოიცა აფხაზურენოვანი გაზეთი „აფსნი“, რედაქტორი დ. გულია.

I. IV ოსური ენა და ანბანი

ოსური ენა ინდოევროპულ ენათა ირანულ შტოს განეკუთვნება. ოსურმა ენამ განვითარების ხანგრძლივი გზა გაიარა. მასზე გარკვეული გავლენა მოახდინა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახმაც, თუმცა შეინარჩუნა ძველი ირანულისათვის დამახასიათებელი გარკვეული ენობრივი მოვლენები. ოსურ ენას აქვს ორი დიალექტი: ირონული და დიგორული.

ოსურ ენაზე საუბრობენ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე, საქართველოს რამდენიმე რაიონში: ლაგოდეხის, ყვარლის, გურჯაანის, ახმეტის, გორის, კასპის, ქარელის, ბორჯომის მუნიციპალიტეტებში, რუსეთის ფედერაციაში – ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა ალანიაში და თურქეთში. დღეისათვის, სხვადასხვა მონაცემებით, ოსურ ენაზე საუბრობს 700 000-მდე ადამიანი.

ოსური დამწერლობის პირველი ნიმუში აღმოჩენილია მდინარე ზელენჩუკის მახლობლად. ვსევლოდ მილერის (1848-1915) აზრით, ეს იყო ოსურენოვანი წარწერა ბერძნული დამწერლობის გამოყენებით. მეცნიერები ვ. მილერი, ვ. აბაევი, გ. ტურჩანინოვი ამ წარწერას მეათე საუკუნით ათარიღებენ⁹ (ბეპიევი, 2017ა).

ოსური ანბანის გრაფიკულმა საფუძველმა მრავალი ცვლილება განიცადა. როგორც ზელენჩუკის ეპიგრაფიკული ძეგლიდან ჩანს, თავდაპირველად ოსური ანბანი ბერძნულ დამწერლობას ეფუძნებოდა. შუასაუკუნეებში ოსური ანბანის შექმნისა და გამოყენების შესახებ არსებობს დაუზუსტებელი ცნობები არამეული, ლათინური, ბერძნული, ქართული: მხედრული და ხუცური, არაბული ანბანების გამოყენებასთან დაკავშირებით, თუმცა ასეთი დოკუმენტები სამეცნიერო მიმოქცევაში არ დადასტურებულა, გარდა ზელენჩუკის წარწერისა, რომელიც, როგორც მივუთითეთ, ბერძნული ასოებით არის

⁹ წარწერა შესრულებულია ბერძნული ასოებით და ასე იკითხება: „Сахири фурт, Овси стური фурт Багатар, Багатари фурт Анбалан, Анбалани фурт лаг ани цирт“ (სახირის ვაჟი, ოვსას დიდებული ძე ბაღათირ, ბაღათირის ძე ანბალან, ანბალანის ვაჟი ლაგი, მათი ძეგლები) (ბეპიევი 2018).

შესრულებული და მე-10 საუკუნით თარიღდება. ჰქონდა თუ არა ოსური ენისათვის ბერძნულ ანბანს ფართო გამოყენება, ჩვენთვის უცნობია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩრდილოეთ ოსეთში აღმოჩენილი საფლავის ქვების წარწერები შესრულებულია არაბულ ენაზე და მითითებულია ოსური საკუთარი სახელები, თუმცა არ ჩანს ოსურ დამწერლობად არაბულის გამოყენების შემთხვევები. აღსანიშნავია იულიუს კლაპროთის მიერ XIX საუკუნის დასაწყისის კავკასიაში მოგზაურობის ჩანაწერები, სადაც სწავლულს ჩაწერილი აქვს ოსური სიტყვები, თუმცა ჩანაწერების უმრავლესობა ლათინური ანბანით არის შესრულებული, ზოგჯერ გვხვდება ქართული და არაბული ასოებით ჩაწერილი სიტყვებიც, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, შეინიშნება სხვადასხვა სახის ტიპური შეცდომები (Klaproth, 1812-1814).

მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს არქიმანდრიტმა გაიოზმა, იგივე გაიოზ რექტორმა¹⁰ (1746-1821), საეკლესიო სლავური შრიფტის საფუძველზე შექმნა ოსური ანბანი პავლე გენცაუროვთან (კესაევთან) ერთად. მათ 1798 წელს რუსული ენიდან ოსურ ენაზე თარგმნეს და გამოსცეს „მოკლე კატეხიზმო“ – „Начальное учение человеком, хотящим учиться книг Божественнаго писания“. გაიოზმა თავდაპირველად ქართული ანბანის გამოყენებით შეადგინა „კატეხიზმო“, რომელიც, საბოლოოდ, სლავურ შრიფტზე დაყრდნობით გამოიცა (Джусойты, 1980, გვ. 29; ქირია, 2025, გვ.73). ოთხი წლის შემდეგ, 1802 წელს, დასტურდება ოსური ხელნაწერი, რომელიც ქართული დამწერლობის მიხედვით არის შექმნილი. ხელნაწერი ეკუთვნის მწიგნობარ იოანე იალღუზიძეს (გაბარაევს). შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი ანბანი ერთ დროს, პარალელურად შეიქმნა და პარალელურად გამოიყენებოდა.

რომელ წელს შექმნა გაიოზმა პავლე გენცაუროვთან (კესაევთან) ერთად საეკლესიო სლავური ანბანის მიხედვით ოსური ანბანი, არ არის დადგენილი. ცნობილია მხოლოდ

¹⁰ გაიოზ რექტორი დაიბადა სიდნალის მაზრის სოფელ მაღაროში. 1765 წელს დაამთავრა თბილისის სემინარია. მისი პედაგოგი იყო ანტონ I. გაიოზი მონაწილეობდა ერეკლე მეორის ინიციატივით დაგეგმილ ანტონ I-ისა და ლევან ბატონიშვილის დიპლომატიურ მისიებში რუსეთში. 1778 წელს დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემია, ხელმძღვანელობდა თბილისის სასულიერო სემინარიას, 1782 წელს იყო თელავის სასულიერო სემინარიის რექტორი. 1783 წლიდან გაიოზი რუსეთში გაემგზავრა და საქართველოში აღარ დაბრუნებულა, იყო „ოსეთის სასულიერო კომისიის“ აქტიური წევრი. მოზდოვის, სარატოვისა და პენზის ეპარქიების ეპისკოპოსი, 1808 წლიდან გარდაცვალებამდე კი ასტრახანის მთავარეპისკოპოსი. გაიოზ რექტორი ქმნიდა ორიგინალურ ნაშრომებს, მას ეკუთვნის ანტონ I-ის გრამატიკის გავლენით შექმნილი „ღრამატიკა“, რომელიც 1789 წელს დაუსრულებია.

მოკლე კატეხიზმოს გამოცემის წელი. წიგნი დაიბეჭდა მოსკოვის სინოდიალურ სტამბაში.

XVIII საუკუნის ბოლომდე ოსური ანბანი სლავური დამწერლობის საფუძველზე არ არსებობდა და გაიოზ რექტორისა და პავლე გენცაუროვის (კესაევის) მიერ შექმნილი ოსური ანბანი პირველი იყო. ანბანს მრავალი ხარვეზი ჰქონდა, არ იყო სათანადოდ ასახული ოსური ენის ფონეტიკა, რაც ტექსტის აღქმასა და წაკითხვას ართულებდა. ოსური ენისათვის სპეციფიკური ასოების დასაწერად გამოყენებული იყო სლავური საეკლესიო ასოები. ასევე, ანბანში გვხვდება შედგენილი დამწერლობითი ნიშნები, დიგრაფები: *Ѡж, Ѡз, Ѡц, Ѡч, Ѡг, Ѡх*. „მოკლე კატეხიზმო“ ორენოვანია და შედგება რუსულ და ოსურ ენებზე დაბეჭდილი ლოცვებისაგან. ორივეგან გამოყენებულია რუსული საეკლესიო შრიფტი. ამ ანბანს ფართო გამოყენება არ ჰქონია, თუმცა ოსური კულტურისათვის დიდი შენამენი იყო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ანბანი გახდა საფუძველი შემდგომ პერიოდში ოსური ანბანის რუსული დამწერლობის მიხედვით დაფუძნებისა, რომელზეც შეიქმნა და განვითარდა ოსური ლიტერატურა, გამოქვეყნდა ოსი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, კოსტა ხეთაგუროვის პირველი კრებული.

იცოდა თუ არა გაიოზ რექტორმა ოსური ენა? ამ საკითხის გარკვევა მცირე საარქივო ცნობების გამო შეუძლებელია. ქართულენოვან წყაროებში გაიოზ რექტორის გვარი არ არის დაზუსტებული. მითითებულია ბარათაშვილ-თაყაიშვილი, ნაცვლიშვილი, ვაგოშვილი (ხუროშვილი, 2012; ბეპიევი, 2017ა). ჩვენ მიერ მოძიებული რუსულენოვანი წყაროების ნაწილში¹¹ მითითებულია, რომ გაიოზ რექტორი, რომელიც რუსულენოვან წყაროებში, მაგალითად, მართლმადიდებლურ ენციკლოპედიაში „Православная Энциклопедия“ გაი თაკაევად არის მოხსენიებული, ოსური ენის მცოდნე იყო (იხ. Православная Энциклопедия 2010, გვ. 269-270). გასათვალისწინებელია ისიც, რომ გაიოზ რექტორმა, იმ პერიოდისათვის უკვე ასტრახანისა და კავკასიის არქიეპისკოპოსმა, ოსური ანბანის შექმნისა და ოსურ ენაზე მოკლე კატეხიზმოსა და ლოცვანის სათარგმნელად და გამოსაცემად პავლე გენცაუროვი (კესაევი) დაიხმარა. როგორც ოსეთის სასულიერო კომისიის 1812 წლით დათარიღებული ჩანაწერებიდან ირკვევა, პავლე გენცაუროვი 17 წლის განმავლობაში იყო კომისიის წევრი, რადგან მან ოსური ენა ძალზე კარგად იცოდა

¹¹ დეტალურად იხ.: Пензен. Епарх. Ведомости, 1900, № 9; Благоднравов 1902; Скопин, 1891; Чистович, 1894; Астраханские Епарх. Ведомости, 1880 г., № 32.

და სწორედ ის იღებდა მონაწილეობას კატეხიზმოს თარგმნაში, რომელიც დიდი შრომის ფასად შეუსრულებია (იხ. Центральный государственный архив, Ф. 275. Оп. 1. Д. 4. Л. 2).

ოსური ანბანი ქართული დამწერლობის საფუძველზე შეუქმნია ცნობილ მწიგნობარს, იოანე იალღუზიძეს (1775-1830) ¹² . მან თავისი შექმნილი ანბანის გამოყენებით ოსურ ენაზე თარგმნა სასულიერო წიგნები, სხვადასხვა შინაარსის დოკუმენტები, ცნობილია 1802 წლის ხელნაწერი. იოანე იალღუზიძის ანბანი დაიბეჭდა 1821 წელს.

იოანე იალღუზიძის მიერ შექმნილი ოსური ანბანის ჩვენამდე მოღწეული უადრესი ხელნაწერი 1802 წლით თარიღდება. დოკუმენტი წარმოადგენს სოფელ ვანათში არაგვისა და პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრებ ოსთათვის სასამართლოს დაწესების შესახებ განკარგულებას. იგი შედგენილია ოსურ, ქართულ და რუსულ ენებზე. სამეწიფო დოკუმენტი გვაძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ მხოლოდ ქართული და რუსული ენები საკმარისი არ იყო დოკუმენტის ადრესატებისათვის. ამასთან, რადგან იმ დროისათვის უკვე გამოცემული იყო რუსული ანბანის გამოყენებით ოსური წიგნები და, შესაბამისად, ოსური დამწერლობა უკვე არსებობდა, მნიშვნელოვანია ოსური დოკუმენტი, რომელიც ქართული ანბანის საფუძველზეა შექმნილი. ხელნაწერი საფუძვლიანად შეისწავლა აკად. გიორგი ახვლედიანმა, გამოყო დოკუმენტის ენობრივი თავისებურებები (Ахвледiani 1960).

იალღუზიძის ანბანი, ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები ქართული გრაფიკის საფუძველზე მეტყველებს ქართულ-ოსური საგანმანათლებლო ურთიერთობების მჭიდრო კავშირზე.

იოანე იალღუზიძემ 1822 წელს ქართულიდან ოსურად თარგმნა სახარება. თარგმანი სამი ხელნაწერის სახით არის დაცული. პირველი, უფრო ძველი ხელნაწერი ინახება

¹² იოანე იალღუზიძე დაიბადა 1775 წელს ჯავის რაიონის სოფელ ზალდაში. მცირეწლოვან იოანეს ერეკლე მეორის მითითებით, საეკლესიო განათლებას აძლევდნ. იოანეს შეუსწავლია წერა-კითხვა და საეკლესიო წიგნები. იგი ცნობილი მწიგნობარი, გადამწერი და საზოგადო მოღვაწე იყო. მას სხვადასხვა დროს გადაუწერია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ბაუმესტერის „მეტაფიზიკა“, სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ ოთხჯერ, 1807 წელს, დავით ბაგრატიონის „ნარკვევი“ 1814 წელს, „დავრიშანი“ და სხვა წიგნები. იგი მონაწილეობდა სხვადასხვა იურიდიული დოკუმენტების შედგენაში. იოანე იალღუზიძე ქართულ და ოსურ ენებს ასწავლიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში (ბეპიევი, 2009). იალღუზიძეს ქართულ ენაზე შეუქმნია ლექსები და პოემა „ალღუზიანი“, სადაც მეფე ალღუზონის საგმირო საქმეებია აღწერილი. პოემა დაწერილია 16 მარცვლოვანი შაირით.

საქართველოს ცენტრალურ არქივში, მეორე სანქტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის არქივში, მესამე ეგზემპლარი, რომელიც სასტამბოდ იყო გამზადებული, დაცულია მოსკოვში. ო. თედეევი აღნიშნავს: „თხზულებები ი. იალღუზიძეს თარგმნილი აქვს ოსური ენის ძველ ჯავურ კილოკავზე. მიუხედავად იმისა, ისინი ერთნაირად გასაგებნი იყვნენ და არიან როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ ოსეთის მკვიდრთათვის, მათ შორის, დიგორელებისათვის. საინტერესოა, რომ „ოთხთავის“ თარგმანის დონის შესამოწმებლად მუშაობდა მთელი კომისია (იონა არქიეპისკოპოსი, ნიკო დავითის ძე ჩუბინაშვილი და თვით იალღუზიძე), რომელმაც შეუდარა იგი სლავურ, რუსულ და ლათინურ „ოთხთავებს“. უფრო ადრე, ს. ერისთავის მეთაურობით, თარგმანი უშუალოდ სოფლებში იქნა წაკითხული, იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად გასაგები იყო იგი ოსი მოსახლეობისათვის“ (თედეევი, 1965, 174). სახარების დაბეჭდვის ბრძანებაში მითითებულია, დაიბეჭდოს 1823 წელს, რუსეთის ბიბლიური საზოგადოების დაფინანსებით, 2000 ეგზემპლარად. „სახარება უნდა დაბეჭდილიყო ორ სვეტად. პირველ სვეტში ქართულად, მეორეში ოსურად ქართული ასოებით, როგორც ეს იალღუზიძის სხვა ნაბეჭდ წიგნებში არის“ (შანიძე, 173). როგორც ჩანს, გარკვეული მიზეზების გამო, სახარება არ დაბეჭდილა, რადგან არ არის ჩვენამდე არცერთი ეგზემპლარი მოღწეული.

არსებობდა თუ არა იოანე იალღუზიძემდე ოსური დამწერლობა ქართული ანბანის საფუძველზე? როგორც ზოგი მკვლევარი მიუთითებს, ასეთი ანბანი მართლაც უნდა არსებულიყო, თუმცა ეს მოსაზრება სათანადო დოკუმენტებით ვერ დასტურდება. ცნობები ადრეული ოსური დამწერლობის შესახებ შემდეგია:

1. მ. ჯანაშვილი თავის ვრცელ ნაშრომში ჩრდილოეთ კავკასიის, მათ შორის, ოსებისა და სხვათა შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში, კრებულში „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, გვაწვდის ცნობას, რომ მას უნახავს 1753 წელს გამოცემული ოსური წიგნი ქართული ასოებით (Сборник материалов... 1897, გვ. 64).

2. ზ. ჭიჭინაძე „ოსეთის ისტორიაში“ რამდენჯერმე იმეორებს, რომ ოსები საკუთარი დამწერლობისათვის იყენებდნენ ქართულ ანბანს და რომ ქართული ანბანი ოსებისთვისაც იყო შექმნილი, რადგან მასში ასახული იყო ქართული და ოსური ზგერები (ჭიჭინაძე, 1913).

3. ოსური ხელნაწერი წიგნებისათვის ქართული ანბანის გამოყენებასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული ცნობები. კერძოდ, არქიმანდრიტ პახომის 1753 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ოსეთის სასულიერო კომისიის ხელმძღვანელობით 1746 წელს დაუწყიათ ქართულიდან ოსურ ენაზე სასულიერო წიგნების თარგმნა. იქვე არის ცნობები, რომ ზოგი წიგნი უფრო ადრეც უთარგმნიათ (Материалы... 1942, გვ. 39).

4. რუსი ისტორიკოსი, პ. ბუტკოვი, როდესაც საუბრობს გაიოზის მიერ ოსურისთვის რუსული გრაფიკის გამოყენების შესახებ, იქვე დასძენს, რომ ქართველები ოსური ენის გადმოსაცემად ხმარობდნენ თავიანთ ასოებს დიდი სიზუსტით. (თედევი, 1979, გვ. 6).

5. პეტერბურგის ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცულ საარქივო მასალაში ჩანს, რომ XVIII საუკუნის 50-60-იან წლებში უკვე არსებობდა ქართული ანბანით ნაწერი ოსური ხელნაწერები. ამ ხელნაწერების შესრულებაც ოსეთში ქრისტიანობის გამავრცელებელი კომისიის სახელთან არის დაკავშირებული. კომისიის წევრს, ილუმენ გრიგოლს, უთარგმნია რამდენიმე სასულიერო ხასიათის ძეგლი ქართული გრაფემებით, თუმცა გრიგოლის საქმიანობას საყოველთაო ხასიათი არ მისცემია და მისი თარგმანები ხელნაწერის დონეს არ გასცილებია (თედევი, 1979, გვ. 7).

6. პირველი ოსური ნაბეჭდი წიგნების შესახებ ინფორმაციას გვაწვდის გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1899 წელს №779, რომელშიც აღნიშნულია, რომ თბილისის სტამბას დაუბეჭდავს რამდენიმე წიგნი. კერძოდ, 1778 წელს ოსურ-ქართული ლოცვის წიგნი ხუცური ასოებით; 1794 წელს ფსალმუნი ოსურ ენაზე ხუცური ასოებით. იმავე წელს, „ცნობის ფურცელი“ №780 ნომერში ასახელებს კიდევ ორ გამოცემას: 1786 წელს მოზდოკში გამოცემულ ოსურ-ქართულ ლოცვების წიგნს და კვლავაც 1786 წელს, მოსკოვში გამოცემულ „ოსურ ანბანს ქართული ასოებით“. ამავე ცნობას იმეორებს ტ. სარიშვილი წიგნში: „ოსეთ-საქართველოს კულტურულ-პედაგოგიური ურთიერთობა“, თბილისი, 1965, გვ. 14. ჩამოთვლილი ოთხი წიგნის შესახებ დამატებითი ზუსტი ცნობები არ არსებობს.

იოანე იალღუზიძის მიერ შესრულებულ ხელნაწერებსა და გამოცემულ წიგნებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ქართული ანბანის სამივე სახეობა, ასომთავრულიც, ნუსხა-ხუცურიცა და მხედრულიც, გამოიყენება ოსური ტექსტებისათვის. რაც, ერთგვარად, არსებული ტრადიციის გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ და რაც ქართული

ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების ტრადიციიდან მომდინარეობს: „ოსური ტექსტი ქართული მხედრული ასოებით არის ნაწერი, მაგრამ სათაურები, საკუთარი სახელების დასაწყისი ასოები და მუხლების პირველი სიტყვის პირველი ასო მთავრულებით არის მოყვანილი, მთავრულებად კი ძველი ქართული წერის მრგლოვანი სახის ასოებია ნახმარი, როგორც ეს წესად იყო მიღებული იმდროინდელ ქართულ წიგნებშიც, როგორი ასოებითაც უნდა ყოფილიყო დაწერილი თუ დაბეჭდილი: ახლით (მხედრული), თუ ძველით (ხუცურიტ)“ (შანიძე, 1965, გვ. 173).

იოანე იალღუზიძის ხელნაწერებსა და გამოცემული წიგნების შესწავლა ცხადყოფს, რომ ოსური ენისათვის ქართული დამწერლობის გამოყენება ორი ეტაპისაგან შედგება. იალღუზიძის მიერ შედგენილი ოსური ანბანი ქართული ასოებით გამოიცა 1821 წელს თბილისში და მასში ოსური ენისათვის დამახასიათებელი ასოებისათვის, რომლებიც ქართულ ანბანში არ იყო, ცალკე ნიშნები იხმარა. კერძოდ, 1. z – დავიწროებული ა (თანამედროვე ოსური გრაფიკით – æ); 2. j – გერმანულიდან გადმოღებული ნიშანი, ქართული **ღ** – ის შესატყვისი (თანამედროვე ოსური გრაფიკით – **ჟ**). სხვა სპეციფიკური თანხმობების გადმოსაცემად ი. იალღუზიძემ გამოიყენა ქართულ გრაფიკაში ანტონ კათალიკოსის მიერ შემოღებული ასოები **გ** და **ფ** (თანამედროვე გრაფიკით **ჟ**, **ფ**) (თედეევი, 1985, გვ. 27). სანამ იოანე იალღუზიძე ოსურ ანბანს შეადგენდა და გამოსცემდა, 1821 წლამდე, მას აქვს რამდენიმე ტექსტი ქართულიდან ოსურ ენაზე ნათარგმნი, თუმცა ამ ტექსტებში ეს სპეციფიკური ნიშნები არ აქვს გამოყენებული. კერძოდ, ქართული ანბანისაგან განსხვავებულ ოსურ სპეციფიკურ ასოებს ქართული ანბანითვე გამოსახავს: „z ბგერა იალღუზიძეს ამ ტექსტებში გადმოცემული აქვს ხან ა ხანაც ე ასოებით, j კი გადმოცემულია ი-თი (თედეევი, 1985, გვ. 28). აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ იალღუზიძე ქართული დამწერლობის საფუძველზე ოსური ანბანის შექმნამდე იყენებდა მანამდე არსებულ ტრადიციას, რომელიც, სავარაუდოდ, უკვე არსებობდა, რადგან მხოლოდ ხანგრძლივი მწიგნობრული და მთარგმნელობითი სამუშაოების შემდეგ გახდა საჭირო სპეციფიკური ოსური ასოების დაზუსტება, რაც უკვე ოსურენოვანი მწიგნობრობის შემდეგ ეტაპზე განხორციელდა კიდევ.

საფიქრებელია, რომ თუ ოსური ანბანის ქართული გრაფიკის საფუძველზე დაწერილობის ტრადიცია მართლაც არსებობდა, მივიწყებული იყო იმდენად, რომ საჭირო გახდა ანბანის გამოცემა მოსკოვში, სადაც გამოიცემოდა საეკლესიო სლავურ

ანბანზე შექმნილი ოსური წიგნებიც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გაიოზ რექტორმა, იმ დროისათვის, კი, არქიმანდრიტმა გაიოზმა, 1995-1803 წლებში მოზდოვში დააარსა ქართული სტამბა, რომელშიც 1797 წელს დაიბეჭდა ქართული ანბანი, ასომთავრული, ნუსხური და მხედრული, რომელსაც ახლავს „ლოცვანი“ და „მოკლე საქრისტიანო სწავლანი“ და სხვ. ა. შანიძე იალღუზიძის ნათარგმნი და გამოუქვეყნებელი ორენოვანი, ქართულ-ოსური სახარების მოსკოვში გამოცემასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „როგორც თავფურცელის ცნობა აჩენს, განზრახული ყოფილა, რომ წიგნი დაბეჭდილიყო 1823 წელს პეტერბურგში, სადაც ხუთი წლით ადრე, 1919 წ. პეტერბურგის ბიბლიის საზოგადოებამ დაბეჭდა მთელი ახალი აღთქმა მხედრული ასოებით; მაგრამ იქვე ქართული ახალი აღთქმა 1816 წ. მოსკოვს დაიბეჭდა ძველი ასოებით ხუცურად, ხოლო 1824 წ. მოსკოვს დაიბეჭდა ქართულ-ოსური გამოკრებილი კურთხევანი. რადგანაც, ალბათ, ხუცური შრიფტი პეტერბურგში არ მოიპოვებოდა, ამიტომ ორ-ენოვანი სახარება პეტერბურგიდან მოსკოვს გადმოუგზავნიათ სინოდის სტამბაში დასაბეჭდად. მოსკოვში იყო ტექნიკური საშუალება ქართულ-ოსური სახარების გამოსაცემად“ (შანიძე, 1965, 174).

რატომ იქმნება ოსური ანბანი თითქმის ერთდროულად, 4 წლის შუალედით რუსული და ქართული ანბანების საფუძველზე? რა პოლიტიკურ, საგანმანათლებლო და კულტურულ გავლენებზე შეგვიძლია ვისაუბროთ? რატომ არის ორივე ანბანის შექმნასთან ქართული საგანმანათლებლო და მწიგნობრული საზოგადოება დაკავშირებული? ასევე, რატომ გამოიცემა ერთსა და იმავე პერიოდში, XIX საუკუნის 20-იან წლებში, მოსკოვში, ქართული და რუსული შრიფტებით შესრულებული ოსური წიგნები? ეს შეკითხვები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ოსური ანბანის შექმნა მხოლოდ ერთი ენის გრაფიკის საფუძველზე არ იყო საკმარისი. თუ იოანე იალღუზიძემდე არსებობდა ქართული დამწერლობის საფუძველზე ოსური ანბანი, ის არ იყო აქტუალური, უკვე მივიწყებული იყო და არ ჰქონდა ფართო გამოყენება. ამასთან, ის არ გამოდგებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ოსებისათვის იმ დროს, XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში, ფართო გამოყენებისათვის. ამასთან, თავის მხრივ, გაიოზ რექტორისა და პავლე გენცაუროვის (კესაევი) მიერ შექმნილი ოსური ანბანი სლავური დამწერლობის მიხედვით, როგორც ჩანს, არ იყო საკმარისი ოსური მოსახლეობისათვის და საჭირო იყო დამატებით ოსური ანბანის ქართული დამწერლობის მიხედვით გამოყენება. საბოლოოდ კი, სლავური და ქართული ანბანების პარალელურად შემოტანა XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში,

როდესაც კავკასიაში გაიზარდა რუსული პოლიტიკური ზეგავლენა, გამოწვეული იყო ოსებში ქრისტიანობის გავრცელებისა და რუსეთის გავლენის ქვეშ მოქცევის გეგმასთან, რომელიც სწრაფად უნდა მომხდარიყო.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გაიოზ რექტორისა და პავლე გენცაუროვის (კესაევი) ანბანსა და იოანე იალღუზიდის მიერ შექმნილ ანბანს შორის, ასევე, გამოცემულ წიგნებსა და ხელნაწერებს შორის, იკვეთება რამდენიმე საერთო ტენდენცია:

1. ორივე ანბანის შექმნა დაკავშირებულია საქართველოსთან, ქართულ მწიგნობრულ და საგანმანათლებლო წრეებთან;

2. ორივე ანბანის შემქმნელებს, ამ შემთხვევაში, გაიოზ რექტორსა და იოანე იალღუზიდეს, ერეკლე მეორის კარზე ჰქონდათ განათლება მიღებული;

3. ორივე ანბანში გამოყენებულია საეკლესიო შრიფტები: სლავური საეკლესიო დამწერლობა და ნუსხა-ხუცური დამწერლობა, რომელიც აღნიშნულ პერიოდში სწორედ საეკლესიო მიზნებისათვის გამოიყენებოდა;

4. საეკლესიო ანბანების გამოყენება ორივე ანბანში, ასევე, სასულიერო ტექსტების თარგმნა და გამოცემა მიუთითებს, რომ ანბანების შექმნის მიზანი იყო ოსთა განათლებასთან და მწიგნობრობის განვითარებასთან ერთად, ოსებში ქრისტიანობის პოპულარიზაცია;

5. ორივე ანბანში სპეციფიკური ოსური ასოები ჩანაცვლებულია მიმსგავსებული ასოებით;

6. ორივე ანბანის მიხედვით გამოიცა რამდენიმე საეკლესიო წიგნი, რომლებსაც პარალელური გამოყენება ჰქონდათ;

7. ორივე ანბანის მიხედვით წიგნები ერთსა და იმავე პერიოდში გამოიცემოდა მოსკოვში;

8. გაიოზ რექტორისა და პავლე გენცაუროვის (კესაევი) და იოანე იალღუზიდის მიერ გამოცემული წიგნები ორენოვანია. პირველ შემთხვევაში – რუსულ-ოსური, ხოლო მეორე შემთხვევაში – ქართულ-ოსური;

9. ორენოვანი წიგნების დანიშნულება შესაძლებელია, რამდენიმე მიმართულებით აიხსნას: ორენოვან წიგნებს ჰქონდა სასწავლო მიზანი და აადვილებდა ორიგინალის – რუსულისა და ქართულის – თარგმანთან – ოსურთან კავშირს. ასევე, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ორენოვანი წიგნები მიუთითებდა რუსულ და ქართულ ენებთან არსებულ კავშირსა და შემდგომი ურთიერთობების პერსპექტივაზე;

10. არქიმანდრიტ გაიოზისა და იოანე იალღუზიძის ანბანების გამოყენება უცვლელად აღარ გაგრძელებულა;

11. მიუხედავად იმისა, რომ გაიოზ რექტორისა და იოანე იალღუზიძის ანბანებს ოსური ენის სამომავლო განვითარება არ ჰქონია, ორი ანბანის, რუსული და ოსური ანბანების პარალელური ხმარების პრაქტიკა დასტურდება XX საუკუნის 30-50-იან წლებშიც. ამ დროისათვის ოფიციალურად იყო დაკანონებული ორი ოსური ანბანი: ჩრდილოეთ ოსეთში რუსული დამწერლობის მიხედვით, ხოლო სამხრეთში – ქართული დამწერლობის მიხედვით (Popiashvili, 2018).

XVIII-XIX საუკუნეებში ოსური ანბანის ორი სახეობის შექმნა მიუთითებს ოსების მიმართ პოლიტიკურ, კულტურულ და საგანმანათლებლო ინტერესზე, რომელიც საქართველოს მრავალი საუკუნის განმავლობაში ჰქონდა და რომელიც რუსეთის მხრიდან სწორედ ამ პერიოდში გააქტიურდა. XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან კი ოსური წიგნები გამოიცემა ვლადიკავკაზსა და თბილისში, შვედი მეცნიერის, ანდრიას შეგრენის (1793-1855) მიერ შექმნილი, სლავურ დამწერლობაზე დაფუძნებული ანბანის მიხედვით.

1923-1938 წლებში ოსური დამწერლობა ლათინურ ანბანს იყენებდა.

1920 წლიდან დაიწყო ოსური ანბანის ლათინიზაციის შესახებ მსჯელობა და 1923 წელს გამოცხადდა ანბანის საუკეთესო პროექტის შესახებ კონკურსიც, თუმცა კონკურსს გამარჯვებული არ გამოუვლენია. კონკურსში მონაწილე პროექტებზე დაყრდნობით მთიელ ხალხთა ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატმა (Наркомпрос) შეადგინა ანბანი, რომელიც 1923 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან შეჯერების შედეგად გამოიყენებოდა. მთიელ ხალხთა ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა 1921-1924 წლებში არსებობდა საბჭოთა კავშირში თერგისა და ყუბანის მხარეების ტერიტორიაზე. მისი დედაქალაქი იყო ვლადიკავკაზი. ამ პერიოდისათვის საბჭოთა კავშირში გამოცხადებული იყო ანბანების ლათინიზაციის პროცესი. ოსები იყვნენ ერთ-ერთი პირველნი, ვინც ლათინურ ანბანზე გადავიდა. ამის გამო ოსური ანბანი იყო არაუნიფიცირებული.

1938 წლიდან დღემდე ჩრდილოეთ ოსეთში რუსულ გრაფიკაზე დაფუძნებულ ანბანს გამოიყენებენ, ხოლო სამხრეთ ოსეთში 1938-1954 წლებში გამოიყენებოდა ქართული დამწერლობა. 1954 წლიდან ოსური ანბანი აქაც რუსულ გრაფიკას დაემყარა. ოსური ანბანის რეფორმაციაში აქტიურად მონაწილეობდა აკად. გიორგი ახვლედიანი.

I. V ოსური ენის სწავლება XIX საუკუნეში

ქართულ-ოსური ურთიერთობების ადრეული ეტაპებიდანვე ცხადი ხდება, რომ ეს იყო დიდწილად ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული და მრავალმხრივი ურთიერთობები, რომლებიც მოიაზრებდა საგანმანათლებლო და მწიგნობრულ საქმიანობასაც. გიორგი ახვლედიანი მიუთითებს იმ დიდ კავშირზე, რომელიც ქართველებსა და ოსებს შორის საუკუნეების განმავლობაში არსებობდა (Ахвледiani, 1960, გვ. 160) ვასილ აბაევი აღნიშნავს, რომ ქართულ-ოსური ურთიერთობები საგანგებო კვლევის საგანი უნდა გახდეს, რადგან იგი გამოირჩევა თავისი ხანდაზმულობით, სიმდიდრით (Абаев, 1949).

ოსური საგანმანათლებლო საქმიანობა, დასაწყისიდანვე, როგორც სამხრეთის, ისე ჩრდილოეთის ნაწილში მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს, ქართულ საგანმანათლებლო და მწიგნობრულ წრეებს XVII-XVIII საუკუნეებში, XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში. ამიტომ, ნაშრომში სათანადოდ წარმოვაჩენთ ქართულ-ოსურ საგანმანათლებლო ურთიერთობებს და პედაგოგიურ საქმიანობას როგორც სამხრეთ, ისე – ჩრდილოეთ ოსეთში, სადაც, როგორც უკვე ვთქვით, ქართველმა მწიგნობრებმა დიდი როლი შეასრულეს. კორნელი კეკელიძის შეხედულებით, „ქართველებმა იკისრეს ოსურ ენაზე მწერლობის შექმნის ინიციატივა და უთარგმნეს ოსებს საღვთო და საეკლესიო მორალური ხასიათის წიგნები მშობლიურ ენაზე“ (კეკელიძე, 1941, გვ. 60).

ოსური ენის სწავლება პარალელურად მიმდინარეობდა სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთში. მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ერთი ენა და საგანმანათლებლო პროცესიც მსგავსი უნდა ყოფილიყო, პოლიტიკური და სოციალური საკითხებიდან გამომდინარე, ოსური ენის სწავლების თვალსაზრისით არსებობდა განმასხვავებელი ნიშნებიც.

სამხრეთ ნაწილში, რამდენიმე წყაროს ცნობით, ოსები სწავლობდნენ წერა-კითხვას ქართულ, ოსურ და ბერძნულ ენებზე. ამ საკითხებთან დაკავშირებით ცნობებს გვაწვდის ზ. ჭიჭინაძე. მისი თქმით, „წერა-კითხვას ქართულ ენაზე, ოსურს, ბერძნულს, ასურულს და რომაულს... მღვდელმოქმედებასა და საეკლესიო საქმეებში ოსურის ენითაც წვრთნიდნენ... ოსეთის დიდებულნი მეფენი და სხვადასხვა პირნი სულ ამ ანბანის ცოდნით იყვნენ განსწავლილნი ეს გარემოება ოვსთა და ქართველთ დიდათ აკავშირებდა, აახლოვებდა“ (ჭიჭინაძე, 1913, გვ. 101). ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ოსთა განათლებაზე ზრუნავდნენ ბაგრატ IV (1018-1072), რომელსაც ცოლად ჰყავდა ოსთა

მეფის ასული, ბორენა დედოფალი (XI ს.); დავით აღმაშენებელი (1073-1125); თეიმურაზ I, იგივე თეიმურაზ კახთა მეფე (1589-1663), რომელმაც 1640 წელს დროებით ოსეთს შეაფარა თავი; არჩილ მეფე (1647-1713), რომელიც აგრეთვე ოსეთს აფარებდა თავს (ჭიჭინაძე, 1913, გვ. 14).

ოსთა განათლების კუთხით უნდა აღინიშნოს რამდენიმე ცნობა ანტონ კათალიკოსის დროს აღზრდილი მწიგნობრების შესახებ. გამალიელი არქიმანდრიტი, ოს ყოფილი, „წერილითა და გალობითა შინა გამოცდილი და არიხმატიკოსი... მწერალი უცხო, რომელმან მრავალნი სამღვთონი და საერონი გარდასწერა ვიდრე სამასამდინ“ (ძველი საქართველო, 1909 (ა), გვ. 34). იგი მოღვაწეობდა იკორთის მონასტერში. ოსყოფილი ნეოფიტე და მისი მოსწავლე იოანე წილკნელი ქარუმძიე, რომელიც შესანიშნავი მწიგნობარი გამხდარა: „აღიზარდა გარეჯის მონასტერსა შინა სიყრმითგან და ისწავა მუნ ფილოსოფია და სხვანი სწავლანი, იყო მშვენიერი მოუბარი და მცოდნე; ამან აღზარდა რაოდენიმე მოწაფენი და მათ შორის იოანე ოს ყოფილი, რომელმან მიიღო ფილოსოფია და სთარგმნა ოსთა ენათა ზედა კონდაკი და ლოცვანი და მრავალნიცა დაიმოწაფნა“ (ძველი საქართველო, 1909). ანტონ კათალიკოსის აღზრდილთა რიცხვს ეკუთვნის იოანე იაღლუზიძე (გაბარაევი).

ჩრდილოეთ ოსეთის საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართულ მოღვაწეებს შორის იყო ვლადიკავკაზის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი, შიო დვალიშვილი, რომელიც XIX საუკუნის 40-50-იანი წლების თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, ფლობდა ქართულ, ოსურ, რუსულ ენებს, თარგმნიდა წიგნებსა და სახელმძღვანელოებს ოსურ ენაზე (წვერავა, 2009).

აღსანიშნავია ქართველი მწერლის, ოსური ენის შესანიშნავად მცოდნის, დანიელ ჭონქაძის მოღვაწეობა ვლადიკავკაზის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში. მან ოს მწიგნობართან, ვასილ ცორაევთან ერთად დიდი საგანმანათლებლო მუშაობა გასწია. დანიელ ჭონქაძემ და ვასილ ცორაევმა შეკრიბეს ოსური ხალხური თქმულებები, ზღაპრები, ანდაზები, რომელიც აკადემიკოსმა შიფნერმა 1868 წელს გამოსცა პეტროგრადში.

I. V. 1 ოსური სასულიერო კომისია

ოსთა განათლების საკითხში მნიშვნელოვანი ეტაპია ოსური სასულიერო კომისიის შექმნა, რომელ საქმეშიც დიდი წვლილი მიუძღვით ქართველ სასულიერო პირებს.

კომისიის შექმნის ინიციატორები იყვნენ ქართველი არქივისკოპოსები იოსებ სამებელი, იოანე მანგლელი და მოსკოვის ზნამენსკის მონასტრის ქართველი არქიმანდრიტი ნიკოლოზი (გამახარია, 2006, გვ. 245). კომისია არქიმანდრიტ პახომის მეთაურობით მოზდოკში შეიქმნა, ხოლო 1814 წელს მოზდოკიდან თბილისში გადმოინაცვლა. ოსურმა სასულიერო კომისიამ იარსება 1860 წლამდე, ხოლო შემდგომ, მის საფუძველზე დაარსდა კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება. ოსური სასულიერო კომისია ორიენტირებული იყო საგანმანათლებლო საქმიანობაზე. მათ გახსნეს სკოლები და სასულიერო კადრებს ამზადებდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში. როგორც უკვე აღინიშნა, ოსურ სასულიერო კომისიას ექვემდებარებოდა აფხაზეთის სკოლებიც, მათ შორის, ლიხნის სასულიერო სასწავლებელი. პირველი სასულიერო სკოლა გაიხსნა მოზდოკში 1764 წელს, თუმცა სკოლის გახსნის გადაწყვეტილება 1753 წლიდან უკვე არსებობდა¹³. როგორც აღინიშნა, ოსური სასულიერო კომისიის დაარსება და მისი საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართულ-ოსურ საგანმანათლებლო ურთიერთობებთან. კომისიის დაარსებასა და მუშაობაში დიდი წვლილი მიუძღვის გაიოზ რექტორს, იგივე გაიოზ არქიმანდრიტს.

მოზდოკის, მისი ეთნოლოგიური, კულტურული, საგანმანათლებლო და სხვა თავისებურებების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ბორის კალოევი წიგნში: „მოზდოკელი ოსები („Моздокские Осетины“, 1935). იგი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე ოსური სასულიერო კომისიის მუშაობის საკითხზეც. ბ. კალოევი აღნიშნავს: „ოსური სასულიერო კომისიის შექმნის იდეა ეკუთვნით ქართველ სასულიერო მოღვაწეებს, რომლებიც XVIII საუკუნის დასაწყისში გადასახლდნენ საქართველოდან რუსეთში ვახტანგ VI დროს” (Калоев, 1995, გვ. 192). როგორც ცნობილია, ვახტანგ მეექვსე და მისი ამალა, დაახლოებით 1200 (ზოგ წყაროში, უფრო მეტი) ადამიანი, რაჭისა და ოსეთის გავლით გაემგზავრნენ რუსეთში, შესაბამისად, ახლოს გაიცნეს ოსი ხალხის ყოფა-ცხოვრება, სარწმუნოებრივი და სხვა საკითხები, ნახეს, რომ ქრისტიანული ეკლესიების ნაწილი უკვე დანგრეული იყო. ასევე, მნიშვნელოვანი იყო მისიონერული საქმიანობის წამოწყება და ხელშეწყობა, რაზეც საერო და სასულიერო პირები დიდად

¹³ ოსური ენის სწავლების საკითხი ჩრდილოეთ კავკასიაში პირველად დაისვა 1749-1752 წლებში, რუსულ-ოსური მოლაპარაკებების დროს, რასაც 1774 წელს ჩრდილოეთ ოსეთის რუსეთთან შეერთება მოჰყვა. პეტერბურგის რუსულ-ოსური მოლაპარაკებების ერთ-ერთი გადაწყვეტილება იყო მოზდოკში ოსური სკოლის დაარსება (Камболов, 2007).

ზრუნავდნენ, რათა ქრისტიანობა კიდევ უფრო განმტკიცებულიყო. როგორც ჩანს, ეს იყო ერთგვარი პოლიტიკური გადაწყვეტილებაც, რომლის მიხედვითაც, რუსეთი გავლენას მოახდენდა კავკასიის როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ნაწილზეც და, მათ შორის, საქართველოზეც. ამ დროისათვის სპარსეთის ბატონობისგან დანაწევრებული ქართული სამეფო-სამთავროები ახალ ძალასა და დახმარებას ეძებდნენ, ვახტანგ მეექვსისა და მისი ამაღლის რუსეთში გამგზავრებაც ამისი დასტური იყო. ბ. კალოევი მიუთითებს, რომ ოსური საეკლესიო კომისიის შესახებ მსჯელობა ორი წლის განმავლობაში, თურქეთისაგან მალულად მიმდინარეობდა. ამავე მიზეზით, კომისიის მუშაობაში არ იყვნენ ჩართულნი რუსი საეკლესიო პირები და კომისია დაკომპლექტდა ქართველი სასულიერო მოღვაწეებით (Калоев, 1995, 193-194).

ოსეთის სასულიერო კომისია (რუს. Осетинская духовная комиссия) 1744 წელს შეიქმნა. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ არქიმანდრიტი პახომი, ილუმენი ქრისტეფორე გურამიშვილი (დავით გურამიშვილის ძმა), ილუმენი ნიკოლოზი, ყაზანის ეპარქიის დეკანოზი გიორგი დავიდოვი და სხვ. ეს იყო სამისიონერო ორგანიზაცია, რომლის მისიისა და საქმიანობის შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა შეხედულება. კომისიის მიზანი იყო განათლებისა და ქრისტიანობის გავრცელება ადგილობრივ მცხოვრებლებში, რომლის დახმარებითაც უნდა გავრცელებულიყო რუსეთის გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაში. ოსეთის სასულიერო კომისია მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან. როგორც აღვნიშნეთ, კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ ქართველები. გერმანული წარმოშობის სწავლული და მოგზაური, აღმოსავლეთმცოდნე, ლინგვისტი, იულიუს ფონ კლაპროთი (1783-1835), აღწერს რა ოსთა განსახლებისა და ყოფა-ცხოვრების ასპექტებს, ოსეთის სასულიერო კომისიის დაფუძნებასთან დაკავშირებით მიუთითებს: კომისიის ქართველი წევრები უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ყაზარდოელებისა და ჩეჩნების თავდასხმების თავიდან აცილების მიზნით, საკუთარ თავს აცხადებდნენ რუსეთის წარგზავნილებად. როგორც კლაპროთი აღნიშნავს, ეს რჩევა კომისიამ მიიღო ქურთათის, თესბის, გუჩისა და სხვ. ადგილობრივი სოფლების მაცხოვრებლებისაგან (Klaproth, 1812-1814).

ოსეთის სასულიერო კომისიის დაარსებისა და მუშაობის ქართულ წვლილზე მიუთითებს ზ. ჭიჭინაძეც: „ამ კომისიაში განაგებდნენ ქართველ ეპისკოპოზების გარდა ვახტანგ მეექვსის ძენი და მასთან სხვა და სხვა ქართველთ მწიგნობარნიც. ნამეტურ ქართულ სტამბის გამხსნელნიც შრომობდნენ ოსეთის ერის სასარგებლოდ და

უმთავრესად ქრისტიანულ გურამიშვილი, შემდეგ ეპისკოპოზი, რომელმაც ბევრი ამბები იცოდა ოსეთის შესახებ. ამის შემდეგ უმთავრეს მოღვაწედ ითვლება ეპისკოპოზი იოსებ სამეხელი, ნინო წმინდისა. ამათის ცნობებით „ოსეთის საქრისტიანო კომისია“ 1740 წლებში უკვე დიდათ გაფართოვდა. ამ კომისიის მეთაურებმა ოსებში ქართველ მღვდელ მთავრების დახმარებით მძლავრად დაიწყეს მოქმედება. ანტონ პირველის რუსეთში გადასახლების შემდეგიდამ კი სინოდის წინაშე გაირკვა ოსეთში საეპისკოპოზო კათედრის დაარსება, რის მეთაურიც ანტონ პირველი კათალიკოზი გახლდათ. ხოლო ეს ვერ მოხერხდა და ამიტომ ოსეთის საქმენი დაუქვემდებარეს ასტრახანის ეპარქიას. ამიტომაც ქართველთა მღვდელთმთავრების, არქიმანდრიტების და მისიონერების უმთავრეს ბინად ასტრახანი იქმნა დადგენილი, სადაც მართლაცა და ქართველნი მრავლად სცხოვრობდნენ იქაურ ეპისკოპოზის გვერდით და ესენი ოსებზედაც კარგად მოქმედებენ, რასაც ანტონ პირველიც ადევნებდა თვალყურს. ამათის ცდით, 1760 წლებს, ოსეთში სკოლებიც დახსნეს, სადაც ოსთა შვილებს ქრისტიანობას და ქართულ და რუსულ წერა-კითხვასაც ასწავლიდნენ. ანტონ პირველს ამაშიაც კაი ცდა მიუძღვის” (ჭიჭინაძე, 1913). ოსებს შორის ქრისტიანობის განმტკიცების, ოსური ენითა და ოსთა განათლებით ანტონ კათალიკოსის დაინტერესების შესახებ ზ. ჭიჭინაძე მიუთითებს: „ანტონ კათალიკოზი დიდათ დაინტერესებული იყო ოსეთის ერის ისტორიით. მას დიდათ სურდა რომ ამ ერში ქრისტიანობა მკვიდრად და სუფთად მოფენილიყოს. ანტონ კათალიკოზს ოსების დაწინაურება დიდად სწადდა. ამიტომ მან თავის მოწაფე ბერებთ შორის ოსებიც იყოლია, მათგან ოსური ენაც ისწავლა. ოსურს ენაზედ სურდა ამას, რომ საღმრთო წერილი ეთარგმნა, გალობაც დაეარსებინა” (ჭიჭინაძე, 1913).

ოსეთის სასულიერო კომისია XVIII საუკუნის დასასრულის ქართულ-რუსულ ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. როგორც ჩანს, კომისიის წევრები სხვადასხვა მიზეზითა და მიზნით ხვდებოდნენ ქართველ მეფეებსა და სასულიერო პირებს. 1946 წელს თეიმურაზ I და კათალიკოსი ანტონი კომისიის წევრს, ეფრემ ჯანდიერს შეხვდნენ. კომისიის ხელმძღვანელი, არქიმანდრიტი პახომიც ქართველი იყო. ოსეთის სასულიერო კომისიის წევრი იყო გრიგოლ რომანიშვილიც, რომელიც რუსეთ-თურქეთის ომის დროს საქართველოს რუსეთის მოკავშირეობისათვის შეხვდა ერეკლე მეორესა და სოლომონ პირველს. შესაბამისად, შესაძლებელია გამოიყოს ოსეთის სასულიერო კომისიის მუშაობის დამატებითი ასპექტებიც:

- ოსურ-რუსული ურთიერთობები;

- ქართულ-ოსური ურთიერთობები;
- ქართულ-რუსული ურთიერთობები;
- რუსულ-ოსურ-ქართულ-აფხაზური ურთიერთობები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ოსეთის სასულიერო კომისიის მუშაობა ოსეთში შემდეგი მიმართულებებით წარიმართა:

- ქრისტიანობის განმტკიცება;
- ეკლესია-მონასტრების აღდგენა;
- საგანმანათლებლო საქმიანობა.

ოსებში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება რამდენიმე ეტაპად მოხდა. ქართულ წყაროებში აღნიშნულია, რომ ოსებს ქართველებთან და სომხებთან ერთად უნდა გაეცნოთ ქრისტიანობა. მე-10 საუკუნეში ოსების დიდი ნაწილი ქრისტიანია. დავით აღმაშენებლის მოძღვარი და გამზრდელი, გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, დავით აღმაშენებლის პოლიტიკის აქტიური მხარდამჭერი, ოსეთში ცხოვრების დროს, ყურადღებას აქცევდა სარწმუნოებრივ და საგანმანათლებლო საკითხებს. აღსანიშნავია ნიკოლოზ დვალის (გარდ. 1314 წ.) სასულიერო მოღვაწეობა და წვლილი ოსების გაქრისტიანების საქმეში (დეტალურად იხ. უცნობი ავტორის „ნიკოლოზ დვალის მარტვილობა“, ქრესტომათია, 1946). როგორც ვთქვით, ოსეთში გადახვეწილი არჩილ მეფე დიდ ყურადღებას უთმობს ქრისტიანული სარწმუნოების სწავლა-განათლებას და ქრისტიანობის განმტკიცებას. შესაბამისად, ოსეთის სასულიერო კომისიის საქმიანობაც ამ ტრადიციის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს. ამასთან, ანგარიშგასაწევია აგრეთვე ზემოთ მოხსენიებული პოლიტიკური ფაქტორებიც: როგორც რუსეთის ინტერესები ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის მიმართ, ისე საქართველოს ინტერესი და მოლოდინები რუსეთისადმი.

ოსეთის სასულიერო კომისიის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავდა რამდენიმე სფეროს. მათ შორის, სასწავლებლების შექმნას ოსი ბავშვებისათვის, ასევე, საეკლესიო წიგნების გამოცემას. არქიმანდრიტი პახომი და გროგოლ რომანიშვილი ოს ბავშვებს წერა-კითხვას ასწავლიდნენ. 1764 წლის 27 სექტემბერს კომისიის ხელშეწყობით ქურთათის ხეობაში, მოზდოკის ციხე-სიმაგრესთან გაიხსნა სკოლა. სკოლის გახსნას წინ უძღოდა რამდენიმეწლიანი მოსამზადებელი სამუშაო. სკოლის გახსნის მიზეზად კომისია ასახელებდა იმას, რომ ახალგაზრდებს მშობლიური, ოსური ენა არ დავიწყებოდათ. საეკლესიო კანონიკის სწავლება ორ ენაზე: რუსულსა და ოსურ ენებზე

მიმდინარეობდა (История христианства..., 1992). სკოლის სახელწოდება – სკოლა ოსთა ბავშვებისა და სხვა მთიელთათვის (школа для детей осетин и прочих горских народов) – მიანიშნებს, რომ იგი გამიზნული იყო მოზდოკში მცხოვრები ოსი და სხვა მთიელი ხალხის ბავშვებისათვის.

ოსური სასულიერო კომისიის ხელმძღვანელი, არქიმანდრიტი პახომი თავადაც ეწეოდა საგანმანათლებლო საქმიანობას, ასწავლიდა ოს ახალგაზრდებს წერა-კითხვას, მათ შორის, ქართულ ენაზე (ბეპიევი, 2016, გვ. 3). 1753 წლის თებერვლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ არქიმანდრიტი პახომი ოს ყმაწვილებს თავისი ხარჯით ასწავლიდა წერა-კითხვას (Материалы... 1942, გვ. 34).

ქართულ-ოსური საგანმანათლებლო საქმიანობის თვალსაჩინო მაგალითია ოსი გადამწერების მწიგნობრული მოღვაწეობა. 1760 წელს სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ ერთ-ერთ ნუსხაზე დაცულია მინაწერი: „ლექსიკონისა ამის პირველად გადმოწერელი ოსის შვილი გვრივიძე ბახტა, ყოფილი ბაგრატ, გევედრები მხურვალთა გულითა უფალო, უკეთუ შეცთომილი რამე იხილოთ, ნუ მწევთ, თუ უკეთუ თქვენდა არსად დასაკლის იყოს. შენდობის წყალობას ვითხოვ, ხოლო აღიწერა წელსა ჩღჲ (1760), მაისის გ (3)“ (ღლონტი, 1955, გვ. 130-131). ტექსტს ახლავს გადამწერის ლექსი, რომელშიც ავტორი საუბრობს თავის ვინაობაზე, წარმომავლობასა და მასწავლებლის ვინაობაზეც. მას უსწავლია მამა პახუმის, იგივე არქიმანდრიტ პახომის დახმარებით, მისი ოსური სახელი ყოფილა ბახთა, ხოლო მონათლულა ბაგრატის სახელით, გვარად ყოფილა ბაზაზაშვილი, შემდგომში კი – გვრივიძე¹⁴, სოფელ ქურთადან. მამა პახომს უსწავლებია მისთვის წერა-კითხვა, ქართულენოვანი ლექსიკონის გადაწერა დაუწყია და დიდი შრომა გაუწევია, დაუსრულებია და მკითხველს შენდობას სთხოვს:

„მამამან პახუმ აღმზარდა, სულით არს განათლულია,
ოსნი მიწოდენ ბახთასა, ბაგრატ ვარ მონათლულია,
ბაზაზაშვილი, გვრივიძე სოფლით ვარ ქურთაულია,
წიგნი და კითხვა მასწავლა, წერა თან შენართულია.
ლექსიკონს ხელვეყავ აღწერად, ენით არს ეს ქართულია,
ამას ვშრომობდი ვიღვწოდი, მდიოდა თვალსა ლულია,

¹⁴ ბაგრატ (ბახთა) გვრივიძის წარმომავლობის შესახებ არსებობს რამდენიმე ვარაუდი. ნ. ძასოხოვის აზრით, ის იყო ბაზაზაშვილი, ანუ ბაზიზათი (Дзасохов, 1967, გვ. 95); ტ. გურიევის მოსაზრებით, გვრივიძე გურიევი უნდა ყოფილიყო (Гуриев, 1995).

რა სრულვყავ ესე დავიდე თავითა სართაულია,
ნუ მწყევთ, მკითხველნო ამისნო, თუც ნახოთ უმართულია” (ღლონტი, 1955, გვ. 130-131).

XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან, 1771 წლიდან, კომისიას ხელმძღვანელობს რუსი სასულიერო პირი. კომისიის წევრების ნაწილი რუსი მისიონერებისგან შედგება. ოსეთის სასულიერო კომისიის მუშაობა 1861 წელს დასრულდა. 1863 წელს კომისიის მუშაობა გააგრძელა კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების ეგიდით. ამ დროისათვის უკვე დადებულია გეორგიევსკის ტრაქტატი, გაუქმებულია ავტოკეფალია და საქართველოს, თბილისის, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ერთიანი ცენტრის ფუნქცია აქვს.

სამხრეთში მცხოვრები ოსებისათვის პირველი სასულიერო სკოლები გაიხსნა 1828 წლიდან ჯავაში, ჩესელათსა და ბეყმარში. ცნობილია, რომ 1864 წლიდან სასულიერო სკოლაში 140 მოსწავლე სწავლობდა (ბეპიევი 2008).

ცხინვალში დაწყებითი სასწავლებლები XIX საუკუნის მეორე ნახევარში უკვე არსებობდა. ანა ამილახვრის ინიციატივით 1875 წელს გაიხსნა სკოლა-პანსიონი, სადაც წერა-კითხვა, ღვთისმეტყველება, სოფლის მეურნეობა ისწავლებოდა.

I. V. 2 მიხეილ ყიფიანი და ოსთა განათლების საკითხები

მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი (1833-1891) თერგის ოლქის მთიელთა შორის განათლებისა და ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების (Общество по распространению образования и технических сведений среди горцев Терской области) დაარსებიდან, 1883 წლიდან, მისი პირველი ხელმძღვანელი იყო. მან განათლება გორის სამაზრო სასწავლებელში მიიღო, შემდეგ კი – კავკასიის სამიჯნო (სამიწათმოქმედო) სკოლაში. იგი იყო პედაგოგი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი წევრი, ილია ჭავჭავაძის თანამოაზრე, „საქართველოს მოამბისა“ და „ივერიის“ აქტიური თანამშრომელი. მიხეილ ყიფიანი იყო სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი, მათ შორის, გეომეტრია (1888 და 1891 წ.წ.) და არითმეტიკა (1884 წ.) და სხვ. მას დაუწერია სამოგზაურო ჟანრის თხზულება, „ყაზბეგიდან იალბუზამდე“ (1884 წ.), უთარგმნია შექსპირის ტრაგედია „იულიუს კეისარი“, ლერმონტოვის „გმირი ჩვენი დროებისა“ და სხვ.

1871 წელს მიხეილ ყიფიანმა თერგის ოლქის სამიჯნო სამმართველოში დაიწყო მუშაობა და საცხოვრებლად ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა. მან მთიელი ხალხის დიდი პატივისცემა დაიმსახურა. მიხეილ ყიფიანის პედაგოგიური მეთოდები განსაკუთრებით მოსწონდათ მის მოსწავლეებს (ბეპიევი, 2019ა, გვ. 41). ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ ახასიათებდა მიხეილ ყიფიანს, როგორც დიდ ერისკაცსა და საზოგადო მოღვაწეს: „მიხეილ ყიფიანი ერთი იმისთანა კაცი იყო, რომელთა მოვლენა და მერე გაცლა დიდხანს სტოვებს ცარიელად მის მიერ დაპყრობილს ადგილსა. როცა უნდათ შეიტყონ, ერი რა ღონისა და ძლიერების პატრონია, ყოვლთ უწინარეს იმისთანა კაცებს ჩამოუთვლიან ხოლმე, როგორიც მიხეილ ყიფიანი იყო. აი, ვინ დავკარგეთ დღეს, აი დღეს ვისა ვმარხავთ, აი, ვინ დააკლდა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ერს. ამისთანა კაცის დაკარგვა სწორედ კლებაა ერისა და ქვეყნისათვის” (ჭავჭავაძე, 1955, გვ. 55).

როგორც აღინიშნა, მიხეილ ყიფიანს დიდი წვლილი მიუძღვის ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების განათლების, ისევე, როგორც კულტურის, საყოფაცხოვრებო საქმიანობის ხელშეწყობაში. მას ძალზე აფასებდნენ ოსი საზოგადოების წარმომადგენლები, მათ შორის, კოსტა ხეთაგუროვი. „ილიასავით მაღალი აზრისა იყო მიხეილ ყიფიანზე გამოჩენილი ოსი პოეტი და საზოგადო მოღვაწე კოსტა ხეთაგუროვიც. კოსტა ხეთაგუროვისა და მიხეილ ყიფიანის ერთობლივმა მისწრაფებებმა და ბრძოლამ მთიელთა და, კერძოდ, ოსთა ინტერესების დაცვის საქმეში ჭეშმარიტად ძმური და განუყრელი კავშირით დაახლოვა ისინი” (ღუდუშაური, 1986, გვ. 57).

თერგის ოლქის მთიელთა შორის განათლებისა და ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელი საქველმოქმედო საზოგადოება დაარსდა 1883 წელს და მისი გამგეობის თავმჯდომარე გარდაცვალებამდე მიხეილ ყიფიანი იყო. მან შექმნა საზოგადოების წესდება, რომლის მიხედვითაც, საზოგადოების მიზანი იყო თერგის ოლქის მთიელთა შორის სასკოლო განათლების ხელშეწყობა. მათ შეეძლოთ სკოლების გახსნა, ერთკლასიანი, ორკლასიანი, სამკლასიანი სკოლების დაარსება, წიგნების გამოცემა და სხვ. „განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩაატარა „საზოგადოებამ” სახალხო სკოლების გაშლა-გაფართოებისათვის, ამ სკოლებში დედაენის სწავლებისათვის, ტექნიკური ცოდნის ჩვენების განვითარებისათვის. ამისათვის სახსრების შეგროვებისათვისაც ისევ გამგეობა ზრუნავდა. შეგროვილი თანხა ხმარდებოდა 43 სასკოლო შენობების აგებას, სახელმძღვანელოების გამოცემას, ბავშვებისა და უმაღლეს სკოლაში შემსვლელთა დახმარებას, ბიბლიოთეკების დაარსებას” (ბეპიევი, 2019ა, გვ. 43). მიხეილ ყიფიანის

უმუშალო თანამონაწილეობით, თერგის ოლქის საზოგადოებამ ხელი შეუწყო ჩრდილოეთ ოსეთში ეროვნული მწერლობის, საბავშვო მწერლობის შექმნა-განვითარებას, ოსურენოვანი გამომცემლობის დაარსებასა და ფუნქციონირებას, სახალხო სკოლების ქსელის შექმნას, ხოლო არსებული სკოლების გაფართოებას, კეთილმოწყობას. ამავე საზოგადოების წევრი იყო ოსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, კოსტა ხეთაგუროვი,¹⁵ რომელიც თერგის ოლქის საზოგადოების ანგარიშებს მიხეილ ყიფიანთან ერთად აწერდა ხელს. აღსანიშნავია, რომ მათი ერთობლივი საქმიანობა განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო და ქართულ-ოსურ საგანმანათლებლო ურთიერთობებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ამ მხრივ გამოვეყოფთ 1888 წელს ვლადიკავკაზის ქართული სკოლის დაარსებას, რომლის ინიციატორიც ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან: მიხეილ ყიფიანთან, ილია ჭავჭავაძესთან, იაკობ გოგებაშვილთან და სხვებთან ერთად იყო კოსტა ხეთაგუროვი. აღსანიშნავია, რომ ქართული სკოლის გახსნა ვლადიკავკაზში განიხილებოდა თერგის ოლქის საზოგადოების სხდომებზე. სკოლის დაარსების საკითხის საბოლოო დასამტკიცებლად მიხეილ ყიფიანმა მიმართა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელმაც მოიწონა ეს ინიციატივა და ერთჯერადი დახმარებაც (200 მანეთი) გამოყო ქართული სკოლის დასაარსებლად. ვლადიკავკაზის ქართული სკოლის დაარსება განპირობებული იყო XIX საუკუნის ბოლოს ქართველთა რაოდენობის ზრდით. სკოლის დაარსება ხანგრძლივი და შრომატევადი საქმიანობა იყო. ქართველი მეცენატების, დავით სარაჯიშვილის, ძმები სამადაშვილებისა და სხვათა დახმარებით შეიძინეს მიწის ნაკვეთი და ააშენეს შენობა. სკოლის პედაგოგები ძირითადად, ვლადიკავკაზში მცხოვრები ქართველები იყვნენ. პედაგოგები გაიგზავნა ასევე თბილისიდანაც. სკოლის შესანარჩუნებლად ქართველმა ინტელიგენციამ ქართული სკოლის ბაზაზე დააარსა ქართული თეატრი და აწყობდა საქველმოქმედო სპექტაკლებს, რითაც სკოლის კეთილმოწყობის თანხა გროვდებოდა (სარალიძე, 2019). ვლადიკავკაზის ქართული სკოლა დღემდე ფუნქციონირებს¹⁶.

მიხეილ ყიფიანს დიდი დამსახურება ჰქონდა ოსებისათვის მშობლიურ ენაზე სწავლების საქმეში. მისი ინიციატივით შეიქმნა ალმასხიტ კანუკოვის შედგენილი „ოსური ანბანი“ 1890 წელს, რომლითაც ოსი ახალგაზრდები ეუფლებოდნენ მშობლიურ

¹⁵ კოსტა ხეთაგუროვმა შექმნა მიხეილ ყიფიანის პორტრეტი და მის ხსოვნას ორი ლექსი მიუძღვნა.

¹⁶ სკოლის დაარსების აღსანიშნავად ფასადის ბარელიეფზე გამოსახულია მიხეილ ყიფიანისა და კოსტა ხეთაგუროვის პორტრეტები.

ენას. „ოსი ხალხი განსაკუთრებით საჭიროებდა „საზოგადოების“ დახმარებას ოსური სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემასთან დაკავშირებით. მიხეილ ყიფიანმა დღის წესრიგში დააყენა სკოლა-თავშესაფრების რეორგანიზაცია და ასეთი სკოლებისათვის ახალი სასწავლო პროგრამების დამუშავება. „საზოგადოება“ ცდილობდა ოსეთში შეექმნა ოსი ქალების მოსამზადებელი კერა, გადაწყვიტეს, მოემზადებინათ ქალები, რომლებიც, როგორც სახალხო მასწავლებლები, გარკვეულ სარგებელს მოუტანდნენ ამ მხარეს” (ბეპიევი, 2019ა, გვ. 45-46). მიხეილ ყიფიანის ინიციატივითა და ხელშეწყობით 1891 წელს დაარსდა სტეფანწმინდაში ქართული სკოლა.

გაზეთი „ივერია“ 1900 წელს №209 ნომერში ეხმიანება ოსეთში სკოლების გახსნის საკითხს სტატიაში „წერილი ოსეთიდან“. მასში აღნიშნულია, რომ 1869 წელს გაიხსნა რამდენიმე სკოლა, მაგრამ თავდაპირველად სკოლაში მხოლოდ ვაჟები სწავლობდნენ და მსმენელთა რაოდენობა მცირე იყო. „რამდენი დრო მიდიოდა, იმდენი სწავლა-განათლების სურვილი თანდათან ძლიერდებოდა ოსებში და დღეს სულ უკანასკნელს სამრევლოს ვერა ჰნახავთ მთაში და ბარათ, რომ სკოლა არა ჰქონდეთ და ორი, სამი მასწავლებელი არა ჰყვანდეთ“. მოსწავლეებს შორის არიან როგორც ვაჟები, ისე ქალები. სტატიაში აღწერილია კავკასის მაზრაში, სოფელ ნებიტში სასწავლო გარემო. სოფელში ათასამდე მოსახლეა, სადაც ერთი ორკლასიანი ვაჟების საეკლესიო-სამრევლო სკოლაა, ერთი ქალების საეკლესიო-სამრევლო სკოლა და სამი წერა-კითხვის სკოლა. ჰყავთ შვიდი მასწავლებელი, რომელთაგან სამი მასწავლებელს ხელფასს უხდის სოფელი. ერთი მასწავლებელი ემატებათ ენკენისთვიდან. წელიწადში უხდიან 120 მანეთს. თითო მოსწავლის მშობელი იხდის 1, 50 მანეთს. სულ 140 ვაჟი და 60 ქალი სწავლობს, თუმცა 460 მოსწავლეა მსურველი. მათ შორის 300-ზე მეტ გოგონას სურს სწავლა, ამდენი ადგილი არ აქვთ და კენჭისყრით შეარჩიეს 117 ქალი. წერილი ეკუთვნის ნესტორ ბაკურაძეს (1861-1931), საეკლესიო მოღვაწეს, პუბლიცისტსა და მისიონერს. წერილი გამოქვეყნებულია ფსევდონიმით – ქართველი ოსებში.

I. V. 3 ოსური ენის სწავლება თბილისის სასულიერო სემინარიაში XIX საუკუნეში

თბილისის სასულიერო სემინარიაში ოსურ ენას ასწავლიდა მწიგნობარი, მთარგმნელი და მწერალი, იოანე იალღუზიძე. „1829 წლიდან იოანე იალღუზიძე ქართულ და ოსურ ენებს ასწავლიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. პარალელურად ბევრს მუშაობდა, როგორც თარგმანებზე, ისე ორიგინალურ

თხზულებებზე” (თედევეი, 1965, 174). აღსანიშნავია, რომ სემინარიაში ოსური ენა ისწავლებოდა არა მხოლოდ ოსებისათვის, არამედ ქართველი ახალგაზრდებისთვისაც. „ამ სემინარიაში აღზრდილმა ქართველებმაც შესანიშნავად იცოდნენ ოსური ენა და ერთმანეთს ამ ენაზეც სწერდნენ” (ბეპიევი, 2008). თბილისის სასულიერო სემინარიაში ოსურ ენას სხვადასხვა დროს ასწავლიდნენ იოანე იაღლუზიძე, ვასილ ცორაევი, დანიელ ჭონქაძე, რომელმაც მოზდოკში შეისწავლა ოსური ენა, რადგან მამამისი, მღვდელი გიორგი ჭონქაძე, მოზდოკში მოღვაწეობდა და ოჯახთან ერთად ცხოვრობდა.

თბილისის სასულიერო სემინარიაში ოსური ენის სწავლების შესახებ ცნობას გვაწვდის ჟურნ. „მწყემსი” 1883 წ. „როდესაც თბილისის სასულიერო სემინარიაში შემოიღეს ოსური ენის სწავლება, მაშინ სამღრთო წიგნების ოსურ ენაზე თარგმნის საქმე კიდევ უფრო კარგად წავიდა. სემინარიაში მაშინ ოსები ბევრნი სწავლობდნენ; ამასთანავე მასწავლებლებიც (ჭონქაძე, მჟედლოვი და ცორაევი) განვითარებულნი იყვნენ ამ საქმეში. ესენი თვის მოწაფეებს ათქმევინებდნენ ხოლმე სემინარიის ეკლესიის კათედრიდამ ქადაგებებსა ოსურ ენაზე და გარდა ამისა ურიგებდნენ რომელიმე სამღრთო წიგნიდამ რაოდენიმე თავსა გადასათარგმნად და წიგნი შემდეგ მთლად იბეჭდებოდა. თვით მასწავლებელს ბატ. ვას. ცორაევს ეკუთვნის მშვენიერი ენით გადათარგმნილი სახარება, კათოლიკე ეპისკოპოსი მოციქულთა და სხვ. გარდა ამისა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოებას” ძალიან შველოდნენ ამ საქმეში მღვდელნი: ელაჯიკოევი და სუხიევი, რომელთაც გადასთარგმნეს მოსეს წიგნი. დეკანოზმა კოლიევმა გადასთარგმნა იოანე ოქროპირის, ვასილი დიდის და პირველ-შეწირულთა წირვანი, საღამოს ლოცვა, კურთხევანი და სხვ. არხ. იოსებმა შეადგინა ოსური ანბანი და გადასთარგმნა ზოგიერთი წიგნები” (მწყემსი 1883, №11). სტატიის ავტორია გიორგი ლიახველის ფსევდონიმით გიორგი სამაგლიშვილი (1855-1918), სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, შემდგომში კირიონ II სრულიად საქართველოს პირველი კათალიკოს-პატრიარქი (1717-18 წ.წ.). მან 1876 წელს დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია.

ჩვენთვის საინტერესოა, რომელი დამწერლობის საფუძველზე ისწავლებოდა ოსური ენა თბილისის სასულიერო სემინარიაში. აფხაზეთში მოღვაწე მღვდელმთავარ ალექსანდრე ოქროპირიძის არქივში დაცულია სამურზაყანოს ბლალოჩინის, დავით მაჭავარიანის წერილი აფხაზეთის ეპისკოპოსის, ალექსანდრე ოქროპირიძის მიმართ და

თხოვნა, მოუნათლოს ახალშობილი ვაჟი. წერილი დათარიღებულია 1863 წლის 21 ნოემბრით. წერილი შედგენილია რუსულ ენაზე და ერთვის მინაწერი ოსურ ენაზე, სადაც დავით მაჭავარიანი ოსურ ნაწილში შინაურულად სწერს და სთხოვს ალექსანდრე ოქროპირიძეს, მონათლოს ახალშობილი ძე. ქართული თარგმანი: „თქვენო უსამღვდელოესობავ, ან თქვენ ჩამოდით და მომინათლეთ ბიჭი, ან ნება მოგვეცით და თქვენს სახელზე მოვნათლავთ. ამ ორიდან ერთი თუ არ შეასრულეთ, მაშინ სამურზაყანოში აღარ შემოგიშვებთ თქვენ და მერე სად წახვალთ, გზას რომ არ მოგცემთ“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი ს. 908, გამახარია, 2006, გვ. 157). ოსური ჩანართი რუსულენოვან წერილში შესრულებულია ქართული ასოებით. ჩვენი აზრით, თუ თბილისის სასულიერო სემინარიაში ოსური ენა სლავური დამწერლობის საფუძველზე ისწავლებოდა, ბუნებრივია, რუსულენოვან წერილში ბლალოჩინი დავით მაჭავარიანი სლავურ დამწერლობას გამოიყენებდა ოსურენოვანი ტექსტისათვის. ქართულად დაწერილი ტექსტი არ შეიცავს იოანე იალღუზიძისეული ანბანის ნიშნებს.

თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულები: თომა ჩოჩიევი, გიორგი ჩოჩიევი (ლიახველი), ვასილ ცორაევი, აქსო კოლიევი და სხვები ფართო საგანმანათლებლო, მწიგნობრულ და ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ.

თომა ჩოჩიევმა 1855 წელს ჯავის თემის 40-მდე ვაჟისათვის ჩამოაყალიბა პირველდაწყებითი სასწავლებელი (ცხოვრებოვი, 1972).

XIX საუკუნის მიწურულს ქართულ-ოსური ურთიერთობების თვალსაზრისით უთუოდ აღსანიშნავია ქართველი სასულიერო მოღვაწის, ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძის (1861-1921), 1919-1921 წლებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, მოღვაწეობა. იგი იყო „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების“ მისიონერი და სკოლების ინსპექტორი 1888 წელს. ლეონიდეს თაოსნობით შეიქმნა ოსური სკოლები სამხრეთ ოსეთის სოფლებში – როკსა და ედისში და ჩრდილოეთ ოსეთის სოფლებში.

მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლებიდან კვლავაც იცვლება რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკა ცენტრისტულიდან რეგიონული პოლიტიკით და გარკვეული ცვლილებები ეხება ოსთა განათლების მიმართულებითაც. შესაბამისად, სასულიერო სასწავლებლებში რუსულთან ერთად ოსურ ენასაც ასწავლიდნენ, თუმცა 1884 წლიდან პოლიტიკა ისევ შეიცვალა და სამრევლო სკოლები სასულიერო

განყოფილების უფლებამოსილების ქვეშ აღმოჩნდა, რაც ოსური ენის სწავლებაზეც აისახა საერო, ე. წ. „სამინისტრო“ სკოლები ჩრდილოეთ ოსეთში XIX საუკუნის ბოლოდან იქმნება მუსლიმურ დასახლებებში. ამისი მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, იყო ის, რომ მაჰმადიანურ სოფლებში ქრისტიანული ეკლესიური სწავლების მეთოდებით განათლება არ მოხერხდებოდა.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, 1894-1900 წლებში თერგის ოლქის სახალხო სკოლების ინსპექტორის პოსტზე მიავლინეს ქართველი მწიგნობარი, პედაგოგი ალექსანდრე ჭიჭინაძე (1851-1917), რომელიც მანამდე თბილისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორი იყო. ამ პერიოდისათვის არარუს მოსახლეობაში რუსულენოვანი განათლებისათვის დანერგილი იყო ე. წ. „ლევიცკის მუნჯური მეთოდი“. ალექსანდრე ჭიჭინაძე, როგორც პედაგოგი და სკოლების ინსპექტორი, ამ მეთოდის წინააღმდეგია. მან შეამოწმა ქუთაისის, თბილისის, გორისა და ჩრდილოეთ ოსეთის სკოლები და „ლევიცკის მუნჯური მეთოდით“ სწავლებას ბრძოლა გამოუცხადა. „ალექსანდრე ჭიჭინაძე სწავლობდა რა კავკასიის ორივე მხარის სახალხო სკოლების გამოცდილებას, ყოველ ღონეს მიმართავდა, რათა თერგის ოლქის არარუსთა სკოლები დაეცვა „მუნჯური“ მეთოდის მავნე გავლენისაგან. რუსული ენის სწავლება დაემყარებინა ადგილობრივი მოსახლეობის დედაენაზე, აემღლებინა სასკოლო მუშაობის ხარისხი და მისი ავტორიტეტი კავკასიის „ინოროდცებს“ შორის. ცხადია, თუ თერგის ოლქის სკოლებში ღრმად ვერ გაიდგა ფესვები ლევიცკის ანტიპედაგოგიურმა მეთოდებმა და დედაენაზე დამყარებით რუსული ენის სწავლების უპირატესობა იქნა აღიარებული (როგორც რაციონალური გზა), ამ საქმეში გარკვეული წვლილი მიუძღვის ალექსი ჭიჭინაძეს, რომელმაც თერგის ოლქში შემოჭრილ „თვალსაჩინო მეთოდს“ ჩამოხსნა „ოინბაზური“ საბურველი და მისი ანტიპედაგოგიური ბუნება ბოლომდე ამხილა“ (სარიშვილი, 1965, გვ. 29).

1860 წლიდან განათლების საკითხებს ჩრდილოეთ ოსეთში ხელმძღვანელობდა „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოება“. მათი მთავარი მიზანი იყო განათლებისა და რელიგიური აღზრდის მიზნების გაერთიანება, რასაც მოჰყვა საქმიანობის გაფართოება და დაწყებითი სკოლების გახსნა. შესაბამისად, 1864-1867 წლებში სკოლების რიცხვმა 30-ს მიაღწია.”ამენდა ცალკეული სკოლის შენობები, ჩატარდა საგანმანათლებლო პროცესის მატერიალური მხარდაჭერა (История

Северо-Осетинской... 1959, გვ. 180). თუმცა სწავლება იმ დროისათვის მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა (Камболов, 2007).

1917 წლისათვის ჩრდილოეთ ოსეთში იყო 52 საეკლესიო და 35 სახალხო სკოლა. XX საუკუნის დასაწყისისათვის ვლადიკავკაზში ფუნქციონირებდა ორი ვაჟთა და ორი ქალთა გიმნაზია, ორი რეალური სასწავლებელი, მასწავლებელთა სემინარია, მასწავლებელთა ინსტიტუტი და კადეტთა კორპუსი. სასწავლებლები მუშაობდა რუსული საერთო პროგრამების მიხედვით. ოსურ მოსახლეობაში სკოლების ნაციონალიზაციის საკითხი ჩრდილოეთ ოსეთში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოსურ ენაზე სწავლებისა და ოსური ენის შესწავლის საკითხები დაკავშირებული იყო იმდროინდელ საგანმანათლებლო პოლიტიკასთან. შესაბამისად, „რუსიფიკაციის პრინციპების პრაქტიკული გამოხატულება იყო არა მშობლიური ენის პრიმიტიული აკრძალვა, არამედ მშობლიური ენის სწავლების მხარდაჭერის არარსებობა. იმპერიული პოლიტიკა განათლების სფეროში წარმოადგენდა „საგანმანათლებლო პროტექციონიზმის“ მხარდაჭერას” (Бзаров, 1999, გვ. 138). XX საუკუნის დასაწყისში ოსური ენის, როგორც სავალდებულო საგნის შესწავლა შესაძლებელი გახდა, თუმცა მხოლოდ 2 წლის განმავლობაში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სწავლის პროცესში გამოიკვეთა სასწავლო მასალის, მათ შორის, მეთოდური მასალისა და სახელმძღვანელოების სიმცირე (Камболов, 2007).

შიდა ქართლში, ცხინვალსა და ჯავაში 1864 წლიდან 1890 წლამდე ფუნქციონირებდა 24 სკოლა. სასულიერო სკოლების გვერდით იხსნებოდა საერო, ე. წ. სამინისტრო სკოლები. პირველი ასეთი სკოლა ცხინვალში 1881 წელს გაიხსნა. 1915 წელს კი 20 საერო სკოლა იყო. 1907 წელს თბილისში გაიხსნა ოსური საღამოს სკოლა, რომელსაც შემდგომში ვასო ცაბაევი ხელმძღვანელობდა. 1913 წელს თბილისში გაიხსნა დაწყებითი სკოლა ოსი ბავშვებისთვის (სარიშვილი, 1965). 1906 წელს თბილისში დაარსდა „ოსური საგამომცემლო საზოგადოება“, რომლის აქტიური წევრები იყვნენ ვასო ცაბაევი და გიორგი ჯიოთი. გაზეთი „ნოვ ცარდ“ 1907 წელს №4 ასახავს საზოგადოების დაარსების ისტორიას (მაცაბერიძე, გვ. 161).

ცხინვალისა და გორის მაზრებში, სწავლა-განათლება ძირითადად, შემოწირულებებით არსებობდა. ცენტრალური ხელისუფლება არ იყო დაინტერესებული სწავლა-განათლების კერების გამრავლებით. ცხინვალსა და გორის მაზრაში დაარსებული სასწავლებლები წერა-კითხვის გამვრცელებელი საზოგადოების მზრუნველობის ქვეშ

იყო, რამდენადაც ამ საზოგადოებას შესწევდა ძალა და ჰქონდა ამისი რესურსები. 1875 წელს ანა ამილახვარმა ცხინვალში გახსნა კერძო სკოლა-პანსიონი. 1881 წელს ცხინვალში დაარსდა ორკლასიანი სასწავლებელი, რომელსაც რვა ოთახი ეჭირა და ას ყმაწვილზე იყო გათვლილი, მაგრამ სკოლაში სწავლის მსურველთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ ყველა მსურველი ვერ დააკმაყოფილეს (დროება 1881, №15, გვ. 2). კირიონ ეპისკოპოსის (სამაგლიშვილი) ინიციატივით 1898 წელს სოფ. აწრისხევში დაარსდა სამრევლო ერთკლასიანი სკოლა, სადაც 20 ბავშვი სწავლობდა (ცნობის ფურცელი, 1899, №770). როგორც აღინიშნა, კირიონ სამაგლიშვილს განათლება მიღებული ჰქონდა გორისა და თბილისის სასულიერო სემინარიებში, იგი დიდად უწყობდა ხელს მთიელთა, მათ შორის აფხაზებისა და ოსების, სწავლა-განათლებას. მოსახლეობის ნაწილი თავად იხდიდა სასწავლებლის ხარჯებს. 1899 წელს საცხენისის მცხოვრებლებმა ითხოვეს ვანათის სკოლაში ევლოთ მათ შვილებს იმ პირობით, რომ გადაიხდიდნენ მასწავლებლის ჯამაგირს, შეშას და სკოლის ასაკის ყველა ბავშვი ჩაებმებოდა საგანმანათლებლო პროცესში (ცნობის ფურცელი, 1898, №775). 1898 წელს დაარსდა ერთკლასიანი სასწავლებელი სოფელ გერში რვა სოფლის მოსახლეობისათვის. სკოლის ხარჯებს მოსახლეობა შეაგროვებდა. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ აღნიშნავდა, რომ ქართლის სხვა სოფლების ოსებს მათთვის უნდა მიეზამათ და გაერთიანებულიყვნენ სკოლების გასახსნელად (ცნობის ფურცელი, 1899, №777).

XIX საუკუნის ბოლოს სკოლების უმრავლესობა შესაკეთებელია, მოსახლეობა დაინტერესებულია სასწავლებლების ფუნქციონირებით. აღსანიშნავია ჯავის ხეობის სოფლების, დრეს, ქვემო როკის, ზღუბირის, ჯომალისა და სხვა სოფლების მოსახლეობის სურვილი სკოლების შენარჩუნებასთან და ახალი სკოლების შექმნასთან დაკავშირებით (ცნობის ფურცელი, 1899, №778). ცხინვალში არსებობდა კერძო სკოლებიც, სადაც საკუთარი ხარჯით ასწავლიდნენ დიაკვნები და მონაზვნები (დროება, 1881, №73).

1866 წელს დაარსდა ჯავასა და ბესტავაანში **ქალთა სასწავლებლები**. ჯავაში 13 გოგონა სწავლობდა, ბესტავაანში – 7. სწავლის ქირა 15 მანეთი ღირდა, რაც მცირე თანხა არ იყო და ყველას არ შეეძლო გადაეხადა. „როზენი სწერდა სამხედრო მინისტრს, ა. ჩერნიშევს, მოსახლეობა ითხოვს სასწავლებლების გახსნასო, მაგრამ ყაზახ პოლიციელთა პოსტები გახსნეს სასწავლებლის ნაცვლად და ბოქაული დაუნიშნეს” (თავზიშვილი, 1948, გვ. 128).

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველომ დაიწყო სამინისტრო სკოლების გახსნა. 1881 წელს გაიხსნა ცხინვალის ორკლასიანი სასწავლებელი, 1884 წელს ახალგორის დაწყებითი სასოფლო სკოლა, 1886 წელს ცხინვალის ქალთა ერთკლასიანი სასწავლებელი, 1888 წელს ახალგორის ქალთა ერთკლასიანი სასწავლებელი, 1889 წელს კუდარის ერთკლასიანი დაწყებითი სკოლა. 1887-88 სასწავლო წელს ამ სკოლებში სულ 185 მოსწავლე სწავლობდა, მათ შორის 136 ვაჟი და 49 გოგონა (სარიშვილი 1965, გვ. 118). ფუნქციონირებდა ჯავის, მსხლებისა და ვანათის ორკლასიანი და ჟრიის, ორტევის, კოშკის, როკის, ზღუბირის, შუა ერმანისა და კეშელთის ერთკლასიანი სკოლები. 1891 წელს გაიხსნა ზაყორის, 1895 წელს ჩასავლის, 1896 წელს ცხინვალის ქალთა ორკლასიანი სკოლა, 1896 წელს ძარის სკოლა, იმავე 1896 წელს ედისის სკოლა ეს სკოლები იყო სამინისტროს დაქვემდებარებაში (საისტ. არქივი, ფონდი 93, საქმე 399, ფურც. 3-5; 7-9; ფონდი 141, საქმე 82, ფურც. 65-81; სარიშვილი 1965).

როგორც აღინიშნა, გაზეთი „ივერია“ ხშირად აშუქებდა ინფორმაციას ოსთა განათლების საკითხებზე როგორც ჩრდილოეთ ოსეთში, ისე საქართველოს ტერიტორიაზე. ფსევდონიმით „ქართველი ოსეთში“, ნესტორ ბაკურაძის წერილში, „წერილი ოსეთიდან“, ვკითხულობთ: „ამ ჟამად როგორც ბარის ოსებში, ისე მთის-ოსებშიაც დიდი სურვილი არის სწავლა-განათლების მიღებისა. ყველა სოფლებში ჰმეცადინეობენ, რომ ერთ-ერთ წინ გაუსწრონ ამ კეთილ საქმეში და უკან არ ჩამორჩნენ. აშენებენ თავიანთ ხარჯით საუკეთესო შენობებს სკოლისთვის, იწვევენ მეორე მასწავლებელს (თითო მასწავლებელს მთავრობა აძლევს ჯამაგირს) თავიანთის ხარჯით და სხვა... ერთი ამისთანა საქმეური სოფელი არის ამ ჟამად დარღვსი. დარღვსელებიც სხვა მთის ოსებივით შეუძღონი და ხელ-მოკლენი არიან, მაგრამ ამის მიუხედავად, შარშან დაიწყეს სკოლის შენობა და წლამდის გაათავეს, დარღვსელებს შენობა დაუჯდათ სულ ოთხასი (400 მ.), მაგრამ სწორეთ მოგახსენოთ, უცხო კაცმა რომ ნახოს, არ დაიჯერებს, თუ ღარიბ ოსებს შეეძლოთ თავიანთის ხარჯით ამ ნაირის მშვენიერის შენობის აგება. ამ სკოლის აშენების საქმეში დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის სოფლის მამასახლისს, სალამოვს. მეორე მასწავლებელიც მოიწვიეს და სკოლის შენობა 8 ნოემბერს აკურთხეს და დღეს ას ორმოცამდინ (140) მეტი ბავშვი სწავლობს“ (ივერია, 1898, №273).

გაზეთი „შრომა“, რომელიც ქუთაისში გამოდიოდა, 1883 წელს №17 ნომერში წერს: „სამხრეთ ოსეთში მხოლოდ სამი შკოლაა, განათლება სრულიად დაცემულია, ეს შკოლები არიან შემდეგ სოფლებში: ჯავაში, როკში და ბექმირში. ერთი შკოლაა რომელიც

წინად იყო სოფ. ორტევეში (საცა თომა ჩოჩიშვილის შემწეობით დაარსდა), გადაიტანეს სოფელ ვანათში ღმერთმა იცის რისთვის. ეჭვი არ არის, რომ 20000 მცხოვრებისათვის სამი შკოლა საკმაო არ არის” (შრომა, 1883. №17)

1890-91 სასწავლო წელს გაიხსნა სოფელ კოშკში საქალეზო სასწავლებელი, რომლის მასწავლებლად დანიშნეს თბილისის სასწავლებლის კურსდამთავრებული, ანა სანაკოშვილი. ოსი ქალებისათვის სკოლის გახსნას 1891 წელს გამოეხმაურა გაზეთი „ივერია“: „საქალეზო სასწავლებლის დაარსება ოსეთში საყურადღებო და სასიამოვნო ამბად უნდა ჩაითვალოს, რადგან დღეს ამ ქვეყანაში ქალი მეტად დუხჭირს მდგომარეობაში იმყოფება” (ივერია, 1891, №227).

ქალთა განათლების საკითხის მნიშვნელობის გამო შევადგინეთ სტატისტიკური ცხრილი, რომელიც ეყრდნობა ტ. სარიშვილის მონაცემებს (სარიშვილი 1965, გვ. 124-125).

ცხრილი №4

ოსი ქალების განათლება XIX საუკუნის ბოლოს

№	სასწავლო წელი	ქალი მოსწავლეების რაოდენობა საეკლესიო-სამრევლო სკოლებში	ქალი მოსწავლეების რაოდენობა სამინისტროს უწყების სკოლებში
1	1876	20	-
2	1880	12	-
3	1887	-	31
4	1890	-	32

ცხრილი ემყარება ტ. სარიშვილის ნაშრომში არსებულ მონაცემებს (სარიშვილი 1965).

I. V. 4 პირველი წიგნები ოსურ ენაზე

როგორც უკვე აღინიშნა, ოსური ენის საგანმანათლებლო და მწიგნობრული განვითარება მიმდინარეობდა ქართველი მეფეებისა და მწიგნობრების ჩართულობით, ასევე, ქართველი სასულიერო პირების დახმარებით, პარალელურად, როგორც საქართველოში, ისე ჩრდილოეთ ოსეთში. სწორედ ამას მოწმობს პირველი ოსური გამოცემები.

პირველი ოსური ნაბეჭდი წიგნი გაიოზ რექტორისა და პავლე გენცაუროვის მიერ 1898 წელს გამოცემული „მოკლე კატეხიზმოა“. წიგნი ორენოვანია, ოსურ-რუსული. ოსური ენისათვის გამოყენებულია საეკლესიო სლავური გრაფიკა. როგორც აღვნიშნეთ,

წიგნი თავდაპირველად ქართული დამწერლობის საფუძველზე მომზადდა, თუმცა საბოლოოდ რუსულ გრაფიკაზე დაყრდნობით გამოიცა.

1820 წელს გამოიცა იოანე იალღუზიძის „სამწუხრონი ლოცვანი“. წიგნი ორენოვანია, ოსურ-ქართული. ოსური ენისათვის გამოყენებულია ქართული ანბანი.

1820-24 წლებში იოანე იალღუზიძემ ოსურ ენაზე, ქართული ანბანის საფუძველზე, გამოსცა რამდენიმე წიგნი: 1820 წელს – „ლოცვანი (საცისკრონი და სამწუხრონი, კატეხიზმოსი და მოკლე ქრისტიანებრი ზნეობითი სწავლა)“, დაიბეჭდა თბილისში. ეს არის ქართულ და ოსურ ენებზე შედგენილი ლოცვანი. ორივეგან გამოყენებულია ნუსხური – საეკლესიო შრიფტი. 1824 წელს გამოიცა „გამოკრებილი კურთხევანი“, დაიბეჭდა მოსკოვში. იალღუზიძეს გამოუცია კიდევ ორი წიგნი ქართულ-ოსურ ენებზე: ანბანი და ლიტურდია (შანიძე, 1965, გვ. 170). იოანე იალღუზიძეს უთარგმნია და საგამომცემლოდ მოუმზადებია, თუმცა არ გამოცემულა სახარება ოთხთავი, რომელიც ასევე ქართული ანბანის მიხედვით არის შედგენილი.

1821 წელს თბილისში გამოიცა იოანე იალღუზიძის მიერ შედგენილი „ოსური ანბანი“.

1844 წელს ანდრიას შეგრენმა გამოსცა ოსური ენის გრამატიკა, რომელსაც ერთვის მოკლე ოსურ-რუსული და რუსულ-ოსური ლექსიკონი. გრამატიკა გამოიცა რუსულ და გერმანულ ენებზე.

1868 წელს გამოიცა დანიელ ჭონქაძისა და ვასილ ცორაევის მიერ შეკრებილი ოსური ფოლკლორული ნიმუშები. კრებული გამოსაცემად მოამზადა ა. შიფნერმა.

1899 წელს გამოიცა ოსი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, კოსტა ხეთაგუროვის პოეტური კრებული „Ирон фæндыр“ – „ოსური ლირა“.

ოსური ჟურნალ-გაზეთების დაარსება უკავშირდება ვლადიკავკაზსა და თბილისში მოღვაწე ოსი მწერლებისა და ინტელიგენციის საქმიანობას. გაზეთები და ჟურნალები დაარსებიდან მალევე იხურებოდა. ძირითადი მიზეზი იყო რუსეთის იმპერიის პოლიტიკური განწყობილებები და ფინანსური საკითხები. თბილისში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებთან თანამშრომლობდნენ ოსი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, რომლებმაც განათლება თბილისის სასულიერო სემინარიაში მიიღეს (ბეპიევი, 2018).

პირველი ოსური გაზეთი ოსურ ენაზე, „Ирон газет“ – „ოსური გაზეთი“ – 1906 წელს გამოიცა ვლადიკავკაზში.

1907 წელს გამოიცა მეორე ოსური გაზეთი „Ног цард“ – „ახალი ცხოვრება“ თბილისში.

1909 წელს ვლადიკავკაზში გამოიცა გაზეთი „Хабар“ – „ამბავი“.

1907 წელს ვლადიკავკაზში გამოიცა ოსური ჟურნალი „Зонд“ – „ცოდნა“.

1910 წელს თბილისში გამოიცა მეორე ოსური ჟურნალი „Афсир“ – „თავთავი“.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მეცხრამეტე საუკუნიდან საქართველოში დაიწყო სამრევლო სკოლების, საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნება, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან სკოლების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. აფხაზებითა და ოსებით დასახლებულ ტერიტორიებზე სწავლების ენა, თავდაპირველად, იყო რუსული და ქართული, თუმცა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, აფხაზებითა და ოსებით დასახლებულ ადგილებში ისწავლებოდა აფხაზური და ოსური ენებიც. რუსეთის იმპერიის საგანმანათლებლო პოლიტიკის მთავარი მიზანი იყო რუსული ენისა და რუსული ანბანის დანერგვა, რაც სხვადასხვა სასწავლო მეთოდით იქნა მიღწეული.

თავი II

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) და ეროვნული უმცირესობების განათლების საკითხები

აფხაზური და ოსური ენების სწავლება მე-20 საუკუნის დასაწყისში ძირითადად, გრძელდებოდა მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდის ტენდენციების მიხედვით, თუმცა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის, მათ შორის, განსაკუთრებით, აფხაზებისა და ოსებისათვის, ისევე, როგორც მთლიანად საქართველოს, მისი საგანმანათლებლო პოლიტიკის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, დემოკრატიულ არჩევნებს, რომელიც მრავალი ნიშნით იყო განსაკუთრებული: მრავალპარტიულობით, ეროვნული უმცირესობების თანამონაწილეობით, ქალების თანამონაწილეობით და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დეპუტატებს შორის იყვნენ 3 აფხაზი და 2 ოსი დეპუტატი¹⁷.

საქართველოში საგანმანათლებლო პოლიტიკის, ეროვნული უმცირესობების, აფხაზი და ოსი, ასევე, სხვა ეროვნული უმცირესობების სწავლების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს 1918 წლის 8 თებერვალს (ძველი სტილით 26 იანვარს), თბილისის უნივერსიტეტის დაარსებას, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პოლიტიკას და სასწავლო მიმართულებებს. უნივერსიტეტის გახსნაზე საქართველოს ეროვნული საბჭოს¹⁸ თავმჯდომარემ, აკაკი ჩხენკელმა აღნიშნა: „ქართული უნივერსიტეტის უწმინდესი მოვალეობაა ემსახუროს დემოკრატიის კანონიერ მოთხოვნილებებს, იგი უნდა დაუახლოვდეს ხალხს. თუ წინათ ეროვნული კულტურა ვიწრო ჯგუფისთვის იყო ხელმისაწვდომი, დღეს ეროვნული კულტურა მხოლოდ მაშინ არის ეროვნული, როცა

¹⁷ ჩვენი კვლევის მიზანი არ არის დავადგინოთ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დაპირისპირებების მიზეზები და შედეგები, თუმცა საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებამდე ცოტა ხნით ადრე და გამოცხადების შემდეგაც იკვეთება ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დაპირისპირებები. ამ პერიოდში ბოლშევიკური რუსეთი ყველანაირად ცდილობდა აფხაზებისა და ოსების გადაბირებას, რაც აჯანყებების მიზეზი გახდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა „დაუნდობლად უსწორდება მათ, მაგრამ მნელია ამ დაპირისპირების მონათვლა ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილ პრობლემად“ (მაცაბერიძე, წერეთელი, 2014, გვ. 115).

¹⁸ საქართველოს ეროვნული საბჭო იყო საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლობითი ორგანო 1917-1919 წლებში, რომელმაც ჩაატარა არჩევნები და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გამოაცხადა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

მთელი ხალხისათვის ხელმისაწვდომი გახდება... მეცნიერება უნდა იყოს დემოკრატიის დამცველი. დემოკრატიასა და მეცნიერებას შორის არსებული კავშირი უნდა იყოს დაცული ქართულ უნივერსიტეტში. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ქართულ უნივერსიტეტის ხელმძღვანელები პირნათლათ შეასრულებენ თავის წმინდა მოვალეობას” (ერთობა, 1918. №2).

მიზანშეწონილად ვთვლით, სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი მივუძღვნათ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-21 წ. წ.) ეროვნული უმცირესობების საკითხებს განათლების პოლიტიკისა და ისტორიის კრილში. მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ძალზე ხანმოკლე პერიოდი, მას საეტაპო მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული ღირებულებების, განათლების პოლიტიკის, ეროვნული უმცირესობების განათლების საკითხების დაგეგმვის თვალსაზრისით, რაც მრავალი ხნის განმავლობაში ცალკე კვლევის საგანი არ ყოფილა, რადგან ამ მიმართულებით კვლევები საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში შეუძლებელი იყო, ხოლო ბოლო წლებში სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსული საარქივო მასალები დამაჯერებელ სურათს იძლევა, ვიმსჯელოთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეროვნული უმცირესობების განათლების პოლიტიკის შესახებ.

სტივენ ჯონსი ნაშრომში „სოციალიზმი ქართულ ფერებში, სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა 1883-1917”, მიუთითებს მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს ევროპული განვითარების ტენდენციებზე: „1900 წელს საქართველო თანამედროვე განვითარების ზღურბლზე იდგა, ეთნიკურად, სოციალურად და ეკონომიკურად დანაწევრებული, მაგრამ სულ უფრო და უფრო განათლებული და წიგნიერი, ცივილიზებული და „ეროვნული“. 1860-1880 წლებში თერგდალეულებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ქართული სოციალ-დემოკრატიის მიმართულების განსაზღვრაში. 1860-1890 წლებში ქართული ელიტის დომინანტური ძალის, სოციალ-დემოკრატიის პასუხი ოთხი კონტექსტით – კოლონიალიზმით, მრავალეთნიკურობით, კუთხურობითა და სოციალური დაყოფით – განპირობებულ სირთულეებზე რომანტიზმის, ნაციონალიზმისა და პრაგმატიზმის ნარევს წარმოადგენდა. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ სწავლება ქართულ ენაზე ყოფილიყო და ისტორიას, ხელოვნებასა და ლიტერატურას იყენებდნენ, როგორც იარაღს ერთიანობისთვის ბრძოლაში და სხვებსაც მოუწოდებდნენ, რომ ემოქმედათ, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თვითგამორკვევის საკითხებზე ეფიქრათ, როგორც ამას ევროპელები

აკეთებდნენ” (ჯონსი, 2018, გვ. 41-42). სტივენ ჯონსის ეს შეფასება აშკარად მიუთითებს, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველო, გავლენებისაგან შემდგარი, ამაღროულად, თავისთავადი, განსხვავებული, ორიგინალური იდენტობის, ხედვების მქონე ქვეყანაა, რომელიც ცდილობს იმპერიულ და კოლონიურ რეჟიმს ჩამოშორდეს და დამოუკიდებლობა მოიპოვოს.

გერმანულ სამეცნიერო წყაროებში მითითებულია, რომ 1918 წლისათვის კავკასია და, განსაკუთრებით, საქართველო, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე იდგა როგორც რუსული ზეგავლენისაგან გათავისუფლების, ისე თურქეთის ინტერესებიდან თავდაღწევის და, ასევე, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, შიდა დაპირისპირებების, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებთან დაპირისპირების გამო, თუმცა ქვეყანამ შეძლო ამ სირთულეების გადალახვა ძალზე მოკლე ხნით (Zürer, 1978).

„ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა თავიანთ პროგრამაში ჩააქსოვეს თემები, რომლებიც ეროვნულ თვითგამორკვევას ეხებოდა და სოციალ-დემოკრატებს შორის პირველებმა დაამტკიცეს, რომ ნაციონალიზმი და სოციალიზმი ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგებოდა, არამედ ავსებდა. ეროვნული უფლებები დემოკრატიული სოციალიზმისთვის მთავარი იყო” (ჯონსი, 2018, გვ. 42). შესაბამისად, ის ძირითადი პრინციპები და მისწრაფებები, რაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებლებს ჰქონდათ, წარმოადგენდა დემოკრატიული ღირებულებების, ამაღროულად, სოციალური სამართლიანობისა და ნაციონალური იდენტობის შენარჩუნებისა და დაცვის ერთიანობას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისთანავე (1918 წ.) დაიწყო საკანონმდებლო საქმიანობაც. მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი და ნორმა რეგულირდებოდა საქართველოს პირველი პარლამენტის მიერ მიღებული კანონით. ეროვნული უმცირესობების უფლებების შესახებ, მათ შორის, განათლების, ეროვნული უმცირესობების ენების დაცვის საკითხების ნორმირებისათვის, გამოიცა რამდენიმე დადგენილება. აღნიშნული საკითხი შესულია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტშიც: „საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წელს, ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

7) დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ

უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე” (საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, 1918 წ.).

1918 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს პირველი რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს სახელმწიფო ენა“, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსს. მნიშვნელოვანია აგრეთვე აღინიშნოს, რომ იმავე წლის 15 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში „წესი ენის ხმარებისა“, შევიდა დამატება და პარლამენტში სახელმწიფო ენასთან ერთად განისაზღვრა ეროვნული ენების გამოყენების პირობები და პროცედურები. კერძოდ, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტის წევრებისათვის დაშვებული იყო თავიანთ მშობლიურ ენაზე წარმოეთქვათ სიტყვა, თუ სათანადოდ ვერ ფლობდნენ სახელმწიფო ენას და ასევე, თუ პარლამენტის კიდევ ერთ წევრს მაინც შეეძლო იმ ენაზე საუბარი. გარდა ამისა, რეგლამენტის მიხედვით, ამ სიტყვის შინაარსი უნდა თარგმნილიყო ქართულ ენაზე, თუ მინიმუმ 15 დეპუტატი მოითხოვდა.

მნიშვნელოვანია აგრეთვე 1919 წლის 14 იანვარს მიღებული კანონი „ადგილობრივ თვითმმართველობათა ორგანოებში ენის ხმარებისა“, სადაც განსაზღვრული იყო, რომ იმ რეგიონებში, სადაც მცხოვრებთა ნახევარზე მეტი საუბრობს არაქართულ ადგილობრივ ენაზე, თვითმმართველობის დადგენილებით, შესაძლებელია, საქმის წარმოება ქართულთან ერთად, სხვა ენაზეც ყოფილიყო შემოღებული.

საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისათვის საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს არსებობდა ყველა პირობა, რომ მათ თავიანთი მშობლიური ენა შეენარჩუნებინათ და მიეღოთ როგორც პირველდაწყებითი და საშუალო განათლება, ასევე, უმაღლესი განათლება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აფხაზებისა და ოსების განათლების საკითხები, მათ შორის, აფხაზური და ოსური ენების სწავლებისათვის გაწეული საქმიანობა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაარსებისას უკვე არსებობდა აფხაზური და ოსური მოსახლეობისათვის საანბანო და სასკოლო განათლების ტრადიცია, რომელიც შემდგომშიც გაგრძელდა, თუმცა ახალი ასპექტებიც შეიძინა.

როგორც უკვე აღინიშნა (იხ. თავი I), საქართველოში მცხოვრები აფხაზებისა და ოსებისათვის მეცხრამეტე საუკუნიდან იწყება სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო კერის შექმნა. აღნიშნულ პერიოდში საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია. შესაბამისად, რუსეთის იმპერია დაინტერესებული იყო, ერთი მხრივ, სწავლა-

განათლების კერების დაარსებით, ხოლო მეორე მხრივ, მოსახლეობაში რუსული ენის პოპულარიზაციით, მათ შორის, რუსული ენის ცოდნის უზრუნველყოფითა და საქმისწარმოებითი და ყველა სხვა ტიპის წერილობითი კომუნიკაციის რუსულ ენაზე წარმართვით. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, გეორგიევსკის ტრაქტატისა და 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის შემდეგ, რუსეთი უკვე მტკიცედ იკიდებს ფეხს საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ტ. ხუნდაძე, 1937 წელს გამოცემულ კვლევაში, „საერო განათლება საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში“, აღნიშნავს, რომ მეფის რუსეთის შემოსვლას საქართველოსა და ამიერკავკასიაში შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნები ჰქონდა, მათ შორის, კავკასიის ნედლეულის მოპოვება და ახლო აღმოსავლეთისკენ გზის გახსნა. „მეფის რუსეთის ხელისუფლებას აღნიშნული მიზნების განხორციელება მხოლოდ თავისი მოხელეებისა და ჯარის მეშვეობით (თუ ადგილობრივი დასაყრდენი ძალა არ ეყოლებოდა) მეტად გაუძნელდებოდა. ამიტომ ყველაზე ადრე მან ეს ძალა, მცირე ნაწილის გამოკლებით, ქართველ თავად-აზნაურობაში ჰპოვა. მაგრამ რუსული ენის უცოდინარი, რუსულ კანონებს შეუჩვეველი, ბიუროკრატიული მართვა-გამგეობისათვის უცხო, რუსულად „გაუნათლებელი“ ფეოდალურ-პარტიკულარულ ტენდენციების მქონე ქართველი თავადაზნაურობა მეფის მთავრობისათვის ყველაფერში გამოსადეგი არ იქნებოდა. ეს გარემოება გათვალისწინებული ჰქონდა მეფის რუსეთის ხელისუფლებას საქართველოში გაბატონების პირველსავე წლებიდან. რუსული სკოლა მთავარი იარაღი იქნებოდა, რომელიც მთავრობას ახლო მომავალში ახალი მართვა-გამგეობისათვის შესაფერ კადრსაც მისცემდა... და მჭიდრო ურთიერთობის დამყარებასა და თანამშრომლობას შეუწყობდა ხელს“ (ხუნდაძე, 1937, გვ. 74).

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ რუსეთის იმპერიაში განსაკუთრებული დაკვირვების ქვეშ იყო კავკასია და კავკასიელი ხალხები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი განათლების მინისტრი, გიორგი ლასხიშვილი (1866-1931), თავის მემუარებში, რომელიც 1885-1915 წლებს ეხება, აღნიშნავს: „კავკასიის ბიუროკრატია ჩვეულებად და კანონად ჰქონდა რომელიმე კავკასიელ ერის ნიშანში ამოღება და იმისი განსაკუთრებითი დევნა-შევიწროება. პირველმა მთავარ-მართველმა დონდუკოვ-კორსაკოვმა განსაკუთრებით ქართველობა მიიჩნია იმპერიისათვის საშიშ ელემენტად და განსაკუთრებით ქართველ ერს დაუწყო დევნა. ქართული ენა, ქართული სკოლა, ეკლესია, ქართული საზოგადოებრივობა ათვალწუნებული იყო და განიცდიდა

განსაკუთრებულს დევნას. იანოვსკი, სამოსწავლო ოლქის მმართველი მძვინვარებდა სკოლაში, ეგზარხოსები ეკლესიაში და, ბოლოს, მეფის ჯალათებმა აწამეს და ბოლოს დაქირავებულის მკვლელებით სიცოცხლე მოუსპეს გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს – დიმიტრი ყიფიანს, – რომელმაც გაჰყვინძა და ხმა ამოიღო ბიუროკრატის ამ თავგასულობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ. იმ ხანაში ბიუროკრატია კავკასიის დანარჩენ ერებს – სომხებსა და თათრებს თითქოს ეფერებოდა და, შედარებით ნაკლებ შევიწროებას აყენებდა, რათა ამგვარად იზოლაციაში მოემწყვდია ქართველი ერი და თავისუფლად, ხელშეუშლელად ეწარმოებინა მის წინააღმდეგ გამანადგურებელი პოლიტიკა. 90-იანი წლების დასასრულს, პირიქით, ჯერი მიდგა სომხებზე. ეხლა სომხობა იქნენ აღიარებული იმპერიისთვის მეტად საშიშ ელემენტად და კავკასიის ბიუროკრატამ სომხებზე მიიტანა მძლავრი იერიში” (ლასხიშვილი, 1934. გვ. 110). ამ ფონზე უთუოდ მნიშვნელოვანია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება და ის საკანონმდებლო საქმიანობა, რომელიც მიმართული იყო ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისაკენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დეპუტატების 1918 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით, უნდა დაჩქარებულიყო საქართველოს კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა. შეიქმნა სპეციალური საკონსტიტუციო კომისია და კონსტიტუციის ცალკეული თავები განაწილდა კომისიის წევრებს შორის. მაგალითად, პ. საყვარელიძეს დაევალა შეემუშავებინა შემდეგი საკითხები: საზოგადო დებულებანი, სახელმწიფო ტერიტორია, მოქალაქეთა უფლებანი; ს. დადიანს – ეროვნული უმცირესობების უფლებანი; რ. არსენიძეს – საკანონმდებლო ორგანო; ი. ჩერქეზიშვილს – კორპორაციული უფლება; კ. მაყაშვილს – სამოსამართლო მმართველობა და სხვ.

განათლების საკითხებზე მსჯელობისას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დეპუტატებს შორის არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა, მათ შორის, პედაგოგებისა და პროფესორების საპარლამენტო და პოლიტიკურ საქმიანობის შეთავსების საკითხებზე. კერძოდ, სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახური შეუთავსებლად ჩაითვალა პედაგოგების საქმიანობასთან. დეპუტატი გიორგი გვაზავა აღნიშნავდა, რომ პროფესორების საქმიანობა საქართველოსთვის შესაძლოა უფრო სასარგებლო ყოფილიყო, ვიდრე მათი სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახური: „იმიტომ, რომ სწორედ პროფესორები შეიძლება, ჩვენთვის უფრო საჭირონი არიან, გონებით, ჭკუით, განათლებით ბრწყინვალენი არიან, და პროფესორები, რასაკვირველია,

ძალიან სასურველია, რომ დარჩნენ.” (სდკ, სტ. ანგარიშები, 1919, გვ. 16). შესაბამისად, საქართველოს დამფუძნებელთა კრების წევრობა სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახურთან შეუთავსებელი იყო გარკვეული თანამდებობების დასაკავებლად. უმაღლესი სკოლის პროფესორები, პრივატდოცენტები, რექტორები ერთგვარ გამონაკლისს შეადგენდნენ.

ეროვნული უმცირესობების უფლებებისა და, ზოგადად, განათლების საკითხებთან დაკავშირებით, რამდენიმეთვიანი მუშაობა ასახულია საქართველოს 2018 წლის კონსტიტუციაში. მასში სხვა საკითხებთან ერთად გათვალისწინებული იყო უფასო დაწყებითი განათლება (მუხლი 110) და სხვ. „საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავების დროს უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიჩნეული იყო ეროვნულ უმცირესობათა კონსტიტუციური უფლებებისა და გარანტიების ჩამოყალიბება. ეროვნული უმცირესობების უფლებები კონსტიტუციის მე-14 თავში აისახა. ყველა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს საკუთარ ენაზე სწავლისა და განვითარების უფლება ეძლეოდა, ისევე როგორც საკუთარი თვითმმართველობებისა და კავშირების დაარსების შესაძლებლობა. თავიანთი უფლებების დასაცავად, მათ შორის აღნიშნული კავშირების საშუალებით, ისინი უფლებამოსილი იყვნენ, სასამართლოსათვის მიემართათ (პაპუაშვილი 2013, გვ. 15)“.

საკონსტიტუციო მუშაობა დაჩქარებულ რეჟიმში, საომარ პირობებში მიმდინარეობდა. არსებობდა საფრთხე, რომ კონსტიტუციის ბოლომდე შემუშავება და მიღება შეფერხდებოდა შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო. წითელი არმიის თავდასხმის პირობებში დამფუძნებელთა კრების სხდომა ბათუმში გაიმართა. საქართველოს დამფუძნებელთა კრებამ 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია ერთხმად მიიღო. როგორც აღნიშნავენ, კონსტიტუციის მიღებას სახალხო ზეიმი არ მოჰყოლია, ზარბაზნების ხმა უკვე ბათუმშიც ისმოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში სრულად აისახა ის ხედვები და ძირითადი ტენდენციები, რაც საქართველოს პირველი რესპუბლიკის დეპუტატებსა და მთავრობას ჰქონდა ეროვნული უმცირესობების უფლებების, ასევე, ეროვნული უმცირესობების განათლების საკითხების, მათი კულტურის შენარჩუნების, ეროვნული უმცირესობების ენების შენარჩუნების, სწავლებისა და ამ ენების გამოყენების შესახებ. კონსტიტუციის მეოთხემეტე თავი მთლიანად ეხება ეროვნულ უმცირესობებს და განსაზღვრავს იმ ძირითად უფლება-მოვალეობებსა და ვალდებულებებს, რაც

სახელმწიფოს გააჩნია ქვეყნის მოქალაქე ეროვნული უმცირესობების მიმართ. მეთოთხმეტე თავის პირველივე მუხლში (მუხლი 129) განსაზღვრულია ეროვნული უმცირესობების განათლების საკითხები, მათ შორის, მათ მშობლიურ ენაზე განათლების ხელმისაწვდომობის საკითხი: „მუხლი 129. არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა. ყველას აქვს უფლება სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა-ენაზე” (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, 2013). აღნიშნული ჩანაწერი კონსტიტუციაში გულისხმობს შემდეგს: ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს შეუძლიათ თავისუფალ სოციალურ და ეკონომიკური განვითარებასთან ერთად, საკუთარი კულტურული და ნაციონალური განვითარებისათვის ზრუნვა, მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, მშობლიურ ენაზე განვითარება, მათ შორის, ბეჭდური მასალის მომზადება და გამოცემა.

კონსტიტუციის მეთოთხმეტე თავში სულ 9 მუხლია, რომლებშიც თანმიმდევრულად არის ახსნილი და გაანალიზებული სახელმწიფოებრივი ხედვა ეროვნული უმცირესობების მიმართ. 130-ე მუხლში ვკითხულობთ: „ეროვნულ უმცირესობისაგან შემდგარი ადგილობრივ თვითმართველობის ერთეულებს (თემი, ერობა, ქალაქი) უფლება აქვთ შეერთდნენ და დააარსონ ეროვნული კავშირი თავის კულტურულ-განმანათლებელი საქმეების უკეთ მოსაწყობად და გასაძლელად კონსტიტუციისა და კანონის ფარგალში. ეროვნულ უმცირესობას, რომელსაც ასეთი თვითმართველობის ორგანოები არ მოეპოვება, შეუძლია ამის გარეშე შეადგინოს ეროვნული კავშირი ამ მუხლში აღნიშნული უფლებითა და კომპეტენციით. ეროვნულ კავშირში შესვლა ხდება სალაპარაკო ენის მიხედვით. ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-განმანათლებელ საქმიანობათა დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო და თვითმართველობათა ბიუჯეტიდან გადაიღება ფინანსიური საშვალეები პროპორციულად მცხოვრებთა რაოდენობისა” (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, 2013). როგორც ვხედავთ, ამ მუხლში ეროვნული უმცირესობების გაერთიანებების შესახებ არის საუბარი, რომლებშიც კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნების შესაბამისად შესაძლებელია გარკვეული საქმიანობების წარმართვა.

უთუოდ მნიშვნელოვანია კონსტიტუციის 134 და 135 მუხლები, სადაც ასევე საგანგებოდ არის საუბარი ეროვნული უმცირესობებისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსების ვალდებულებებზე, ასევე, ეროვნული უმცირესობებისათვის მშობლიურ ენაზე განათლების საკითხებზე: „მუხლი 134. ეროვნულად ნარევი ადგილობრივი მმართველობა ვალდებულია სწავლა-განათლებისათვის გადადებული თანხით დააარსოს საკმაო რიცხვი სკოლების და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებისა მოქალაქეთა ეროვნულ შედგენილობის პროპორციის მიხედვით. მუხლი 135. ეროვნულ უმცირესობის სკოლაში სწავლება სწარმოებს ბავშვის სალაპარაკო ენაზე” (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, 2013).

ეროვნული უმცირესობების შესახებ შედგენილი მეთოთხმეტე თავის ბოლო ორი მუხლი ეხება ეროვნული უმცირესობების ენების დაცვის საკითხებს და განსაზღვრავს სახელმწიფო ენისა და უმცირესობების ენების მოხმარების წესებს (მუხლი 136), ხოლო 137-ე მუხლში ასახულია საქართველოს პარლამენტში ეროვნული უმცირესობების უფლებების, მათ შორის, დებატებში მონაწილეობის ენობრივი ფაქტორები. ეს კი, თავის მხრივ, ემყარება 1918 წელის 1 ოქტომბერს მიღებულ კანონს „საქართველოს სახელმწიფო ენა”, ასევე, იმავე წლის 15 ოქტომბერს მიღებულ რეგლამენტს „წესი ენის ხმარებისა” და სხვ. „მუხლი 136. ადგილობრივ მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20%-ს, ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედა-ენაზედაც. მუხლი 137. არა ქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედა-ენით, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენს პარლამენტის პრეზიდენტს. დაწვრილებით წესს განსაზღვრავს კანონი” (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, 2013).

ცნობილი გერმანელი მკვლევარი, ვოლფგანგ ბაბეკი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საქმიანობას საკონსტიტუციო საკითხებში ეროვნულ უმცირესობებთან კავშირში ასე აფასებს: „1921 წლის 21 თებერვალს საქართველოში მიიღეს დამოუკიდებელი სახელმწიფოს კონსტიტუცია, რომელსაც ძალაში შესვლა, სამწუხაროდ, თურმე არ ეწერა. უკვე ოთხი დღის შემდეგ საქართველოში წითელი არმიის

შემოსვლის შედეგად გამოცხადდა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“ – სსსრ. ამით დასრულდა ქვეყნის თითქმის სამწლიანი დამოუკიდებლობის პერიოდი. 1921 წლის კონსტიტუცია იმ დროისათვის ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ კონსტიტუციად ითვლებოდა და შეიცავდა მრავალ სოციალ-დემოკრატიულ ელემენტს, მაგალითად, სოციალ-ეკონომიკური უფლებების საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს და ცალკე თავს ეროვნული უმცირესობების უფლებათა შესახებ (ბაბეკი, 2002, გვ. 10).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო საქმიანობა, ასევე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია აშკარად მიუთითებს, რომ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების, მათ შორის, აფხაზებისა და ოსების უფლებები, ასევე, მათი მშობლიურ ენაზე განათლების საკითხები, კანონით იყო რეგულირებული და ამას პრაქტიკული ასახვაც ჰქონდა, თუმცა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობის გამო, დაგეგმილი საკანონმდებლო ღონისძიებები ვერ განხორციელდა.

თავი III

აფხაზური და ოსური ენების სწავლება საბჭოთა ეპოქაში

საბჭოთა კავშირი დაარსდა 1922¹⁹ წელს და 1991 წლამდე იარსება. ეს იყო მულტიეთნიკური, მულტიკულტურული, მულტილინგვური, მულტირელიგიური ქვეყანა. ათწლეულების განმავლობაში რუსული ენისა და კულტურის იდეოლოგიური ზეგავლენის შედეგად ჩამოყალიბდა საბჭოთა კულტურა, რომელიც მთლიანად რუსულენოვანი იყო. რუსული ენა ერთდროულად აუცილებელ, სავალდებულო და ელიტურ ენად იქცა. რუსული ენის მრავალმხრივმა და იძულებითმა სტატუსმა საბჭოთა კავშირში მცხოვრები ხალხების უმრავლესობაში დიდი იდეოლოგიური ზეგავლენა და იდენტობის რუსულ ენასა და კულტურასთან ფორმირება გამოიწვია. როგორც აღნიშნავენ, „საბჭოთა საგანმანათლებლო და ენობრივი პოლიტიკის შედეგად საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები – რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, აფხაზები, ოსები, ბერძნები, ქურთები და სხვები გახდნენ რუსული პოლიტიკური და ენობრივი საზოგადოების ნაწილი“ (ტაბატაძე, 2008, გვ. 66).

მნიშვნელოვანია იმისი ხაზგასმა, რომ რუსულ იდენტობასთან განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებდნენ საბჭოთა კავშირში შემავალი ეთნიკური უმცირესობები. საკუთარი ენისა და კულტურის გვერდით ისინი სწავლობდნენ და ეცნობოდნენ არა რეგიონულ ენას (საქართველოს მაგალითზე, ქართულს), არამედ რუსულ ენას. იდენტობის ამგვარმა ფორმირებამ კი შემდგომში წარმოშობილ კონფლიქტებში ერთ-ერთი მთავარი როლი ითამაშა.

ცნობილია, რომ თვით იდენტობა შედგება იდენტობების მრავალფეროვნებისაგან, სადაც თითოეული კომპონენტი შესაძლოა იყოს წამყვანი. ენტონი დ. სმითი აღნიშნავს: „მე“ მრავალ იდენტობასა და როლს მოიცავს, იქნება ეს ოჯახური, ტერიტორიული, კლასობრივი, რელიგიური, ეთნიკური თუ გენდერული. ის აგრეთვე ავლენს, თუ როგორ ეფუძნება თითოეული ეს იდენტობა იმ სოციალურ კლასიფიკაციებს, რომლებმაც შესაძლოა სახე იცვალოს, ან სულაც გაქრეს“ (სმითი, 2006, გვ. 4). ბენედიქტ ანდერსონი იდენტობის მშენებლობისას გამოყოფს ნაციონალური ენის, ამ ენაზე ბეჭდვისა და

¹⁹ საკითხის ქრონოლოგიისათვის უნდა აღინიშნოს შემდეგი: 1921 წლის თებერვალში საქართველოში წითელი არმიის შემოჭრას მოჰყვა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის გადაყენება, საქართველოს გასაბჭოება და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის (საქართველოს სსრ) შექმნა. 1922 წელს შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ), რომელშიც გააწევრიანეს მანამდე გასაბჭოებული ქვეყნები, მათ შორის, საქართველო.

ტირაჟირების განსაკუთრებულ როლსა და ფაქტორს. „შეიძლება დავასკვნათ, რომ კაპიტალიზმისა და ბეჭდვითი ტექნოლოგიის შერწყმამ კაცობრიობის ენათა მრავალფეროვნებასთან ერთად ხელი შეუწყო წარმოსახვითი საზოგადოების ახალი ფორმის გაჩენას, რომელმაც თავისი საბაზო მორფოლოგიით საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ერის წარმოშობას“ (ანდერსონი, 2003, გვ. 76).

იოჰან გოტლიბ ფონ ჰერდერის (1714-1803) აზრით, ნაციონალური ენა ნიშნავს ნაციონალურ ენაზე განათლების აუცილებლობას – „ხალხი ხომ ერია; თავისი ეროვნული განათლებაც აქვს და თავისი ენაც“. ვფიქრობთ, ჰერდერი ეროვნულ განათლებაში გულისხმობს ერის ნაციონალიზაციის გზას, რამაც ჩამოაყალიბა მისი მსოფლმხედველობრივი სისტემა, კულტურული არქექტიპები, ისტორია, რაც თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც ნაციონალური ფენომენი, ნაციონალური იდენტობა.

ედვარდ საიდის აზრით, ენის ფუნქცია არ არის მხოლოდ საკომუნიკაციო, მას გაცილებით უფრო დიდი დატვირთვა და დანიშნულება აქვს, ის არის ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხის საერთო საკრალური სივრცე. „ენა იმ სულიერ სფეროდ უფრო იქცა, რომელიც თავად ამ ენების მომხმარებელთა მიერ იყო შექმნილი და შევსებული. ის უკვე ნაკლებად მოიაზრებოდა იმ მარადიულ წყაროდ, რომელიც ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხს შორის ურთიერთობის დამყარებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა“ (Said, 1978, გვ. 136). შესაბამისად, ენას აქვს ეროვნული ფასეულობების სისტემა, ის არის ეთნოსის კულტურის რეალიზება სიტყვიერი სახით და ის, როგორც ეროვნულობის რეალიზატორი, ეროვნული კულტურის სიტყვიერად მაწარმოებელი, დიდი მნიშვნელობისაა ამ კულტურისა და ეთნოსისათვის, მისი ცნობიერებისათვის, ეთნოფსიქოლოგიისათვის, იდენტობისათვის.

საბჭოთა იდენტობა რუსულ იდენტობასთან იყო გაიგივებული (Sunny, 1989), რაც გავლენას ახდენდა საბჭოთა ნაციონალურ და ენობრივ პოლიტიკაზე, საბჭოთა კავშირში მცხოვრები ადამიანების, განსაკუთრებით კი, ეროვნული უმცირესობების განათლების უფლებებსა და შესაძლებლობებზე.

III. I ბილინგვური განათლების სათავეებთან საქართველოში (აფხაზური და ოსური ენების სწავლების მაგალითზე)

ბილინგვური განათლების შესწავლა მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება, თუმცა ბილინგვიზმს, როგორც საზოგადოებრივ მოვლენას, ხანგრძლივი ისტორია აქვს.

ბილინგვურ განათლებაში გამოიყოფა დომინანტი და უმცირესობათა კულტურები, რომლებიც განიხილება როგორც სინქრონული, ისე აპოზიციური, დაპირისპირებული წყვილების სახით. ჯიმ კუმინსი და მერილ სვეინი ბილინგვურ განათლებაში გამოყოფენ ორ მიმართულებას: პირველის მიხედვით, უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის მნიშვნელოვანია განათლება დაემყაროს მშობლიურ ენას. „შეიძლება მეტად გამოვიყენოთ მშობლიური ენა სწავლების პროცესში, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უმცირესობის წარმომადგენელ მოსწავლეში ორენოვნების მისაღწევად მნიშვნელოვანია არა პრესტიჟული, არა დომინანტი, არამედ უმცირესობათა ენის წინ წამოწევა სკოლაში“ (კუმინსი, სვეინი, 2016, გვ. 14.). მეორე მოსაზრების მიხედვით, მშობლიურ ენა გავლენას ახდენს ორივე ენის სწავლებაზე და ამიტომაც, განათლების მიღების დროს დომინანტი ენა ხდება ძირითადი, წამყვანი. (კუმინსი, სვეინი, 2016, გვ. 14).

ცხადია, რომ ბილინგვური განათლების პრინციპები უნდა ეყრდნობოდეს ნაციონალური ენას, როგორც ნაციონალურ მსოფლმხედველობრივ სისტემას, ნაციონალური კულტურის სიტყვიერად მაწარმოებელსა და იდენტობის მთავარ ინსტრუმენტს. აფხაზური და ოსური ენების სწავლების მაგალითზე უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს საქმე გვაქვს ორმაგ ენობრივ დაქვემდებარებასთან. ერთი მხრივ, რუსულენოვან, ხოლო მეორე მხრივ, ქართულენოვან სივრცეებთან.

ბილინგვიზმის არსისა და ბილინგვური განათლების კვლევის დისკურსში მნიშვნელოვანია საქართველოს გამოცდილებაზე დაკვირვება, ვინაიდან საქართველოში, როგორც ევროპისა და აზიის საზღვარზე მყოფ ქვეყანაში, ბილინგვიზმი და მულტილინგვიზმი მრავალსაუკუნოვან ტრადიციას წარმოადგენდა. ჩვენი აზრით, შესაძლებელია გამოიყოს ორი სახის ბილინგვიზმი:

1. **კოლონიური ბილინგვიზმი:** უცხო ენათა გავლენები და ქართული ენა. ქართული, როგორც მშობლიური ენა, მეორე ენა, როგორც ოფიციალური ენა: ბერძნულის, სპარსულის, არაბულის, რუსულის მაგალითზე;
2. **შიდა ბილინგვიზმი:** ქართული ენა, როგორც ოფიციალური ენა/სახელმწიფო ენა საქართველოში მცხოვრები უმცირესობებისათვის: აფხაზებისთვის, სომხებისთვის, ოსებისთვის, აზერბაიჯანელებისთვის და სხვ.

საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში ბილინგვიზმის ნიადაგზე შექმნილი იდენტობა განსაზღვრავდა საბჭოთა კავშირში მცხოვრები ხალხების განვითარებას. რუსული ენის გავლენა ხშირ შემთხვევაში მშობლიურ ენაზე მძლავრიც კი იყო.

შეძენილი, მეორეული იდენტობა თანდათან დომინანტი ხდებოდა და პირველადი იდენტობა – მეორეული. ეს პროცესი განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო საბჭოთა კავშირში შემავალი მრავალი ხალხისათვის, რომლებიც შესაძლებელია სამ კატეგორიად დაჯგუფდეს:

1. პირველ რიგში, სლავური ენების ხალხებისათვის. მაგ.: უკრაინელებისა და ბელორუსებისათვის. რადგან რუსული ენა ყველა რესპუბლიკაში და მთელ კავშირშიც სახელმწიფო ენა იყო, სწორედ ამ ენაზე მიმდინარეობდა ოფიციალური და ადმინისტრაციული საქმისწარმოება. ამიტომაც ეროვნულ ენაზე საქმისწარმოება აუცილებლობას არ წარმოადგენდა. განსაკუთრებით კი, სლავური ენების ჯგუფში შემავალი ხალხებისათვის. ეს ფაქტორი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ძალზე აქტუალური გახდა. ცნობილია, რომ ბელორუსიაში მეოცე საუკუნის ბოლოს ბელორუსული გამოცხადდა სახელმწიფო ენად, მაგრამ დღემდე იქ ორი სახელმწიფო ენაა: რუსული და ბელორუსული და საქმისწარმოებაც ორივე ენაზე მიმდინარეობს, ხოლო წიგნების უმრავლესობა რუსულ ენაზე გამოიცემა (Brüggemann, 2013). ამასთან, როგორც ბელორუსიაში, ისე უკრაინაში საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობაში რუსულ ენაზე მიმდინარეობს სწავლება. მხოლოდ ზოგიერთ ფაკულტეტს ჰქონდა ე. წ. ორი სექტორი, სადაც რუსულთან ერთად ნაციონალურ ენაზე (ბელორუსული, უკრაინული) მიმდინარეობდა სწავლება. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლიდან უკრაინაში გარკვეული ცვლილებები შევიდა სახელმწიფო ენის ხმარებასთან დაკავშირებით, თუმცა რუსული ენა მრავალი უკრაინელისათვის დღემდე მშობლიურ ენად რჩება.

2. შუა აზიის ქვეყნებში ეროვნულ ენასთან ერთად სახელმწიფო ენად ან სახელმწიფო ენასთან გათანაბრებულად ითვლება რუსული, რადგან წლების განმავლობაში ადმინისტრაციული და ოფიციალური საქმისწარმოება მიმდინარეობდა რუსულად და გამომდინარე ამ გამოცდილებიდან, შუა აზიის რესპუბლიკებისათვის ადმინისტრაციული საქმისწარმოების რუსული ენიდან ეროვნულ ენაზე გადატანა გარკვეულ სირთულეს წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ წინა პუნქტში სამაგალითოდ აღებული ბელორუსული ენის შემთხვევაში ენა ძალზე ახლოსაა რუსულთან და ენობრივი ბარიერი არ, ან ნაკლებად არის დამაბრკოლებელი, შუა აზიის ქვეყნების მშობლიური ენები სხვა ენათა ჯგუფებს განეკუთვნება და ორენოვნება ხელოვნური ბარიერია.

3. ის ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც საბჭოთა კავშირში სხვა რესპუბლიკების შემადგენლობაში მოიაზრებოდნენ (მაგ, აფხაზები, ოსები, ადიღელები, ჩეჩნები, ინგუშები და სხვ.) რუსულ ენას განსაკუთრებული მონდომებითა და მისწრაფებებით ეუფლებოდნენ, რადგან მათთვის რუსული სხვა, დამატებითი დასაყრდენი იყო.

უთუოდ საგულისხმოა ისიც, რომ გლობალური ცვლილებების ეპოქაში გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდის იდენტობაც. შესაბამისად, თუ საბჭოთა გამოცდილებას გავითვალისწინებთ, პოსტსაბჭოთა ეპოქაში დამოუკიდებლობამოპოვებული ხალხები იდენტობის კრიზისში აღმოჩნდნენ. ამ პროცესს ერთა და ხალხთა თვითგამორკვევის ხანასაც უწოდებენ. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ იდენტობის კრიზისი გახდა პოლიტიკური, ეთნიკური თუ რელიგიური კონფლიქტების ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ეს კონფლიქტი „ენობრივი ომები” იყო (Svanidze, 2006).

ბილინგვიზმი იდენტობის ტრანსფორმაციის ძირითადი მახასიათებელი და მთავარი ფაქტორია. როგორც უკვე აღინიშნა, საგანმანათლებლო პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ბილინგვურ გარემოსა და მასთან დაკავშირებულ ენობრივ საკითხებს. განათლების ენა, ან ენები, თავსებადი უნდა იყოს რეგიონსა და ქვეყანაში არსებულ მოცემულობასთან. ენობრივი განათლების პოლიტიკის ორგანიზება უნდა ითვალისწინებდეს ლინგვისტურ გარემოს, ინდივიდებისა და სახელმწიფოს მიმდინარე და სამომავლო მოთხოვნილებებს და ენათა სწავლების კონცეფციებს (ენობრივი განათლების პოლიტიკის... 2008).

საბჭოთა კავშირის დროს არსებული კოლონიური ბილინგვიზმი საქართველოში ამცირებდა შიდა ბილინგვიზმის ხარისხს და ქართული ენის სწავლების საჭიროებას საქართველოში მცხოვრები უმცირესობებისათვის.

III. II საბჭოთა იდენტობის ფორმირების ენობრივი ასპექტები საბჭოთა კავშირში და ეროვნული უმცირესობების განათლების საკითხი

საბჭოთა იდეოლოგიის ფუნდამენტური ნაწილი იყო განათლების გზით საბჭოთა იდენტობის ფორმირება, საბჭოთა ადამიანის აღზრდა, რომელშიც დიდ როლს ასრულებდა რუსული ენა. საბჭოთა კავშირში ნაციონალური იდენტობის უმთავრესი მახასიათებლები, როგორიც არის: ნაციონალური ენა, ისტორია, ლიტერატურა, რელიგია,

სრულად იყო იგნორირებული. ნაციონალური ენა, როგორც ფენომენი, მაქსიმალურად იყო შევიწროებული და იდეოლოგიას დაქვემდებარებული. ნაციონალური ენის სწავლებაც კი, დაწყებითი კლასიდან, მკაცრად კონტროლდებოდა და კომუნისტური იდეოლოგიის პროპაგანდის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. მაგალითად, 1926-37 წლებში ქართულ სკოლებში დაწყებითი საფეხურის საანბანო წიგნი, „დედაენა“ არ გამოცემულა. იაკობ გოგებაშვილის საანბანო წიგნი, „დედაენა“ ჯერ ჩაანაცვლეს პლაკატებით სწავლებით, სადაც საბჭოთა იდეოლოგიური პლაკატების მიხედვით ისწავლებოდა ანბანი, ხოლო შემდეგ გამოიცა პირველი კლასის ახალი სახელმძღვანელო, „პირველი წიგნი“ ორ ნაწილად (თაქთაქიშვილი, 2001, გვ. 10).

პოლიტიკური იდეოლოგიის ნაწილი იყო რუსულის აღმატებულად წარმოჩენა სხვა ეროვნებების ფონზე. მაგალითად, ქართველი ხალხი, სომეხი ხალხი, ესტონელი ხალხი, მაგრამ დიდი რუსი ხალხი, ან, დიადი რუსი ხალხი, ქართული ენა, სომხური ენა, მაგრამ დიდი რუსული ენა, დიადი რუსული ენა, აქვე, რუსული ენის სინონიმად იხმარებოდა კომუნისტური იდეოლოგიის ტერმინოლოგიის შემცველი ფრაზეოლოგიზმები, როგორიც არის: ლენინის ენა, ოქტომბრის ენა, მეორე დედაენა და სხვ. (ტაბიძე, 2012).

საბჭოთა კავშირის ენობრივი პოლიტიკის კვლევისას უნდა გამოიყოს ფარული და ღია ენობრივი დაგეგმვის საკითხები (ტაბიძე, 2012). საბჭოთა ენობრივი პოლიტიკა ერთგვარად მიემსგავსება და აგრძელებს რუსეთის იმპერიის საგანმანათლებლო საქმიანობას, სადაც, როგორც აღინიშნა, ასევე ორგვარი დაგეგმვა გვხვდება: ცენტრისტული და რეგიონული (იხ. თავი I.). საბჭოთა კავშირის ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებას წარმართავდნენ შესაბამისი სამსახურები და ცენტრის კომიტეტი. ეს სტრუქტურები, ერთი მხრივ, საკავშირო იყო, ხოლო, მეორე მხრივ – რესპუბლიკური და რეგიონული. მათ მიზანს წარმოადგენდა რუსულენოვანი ბილინგვიზმის დამკვიდრება და ნაციონალური ენების „გარუსულება“ (ტაბიძე 2012).

„ღია ენობრივი დაგეგმვა“ მიმდინარეობდა იდეოლოგიისა და პროპაგანდის დახმარებით, რაც გულისხმობდა:

- ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში რუსულენოვან საქმისწარმოებას;
- ოფიციალური ღონისძიებების, მათ შორის, ადმინისტრაციული და პარტიული ღონისძიებები, სხდომები, შეკრებები, რუსულ ენაზე ჩატარებას;
- რუსული ენის სავალდებულო სწავლებას სკოლებსა და უნივერსიტეტებში;
- რუსულენოვანი განათლების ხელშეწყობას და პოპულარიზაციას;

- ნაციონალურ ენებზე სრული საშუალო განათლების მიღების შეფერხებასა და შეუძლებლობას აფხაზური, ოსური და სხვა ენების მაგალითზე;
- რუსულენოვანი მოსახლეობისათვის საგანგებო პირობების შექმნას რუსულ ენაზე;
- ცენტრალიზებული საგანმანათლებლო პროგრამების პირობებში რუსულენოვანი სახელმძღვანელოების შემუშავებას სხვადასხვა სასკოლო საგანში და მის პოპულარიზაციას, აუცილებლობის შემთხვევაში, თარგმნას და არა ნაციონალურ ენებზე შემუშავებას;
- სამეცნიერო ენად რუსული ენის აღიარებას;
- სამეცნიერო სივრცედ რუსულენოვანი მეცნიერების აღიარებას, დასავლური მეცნიერების კრიტიკასა და იდეოლოგიურ ბრძოლას.;
- რუსულენოვანი მედიის შექმნას და პოპულარიზაციას: რუსულენოვანი გაზეთები, ტელევიზიები და ტელეგადაცემები;
- რუსულენოვანი ფილმების შექმნას, უცხოური ფილმების რუსულ ენაზე თარგმნას;
- პოლიტიკურ ცენტრზე, მოსკოვზე და რუსულენოვან სივრცეზე სრულ დაქვემდებარებას, რაც გულისხმობდა რუსულ ენაზე სრულ დამოკიდებულებას ყველა სფეროში, პირველ რიგში, განათლებასა და კულტურაში, ასევე, ყველა სხვა სფეროში: სამხედრო, სამოქალაქო, სამედიცინო, სოფლის მეურნეობა და სხვ.

ეს პოლიტიკური, იდეოლოგიური და პროპაგანდისტული ტენდენცია კი იწვევდა რუსულ ენობრივ სივრცესთან ინტეგრაციის საჭიროებას, განსაკუთრებით, ეროვნული უმცირესობებისათვის.

„ფარული ენობრივი დაგეგმვა“ მოიცავდა მოსახლეობის დიდი მასების გადაადგილებას ისეთ რეგიონებში, რომლებშიც ადგილობრივ მცხოვრებლებთან კონტაქტისათვის აუცილებელი იქნებოდა რუსული ენის ამოქმედება. ასე ჩნდებოდა ე.წ. სამხედრო და სამოქალაქო „გოროდოკები“ ერთენოვანი მოსახლეობის წიაღში, საკუთარი რუსული სკოლებით, საგანგებო მომარაგებითა და პრიორიტეტული დაფინანსებით (ტაბიძე 2012). ფარული ენობრივი დაგეგმვა გულისხმობდა აგრეთვე ენობრივი ცვლილებების ფარულად მართვის პრინციპს (გვანცელაძე და სხვ, 2024). აღსანიშნავია, რომ მსგავსი პოლიტიკა ჰქონდა რუსეთის იმპერიას, რუსული ენის უპირატესობისა და ხალხთა მასობრივი გადასახლებების, ახალშენების შექმნის თვალსაზრისით. ამ

კონტექსტში მნიშვნელოვანია სასწავლო და სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემოღებისა და დამკვიდრების საკითხები. საბჭოთა ენობრივი პოლიტიკა განსაზღვრავდა: ნაციონალურ ენებზე თარგმნის საკითხებს; დოკუმენტაციის თარგმნის საკითხებს, რომელიც რუსულ ენობრივ ნასესხობებს ეფუძნებოდა, საერთაშორისო და სხვა უცხო ენებიდან შემოსული სიტყვები მკვიდრდებოდა რუსული ენის გზით, რაც ზრდიდა რუსული ენის გავლენას.

აფხაზური და ოსური ენების სწავლებას საბჭოთა კავშირში დავყოფთ ორ ეტაპად: მე-20 საუკუნის 20-50-იანი წლები: საბჭოთა კავშირის დაარსებიდან სტალინური ეპოქის ჩათვლით და მე-20 საუკუნის 60-80-იანი წლები, საბჭოთა კავშირის დაშლამდე. თითოეული პერიოდი ამჟღავნებს მსგავს თვისებრივ ნიშნებს. კერძოდ, საბჭოთა კავშირის შექმნიდან 50-იანი წლების ბოლომდე პერიოდი, აფხაზური და ოსური ენების სწავლების თვალსაზრისით, ხასიათდება მრავალი ცვლილებითა და რეფორმით, რასაც ცალკე, დეტალურად განვიხილავთ შესაბამის ქვეთავში, ხოლო მეოცე საუკუნის 60-80-იანი წლები აფხაზური და ოსური ენების სწავლების თვალსაზრისით ხასიათდება გარკვეული სტაბილურობით, რასაც ასევე შესაბამის ქვეთავში გავაანალიზებთ.

III. III აფხაზური და ოსური ანბანების რეფორმები მე-20 საუკუნის 20-იან-50-იან წლებში: მიზეზები და შედეგები

აფხაზური და ოსური ენების განვითარებაში მეოცე საუკუნის 20-50-იანი წლები მრავალმხრივად მნიშვნელოვანია როგორც ენათმეცნიერული, პოლიტიკური, იდეოლოგიური, ისე პედაგოგიური კუთხით. ამ პერიოდში აფხაზური და ოსური ენები სხვადასხვა ენის დამწერლობების გამოყენებით ვითარდებოდა.

„ენობრივი პოლიტიკა – ეს არის სისტემა სხვადასხვა ლონისძიებისა და საკანონმდებლო აქტებისა, რომელთაც ატარებს სახელმწიფო/ქვეყნის საზოგადოებრივი ინსტიტუციები და რომელნიც ასახავს კონკრეტულ სოციალურ-ენობრივ მიზნებს. ამ უკანასკნელთ განეკუთვნება: არსებული ფუნქციონალურ-ენობრივი ნორმების შენარჩუნება თუ შეცვლა, ამა თუ იმ ენის მხარდაჭერა, პოპულარიზაცია და ა. შ.“ (გაბუნია, 2017, გვ. 47). საბჭოთა კავშირში მე-20 საუკუნის 20-50-იანი წლები ენობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით ორ პერიოდად იყოფა. პირველი პერიოდი იყო 1922-29 წლები, რომელიც ხასიათდებოდა ენობრივი პლურალიზმით. მეორე პერიოდი 1930-53


წლებში მიმდინარეობდა და ხასიათდებოდა ენობრივი პოლიტიკის ცენტრალიზმით. პირველი პერიოდის მთავარი იდეა იყო საბჭოთა კავშირის ერთა და ენათა ფიქსირება, ხოლო მეორე პერიოდში ერთა და ენათა დაახლოება და შერწყმა (სტალინი, 1954; ბოლქვაძე, 2018).

თუ აფხაზური და ოსური ანბანები მეოცე საუკუნის დასაწყისში რუსული გრაფიკის საფუძველს ეყრდნობოდა, მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება ანბანთა ლათინიზაციის პროცესი, რაც საბჭოთა იდეოლოგიური გავლენის შედეგი იყო. 1923 წლიდან ოსური ენა, ხოლო 1926 წლიდან აფხაზური ენა, ლათინური ანბანის საფუძველზე იწყებს განვითარებას, აღნიშნული მოვლენა დაკავშირებულია ნიკო მარის სახელთან. 1938 წლიდან ანბანი ორივე ენისათვის კვლავ შეიცვალა და ჩრდილოეთ ოსეთში ოსური ენის დამწერლობისათვის გამოიყენებოდა რუსული ანბანი, ხოლო სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, ოსური და აფხაზური ენების დამწერლობისათვის – ქართული ანბანი. სტალინის გარდაცვალების შემდგომ, 1954 წელს კი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ქართულ ანბანს კვლავ რუსული ანბანი ჩაენაცვლა.


აღნიშნული საკითხები შესაძლებელია შემდეგნაირად გამოვსახოთ:

ცხრილი №5

აფხაზური ანბანების ცვლილებები



ოსური ანბანების ცვლილებები



ნიკო მარის „იაფეტური თეორიის“ საბჭოთა სივრცეში აღიარებამ ოსური და აფხაზური ანბანების ცვლილებები და ლათინიზაცია გამოიწვია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლათინურ ანბანს ემყარებოდა მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან ცენტრალური აზიის თურქულენოვანი ენების დამწერლობებიც.

ანბანების ცვლილება მტკივნეული და რთული საკითხია, რაც თავისებურად აისახა აფხაზური და ოსური ენების საგანმანათლებლო, პედაგოგიურ, ლიტერატურულ პროცესებზე და მათ განვითარებაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აფხაზური და ოსური ენების სწავლების გამოცდილებასა და პედაგოგიურ-მეთოდურ საკითხებზე დაკვირვება, ასევე, ორივე ენის პედაგოგიური და მეთოდური საკითხების შედარებითი შესწავლა და საერთო ტენდენციების გამოყოფა.

III.III. 1 ნიკო მარის „იაფეტური თეორია“ და ანბანთა ლათინიზაციის

თეორიული და იდეოლოგიური საფუძვლები

აფხაზური და ოსური დამწერლობების საფუძვლად ლათინური დამწერლობის შემოღება დაკავშირებულია ცნობილი მეცნიერის, ნიკო მარის (1865-1934) სახელთან, ნიკო მარი მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ქმნის ე. წ. იაფეტურ თეორიას, რომელიც დღეს უტოპიურ თეორიად არის მიჩნეული. თუმცა ბუნებრივია, ერთი მეცნიერის მოსაზრება და შეხედულება, ასევე მცდელობა ენის ანბანის ცვლილებასთან დაკავშირებით, ვერ

გახდებოდა საკმარისი ანბანის ოფიციალური ცვლილებისათვის, განსაკუთრებით, საბჭოთა ეპოქაში, სადაც ყველაფერი მკაცრად კონტროლდებოდა და იდეოლოგიის მძლავრი გავლენისა და მეთვალყურეობის ქვეშ იყო მოქცეული. მარის თეორია თავდაპირველად აიტაცა საბჭოთა იდეოლოგიამ.

„იაფეტური ენები“ უწოდა ნიკო მარმა ქართულის მონათესავე ენებს ბიბლიური ნოეს უმცროსი ვაჟის, იაფეტის სახელიდან გამომდინარე. როგორც ცნობილია, ენათმეცნიერებაში იხმარება ტერმინები სემიტური და ქამიტური ენები, რომელთა სახელწოდებებიც ნოეს უფროსი ვაჟების, სემისა და ქამის, სახელებს ემყარება. ნიკო მარს სურდა, თავისი შეხედულება სემიტურ ენებთან ქართველური ენების ნათესაობის შესახებ იაფეტური თეორიით დაემტკიცებინა. სემიტური და იაფეტური ენების ნათესაობას კი ნოეტური ოჯახის ორი შტო უწოდა. ნ. მარის თეორიის თანახმად, ამ ენებს მიეკუთვნებოდა ქართული, აფხაზური, ადიღური, ნახური, დაღესტნური და წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის ენები.

ნ. მარის თეორია დასაწყისიდანვე საბჭოთა კავშირში აღიარებული და გაზიარებული იყო. ნიკოლაი იაკოვლევი (1892-1974), საბჭოთა ენათმეცნიერი, საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაწილისათვის ანბანების შემმუშავებელი კომისიის თავმჯდომარე და ანბანთა ლათინიზაციის კომისიის წევრი, კავკასიური ენებისათვის დიგრაფების შემქმნელი, მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კავკასიური ენების განყოფილების ხელმძღვანელი, 1926 წლის 28 აპრილს, აღმოსავლეთ ევროპის საზოგადოებისათვის წაკითხულ მოხსენებაში „აღმოსავლეთის ხალხებისათვის ეროვნული დამწერლობის განვითარება საბჭოთა კავშირში“, ქართულ ენას, ისევე, როგორც სხვა კავკასიურ ენებს, იაფეტურ ენებად მიიჩნევს²⁰. ამავე ნაშრომში აღნიშნავს, რომ ქართულ ენას გააჩნია მრავალსაუკუნოვანი დამწერლობა და ლიტერატურული ტრადიცია, ასევე, წერა-კითხვის მცოდნეთა მაღალი პროცენტი, რითაც თვით რუსეთის ფედერაციასაც აღემატება (Jakowlew, 1926). იაკოვლევი მიუთითებს, რომ საბჭოთა კავშირს დიდი ენობრივი მემკვიდრეობა ხვდა წილად. ენათა ნაწილი მხოლოდ ყოფით დონეზე გამოიყენება, ერთმანეთში სასაუბროდ, შიდა კომუნიკაციისათვის და მათ არ აქვთ ფართო საერთაშორისო მოხმარება, არც დამწერლობის დიდი კულტურა და არც

²⁰ ნ. იაკოვლევი იყო ლათინური ანბანის ლინგვისტური თეორიის მათემატიკური ფორმულის შემქმნელი, რომელიც უნდა გავრცელებულიყო ყველა ენისათვის. მარის თეორიის დაგმოვის შემდეგ, 1950 წლიდან, ნ. იაკოვლევი გათავისუფლებული იქნა ყველა სამსახურიდან, რის გამოც ფსიქიკურად დაავადდა.

მწერლობის დიდი განვითარება მაშინ, როდესაც ხალხთა ნაწილს აქვს მრავალსაუკუნოვანი წიგნიერი კულტურა. ამიტომაც, იაკოვლევის აზრით, ბილინგვიზმი და სხვა ენის ინტენსიური გამოყენება მნიშვნელოვანი გამოსავალია, დაიძლიოს კომუნიკაციის სირთულეები. ამასთან, იაკოვლევი მიუთითებს ჩრდილოეთ კავკასიაში ანბანთა ლათინიზაციის მნიშვნელობასა და საკვანძო საკითხებზე: ლათინური ანბანი საერთო იქნება ერთ ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ხალხისათვის, მათ შორის, კულტურის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ხალხისათვის. იაკოვლევი აღნიშნავს, რომ ამ ცვლილებებით და ანბანთა ლათინიზაციის პროცესით საბჭოთა კავშირი იწყებს მნიშვნელოვან რეფორმას, რომელიც დიდ გავლენას მოახდენს აღმოსავლეთის მომავალ კულტურულ განვითარებაზე. ეს პროცესი საშუალებას აძლევს მეცნიერებს, თეორიული საკითხები პრაქტიკაში განახორციელონ და გააფართოონ, შექმნან და ჩამოაყალიბონ გამოყენებითი კულტუროლოგია, დარგი, რომელიც აქამდე არ არსებობდა (Jakowlew, 1926). მარის თეორიის ინსტრუმენტალიზაცია და პრაქტიკაში გამოყენება საბჭოთა კავშირისათვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი გახდა. ამ თეორიის მიხედვით, ანბანების საშუალებით ენების ხელოვნური მოდიფიცირება, ხალხთა ეთნიკური, ენობრივი იდენტობების ცვლილება, შერწყმა, შერევა, დასაშვები პროცესი იყო.

ნ. მარის ენათმეცნიერული შეხედულებები მალევე იქცა ევროპელი მეცნიერების განხილვისა და კრიტიკის საგნად. გუსტავ შმიდტი მარის ნაშრომის განხილვისას მიუთითებს, რომ იაფეტოლოგიის თეორია ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს, არ არის დაკონკრეტებული და არგუმენტირებული ენათა სიღრმისეული კავშირები, მათი საერთო განვითარება ეჭვქვეშ დგება, არგუმენტები ხშირ შემთხვევაში მხოლოდ რამდენიმე ფონეტიკურ მოვლენას ემყარება, არ არის დასაბუთებული, მაგალითად, ქართული ენის, მისი ახლომონათესავე ენების, მეგრულის, ჭანურისა და ლაზურის კავშირები წინაინდოევროპულ ენებთან და სხვ. ამასთან, ენათა შერევის, ანუ ჰიბრიდიზაციის საკითხიც არ არის სათანადოდ დამუშავებული და დასაბუთებული (Schmidt, 1924).

თავდაპირველად, ნ. მარის აზრით, იაფეტური ენები მონათესავე ენებად მიიჩნეოდა, ხოლო მოგვიანებით მან უარყო ენათა ნათესაობა და იაფეტური ენები ენათა განვითარების ერთ-ერთ უძველეს საფეხურად გამოაცხადა თავის თეორიაში „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება“ (1924-1934 წ. წ.). ხაზგასასმელია ახალი ენათმეცნიერული

თეორიის პოლიტიზებული ელემენტიც. ნ. მარმა უარყო ადრინდელი შეხედულებები, როგორც ბურჟუაზიულ იდეოლოგიაზე დაფუძნებული მეცნიერება, როგორც მარქსისტული მეცნიერებისათვის მიუღებელი შეხედულებები და შექმნა ახალი თეორია, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს ყველა ენა წარმოშობილია ერთი და იმავე მასალისაგან – ოთხი თავდაპირველი ელემენტისაგან, რომელიც იძებნება ყველა ენაში და ყველა სიტყვაში (A, B, C, D) და მსოფლიოს ყველა ენაში დასტურდება იაფეტიზმები. ყველა ენა გაივლის განვითარების ერთსა და იმავე საფეხურს. ყველა ენა ნარევიან. ნ. მარის შეხედულებით, ეს თეორია უნდა მიჩნეულიყო საბჭოთა ენათმეცნიერების თეორიად. მარის აზრით, არ არსებობდა არამონათესავე ენები. ის, რითაც ენები ერთმანეთისაგან განსხვავდება, არის არა წარმოშობა, არამედ განვითარება (Mapp, 1936). მარის ეს მოსაზრებები სტალინური პერიოდის პირველ ხანებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, თუმცა 1950 წელს, გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე გამართულმა საენათმეცნიერო დისკუსიამ მარის მოსაზრებები გააკრიტიკა და უარყო.

როგორც აღინიშნა, ანბანების ლათინიზაციის პროცესი საბჭოთა კავშირში მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში მიმდინარეობდა. მთლიანობაში ანბანის ლათინიზაციის პროცესი შეეხო შემდეგ ენებს: აფხაზური ენა, აბაზური ენა (ზოგი მეცნიერის აზრით, ეს არის აფხაზური ენის ნაწილი), ავარული ენა, ადიღური ენა, აზერბაიჯანული ენა, ალთაური ენა, ბაშკირული ენა, ბურიატული ენა, დარგული ენა, ინგუშური ენა, ყაბარდო-ჩერქეზული ენა, ყაზახური ენა, ყარაჩაულ-ბალყარული ენა, ყირგიზული ენა, კომის ენა, ყირიმული თათრების ენა, ყუმიხური ენა, ქურთული ენა, ლაზური ენა, ლაკური ენა, ლეზგიური ენა, ოსური ენა, თაბასარანული ენა, ტაჯიკური ენა, თალიშური ენა, თათრული ენა, თურქმენული ენა, უდური ენა, უზბეკური ენა, ჩეჩნური ენა, ჩუკოტკური ენა და სხვ. სულ, 66 ენა. ხაზგასასმელია ისიც, რომ ანბანთა ლათინიზაცია დაგეგმილი იყო და არსებობდა პროექტები შემდეგი ენებისათვის: არაბული ენა, კორეული ენა, უდმურტული ენა და სხვ. ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის 7 აგვისტოს დადგენილების მიხედვით, ლათინურ ანბანს მიენიჭა ოფიციალური სტატუსი და დაიწყო გაზეთების, ჟურნალებისა და სახელმძღვანელოების გამოცემა ლათინურ ანბანზე. 1930 წლიდან კი ლათინიზაციის ახალი ეტაპი დაიწყო. იმ პერიოდისათვის საბჭოთა კავშირში 72 ენა იყო აღიარებული, რომელთაც დამწერლობა გააჩნდათ. მათგან კი 50-ზე მეტი ენისათვის ლათინური ანბანი გამოიყენებოდა (Алпатов, 2000).

ანბანის ლათინიზაციის თეორიული საფუძვლები საბჭოთა იდეოლოგიურ მისწრაფებებსა და ღირებულებებს დაემთხვა. კერძოდ, ნიკო მარის თეორია დასაშვებად მიიჩნეოდა ერთი, ზოგადსაკაცობრიო ენიდან ენათა შერევის საფუძველზე სხვადასხვა ენის შექმნას. შესაბამისად, აღნიშნული თეორია მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მომავლის „საერთო ენის“ დასასაბუთებლად. ნიკო მარი სტატიაში „ერთიანი ენის საკითხისათვის“, განიხილავს ერთიანი საერთაშორისო ენის პერსპექტივებსა და თეორიულ საფუძვლებს. მარის შეხედულებით, ახალი, ზოგადსაკაცობრიო ენა უნდა ყოფილიყო სრულიად ახლებური და განსხვავებული, რომელიც არ დაეფუძნებოდა არც ძველ, მკვდარ ენებს და არც თანამედროვე, ცოცხალ ენებს. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნიკო მარის შეხედულებები საბჭოთა ენათმეცნიერებისათვის გარკვეულ ეტაპზე სრულიად მისაღები იყო. „საკაცობრიო ერთიან ენაზე იმავე პერიოდში მსგავს მოსაზრებებს გამოთქვამდა სტალინი. ძალიან ახარებდა ნ. მარს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლიდერი და იაფეტური თეორიის შემოქმედი მეცნიერი ერთ აზრზე იდგნენ. იგი დაუფარავი სიამაყით იმოწმებდა სკპ (ბ) XVI ყრილობაზე სტალინისა და კაგანოვიჩის ანგარიშიდან იმ მონაკვეთს, რომლებიც მსოფლიოს მომავალს ეხებოდა“ (ბოლქვაძე, 2018, გვ. 92).

ენისა და ანბანის ინსტრუმენტალიზაციის მნიშვნელობაზე მიუთითებს ანდერსონიც: „განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თურქულენოვანი ხალხების ბედი როგორც დღევანდელი თურქეთის, ისე ირანის, ერაყისა და სსრკ-ის საზღვრებში. ამ ენათა ოჯახმა, რომელიც ოდესღაც არაბული ორთოგრაფიის წყალობით ყველგან გასაგები იყო, დაკარგა მთლიანობა, რაც შეგნებული მანიპულაციების შედეგად მოხდა. იმისათვის, რომ თურქული ენა შარავანდედით შეემოსა და დიდი ისლამური იდენტიფიკაციის ნაცვლად ეროვნული შეგნება მაღალ საფეხურზე აეყვანა, ათათურქმა მოსახლეობას იძულებით თავს მოახვია დამწერლობის ლათინიზაცია. საბჭოთა ხელისუფლებამაც მიბაძა მის მაგალითს, თავდაპირველად ლათინური გრაფიკის იძულებითი დაკანონების გზით ანტიისლამური, ანტისპარსული პოლიტიკის წარმოებით, მოგვიანებით კი, სტალინის მმართველობის პერიოდში, 1930-იან წლებში, კირილიცას საშუალებით რუსიფიკაციის გეგმის განხორციელებას შეუდგა“ (ანდერსონი, 2003, გვ. 75-76).

ნ. მარის თეორიის მიხედვით, რომელსაც იმდროინდელი საბჭოთა იდეოლოგიაც იზიარებდა, ერთიანი ენის საჭიროება გარდაუვალი იყო. ერთ ენას კი ერთი დამწერლობა

უნდა ჰქონოდა და საერთო, ზოგადსაკაცობრიო და საერთაშორისო დამწერლობა დაეფუძნებოდა ლათინურ ანბანს, ამ ანბანს ნ. მარმა ანალიტიკური ანბანი უწოდა (Mapp, 1936). ანბანთა ლათინიზაციის მთავარ მიზეზად საბჭოთა კავშირში შეიძლება ჩაითვალოს თურქული ენების არაბულიდან ლათინურ ანბანზე გადაყვანის საკითხი (Tomelleri, 2015), რაც ჩრდილოკავკასიურ ენებსაც შეეხო (Hewitt, 1995). აღსანიშნავია აგრეთვე ამ პერიოდში თურქეთის რესპუბლიკის დამფუძნებლის, მუსტაფა ქემალ ათათურქის ენობრივი რეფორმა და თურქული დამწერლობისათვის ლათინურის ბაზაზე ახალი თურქული ანბანის შექმნა. მარის თეორია თავდაპირველად აიტაცა საბჭოთა იდეოლოგიამ. „ლათინიზაცია იყო ტაქტიკური ნაბიჯი, რომელიც მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის ზოგი ენისათვის გამოყენებული ისლამთან და ბუდიზმთან მჭიდროდ დაკავშირებული არაბული და უიღურული დამწერლობების გაუქმებას, მეორე მხრივ, იმპერიაში არსებული ყველა დამწერლობის უნიფიცირებას ერთ, ლათინურ სისტემაზე, მომდევნო ეტაპზე კი მათ სრულ ავტომატურ გადაყვანას რუსულ გრაფიკაზე“ (გვანცელაძე, ჭაავა, 2021, გვ. 49).

აფხაზური და ოსური ანბანის რეფორმირებისა და ლათინიზაციის პროცესში უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ენათა და ანბანთა სრულ უნივერსალიზაციამდე ნ. მარი აუცილებელ დასაშვებად მიიჩნევდა ზონალური ენების არსებობას. მათ შორის, მისი აზრით, არსებობდა საერთო კავკასიური ენის შექმნის საჭიროება, რომელიც შესაძლებელია, ქართული ენა ყოფილიყო, თუმცა აუცილებლად ლათინურ ანბანზე უნდა დაფუძნებულიყო (Mapp, 1920).

ნიკო მარის თეორია საგანმანათლებლო სფეროშიც გავრცელდა და დაპირისპირების საგანიც გახდა. კერძოდ, ამ პერიოდისათვის ახლად დაარსებული თბილისის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ, ფილოლოგიურ და ისტორიულ მიმართულებებში ითხოვდა იაფეტური თეორიის სწავლებას, რასაც უნივერსიტეტის დამაარსებლები ეწინააღმდეგებოდნენ (ბოლქვაძე 2018; ფუტყარაძე, ვაშაკიძე, 2011). სამეცნიერო დისკუსია ნიკო მარის მიმდევრებსა და ინდოევროპული თეორიის მიმდევრებს შორის პოლიტიკური ბრძოლის საგნად იქცა. მარის თეორიის დამკვიდრება საბჭოთა კავშირში, 20-30-იან წლებში იყო იძულებითი იდეოლოგიზებული პროცესი. პარტიული მუშაკები ყოველმხრივ ცდილობდნენ, მარქსიზმ-ლენინიზმთან და მატერიალისტურ დიალექტიკასთან ერთად ნიკო მარის ოთხელემენტოვანი თეორია დაემკვიდრებინათ (ბოლქვაძე, 2018, გვ. 45-82). ნიკო მარის იაფეტური თეორია, ენის ახალი მოძღვრება

უნივერსიტეტებსა და პედაგოგიურ ინსტიტუტებში დამოუკიდებელ სავალდებულო საგნად ისწავლებოდა. „მართალია, ყველა უმაღლეს სასწავლებელში იყვნენ იაფეტური თეორიის მიმდევრები და კომპარატივისტები, მაგრამ მათ შორის დაუნდობელი ბრძოლა იყო გაჩაღებული. ხელისუფლება ღიად უჭერდა მხარს მარისტებს, რადგან იაფეტური თეორია ითვლებოდა მარქსისტულ ენათმეცნიერებად და კომუნისტური პარტიის ხაზად მეცნიერებაში. ეს დაპირისპირება ზოგჯერ სიცოცხლისთვის საშიშ ვითარებასაც კი ქმნიდა, რადგან მეცნიერის ან სტუდენტის მოხვედრა არასანდოთა რიცხვში მისთვის შეიძლებოდა ცუდად დასრულებულიყო (ბოლქვაძე, 2018, გვ. 79).

მარის თეორიის საბჭოთა მეცნიერებასა და პედაგოგიკაში დანერგვის ვალდებულებებმა და იდეოლოგიზაციამ თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია 1949 წლის 21 ივლისს: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილების მიხედვით, საჭირო იყო ნიკო მარის თეორიის საკავშირო პოპულარიზაცია, სპეციალური ნაშრომების მომზადება, კონფერენციების მოწყობა, მარის ნაშრომების ანტომეულის გამოცემა, მარის მოძღვრების მიხედვით დისერტაციების შექმნა და სხვ. რასაკვირველია, ეს გეგმები ეხებოდა საქართველოსაც, ქართულ სამეცნიერო და სასწავლო სივრცეებსაც, თუმცა სწორედ 1949 წელს იოსებ სტალინის შეხედულება ნიკო მარის მოძღვრებაზე შეიცვალა, რასაც მოჰყვა ამ თეორიის კრიტიკა. „1949 წელი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ სწორედ ამ დროს შეირყა ოფიციალური დამოკიდებულება მარის თეორიის მიმართ — იოსებ სტალინს გაუჩნდა ეჭვი, რომ მარის თეორია არ იყო მარქსისტული, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მარისტული მარქსისტულს აღარ ნიშნავდა. სტალინი ალბათ დამოუკიდებლად არ მისულა ამ აზრამდე. მას ეხმარებოდნენ ამ თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. გარე ფაქტორებმა ხელი შეუწყო იოსებ სტალინის ჩარევით საბჭოთა ენათმეცნიერებიდან ნიკო მარის სახელის ამოგდებას, ხოლო თვით სტალინს მრავალ სახოტბო სახელთან ერთად შეემატა კიდევ ერთი: „მეცნიერების კორიფე“ (ბოლქვაძე, 2018, გვ. 134).

სტალინის შეხედულებების ცვლილების მიზეზებზე საუბრისას, პროფ. თინათინ ბოლქვაძე ასახელებს ორ მთავარ საკითხს: საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის, სტალინისა და მათი ძეგლის დაახლოებას, რომელიც განსაკუთრებული ინტენსივობით 1949-50 წლებში მიმდინარეობდა და, ამავდროულად, ქართველი ენათმეცნიერების, არსებითად კი, არნოდ ჩიქობავას განსხვავებულ მოსაზრებებს ნიკო მარის მოძღვრებაზე, რომელსაც მხარს უჭერდა ლავრენტი ბერია. ჩიქობავას შეხედულებები მარის თეორიაზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ,

კანდიდ ჩარკვიანმა მოახსენა სტალინს. უფრო დამაჯერებელი ჩანს ენათა სტადიური კლასიფიკაციის მარისეული სქემის დაწუნება ჩინეთთან მეგობრული ურთიერთობების აუცილებლობის გამო. ჩინური ენის პრიმიტიულ ენათა რიგში ჩაყენება იყო ის „უხერხული დეტალი“, რომელიც საბჭოეთისა და ჩინეთის მეგობრობას ჩრდილს აყენებდა და უფრო მეტიც, კომუნიზმის მთელ მსოფლიოში გამარჯვების საქმეს საფრთხეს უქმნიდა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნიკო მარის მოსაზრება ჩინური ენისა და ჩინელი ხალხის შესახებ”. (ბოლქვაძე, 2018, გვ. 185).

1950 წლის 9 მაისს საბჭოთა კავშირის ოფიციალურ ორგანოში, გაზეთ „პრავდაში“, გამოქვეყნდა ქართველი მეცნიერის, არნოლდ ჩიქობავას წერილი, რომელშიც ნიკო მარის თეორია კრიტიკულად არის განხილული. სტატიას წინ უძღოდა ქართველი ენათმეცნიერის შეხვედრა სტალინთან და ტექსტის წინასწარი შეთანხმება. წერილი დისკუსიის რუბრიკით გამოქვეყნდა და მას მრავალი საპასუხო წერილი, გამოხმაურებაც მოჰყვა. 1950 წლის 20 ივნისს კი „პრავდაში“ გამოქვეყნდა იოსებ სტალინის წერილი ნიკო მარის თეორიის შეუსაბამობაზე მარქსისტულ-ლენინისტურ ენათმეცნიერებასთან. ამის შემდეგ საბჭოთა კავშირში იცვლება ნიკო მარის თეორიის მიმართ დამოკიდებულება. გაუქმდა მარის მოძღვრების შემცველი სასწავლო კურსები, უმაღლეს სასწავლებლებში დაარსდა სალექციო კურსი „ენის სტალინური მოძღვრება” (ბოლქვაძე, 2018).

აფხაზური და ოსური ენებისათვის ანბანთა ცვლილების საკითხის პოლიტიკური მნიშვნელობა აღმატებოდა ლინგვისტურ და პედაგოგიურ მნიშვნელობას. ანბანთა ლათინიზაციის პროცესი, რომელიც ნიკო მარის თეორიას ემყარებოდა, უფრო ადრე შეწყდა, ვიდრე ნიკო მარის თეორია იქნა უგულვებელყოფილი ოფიციალური საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი მმართველის, იოსებ სტალინის მიერ. ანბანთა ლათინიზაციის პროცესი შეწყდა 1938 წელს, ხოლო ნიკო მარის თეორია 1950 წელს იქნა უარყოფილი და შემდგომში – დაგმოიხილი. ლათინიზაციის პროცესის შემდგომ აფხაზური და ოსური ანბანი დაემყარა ქართულ დამწერლობას. ოსი მოსახლეობისათვის კიდევ უფრო რთული პროცესი განვითარდა: ჩრდილოეთ ოსეთისათვის შემუშავდა რუსული დამწერლობა, ხოლო სამხრეთ ოსეთისათვის – ქართული.

კირილიზაციის, რუსული შრიფტის დანერგვა 1937 წლიდან იწყება, თუმცა მცირერიცხოვანი ხალხებისათვის ლათინიზებული ანბანის გადაყვანა დაწესდა იმ გრაფიკაზე, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკას ჰქონდა გამოყენებაში (ნარკვევები, 2007, გვ. 511, გვანცელაძე, ჭავჭავაძე, 2021, გვ. 50).

ნიკო მარის თეორიის კრიტიკისა და დაგმობის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, კვლავაც იდეოლოგიზებული დარჩა საბჭოთა სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცე. სტალინიზმის ეპოქაში სტალინის შეხედულებები იყო სავალდებულო ლენინისა და მარქსის მოსაზრებებთან ერთად, ხრუმჟოვის ეპოქაში – ხრუმჟოვისა და მარქსიზმ-ლენინიზმისა და სხვ. შეხედულებათა და იდეათა მრავალფეროვნება სრულიად იგნორირებული იყო და იდეოლოგიური წნეხი აისახებოდა ყველა ასპექტში, რომელშიც ეს მნიშვნელოვანი იყო ერთიანი, საბჭოთა სოციალისტური ქვეყნისათვის.

III. III. 2 ანბანთა ცვლილება და აფხაზური ენა

საბჭოთა ეპოქაში აფხაზური ენის სწავლების საკითხი რამდენიმე ეტაპისაგან შედგება. პირველ რიგში, აქ აღსანიშნავია აფხაზური ენის ანბანების ცვლილების საკითხი, რადგან აფხაზური ანბანი 1926-1956 წლებში სამჯერ შეიცვალა და რამაც, ბუნებრივია, თავისი ნეგატიური კვალი დატოვა აფხაზურენოვანი განათლების, აფხაზური ლიტერატურის განვითარების, ასევე, აფხაზური ლექსიკის, ტერმინოლოგიის, სხვადასხვა პროფესიული ენის, მათ შორის, სამეცნიერო ენის განვითარებაზე. ამის მიუხედავად, საბჭოთა ეპოქისათვის ანბანთა ცვლილებები არ წარმოადგენდა განსაკუთრებული სიფრთხილისა და დაკვირვების საგანს. ნიკო მარის შემოღებული იაფეტური თეორიის კრიტიკისას არნოლდ ჩიქობავას მიერ მომზადებულ წერილში იოსებ სტალინს რამდენიმე მოკლე კომენტარი აქვს შეტანილი, მათ შორის, აფხაზურისთვის ლათინურ დამწერლობაზე დამყარებული ანბანის შექმნაზე. ჩანს, რომ ეს საკითხი მისთვის წვრილმანია და არ თვლის მარის თეორიის კრიტიკის არგუმენტად: „Что мелочь” (ბოლქვაძე, 2018, გვ. 185).

აფხაზური ენისათვის დამწერლობების ცვლილებთან ერთად ცალკე უნდა აღინიშნოს აფხაზეთში ენათა გამოყენების წესი, რომელიც 1926 წლის 27 ოქტომბერს დამტკიცდა აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის მერვე მუხლით: „აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დაწესებულებათა ენებია სამი ენა: აფხაზური, ქართული და რუსული” (გვანცელაძე, ჭაავა, 2021, გვ. 95). ენათა ფუნქციონირების წესი გულისხმობდა სამივე ენის გამოყენებას მაზრებისა და სათემოების მიხედვით, ცალკეულ მაზრებში თითო ენა უნდა ყოფილიყო საქმისწარმოების ენა. გალის რაიონში საქმისწარმოების ენა ქართული უნდა ყოფილიყო,

კოდორისა და გუდაუთის მაზრებში – აფხაზური, სოხუმისა და გაგრის მაზრებში – რუსული (გვანცელაძე, ჭაავა, 2021, გვ. 95-96).

აფხაზური ლათინიზებული ანბანის პირველი ვერსია ნიკო მარმა შეიმუშავა. ეს იყო აფხაზური ანალიტიკური დამწერლობა, რომელიც შედგებოდა 65 გრაფემისაგან და გამოიყენებოდა 1926-28 წლებში. „საბაზო ასოთა დიდ ნაწილს კორპუსზე მარჯვნიდან, ქვემოდან, ან ზემოდან მიბმული ჰქონდა ერთზე მეტი დიაკრიტიკული ნიშანი, რის გამოც პედაგოგები ჩიოდნენ, მოსწავლეებს უჭირთ ამდენი ნიშნის დახსომებაო. ამ ფაქტორმა გადაწყვიტა ამ დამწერლობის ბედი. ეს ვარიანტი არ მოსწონდათ არც იმდროინდელი აფხაზური ინტელიგენციის ლიდერებს – დიმიტრი გულიასა და ანდრეი ჭოჭუას, ასევე აფხაზთა უმრავლესობას” (გვანცელაძე, ჭაავა, 2021, გვ. 50).

უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზი ინტელიგენცია ნიკო მარის შემუშავებული ანბანის წინააღმდეგი იყო. როგორც აფხაზი მეცნიერი, ვ. ყურასქუა აღნიშნავს, მთავარი მოწინააღმდეგე დიმიტრი გულია იყო. 1925 წელს აფხაზეთის განათლების კომისარმა, ა. ჩოჩუამ, აკადემიკოს ნიკო მარს მისწერა წერილი, რომელშიც აღნიშნავდა: „თქვენ მიერ გამოგზავნილმა ანბანმა ყველა ჩვენგანზე არასახარბიელო შთაბეჭდილება მოახდინა თავისი სირთულით, ასოების მოხაზულობისა და რაოდენობის სიძნელეებით” (Кураскья, 2003).

1928 წლიდან 1937 წლამდე აფხაზურ დამწერლობად გამოიყენებოდა ლათინური გრაფიკა, რომელიც შემუშავებული იყო ნიკოლაი იაკოვლევის, ევგენი პოლივანოვის, სამსონ ჭანბასა და არსენი ჰაშბას მიერ. თავდაპირველად 62 ასო შემცირდა 51-ით. 1933 წელს აფხაზურ ანბანში ხმარებიდან ამოიღეს დიდი ასოები.

1937-38 წლებიდან აფხაზური და ოსური დამწერლობები ქართული ანბანის საფუძველზე გადავიდა (ოსური დამწერლობა ერთდროულად ორ ანბანს დაეფუძნა: სამხრეთის ნაწილში – ქართულს, ჩრდილოეთ ოსეთში – რუსულს). ლათინურ ანბანზე დაბეჭდილ სახელმძღვანელოებს ქართულ ანბანზე დაბეჭდილი სახელმძღვანელოები ცვლიდა. სწრაფად შეცვლილმა დამწერლობამ, ბუნებრივია, თავისი გავლენა იქონია სასწავლო პროცესზე, ასევე, სხვა საკითხებზე, მათ შორის, ლიტერატურის განვითარებაზე.

აფხაზური ენის სწავლების, ბილინგვური განათლებისა და პედაგოგიური და მეთოდური საკითხების შესახებ მსჯელობისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს აზრთა ის სხვადასხვაობა, რომელიც აფხაზური ენის სწავლებასთან, ასევე აფხაზეთში სასკოლო

განათლების ერთგვარ რეფორმირებასთან დაკავშირებით არსებობს მეოცე საუკუნის 30-იანი წლების შესახებ. კერძოდ, აფხაზი მეცნიერების ნაწილი თვლის, რომ ნიკო მარის თეორიის უარყოფის შემდეგ, აფხაზური ანბანის ქართულ ანბანზე გადაყვანა უკავშირდება სტალინის წარმომავლობას, მის ქართველობას.

1937-38 წლიდან, აფხაზური და ოსური დამწერლობის ლათინურიდან ქართული ანბანით ცვლილების შემდეგ, ე. წ. აფხაზური და ოსური სკოლების საბაზო ენა გახდა რუსულის ნაცვლად ქართული. ამასთან დაკავშირებით გაზ. „საბჭოთა აფხაზეთში“ 1937 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა ვრცელი სტატია „აფხაზური ალფავიტის შესახებ“, რომელიც ეკუთვნით ა. ხაშბას, დ. ჩაგავას, დ. ხაშბას. სტატიაში განხილულია ლათინიზებული ანბანის სირთულეები და ქართული ანბანის უპირატესობები. ავტორები გამოყოფენ რამდენიმე მიზეზს: 1. აფხაზთა და ქართველთა ისტორიული სიახლოვე და ნათესაობა; 2. ქართული ენის ფონეტიკა ახლოს არის აფხაზურთან; 3. ქართულ ანბანში არ არის მთავრული ასოები, რაც არ გაართულებს აფხაზურ ანბანს; 4. „მეოთხე და უმთავრესი არის ის, რომ აფხაზეთის ა. ს. ს. რ. -ში მოსახლე ქართველ და აფხაზ მშრომელთა მოსწავლე ბავშვებს გაუადვილდება ქართული და აფხაზური ენების შესწავლა. მშრომელ აფხაზთა შვილები, შეისწავლიან რა აფხაზურ ანბანს, ამავე დროს ეცოდინებათ ქართული ალფავიტიც და, პირიქით, მშრომელ ქართველთა შვილებს, შეისწავლიან რა ქართულ ალფავიტს, ძირითადად ეცოდინებათ აფხაზურიც. ამრიგად, ლათინიზირებული ალფავიტიდან ქართულად თარგმნა რამდენიმე თვით შეამოკლებს იმ დროს, რომელიც სჭირდება ერთსა და იმავე მოსწავლეს ამ ალფავიტების დაუფლებისათვის“ (საბჭოთა აფხაზეთი 1937, №6). საბოლოოდ კი, ავტორები აღნიშნავენ: „უნდა გვესმოდეს, რომ „ალფავიტი და დამწერლობა არის მხოლოდ წერა-კითხვის ცოდნის გასაღები, კულტურის გასაღებს კი წარმოადგენს ენა, რომლისთვის ალფავიტი მხოლოდ საშუალებაა“, რისთვისაც დამწერლობასთან ენის დაკავშირება პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს. ჩვენ გვჯერა, რომ ქართულის საფუძველზე ახალი ალფავიტის შემოღება არა თუ აადვილებს კითხვას და გადაჭრის მთელ რიგ სხვა ტექნიკურ საკითხებს, არამედ გიგანტურ ასპარეზს მისცემს სტალინური ეპოქის ღირსეული ენისა და ლიტერატურის, საერთოდ, კულტურის შემდგომ აღმავლობას“ (საბჭოთა აფხაზეთი 1937, №6). აფხაზური დამწერლობის ქართულ ანბანზე დაწერილობის საკითხი განიხილეს 1937 წლის 4-5 დეკემბერს სოხუმში, ნ. მარის სახ. კვლევით ინსტიტუტში აფხაზი, ქართველი და რუსი მეცნიერების მონაწილეობით, სადაც ცნობილი აფხაზი

მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. ბ. ბლაჟბა აღნიშნავს, რომ „ეს ანბანი სრულყოფილად გამოხატავს აფხაზური სალიტერატურო ენის მთელ ბგერით შედგენილობას“ (Блажба, 1987, გვ.19).

აფხაზური და ოსური ენების დამწერლობის რეფორმა 1938 წელს შემდეგნაირად დასრულდა: ჩრდილოეთ ოსეთში ოსური ენის დამწერლობა რუსული გრაფიკის საფუძველზე უნდა შეცვლილიყო, ხოლო სამხრეთ ოსეთში – ქართული ენის საფუძველზე. აფხაზურ ენასთან დაკავშირებით კი 1938 წლის თებერვალში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება აფხაზური დამწერლობის ქართულ გრაფიკულ სისტემაზე გადაყვანის შესახებ. „ამის მიზეზი ჩვენ არ უნდა ვეძებოთ ი. სტალინისა და ლ. ბერიას ეთნიკურ ქართველობასა და მათს პატრიოტიზმში, არც სპეციფიკურ ანტიაფხაზურ მიმართულებასა და, განსაკუთრებით, ქართველი ერის მხრიდან აფხაზური ეთნოკულტურული თვითმყოფადობის მოსპობის მცდელობაში, არამედ იმ უდავო ლინგვისტორიულ გარემოებაში, რომ ავტონომიების მქონე საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ენებიდან მხოლოდ ქართული გამოირჩეოდა „კირილიცისაგან“ დიამეტრალურად განსხვავებული ანბანური დამწერლობით. ცხადია, კრემლი თავის გადაწყვეტილებაში ამ ქართული სპეციფიკის ნეიტრალიზებას და საქართველოსთვის ცალკე გადაწყვეტილების მიღებას არ მოახდენდა“ (იზორია, 2015, გვ. 28).

სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილია 1937-1938 წლებში მიღებული საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტბიუროს დადგენილებები „ხელოვნურად შექმნილი რაიონებისა და სოფსაბჭოების ლიკვიდაციისა და გარდაქმნის და ამასთან დაკავშირებული ეროვნული სკოლების რეორგანიზაციის შესახებ“ და „ეროვნული რესპუბლიკებისა და ოლქების სკოლებში რუსული ენის სავალდებულო შესწავლის შესახებ“. პირველ დადგენილებაში, რომელიც 1937 წლის 24 იანვარს მიუღია კომპარტიის ორგბიუროს და 1937 წლის 17 დეკემბერს დაუმტკიცებია პოლიტბიუროს, დაგმოხილია მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებში „მოკალათებული მტრული ელემენტების მავნებლობა“, ისინი თურმე ამკვიდრებდნენ საგანგებო ეროვნულ სკოლებს (გერმანულს, ფინურს, პოლონურს, ლატვიურს, ინგლისურს, ბერძნულს, ესტონურს, იჟორულს,

ჩინურსა და სხვებს) და აქცევდნენ მათ ბავშვებზე „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ზეგავლენის“ კერებად. დადგენილებაში კი აღნიშნულია:

„ა) გარდაიქმნას საგანგებო ეროვნული სკოლები (გერმანული, ფინური, პოლონური, ლატვიური, ესტონური და სხვ.) ჩვეულებრივი ტიპის საბჭოთა სკოლებად, აგრეთვე ლიკვიდირებულ იქნეს ჩვეულებრივ საბჭოთა სკოლებთან არსებული საგანგებო ეროვნული განყოფილებები.

ბ) რეორგანიზაცია განხორციელდეს შემდეგნაირად: „...აუცილებელია, საგანგებო ეროვნული სკოლები გარდაიქმნას ჩვეულებრივი ტიპის საბჭოთა სკოლების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადაყვანის გზით შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის ენაზე, ან რუსულ ენაზე სწავლებით...”

ჩამოთვლილი ღონისძიებები უნდა განხორციელებულიყო 1938 წლის 1 აგვისტომდე (Лежава, 1997, გვ. 112).

როგორც ჩანს, საბჭოთა ეპოქის 30-იან წლებში ნაციონალურ ენებზე სწავლება დაუშვებლად გამოცხადდა და ნაციონალურ ენებზე სწავლება საშუალო სკოლებში გაუქმდა. ამის მიუხედავად, 1945 წლამდე არ გაუქმებულა აფხაზური და ოსური ენის სწავლება შესაბამის სკოლებში. აფხაზური ენის სწავლებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას ისიც, რომ საკითხის პოლიტიკური ასპექტები კარგად ჩანს იმ პერიოდის ადგილობრივი, აფხაზეთის განათლების კომისარიატის მიერ გამოცემულ დადგენილებებსა და მასწავლებელთა სახელით გამოქვეყნებულ წერილებში (დაწვრილებით იხ. Лежава, 1997; ჯოჯუა, 2007; გვანცელაძე, 2011; იზორია, 2015; Бгажба, 1987 და სხვ.).

მე-20 საუკუნის 30-იანი წლების სასწავლო მოდელში სასკოლო განათლების საწყის ეტაპზე რუსული ენა ჩანაცვლდა ქართულით. დადგენილების ბ პუნქტში კი აღნიშნულია, რომ სკოლები უნდა გარდაქმნილიყო ჩვეულებრივი ტიპის საბჭოთა სკოლებად რესპუბლიკის ენაზე, ან რუსულ ენაზე. შესაბამისად, აფხაზური და ოსური სკოლები უნდა გადაკეთებულიყო ან ქართულ სკოლებად, ან რუსულ სკოლებად. ჩრდილოეთ ოსეთში, რომელიც რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შედიოდა, სკოლები რუსულენოვანი გახდა, თუმცა საქართველოს რესპუბლიკაში შემავალი აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი მოსახლეობისათვის, რომლებიც ქართული ანბანის მიხედვით სწავლობდნენ თავიანთ მშობლიურ ენას, უფრო ახლოს ქართული ენა უნდა ყოფილიყო. აღნიშნულთან დაკავშირებით თანამედროვე მეცნიერებაში, აფხაზ და

ქართველ მეცნიერებს შორის არსებობს აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა. აფხაზი მეცნიერების აზრით, ეს იყო აფხაზთა გაქართველების მცდელობა და აფხაზური ენისა და ლიტერატურის შეზღუდვა. ქართველი მეცნიერების აზრით, აფხაზი მოსახლეობისათვის, ასევე, პედაგოგიური, სამეცნიერო და ინტელექტუალური წრეებისათვის, ქართულენოვანი სწავლება არ იყო მიუღებელი. სკოლის პედაგოგებისა და დირექტორების, ასევე განათლების რაიონული განყოფილებების წარმომადგენელთა შეხედულებით (ზ. კაცია, ნ. გერია, ა. მარღანია, მ. ბუავა და სხვ.), აფხაზური სკოლების ქართულ ენაზე გადაყვანა სრულიად მისაღები იყო (დაწვრილებით იხ. პაპასქირი, 2007, გვ. 144-145). აფხაზური სკოლების ქართულ ენაზე გადაყვანის გამო შეიქმნა 1945 წლის 9 იანვრის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სასკოლო რეფორმის მოსამზადებელი სპეციალური კომისია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, მ. დელბას ხელმძღვანელობით. ორთვიანი მუშაობის შემდეგ, 1945 წლის 12 მარტს კომისიამ წარადგინა საოლქო კომიტეტის დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ აფხაზი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კარგად ფლობს ქართულ ენას, ამის მიზეზია ქართული და აფხაზური ენების ლექსიკური სიახლოვე და ერთიანი ანბანური სისტემა. კომისიის დასკვნის საფუძველზე, 1945 წლის 13 მარტს, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც 1945-1946 წლებში აფხაზურ სკოლებში სწავლება ქართულ ენაზე უნდა გადასულიყო. 1945 წლის 13 ივნისს ეს დადგენილება დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ.

საკითხის განვითარების ისტორიისათვის უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულენოვანი სწავლების წინააღმდეგ გაილაშქრა 1947 წლის 25 თებერვალს იმავე კვლევით ინსტიტუტში (ნ. მარის სახელობის აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) სამმა მეცნიერ-თანამშრომელმა: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატებმა: კ. შაკრილმა, ზ. შინკუბამ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. მიძარიამ და საპროტესტო წერილით მიმართეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. წერილი თავისი პოლიტიკური, იდეოლოგიური, ნაციონალური და სხვა ასპექტების გარდა, მნიშვნელოვანია პედაგოგიური საკითხების მხრივაც. კერძოდ, მოთხოვნაში აღნიშნულია, რომ ავტორებისა და აფხაზი ხალხის ერთი ნაწილის სურვილია საშუალო სკოლების მთლიანად გარდაქმნა აფხაზურ ენაზე, ქართული ენის ამოღება და რუსული ენის დამატება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1967

წელს აფხაზი ახალგაზრდების საპროტესტო წერილში სხვა საკითხებთან ერთად კვლავაც საუბარია აფხაზურენოვანი სწავლების შემოდგომის მოთხოვნაზე (დაწვრილებით იხ. *Лежава*, 1997, პაპასქირი, 2007).

რუსული ენის ცვლილება ქართულით განპირობებული იყო 1937 წლის დადგენილებით. როგორც კვლევები აჩვენებს, რუსული ენის ქართულით ჩანაცვლებას არ გამოუწვევია აფხაზური და ოსური ენების სასკოლო საათების შემცირება. როგორც უკვე აღინიშნა, ძირითადი სასწავლო ენის, რუსულის ჩანაცვლება ქართულით უშუალოდ უკავშირდება აფხაზური და ოსური დამწერლობების ლათინურიდან ქართულით ცვლილების საკითხს.

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია 1938-1952 წლებში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, კანდიდ ჩარკვიანის მოგონებები. იგი სწორედ იმ პერიოდში იკავებდა საქართველოში ამ უმაღლეს პარტიულ და აღმასრულებელ თანამდებობას, როდესაც აფხაზური და ოსური დამწერლობები ლათინურიდან ქართულ ანბანზე გადავიდა და როდესაც რუსულენოვანი სწავლება ქართულენოვანი სწავლებით ჩანაცვლდა. კ. ჩარკვიანი ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს: „სკოლის საკითხზე გაუგებრობაა, ჩვენ აფხაზური ენა არსაიდან არ ამოგვიღია. აფხაზური ენა დარჩა, საკითხი ეხება მხოლოდ და მხოლოდ დაწყებით განათლებას. დაწყებითი სკოლა იყო აფხაზური, მაგრამ არა ბოლომდე, რადგან სპეციალურ საგნებს აქაც რუსულად ასწავლიდნენ, მხოლოდ რუსულად, რადგანაც არც ტერმინოლოგია იყო, არც სახელმძღვანელოები, მასწავლებლებიც არ ჰყავდათ. ამიტომ, ფაქტიურად, ეს იყო რუსული სკოლა. ჩვენი ღონისძიება, რომელიც თვითონ აფხაზეთის ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა წარმოადგინა... და ითხოვეს, რომ ცენტრალურ კომიტეტს ნება მიეცა მათთვის სკოლებში იქ, სადაც რუსულად ასწავლიდნენ სპეციალურ საგნებს, ეს სასწავლო ენა შეეცვალათ ქართულით... მაგრამ ეს სრულებითაც არ ზღუდავდა აფხაზური ენისა და ლიტერატურის შესწავლას, იმიტომ, რომ ამ სკოლების დაწყებით კლასებში ეს საგნები რა მოცულობითაც ისწავლებოდა, იმ მოცულობითვე დარჩა. რაც შეეხება ქართულ სკოლას, სადაც უნდა ესწავლათ აფხაზ მოწაფეებს – იქაც მათ ექნებოდათ პირობები, რომ შეესწავლათ აფხაზური ენა და ლიტერატურა. ასეთი იყო მოსაზრება. მაგრამ ახლა გადაატრიალეს ყველაფერი და ისე გამოჰყავთ, თითქოს ჩვენ საშუალო სკოლაც გავაუქმეთ. რაც არ არსებობდა, იმას როგორ გავაუქმებდით? არ იყო აფხაზური საშუალო სკოლა. თუ რამე საყვედური ეთქმის ვინმეს, ეს, მე მგონი, მხოლოდ

ერთ რამეზე, კერძოდ, იმაზე, რომ ჩვენ შევცვალეთ სასწავლო ენა რუსული ქართულით. ისიც ყველა სკოლაში არა. მხოლოდ იმ სკოლებში, სადაც ქართული ენა, ასე თუ ისე, ფეხმოკიდებული იყო” (ჩარკვიანი, 2013, გვ. 47-48).

1953-54 წლებიდან აფხაზური და ოსური ენების სწავლების საკითხში შემდეგი ეტაპია რუსული ალფაბეტიზაცია. რუსული ანბანის შემოღების შემდეგ, დღემდე, აფხაზური და ოსური დამწერლობები სწორედ რუსული ანბანის საფუძველზე ვითარდება.

ანბანთა ცვლილება რთული, ფარული და ღია წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესი იყო აფხაზებისათვის, რამაც ნეგატიურად იმოქმედა პედაგოგიურ, ლიტერატურულ და საგანმანათლებლო პროცესებზე.

III.III. 3 ანბანთა ცვლილება და ოსური ენა

საბჭოთა კავშირის დაფუძნების შემდეგ, შეიქმნა გარკვეული პირობები და ვალდებულებები დაწყებითი კლასიდან ნაციონალური ენების სწავლებასთან დაკავშირებით, თუმცა ოსური ენის სწავლების შემოღების საკითხი ყოვნდებოდა არასაკმარისი სასწავლო და მეთოდური მასალების, ასევე, მასწავლებლების, სასწავლო პროგრამების არარსებობის გამო და რუსული ენა კვლავაც რჩებოდა მთავარ სასწავლო ენად. ოსური სკოლების მასწავლებელთა მეორე ყრილობაზე დაისვა საკითხი ოსური ენის სწავლების მიზნით ვლადიკავკაზის მასწავლებელთა ინსტიტუტის ბაზაზე შესაბამისი დარგის სპეციალისტების მომზადების შესახებ. შეიქმნა ხუთკვირიანი მეთოდური პედაგოგიური კურსები ოსური ენის მასწავლებელთათვის. პედაგოგთა მომზადება დაიწყო 1920 წლის აგვისტოში თერგის მხარის სახალხო განათლების განყოფილების ზედამხედველობით. შესაბამისად, მე-20 საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო ოსური ენის სწავლების გაფართოება, მზადება ოსური ენის ბაზაზე ნაციონალური სკოლის დაფუძნებისათვის, საფუძველი ჩაეყარა კადრების მომზადებისა და სახელმძღვანელოების შემუშავების პროცესს, ასევე, დაარსდა შესაბამისი სტამბები. ამ ფონზე კი, საბჭოთა კავშირში პოპულარული ხდება ნიკო მარის თეორია და იწყება ოსური ანბანის ლათინიზაცია.

ოსური ანბანის ლათინურ ანბანზე გადაყვანა ლათინიზაციის საყოველთაო პროცესის დასაწყისშივე მოხდა. აღსანიშნავია, რომ ოსური ენა იყო პირველი ჩრდილოკავკასიურ ენებს შორის და ერთ-ერთი პირველი მთელ საბჭოთა კავშირში,

რომელიც ლათინურ ანბანზე გადავიდა 1923 წელს. შესაბამისად, ლათინიზაციის პროცესი ოსური ანბანისათვის ორი ეტაპისაგან შედგება. პირველი ანბანი არ იყო უნიფიცირებული და მას ჩაენაცვლა მეორე, რომელიც უფრო დაზუსტებული და სრულყოფილი იყო.

1923 წელს ოსური ენის ლათინური ანბანისათვის გამოცხადდა კონკურსი, რომელმაც გამარჯვებული ვერ გამოავლინა, თუმცა არსებული პროექტების შედეგად ამავე წელს ოსური ენისათვის გამოიცა გ. გურიევის ანბანი, რომელიც ირონულ დიალექტზე იყო დაფუძნებული, შეიცავდა დიაკრიტიკულ ნიშნებს და დიგრაფებს, რამაც მოსახლეობის კრიტიკა გამოიწვია. ამის მიუხედავად, დასაწყისშივე დაინერგა ლათინიზებული ანბანი საგანმანათლებლო და საგამომცემლო სფეროებში, შემუშავდა 25 სახელმძღვანელო, 20 კრებული ლიტერატურის გაკვეთილებისათვის, 2 ფოლკლორული კრებული და 3 სამეცნიერო კვლევა.

1922-1924 წლებში ვლადიკავკაზში პირველი საფეხურის 21 სკოლასა და მე-2 საფეხურის 6 სკოლაში სწავლა მიმდინარეობდა ათ ენაზე: რუსულად, ოსურად, სომხურად, სპარსულად, ქართულად, ებრაულად, თათრულად, გერმანულად, ბერძნულად, პოლონურად, შესაბამისი ანბანების გამოყენებით (Магидов, 1979, გვ. 54). ეს კი გამოწვეული იყო ცენტრალური კომიტეტის მე-8 (1919 წ.) და მე-10 (1921) ყრილობების გადაწყვეტილებებით. დანარჩენ სკოლებში, ძირითადად, სოფლებსა და პერიფერიებში, სწავლების ენა იყო რუსული, იშვიათად – ოსური.

სამხრეთ ნაწილში ოსური ენის სწავლება სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობასთან ერთად ფართოვდებოდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ოსური ენის სწავლების საკითხისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1932 წელს დაარსებულ ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს, სადაც თავდაპირველად აგრობიოლოგიის ფაკულტეტი ფუნქციონირებდა, ხოლო მოგვიანებით შეიქმნა ფილოლოგიის განყოფილება, სადაც ქართული ფილოლოგიისა და რუსული ფილოლოგიის სპეციალიზაციასთან ერთად ოსური ფილოლოგიის მიმართულებაც შეიქმნა.

ოსური და აფხაზური ენების შესწავლისა და სწავლების საკითხები ღრმად არის დაკავშირებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სადაც მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან მიმდინარეობდა ამ ენების

საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლა, ცალკეული გრამატიკული და ენათმეცნიერული კატეგორიების გამოყოფა და ასევე, ოსური და აფხაზური ენების სწავლება.

ოსური და აფხაზური ანბანების ცვლილებების საკითხმა ზეგავლენა მოახდინა ოსური და აფხაზური ენების სწავლების პროცესებზე. სასკოლო სახელმძღვანელოებზე, სამეცნიერო ნაშრომებსა და ორიგინალურ მხატვრულ თუ ნათარგმნ ლიტერატურულ გამოცემებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ერთი და იგივე წიგნი, სახელმძღვანელო თუ გამოკვლევა ხშირად რამდენიმე შრიფტით იბეჭდებოდა: ლათინური და ქართული, ან ლათინური და რუსული შრიფტების გამოყენებით. ასევე, სასკოლო სახელმძღვანელოები რამდენიმე წლის განმავლობაში სხვადასხვა შრიფტით გამოიცემოდა (დეტალურად იხ. ბეპიევი, 2023), რაც, ბუნებრივია, ართულებდა ამ ენის შესწავლას სკოლის მოსწავლეებისათვის, ასევე, ართულებდა ამ ენაზე მხატვრული ლიტერატურის შექმნას თუ თარგმნას.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს შემდეგი: მე-20 საუკუნის 20-50-იან წლებში აფხაზური და ოსური ენების სწავლება დაკავშირებულია საბჭოთა იდეოლოგიურ საკითხებთან, მათ შორის, ანბანების ცვლილებების ერთნაირ პროცესებთან, რაც ართულებდა როგორც ენების სწავლის პედაგოგიურ და მეთოდურ პროცესებს, ასევე, ქმნიდა პოლიტიკური დაპირისპირების წინაპირობებს, რაც შემდგომში იქცა კიდევ დაპირისპირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საბაზად. ასევე, აღნიშნულ პერიოდში ფართოდ მიმდინარეობდა საგანმანათლებლო პროცესები, ძირითადად, მოსახლეობის ალფაბეტიზაციის, ასევე, დაწყებითი და საშუალო განათლების კუთხით, თუმცა აფხაზური და ოსური ენების სწავლების მაგალითზე შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს იყო რუსულენოვანი განათლების ხელშეწყობა, სადაც სკოლების ნაციონალიზაცია პირობითად იყო დიფერენცირებული.

III.III. 4 თბილისის უნივერსიტეტის დაარსება და

აფხაზური და ოსური ენების სწავლების საკითხი

თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისთანავე დაიწყო ზრუნვა უნივერსიტეტში აფხაზური და ოსური ენების სწავლებისათვის. ამ იდეის ინიციატორი იყო ივანე ჯავახიშვილი.

აფხაზური ენის სალექციო კურსის წასაკითხად თავდაპირველად აფხაზი მკვლევარი და პედაგოგი, პეტრე ჭარაია (1861-1919) უნდა მოეწვიათ, თუმცა მისი გარდაცვალების გამო ეს საკითხი შეფერხდა. 1924-1926 წლებში აფხაზური ენის კურსს კითხულობდა აფხაზი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, დიმიტრი გულია, ხოლო 1927-1937 წლებში პროფესორი სიმონ ჯანაშია. 1937 წლიდან აფხაზურ ენას კითხულობდა ქეთევან ლომთათიძე (გითოლენდია, 2013). აფხაზური ენის, ლიტერატურის, აფხაზი ხალხის ისტორიისა და კულტურის კვლევა ინტენსიურად მიმდინარეობდა უნივერსიტეტში და შემდგომ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში.

ოსური ენა ისწავლებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მას კითხულობდა გიორგი ახვლედიანი. „ივანე ჯავახიშვილმა 1917 წლის 12 მაისს უნივერსიტეტის დასაარსებლად გამართულ სხდომაზე უნივერსიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახა კავკასიის ხალხთა ენების, კულტურის, ზეპირსიტყვიერებისა და ზნე-ჩვეულებათა შესწავლა“ (ბეპიევი, 2017ა, გვ. 65). 1918 წლის 2 მაისს პროფესორთა საბჭოზე ივანე ჯავახიშვილმა წამოაყენა შემდეგი წინადადება: „ჩვენი წმინდა მოვალეობაა ჩვენს ჩრდილოეთის მეზობლებს საკუთარი ეროვნული შემეცნება და მწერლობა ჰქონდეთ, ჩვენ არც მათი პოლიტიკური ბატონობა გვსურს და მთელი ჩვენი ძალ-ღონითაც მოწადინებულნი ვართ, რომ ისინი ეროვნულს გადაგვარებას გადავარჩინოთ და, პირიქით, შეძლებისამებრ, მათს ეროვნულს აღორძინებას ხელი შევუწყოთ“. პროფესორთა საბჭომ კი შემდეგი დადგენილება გამოიტანა: „განაჩენი: მიღებულ იქნეს ზომები მთიელთა ენების შესასწავლად. მომავალ ენკენისთვიდანვე დაიწყოს ოსური ენის სწავლება და ამ საქმის ხელმძღვანელობა მიენდოს პროფესორის მოადგილეს გ. ახვლედიანს“ (ბეპიევი, 2017ა, გვ. 66).

ოსური ენის სწავლება 2018-19 სასწავლო წლიდანვე უნდა დაწყებულიყო, როგორც ეს პროფესორთა საბჭოს დადგენილებაშია აღნიშნული. გიორგი ახვლედიანის არქივში შენახულია ოსური ენის პროგრამა, რომელიც 1938 წლით არის დათარიღებული, სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის ეგიდით, ხელნაწერის ფოტოპირის სახით, გიორგი ახვლედიანის რედაქტორობით გამოცემული, ტირაჟი 200 ეგზემპლარი. პროგრამის ცალკეულ თავებში აშკარად ჩანს ნ. მარის თეორიის გავლენები. პროგრამის პირველ თავში, რომელიც წარმოადგენს შესავალს და მიმოხილულია ოსური ენის ზოგადი საკითხები, ამ ენის ადგილი ირანულ ენათა შორის,

ოსური ენის გავრცელების არეალი, შესწავლის ისტორია და სხვ. აღნიშნულია ასევე: „ოსური ენის დამოკიდებულება კავკასიურ ენებთან; მისი წარმოშობის საკითხი” (პროგრამა, 1938). ასევე, პროგრამის მეორე თავში, გრამატიკა, გამოყოფილია ოსური ენის ფონეტიკის თავი და აღნიშნულია: „ოსური ენის ბგერითი შედგენილობა და ოსური ანბანის ისტორია. საბჭოთა მთავრობის ეროვნული პოლიტიკა და ოსური მწერლობის აყვავება ამ პოლიტიკის შედეგად” (პროგრამა, 1938). შემდგომ კი ჩამოთვლილია ფონეტიკური მოვლენები, მორფოლოგიური და სინტაქსური საკითხები. პროგრამის მეოთხე თავში, სავალდებულო ლიტერატურაში კი მითითებულია ვსევლოდ მილერის, ნიკო მარის, გიორგი ახვლედიანისა და ვასილ აბაევის შრომები. აღსანიშნავია, რომ 1937 წლიდან იცვლება ოსური ანბანი და ლათინურის ნაცვლად გამოიყენება ქართული, თუმცა 1937-38 წლებში ოსურ წიგნებზე დაკვირვება გვაჩვენებს, რომ სამხრეთ ოსეთში ამ წლების გამოცემები ლათინურ და ქართულ ანბანზეა შესრულებული, ხოლო ჩრდილოეთ ოსეთში გამოცემული წიგნები რუსულ ანბანზეა დაფუძნებული (დეტალურად იხ. ბეპიევი, 2023). 1938 წელს, ოსური ენის სასწავლო პროგრამის გამოქვეყნების დროს, 1938 წელს, ჯერ კიდევ გრძელდება ნ. მარის თეორიის მხარდაჭერა, რასაც მოწმობს სასწავლო მასალაში ნიკო მარის ენათა შერევის საკითხის შეტანა, ასევე, საბჭოთა პოლიტიკის ხაზგასმა და ნ. მარის შრომის დასახელება.

1930-33 წლებში მოხდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და ინსტიტუტების დაარსება. 1930 წლის 7 ივლისის დადგენილებით განისაზღვრა რეორგანიზაცია და შეიქმნა ოთხი სპეციალიზებული სასწავლო ინსტიტუტი: საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი; საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელსაც ასევე შეუერთდა უცხო ენათა ინსტიტუტი და სამხატვრო აკადემია; საფინანსო-კოოპერაციული ინსტიტუტი; საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტი. უნივერსიტეტი აღდგა 1933 წლის 8 იანვარს (ვაჩნაძე, გურული, 2004; ფუტკარაძე, ვაშაკიძე, 2011).

უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და დაშლა სასწავლო ინსტიტუტებად პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, რადგან იმ პერიოდისათვის უნივერსიტეტი სრულად არ უჭერდა მხარს საბჭოთა იდეოლოგიასა და პოლიტიკურ კურსს. ეს იყო სადამსჯელო რეფორმა უნივერსიტეტის, მისი პროფესორებისა და სტუდენტებისათვის.

აფხაზური და ოსური ენების შესწავლა ინტენსიურად მიმდინარეობდა თბილისის, სოხუმის, ცხინვალის და სხვა უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში.

„ლინგვისტური აფხაზოლოგიის სფეროში დამუშავებულია აფხაზური ენის ფონეტიკისა და ფონოლოგიის, გრამატიკული სტრუქტურის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკოლოგიის, დიალექტოლოგიის საკითხები, სოციოლინგვისტური და ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემები. აგრეთვე შესწავლილია ქართულ-აფხაზური ენობრივი ურთიერთობები და ამ ენის გენეტიკური მიმართება სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებთან” (გითოლენდია, 2013). შეიქმნა აფხაზოლოგიის სკოლა. ამ საქმეს განსაკუთრებული ამაგი დასდო, აკადემიკოსმა ქეთევან ლომთათიძემ „არ არსებობს აფხაზური ენის არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი, ქ. ლომთათიძეს რომ არ გამოეთქვას მის შესახებ საყურადღებო მოსაზრება. თუ დღეს აფხაზური ენა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის ერთ-ერთ ყველაზე უკეთ შესწავლილ ენად ითვლება, ეს სწორედ ქ. ლომთათიძის მრავალრიცხოვანი ნაშრომების შედეგად არის” (გვანცელაძე, 2003, გვ. 22). აფხაზური ენის, ლიტერატურისა და კულტურის კვლევა დღესაც გრძელდება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აფხაზური ენისა და კულტურის სამეცნიერო ცენტრში პროფ. თეიმურაზ გვანცელაძის ხელმძღვანელობით; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს სხვა უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში. აქვე უნდა აღინიშნოს აფხაზი ხალხის ეთნოლოგიისა და ისტორიის მიმართულებით გამოქვეყნებული კვლევები.

ოსური ენის კვლევას დიდი ამაგი დასდეს აკადემიკოსმა გიორგი ახვლედიანმა, ვასილ აბაევმა, მზია ანდრონიკაშვილმა, ოლღა თედეევმა და სხვ. ოსური ენის კვლევა მიმდინარეობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტსა და სამეცნიერო ცენტრებში.

III.III. 5 სასკოლო განათლება მე-20 საუკუნის 20-50-იან წლებში

საბჭოთა კავშირის დაარსების პირველი წლები განათლების პოლიტიკის თვალსაზრისით ხასიათდებოდა ნაციონალურ ენებზე სკოლების გახსნით. ხშირ შემთხვევაში ეს ტენდენცია საჭირო იყო უმცირესობების ენებზე სწავლების თვალსაზრისით, ხოლო ზოგჯერ – გადაჭარბებული და არასაჭირო. მაგალითად, აფხაზეთში და საქართველოს სხვა რეგიონებში ბერძნული სკოლის გახსნის შემდგომ აღმოჩნდა, რომ ამის საჭიროება არ იყო, რადგან მოსწავლეებისა და მასწავლებლების

უმრავლესობამ არ იცოდა ბერძნული ენა. „ბერძნულ დიასპორაში ბერძნული ენის ცოდნის დონის წინასწარი კვლევის გარეშე ბერძნული სკოლების სახელწოდებით დაარსდა სასწავლო დაწესებულებები აფხაზეთში, სამცხე-ჯავახეთში, თრიალეთში, აჭარაში, მაგრამ მალე განათლების დარგის ხელმძღვანელებმა დაიწყეს ჩივილი იმის შესახებ, რომ ამ სკოლათა უმრავლესობაში არც მოსწავლეებმა და არც მასწავლებლებმა არ იცოდნენ ბერძნული ენა, არ არსებობდა სახელმძღვანელოები და მეთოდური ლიტერატურა. ბერძნული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები შეისყიდეს საბერძნეთში, მაგრამ საგანგებო კომისიებმა ეს წიგნები დაიწუნეს იდეოლოგიური მოსაზრებების გამო, მათში ბურჟუაზიული იდეებია წარმოდგენილი და კომუნისტურ აღზრდას ხელს შეუშლიანო. ხელოვნურად შექმნილი პრობლემა იოლად გადაწყდა: ბერძნების დასახლების ადგილთა უმრავლესობაში შექმნილ სკოლებს სახელად კვლავ ბერძნული სკოლები დაუტოვეს, სწავლება კი რუსულ ენაზე დაწესდა, ანუ ე.წ. ბერძნული სკოლა გამოყენებულ იქნა ბერძნული ეროვნების ბავშვთა გარუსების დაჩქარებისათვის” (გვანცელაძე, ჭაავა, 2021, გვ. 99). მსგავსი ვითარება იყო სამხრეთ ოსეთში, ცხინვალის სომხური სკოლის დაარსებასთან დაკავშირებით (ქირია, 2005).

ნაციონალურ ენებზე სწავლების პოლიტიკა ვრცელდებოდა აფხაზეთითა და ოსებით დასახლებულ ადგილებშიც. ამ პერიოდისათვის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სასკოლო განათლება ავლენს რამდენიმე საერთო ნიშანს:

- დაწყებითი სკოლების, ოთხწლიანი სასწავლებლების დაარსება;
- დაწყებით საფეხურზე აფხაზური და ოსური ენების სწავლების ხელშეწყობა;
- წერა-კითხვის არცოდნის ლიკვიდაცია;
- ექვსწლიანი, შვიდწლიანი და ცხრაწლიანი სასწავლებლების დაარსება საჭიროების შემთხვევაში;
- ინტერნატების დაარსება;
- ერთიანი შრომის სკოლების დაარსება;
- საშუალო სკოლის, ათწლიანი სასწავლებლების დაარსება აუცილებლობის შემთხვევაში;
- პედაგოგიური სასწავლებლების გახსნა სოხუმსა და ცხინვალში;
- მასწავლებლების მომზადება;
- პროფილური ტექნიკუმების გახსნა სოხუმსა და ცხინვალში;
- აფხაზურ და ოსურ ენებზე სწავლების არათანმიმდევრული პროცესი.

ამასთან, შეინიშნებოდა საერთო პრობლემებიც: მოსახლეობის სიდუხჭირე, სასწავლო ინვენტარის ნაკლებობა, სასწავლო წიგნების ნაკლებობა და სხვ. ეს პრობლემები იკვეთება მთელი საქართველოს მასშტაბით არ არის მხოლოდ განსახილველი რეგიონებისთვის დამახასიათებელი.

III.III. 6 აფხაზური ენის სწავლების თავისებურებები 20-50-იან წლებში

საარქივო მასალების მიხედვით, 1920-1921 წლებში აფხაზეთში სულ 295 სასწავლებელია (ჭაავა, 2020, გვ. 105; გვანცელაძე, ჭაავა, 2021, გვ. 97), მათ შორის, ქართული, სომხური, ბერძნული და რუსულ-აფხაზური სკოლები. სასწავლებლების უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველები, ხოლო არაქართველებს შორის რუსები და შემდგომ – აფხაზები. ასევე, მოსწავლეთა შორის უმრავლესობა იყვნენ ქართველები, შემდგომ აფხაზები და რუსები (გვანცელაძე, ჭაავა, 2021).

1922 წელს აფხაზეთში არსებობდა 183 სკოლა, 530 მოსწავლელი, 11403 მოსწავლე.

1927-28 სასწავლო წელს არსებობდა 86 ქართული სკოლა, 77 სომხური, 56 აფხაზური, 54 ბერძნული, 17 რუსული სკოლა.

ცხრილი №7

1921-22 – 1926-27 სასწავლო წლების სტატისტიკა სკოლების საერთო რაოდენობისა და აფხაზური სკოლების რაოდენობის მიხედვით

№	სასწავლო წელი	სკოლების რაოდენობა	მათ შორის აფხაზური სკოლები	მოსწავლეთა საერთო რაოდენობა	მათ შორის აფხაზ მოსწავლეთა რაოდენობა
1	1921-22	146	20	10468	2390
2	1922-23	183	31	11408	2390
3	1923-24	237	40	14797	2600
4	1926-27	273	43	19179	6073

სტატისტიკა მომზადებულია ყურასქუას ნაშრომის მიხედვით (Кураскья 2003)

აფხაზი ბავშვებისათვის ინტერნატი დაარსდა თბილისში 1922 წელს. მას ეწოდებოდა აფხაზური საბავშვო სახლი. „სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო ნ. შარვაშიძე, კარტოგრაფ მიხეილ შარვაშიძის მეუღლე. ეს სახლი შემდგომ გაგრაში გადაიტანეს” (Кураскья, 2003, გვ. 21).

1921 წელს სოხუმში დაარსდა პედაგოგიური ტექნიკუმი ყველა ეროვნების მასწავლებლებისათვის. ტექნიკუმში სწავლას აგრძელებდნენ 7 კლას დამთავრებულები. ტექნიკუმში სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

1926 წელს სოხუმში გაიხსნა ორწლიანი პედაგოგიური კურსები აფხაზებისთვის. კურსანტებს ასწავლიდნენ 16 საგანს, მათგან აფხაზურ ენას კვირაში ეთმობოდა მოსამზადებელ ეტაპზე 5 საათი, ხოლო პირველ და მეორე კურსებზე – კვირაში 4-4 საათი; რუსულ ენას ეთმობოდა მოსამზადებელ ეტაპსა და პირველ კურსზე – 6-6 საათი, მეორე კურსზე კი – 5 საათი; ისწავლებოდა აგრეთვე რუსული ენის მეთოდოლოგია, რომელსაც პირველ და მეორე კურსებზე ეთმობოდა 2-2 საათი, ხოლო აფხაზური ენის სწავლების მეთოდოლოგია სრულებით არ შედიოდა სასწავლო გეგმაში. რაც შეეხება დანარჩენ 13 შესასწავლ დისციპლინას, ყველა მათგანის სწავლების ენა მხოლოდ რუსული იყო (Кураскья, 2003).

სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსებისათვის ზრუნვა 1924 წლიდან დაიწყო, თუმცა ინსტიტუტი დაარსდა 1932 წელს.

სოხუმის პედაგოგიური ტექნიკუმი ფუნქციონირებდა მე-20 საუკუნის 30-იან წლებშიც. მას ხელმძღვანელობდა ს. ბასარია, აფხაზი განმანათლებელი. როგორც ყურასქუა მიუთითებს, მან მოიზიდა კვალიფიციური კადრები და ტექნიკუმს აფხაზთა შორის ფართო ლეგიტიმაცია ჰქონდა.

ცხრილი №8

სოხუმის პედაგოგიური ტექნიკუმის სტუდენტთა რაოდენობა 1921-39 წლებში

№	სასწავლო წელი	სტუდენტთა საერთო რაოდენობა
1	1921-31	100
2	1932	224
3	1936-37	205
4	1938-39	218

სტატისტიკა მომზადებულია ყურასქუას ნაშრომის მიხედვით (Кураскья, 2003)

ცხრილი ასახავს სოხუმის პედაგოგიური ტექნიკუმის სტუდენტთა რაოდენობას 1921-39 წლებში. აშკარად ჩანს, რომ შვიდი წლის განმავლობაში სტუდენტთა რაოდენობა გაორმაგდა.

სასკოლო სისტემა ორდონიანი იყო: დაწყებითი I-V კლასები და შვიდწლიანი – V-VII კლასები. ნაციონალურ სკოლებში მშობლიური ენის გარდა ისწავლებოდა რუსული ენა, კვირაში 4 საათი. რუსულ სკოლებში კი არ ისწავლებოდა სხვა ადგილობრივი ენა ან ენები.

პირველი დონის აფხაზურ სკოლაში პირველი კლასიდან განსაზღვრული იყო აფხაზური ენის სწავლება, თუმცა ასევე პირველი კლასიდანვე ისწავლებოდა რუსული ენა. „განსაზღვრული იყო სასწავლო წლის პირველი კვარტალი დასთმობოდა წინასწარ მოსამზადებელ გაკვეთილებს ზეპირი მეტყველების განვითარებისა და წერითი მომზადებისთვის. აფხაზურ სკოლას დაევალა, პირველ ორ-სამ თვეში ბავშვებისთვის ესწავლებინათ რუსულ ენაზე ელემენტარული ფრაზებით საუბარი. ამ მიზნით რეკომენდებული იყო ლექსიკის გაკვეთილების ჩატარება მკაცრად განსაზღვრული მასალებით, ვიზუალური მეთოდებით. გაკვეთილზე მოსწავლეს უნდა ესწავლა 6-10 ახალი სიტყვა. წერა უნდა ესწავლებინათ ილუსტრაციების მიხედვით. პირველი და მეორე წელი ამ მეთოდოლოგიით უნდა ესწავლებინათ” (Кураскья, 2003).

1923-24 წლებში აფხაზეთის სკოლებში შემოვიდა რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის მთავარი დირექტორატის მიერ შემუშავებული პროგრამები, რომელიც კომპლექსურ სწავლებას ითვალისწინებდა. მაგალითად, საგნები: ბუნება, შრომა და საზოგადოება გაერთიანებული იყო. როგორც ვ. ყურასქუა მიუთითებს, მე-20 საუკუნის 20-იან წლებში აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლის სკოლებში განსხვავებული სასწავლო პროგრამებით ისწავლებოდა საგნები. კერძოდ, სკოლებს მოეთხოვებოდათ კომპლექსური სწავლება, თუმცა სოფლის სკოლებში საგნობრივი მეთოდებით მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი, რაც დარღვევად ითვლებოდა (Кураскья, 2003). სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელთა ანგარიშებში აშკარად ჩანს სასკოლო განათლების პრობლემები. კომისიის 1925 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ კოდორის რაიონის სოფელ ჭლოუს სკოლის ყველა კლასში ისწავლება აფხაზური და რუსული ენები, თუმცა სწავლება მიმდინარეობს საგნობრივი მეთოდით და არა კომპლექსური მეთოდით. სოფელ კინდლის სკოლაში სწავლება მიმდინარეობს საგნობრივი მეთოდით მოსწავლეთა მოუმზადებლობის გამო. 1927-28 სასწავლო წლის პირველი საფეხურის კლასში, სოფელ ფოკვეშში ასევე

საგნობრივი სწავლება. მიზეზად სახელდება მასწავლებელთა მიერ კომპლექსური პროგრამების აუთვისებლობა.

ყოველმომცველი პროგრამები გულისხმობდა კომპლექსური სწავლების მეთოდების დანერგვას და უარყოფდა თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის პრინციპს. კომპლექსური მეთოდი არ ითვალისწინებდა აკადემიურ სწავლებას და სისტემური ცოდნის გადაცემას, რაც ხელს უშლიდა სასწავლო პროცესს, თუმცა, რადგან საბჭოთა კავშირი სავალდებულოდ მიიჩნევდა, ყველგან უნდა დანერგილიყო.

ცხრილი №9

1927-28 სასწავლო წლის სასწავლო გეგმა

აფხაზეთის ნაციონალური და რუსული სკოლებისათვის

საგნები	V კლასი, ნაციონალური სკოლები	V კლასი, რუსული სკოლები	VI კლასი, ნაციონალური სკოლები	VI კლასი, რუსული სკოლები	VII კლასი, ნაციონალური სკოლები	VII კლასი, რუსული სკოლები
მშობლიური ენა	5	-	5	-	5	-
რუსული ენა	4	5	4	5	4	5
საზოგადოება თმცოდნეობა	4	4	4	4	4	4
მათემატიკა	5	5	5	5	5	5
ბუნებისმცოდნეობა	3	3	3	3	3	3
ქიმია	1	1	2	2	2	2
ფიზიკა	3	3	3	3	2	2
გეოგრაფია	2	2	2	2	2	2
გერმანული ენა	3	3	3	3	3	3
სახვითი ხელოვნება	2	2	2	2	2	2
ფიზკულტურა	2	2	2	2	2	2
სიმღერა	1	1	1	1	1	1
შრომა	2	2	2	2	2	2

სულ	37	33	38	34	38	34
-----	----	----	----	----	----	----

სტატისტიკა მომზადებულია ყურასქუას ნაშრომის მიხედვით (Кураскya, 2003)

წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით აშკარად ჩანს, რომ ნაციონალური სკოლებსა და რუსულ სკოლებს შორის განსხვავება მშობლიური და რუსული ენების სწავლებაშია, დანარჩენი საგნების სწავლების კვირეული დატვირთვა ერთნაირი იყო. ნაციონალურ სკოლებში მშობლიური ენა ისწავლებოდა კვირაში 5 საათი, ხოლო რუსულ სკოლებში საერთოდ არ ისწავლებოდა. რუსული ენა ნაციონალურ სკოლებში ისწავლებოდა 4 საათი კვირაში, ხოლო რუსულ სკოლებში – 5 საათი კვირაში.

აფხაზური სტატისტიკის მიხედვით, მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს და 30-იანი წლების დასაწყისში გაიზარდა სკოლების რიცხვი. ეს არის ის პერიოდი, როდესაც წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მიმდინარეობდა. სხვადასხვა სოფელსა და ქალაქში გახსნილი იყო დაწყებითი სკოლები, შვიდწლიანი სკოლები, რვაწლიანი სკოლები და საშუალო სკოლები. მათ შორის იყო ქართული, აფხაზური, რუსული, სომხური, ბერძნული სკოლები.

ცხრილი №10

სკოლების სტატისტიკა აფხაზეთში 1927-1930 წლებში

№	სასწავლო წელი	დაწყებითი, შვიდწლიანი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების საერთო რაოდენობა	მოსწავლეთა საერთო რაოდენობა
1	1927-28	298	24183
2	1928-29	310	24716
3	1930-31	426	33457

სტატისტიკა მომზადებულია ყურასქუას ნაშრომის მიხედვით (Кураскya 2003)

1933 წელს შვიდწლიანი სკოლები გადაკეთდა ათწლიან საშუალო სკოლებად. სწავლება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, აფხაზური ენა და ლიტერატურა ისწავლებოდა ცალკე საგნად.

**1940-41 სასწავლო წლებში მასწავლებელთა რაოდენობა და კვალიფიკაცია
აფხაზეთში**

№	უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლ ები	არასრული უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლ ები	საშუალო სპეციალურ ი განათლების მქონე მასწავლებლ ები	ზოგადი საშუალო განათლების მქონე მასწავლებლ ები	არასრული ზოგადი განათლების მქონე მასწავლებლ ები	სულ
1	406	250	1399	686	144	2855

სტატისტიკა მომზადებულია ყურასქუას ნაშრომის მიხედვით (Кураскья 2003)

ცხრილი ასახავს მასწავლებელთა განათლების მდგომარეობას 1940-41 სასწავლო წლებში. ცხრილის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ მასწავლებლების უმრავლესობა არის საშუალო სპეციალური განათლების მქონე, თუმცა მასწავლებლებს შორის არიან როგორც უმაღლესი და არასრული უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგები, ისე ზოგადი საშუალო და არასრული ზოგადი განათლების მქონე მასწავლებლები.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 13 მარტის ერთობლივი დადგენილებით ეროვნული რესპუბლიკებისა და ოლქების სკოლებში რუსული ენის სავალდებულო სწავლების შესახებ, ოფიციალურად დადგინდა რუსული ენის სავალდებულო სწავლება მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

1942 წელს დაიხურა აფხაზეთის წამყვანი საშუალო სკოლა – სოხუმის ნ. ლაკობას სახელობის აფხაზური საშუალო სკოლა. 1945 წლის 12 ივნისის დადგენილების მიხედვით, 1945-46 სასწავლო წელს აფხაზური სკოლების დაწყებით კლასებში, ანუ 1-4 კლასებში სწავლება ქართულ ენაზე გადავიდა, 1946-47 სასწავლო წლიდან აფხაზური სკოლების სასწავლო ენა შეიცვალა და რუსულის ნაცვლად გახდა ქართული, ხოლო აფხაზური ენა შენარჩუნებულია, როგორც ერთ-ერთი საგანი.

თეიმურაზ გვანცელაძისა და სოფიკო ჭაავას მონოგრაფიაში ვრცლად არის განხილული 1942 წლის აფხაზური სკოლების რეფორმირების, რუსულენოვანი სასკოლო განათლების ქართულენოვანით ჩანაცვლების საკითხები იმ სკოლებში, სადაც აფხაზური ენა ისწავლებოდა და იწოდებოდა აფხაზურ სკოლებად. ავტორები ყურადღებას ამახვილებენ რამდენიმე ფაქტორზე, თუ რამ გამოიწვია ეს გადაწყვეტილება,

იმდროინდელ საარქივო მასალაზე, კერძოდ, 1945 წლის საოლქო კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებზე დაკვირვების შედეგად ფიქრობენ, რომ ქართულენოვან სწავლებაზე გადასვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მოსწავლეთა რუსული ენის ნაკლები ცოდნა იყო, რადგან უმრავლესობა ვერ ამთავრებდა საშუალო სკოლას რუსული ენის უცოდინარობის გამო. დაწყებითი საფეხური იყო აფხაზურ ენაზე, შემდგომაც აფხაზური ენასა და ლიტერატურას სავალდებულო საგნის სტატუსი ჰქონდა, ხოლო დანარჩენი საგნები რუსულის ნაცვლად ქართულ ენაზე ისწავლებოდა. აღნიშნულის არგუმენტი იყო ისიც, რომ იმ პერიოდში ქართულსა და აფხაზურ ენებს საზიარო დამწერლობა ჰქონდათ. სკოლების რეორგანიზაციის გეგმა 1937 წლიდან არსებობდა (გვანცელაძე, ჭაავა, 2021, გვ. 107-112). „თბილისელ და სოხუმელ ფუნქციონერებს ჰქონდათ მითითება მოსკოვიდან, პრაქტიკულად განხორციელებინათ ზემოთ დასახელებული 1937 წლის 17 დეკემბრისა და 1938 წლის 24 იანვრის დადგენილებები სპეციალური ეროვნული სკოლების რეორგანიზაციის შესახებ და შეეცვალათ აფხაზურ სკოლებში სწავლების ენა, რომლის შესრულება გადაიდო 1938 წელს, 1944 წლიდან კი იწყება მეორე მცდელობა ამ დადგენილებების განხორციელებისა, რასაც მოჰყვა 1945 წელს აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარ ი. დარსანიას გადაყენება თანამდებობიდან, აფხაზი პედაგოგებისა და ფუნქციონერების მიერ რეფორმის აუცილებლობის მოთხოვნა წერილობით და საბოლოოდ ე. წ. აფხაზური სკოლების სწავლების ენად ქართულის დაწესება 1945-1946 სასწავლო წლიდან” (გვანცელაძე, ჭაავა, 2021, გვ. 113). თ. გვანცელაძისა და ს. ჭაავას მონოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ეს რეფორმა აფერხებდა მშობლიურ ენაზე სწავლების პროცესს; რუსულის ჩანაცვლება ქართულით იყო რთული და, ზოგ შემთხვევაში, მიუღებელი აფხაზი მოსახლეობისთვის; აფხაზურ ენას დაწყებით საფეხურზეც და შემდგომაც ცოტა საათი ჰქონდა დათმობილი და სხვ. (გვანცელაძე, ჭაავა, 2021, გვ. 114).

1954 წლიდან აფხაზური დამწერლობა რუსული გრაფიკის საფუძველზე შემუშავდა და ეწოდა ახალი აფხაზური ანბანი. ეს ანბანი გამოიყენება დღემდე.

1954 წლიდან ხელახლა შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამები. სწავლება დაწყებით კლასებში აფხაზურ სკოლებში მშობლიურ ენას დაემყარა, ხოლო მე-5 კლასიდან – რუსულ ენას, აფხაზური ენა კი ისწავლებოდა მე-11 კლასის ჩათვლით.

სხვა საგანმანათლებლო სტრუქტურებს შორის სოხუმში მუშაობდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის

ფილიალი, რომელიც რეგულარულად ადგენდა მეთოდურ სახელმძღვანელოებს აფხაზურ ენაში და დასამტკიცებლად უგზავნიდა ცენტრს.

III.III. 7 ოსური ენის სწავლების თავისებურებები 20-50-იან წლებში

1923 წელს ცხინვალში დაიწყო სტამბის დაარსების პროცესი. 1924 წელს დაარსდა სტამბა, სადაც იბეჭდებოდა სხვადასხვა ოსურენოვანი ნაშრომი, მათ შორის, სახელმძღვანელოები და ოსი ავტორების ნაწარმოებები.

1922 წელს განათლების კომისარიატს სამხრეთ ოსეთში აღნუსხული აქვს 44 სკოლა. მოსწავლეთა რაოდენობა – 3126, მასწავლებელთა რაოდენობა – 89.

ცხინვალში ფუნქციონირებდა ოსური პედაგოგიური ტექნიკუმი, სადაც 25 მოსწავლე სწავლობდა (20 ოსი და 5 სომეხი). პედაგოგების რაოდენობა იყო 9.

ოსურენოვანი შრომის სკოლაში ირიცხებოდა 192 მოსწავლე, 15 მასწავლებელი.

დანარჩენი 42 სკოლა შემდეგ სოფლებში იყო გახსნილი: არკნეთი, ბელოთი, ვახტანა, გაღმა ავლევი, გიორგიწმინდა, ღრომი, ჯავა, ჯამისი, ჯრისი, მარი, დმენისი, ზაკორსკი, ზღუბირი, იმერხევი, ქალეთი, ქვათეთრი, ყორნისი, მეტეხი, მსხლები, ორტევი, პიჩიჯინი, თრინევი, რუსთავი, სამწყარო, სადიკარი, სნევი, თერეგვანი, ტილიანი, ტყის უბანი, თორმანეული, სხლითი, წონა, წორბისი, წრუხი, წნელისი, წუნარი, ჩასავალი, შუახევი, გერი, წხსიონი, წირსი, თედელეთი.

40 სკოლა 3000 მოსწავლით უშუალოდ ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქმედებდა.

სკოლების რიცხვი თანდათან იზრდებოდა. 1922-23 სასწავლო წელს 47 სკოლა ფუნქციონირებდა, 1923-24 სასწავლო წელს – 69 სკოლა, 1924-25 სასწავლო წელს, 104 სკოლა, 1925-26 სასწავლო წელს – 125 სკოლა, მათ შორის იყო ოსური ოთხკლასიანი სკოლები და ქართული სკოლები.

1925 წლის 20 ოქტომბერს გაიხსნა ცხინვალის პედაგოგიური ტექნიკუმი. ის ჯერ 1921 წელს გაიხსნა, თუმცა მალევე დაიხურა მასწავლებელთა და მოსწავლეთა სიმცირის გამო. აქვე არსებობდა ცხინვალის ერთკლასიანი (ერთწლიანი) სამეურნეო ტექნიკუმი.

1926-27 და 1927-28 სასწავლო წლებში სკოლების ზუსტი რაოდენობა არ არის ცნობილი, რადგან ამ დროს სკოლების ფორმირების პროცესი მიმდინარეობს, მცირდება ოთხკლასიანი სასწავლებლის რაოდენობა. 1928-29 სასწავლო წელს ფუნქციონირებს 126 სკოლა, რომლებშიც სულ სწავლობს 5165 მოსწავლე და ასწავლის 210 მასწავლებელი.

1929-30 სასწავლო წელს სამხრეთ ოსეთში პირველად გაიხსნა საშუალო სკოლა. ამ პერიოდში ოლქს ცალკე გამოუყვეს ბიუჯეტი სახალხო განათლებისთვის.

1931 წელს სამხრეთ ოსეთში ფუნქციონირებს 220 სკოლა, რომლებშიც სწავლობს 11000 მოსწავლე. სკოლებს შორის არის: გლეხი ახალგაზრდობის სკოლა, საფაბრიკო-საქარხნო სკოლები, აგრონომიული, სამედიცინო და პედაგოგიური ტექნიკუმები.

1932-33 სასწავლო წელს ფუნქციონირებს 348 სკოლა, 16303 მოსწავლე 744 მასწავლებელი.

1932 წელს გაიხსნა ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი.

1933-34 სასწავლო წელს ფუნქციონირებს პირველი საფეხურის 317 სკოლა – 15408 მოსწავლე; მეორე საფეხურის 22 სკოლა, 2 ათწლედი, სულ მეორე საფეხურის სკოლაში სწავლობდა 2500 მოსწავლე.

სკოლების რაოდენობის მკვეთრი ზრდა 1935 წლიდან შენელდა.

1936-37 სასწავლო წელს ფუნქციონირებდა 327 სკოლა, 1939 წელს ფუნქციონირებდა 342 სკოლა, 1940 წელს – 354 სკოლა, მათ შორის – 278 დაწყებითი სკოლა, 47 არასრული, 29 საშუალო სკოლა. სამხრეთ ოსეთის ოლქში მოსწავლეთა საერთო რაოდენობა იყო 27187 (ქირია 2005: 79-84).

ოსური სკოლები იხსნებოდა ოლქის გარეთაც: თბილისში, მე-11 სკოლაში ისწავლებოდა ოსური ენა, ხაშურში, კახეთის რაიონებში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ ოსები: ლაგოდეხის რაიონის სოფელ ხოშოტიანში 1907 წელს გაიხსნა 2-წლიანი სკოლა. 1920 წელს სკოლა გახდა 4-წლიანი. 1930 წელს დაწყებითი სკოლები გაიხსნა ლაგოდეხის რაიონის ოსურ სოფლებში: ფონაში, ბოლქეში, ფიჩხიბოგირში, ხეჩილში, არემფერანში. 1930 წელს სკოლა გადაკეთდა 7 წლიანად. 1937 წელს კი – საშუალოდ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ამჟამად ოსური ენა ისწავლება არჩევითი სტატუსით. ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით, ლაგოდეხის რაიონის არემფერანის სკოლა 1941-54 წლებში ქართულენოვანი იყო, 1954-2009 წლებში რუსულ-ოსური, ხოლო 2009 წლიდან ქართული, სადაც ოსური ენა ისწავლება. დაწყებით კლასებში ოსური ენის სწავლებას ეთმობოდა კვირაში 5 საათი, დანარჩენ კლასებში კვირაში 3 საათი. სხვადასხვა დროს სკოლაში ერთდროულად მუშაობდა სამი ან ოთხი მასწავლებელი. ცხინვალში არსებობდა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, პედაგოგები ვალდებული იყვნენ 5 წელიწადში ერთხელ დასწრებოდნენ კურსებს.

III. III. 8 სწავლების ენისა და დარგობრივი ტერმინოლოგიის საკითხისათვის

აფხაზურ და ოსურ სასკოლო სახელმძღვანელოებში სტალინურ ეპოქაში

სასკოლო ტერმინოლოგია საგნობრივი მიმართულებების მიხედვით თარგმნისა და სტანდარტიზაციის პროცესებთან უშუალო კავშირშია. აფხაზური და ოსური სკოლები პირობითი სახელებია იმ სასკოლო დაწესებულებებისა, სადაც აფხაზური და ოსური ენები ისწავლება. აღნიშნული ტიპის სკოლებმა განვითარების რამდენიმე საფეხური განვლეს მეთვრამეტე საუკუნიდან დღემდე. მრავალჯერ შეიცვალა სასკოლო პროგრამები, სახელმძღვანელოები, თუმცა აფხაზური და ოსური სკოლების სპეციფიკა შემდეგნაირად განისაზღვრა: დაწყებით საფეხურზე: I-III, ან I-IV კლასებში სწავლების ენა იყო აფხაზური ან ოსური, ხოლო IV ან V კლასიდან, სწავლების ძირითადი ენა – რუსული (მე-20 საუკუნის 30-50-იან წლებში, როგორც უკვე აღინიშნა, ზოგ სკოლაში, ქართული ენა), ამასთან, აფხაზური და ოსური ენები ისწავლებოდა დამამთავრებელი კლასის ჩათვლით. საბაზო საფეხურზე რუსულენოვანი სასკოლო განათლების შემოღების ძირითად მიზეზად ასახელებდნენ იმას, რომ აფხაზურ და ოსურ ენებში არ არსებობდა შესაბამისი დარგობრივი, სამეცნიერო და სასწავლო ტერმინოლოგია, რის გამოც ამ ენებზე ვერ შეიქმნა დარგობრივი სასწავლო ლიტერატურა. დღეისათვის, აფხაზური და ოსური ენები გადაშენების საფრთხის პირას მყოფი ენებია, რისი ერთ-ერთი მიზეზიც, დარგობრივი ლექსიკოლოგიური განვითარების, ახალი სიტყვების შექმნის ნაკლებობაც არის.

მკვლევართა აზრით, აფხაზურენოვან სწავლებას შემდეგი მიზეზები აბრკოლებდა: მე-20 საუკუნის დასაწყისში აფხაზურ ენას არ გააჩნდა შესაბამისი ტერმინოლოგიური ბაზა; აფხაზური დამწერლობის შექმნიდან (1862 წლიდან) ცოტა დრო იყო გასული და შეინიშნებოდა ორიგინალური და ნათარგმნი ლიტერატურის ნაკლებობა; პირველი ორიგინალური მხატვრული ნაწარმოები აფხაზურ ენაზე გამოქვეყნდა 1912 წელს; ამ პერიოდისათვის ძალზე მცირე იყო აფხაზურის, როგორც მშობლიური ენის წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი; ანბანების ცვლილების საკითხი ხელს უშლიდა დარგობრივი ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებასა და განვითარებას; მწერლობის განვითარების დაბალი დონე; რუსული ენის პრიორიტეტულობა; აფხაზური სამწიგნობრო ენის ორთოგრაფიული და ორთოეპიული ნორმების დაუდგენლობა და სხვ. (გვანცელაძე, ჭავჭავაძე, 2021, გვ. 105-106). აფხაზი მეცნიერი, ტ. აჩუგბა მიუთითებს, რომ

სტალინის ეპოქაში სასკოლო პოლიტიკის ცვლილებებმა, აფხაზური სკოლების გაუქმებამ აფხაზურენოვანი ბეჭდური მასალის გამოცემა მინიმუმამდე შეამცირა (Ачуга, 2010).

ოსურენოვან სწავლებასთან და ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით განსხვავებული ვითარებაა. კერძოდ, მე-18 საუკუნეში იქმნება ოსური ანბანები (რუსული და ქართული დამწერლობების საფუძველზე), იწყება ოსური სასულიერო წიგნების თარგმნა და ბეჭდვა; მე-19 საუკუნის დასაწყისში გამოცემულია ოსურენოვანი წიგნები. პირველი ორიგინალური მხატვრული ლიტერატურა ოსურ ენაზე, კოსტა ხეთაგუროვის „ოსური ქნარი“, გამოიცა 1899 წელს, თუმცა აღსანიშნავია, რომ კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედებას წინ უძღვის აქსო კოლიევის სასულიერო პოეზია, თემირბოლათ მამსუროვის შემოქმედება და სხვ. ასევე, მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოიცემოდა გაზეთები ოსურ ენაზე ვლადიკავკაზსა და თბილისში და სხვ.

ამასთან, ანგარიშგასაწევია აფხაზური და ოსური მდიდარი ფოლკლორი, რომელიც ზეპირი გზით ვრცელდებოდა და წარმოადგენდა მდიდარ ლექსიკურ და სასწავლო მარაგს ენის სწავლებისათვის. გარდა ამისა, ცნობილია მრავალი ენის მაგალითი, როდესაც სხვადასხვა მოძრაობისა თუ ინიციატივის შედეგად შესაძლებელი გახდა ენის გაცოცხლება-აღდგენა, ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება და სხვ.

ჩვენი მოსაზრებით, აფხაზური და ოსური ენებისათვის ტერმინოლოგიის შედგენა საბჭოთა კავშირში არ წარმოადგენდა პრიორიტეტულ საკითხს რამდენიმე მიზეზის გამო:

- საბჭოთა კავშირის მიზანი იყო ერთიანი უნიფიცირებული და უნივერსალური ქვეყნის შექმნა, სადაც წარმმართველი უნდა ყოფილიყო რუსული ენა;
- ანბანების ცვლილება სრულად პოლიტიკური საკითხს წარმოადგენდა, რის გამოც ნაკლებად იყო გათვალისწინებული ანბანთა ცვლილებებისაგან გამოწვეული ენობრივი სირთულეები და პრობლემები. ასევე, არ იყო გათვალისწინებული აფხაზურ და ოსურ ენებზე ლიტერატურის, თარგმანის, ტერმინოლოგიის განვითარება;
- ანბანების ხშირი ცვლილება სწორედ მაშინ, როდესაც ფორმირდებოდა საგანმანათლებლო სისტემები, სასკოლო პოლიტიკა, ხელს უშლიდა აფხაზურ და ოსურ ენებზე სახელმძღვანელოების შექმნას, სხვა ენებიდან, მაგალითად, რუსულიდან, ან ქართულიდან, თარგმნას, რადგან დროის მცირე პერიოდში ანბანთა ხშირი ცვლილების გამო ახლად შექმნილი სასწავლო და მეთოდური მასალა უკვე მოძველებული იყო და საჭირო იყო პროცესების ხელახლა წარმართვა ახალი ანბანის გამოყენებით, რაც დამატებით რესურსებს მოითხოვდა.

ჩვენ საგანგებოდ დავაკვირდით აღნიშნულ საკითხს. ჩავატარეთ თვისებრივი კვლევა და მოვიძიეთ სასწავლო მასალები, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში აფხაზურ და ოსურ ენებზე იქმნებოდა და ითარგმნებოდა სხვადასხვა საგნის სახელმძღვანელოები, მუშავდებოდა დარგობრივი ტერმინოლოგია, თუმცა ეს პროცესი მე-20 საუკუნის 50-იან წლებში შესაბამისი ინტენსივობით აღარ გაგრძელებულა.

ჩვენი კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე, ჩავიწერეთ სიღრმისეული ინტერვიუ ცხინვალში მცხოვრებ თანამედროვე ოს მწერალთან და საზოგადო მოღვაწესთან, რომელიც ცხინვალის რაიონის ერთ-ერთ სკოლაში სწავლობდა სწორედ ანბანთა ცვლილებების პერიოდში, 1945-1955 წლებში. შეკითხვები ეხებოდა სწავლების ენას/ენებს, სასწავლო წიგნების ენას/ენებს, პედაგოგიურ სირთულეებს (*იხ. დანართი 1*). ჩვენი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ სკოლაში სწავლის დაწყების დროს იყენებდნენ ქართულ ანბანს, თუმცა სასწავლო წიგნების ნაწილი იყო ლათინურ ანბანზე შექმნილი. ასევე, ბოლო წლებში შეიცვალა ანბანი რუსულით, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დამამთავრებელი კლასების სახელმძღვანელოები რუსულენოვანი შრიფტებით, რის გამოც ბოლო კლასში ისევ ქართულ ანბანზე დაფუძნებული წიგნებით სწავლობდნენ. უმაღლესში (ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში) სწავლის დროს და შემდგომ, ოსურ ენას მხოლოდ ზეპირმეტყველების დროს იყენებდა, ამიტომაც რუსული შრიფტით ოსური ტექსტების წერა-კითხვას არ იყო მიჩვეული და მე-20 საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც დასჭირდა ოსურენოვანი ტექსტების წაკითხვა და შესწავლა უკვე დამკვიდრებული რუსული ანბანით, ძალზე გაუჭირდა. ჩვენი რესპონდენტი იხსენებს, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში ოსურ ტექსტებს რუსული ანბანით უკითხავდა კოლეგა, ოსი მწერალი და ისე ითარგმნიდა ქართულ ენაზე.

ჩვენი აზრით, აფხაზურ და ოსურ ენებზე სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნისა და დამუშავების საკითხის შეჩერება და რუსულენოვან სწავლებაზე გადასვლა უშუალოდ უკავშირდება მე-20 საუკუნის 30-40-იანი წლების სტალინური ეპოქის საბჭოთა საგანმანათლებლო და ენობრივ პოლიტიკას, იმ რეფორმებსა და უტოპიურ ლინგვისტურ თეორიებს, რომლებიც ამ დროს იყო მხარდაჭერილი, მათ შორის, აფხაზური და ოსური ენებისათვის ანბანების ცვლილების საკითხს.

მეოცე საუკუნის 30-იან წლებში მომზადდა რამდენიმე სახელმძღვანელო და არსებობდა წინაპირობა იმისათვის, რომ აფხაზური და ოსური ენებისათვის შექმნილიყო

შესაბამისი ტერმინოლოგიური ბაზა. ჩვენ მივაკვლიეთ მეშვიდე კლასის ფიზიკური გეოგრაფიის სასკოლო სახელმძღვანელოს ოსურ ენაზე. სახელმძღვანელო დაბეჭდილია 1936 წელს და განკუთვნილია საშუალო სკოლის მოსწავლეებისათვის. სახელმძღვანელო აწყობილია ლათინური ანბანის საფუძველზე. როგორც უკვე აღინიშნა, 1937 წელს მოხდა ლათინური ანბანის ჩანაცვლება და სახელმძღვანელოების გაუქმების პარალელურად სახელმძღვანელოების სხვა ანბანების საფუძველზე შემუშავება და გამოცემა არ მომხდარა.

ასევე მივაკვლიეთ აფხაზური სკოლების შემდეგ სახელმძღვანელოებს: ს. ჭანბას გეოგრაფია აფხაზურ ენაზე, მეხუთე კლასის სახელმძღვანელო (1932 წ.), ლათინური ანბანით გამოქვეყნებული, პოპოვას მათემატიკის სახელმძღვანელო აფხაზურ ენაზე (თარგმანი) და სხვა.

ჩვენი აზრით, აფხაზური და ოსური ენებისათვის მეოცე საუკუნის 30-იან წლებში მუშავდებოდა შესაბამისი სასწავლო და სამეცნიერო დარგობრივი ტერმინოლოგია, თუმცა ანბანების ცვლილების გამო აღნიშნული ინიციატივა აღარ განხორციელდა.

III.III. 9 ანბანთა ცვლილებები აფხაზური და ოსური ენების ლიტერატურისა და სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის დისკურსში

ნაციონალურ ენაზე ლიტერატურის არსებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ნაციონალური ლიტერატურა აყალიბებს კოლექტიური ცნობიერების უმთავრეს ასპექტებს. ბენედიქტ ანდერსონი ლათინური ენიდან ევროპულ ენებზე გადასვლის, ნაციონალური ლიტერატურის წარმოშობისა და ბეჭდვის დაწყების შესახებ აღნიშნავს: „საგამომცემლო საქმემ ენას სტაბილური და მარადიული თვისება შესძინა. ეს თვისება დიდი ხნის მანძილზე უწყობდა ხელს წარსულის იმ იმიჯის შექმნას, რომელიც ერის სუბიექტური გაგების თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია” (ანდერსონი, 2023, გვ. 73). ევროპული ფეოდალიზმის ფრანგი მკვლევარი, მარკ ბლოკი მიუთითებს, რომ ნაციონალურ ენაზე მხატვრული ლიტერატურის შექმნა და დამკვიდრება რთული და წინააღმდეგობებით სავსე პროცესია. „ფრანგულ ენას, რომელიც ლათინურის დამახინჯებულ ფორმად იყო მიჩნეული, რამდენიმე საუკუნე დასჭირდა ლიტერატურული დიდების მოსაპოვებლად” (Bloch, 2014, გვ. 98).

ნაციონალურ ენაზე მხატვრული ლიტერატურისა და სხვა ტექსტების შექმნისას ანდერსონს მოჰყავს ავსტრია-უნგრეთის მაგალითი: „1840-იანი წლების დასაწყისში კი

ავსტრია-უნგრეთში სახელმწიფო ენა ისევ ლათინური იყო, მაგრამ მან ეს სტატუსი ძალიან მალე დაკარგა. ის შესაძლოა, იურიდიულად ისევ სახელმწიფო ენად დარჩენილიყო, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნეში ვეღარ შეასრულებდა ბიზნესის, მეცნიერების, პრესისა და ლიტერატურის ენის ფუნქციებს. ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივი იქნებოდა იმ სამყაროსთვის, რომელშიც ეს ენები მუდმივად ერწყმოდნენ და ავსებდნენ ერთმანეთს” (ანდერსონი, 2003, გვ. 119-120).

ევროპული პერსპექტივიდან შეფასებისას, ანდერსონის აზრით, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მქონე ელიტებმა „ბეჭდვითი და ადგილობრივი ენები სახელმწიფო ენებად აქციეს. ეს პროცესი სხვადასხვა ტემპით მიმდინარეობდა და უმთავრესად, ადმინისტრაციული მიზნებით იყო ნაკარნახევი. ხოლო ენის არჩევანი ძირითადად გაუცნობიერებელი მემკვიდრეობისა თუ პირადი გამორჩენის საფუძველს ემყარებოდა” (ანდერსონი, 2003, გვ. 128).

აფხაზური და ოსური ენებისათვის ანბანთა ხშირმა ცვლილებებმა შეაფერხა ენის განვითარების ტენდენცია, ასევე, ლიტერატურული და საგანმანათლებლო პროცესები. როგორც უკვე აღინიშნა, ანბანთა ცვლილებების გამო დაბეჭდილი სახელმძღვანელოები უსარგებლო ხდებოდა. ამასთან, 1937-38 წლებში და შემდგომაც, აფხაზური ენისათვის პარალელურად გამოიყენებოდა ლათინური და ქართული ანბანები, ხოლო ოსური ენისათვის ამ წლებში ერთდროულად სამ ანბანზე იბეჭდებოდა წიგნები, რაც, ბუნებრივია, დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა და ხელს უშლიდა საგანმანათლებლო და ლიტერატურულ პროცესებს.

ანბანთა ცვლილებების საკითხი ოსური ლიტერატურის განვითარებაზე თავისებურად აისახა. საბჭოთა ეპოქის დასაწყისში ოსური ენის ორი დიალექტი, ირონული და დიგორული, სხვადასხვა ენებად ითვლებოდა. დიგორული დიალექტისათვის, რომელსაც ენად მიიჩნევდნენ, ცალკე ანბანი იყო შედგენილი, გამოიცემოდა სახელმძღვანელოებიც. გიორგი მალითი (მალიევი) (1886-1942) დიგორულ დიალექტზე წერდა. მისი ლექსების პირველი კრებული სწორედ ამ ანბანზე გამოქვეყნდა 1934 წელს. მალიევის შემოქმედება არ ეხმიანებოდა საბჭოთა პროპაგანდას. 1937 წელს გიორგი მალითი დააპატიმრეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის და 10-წლიანი გადასახლება მიუსაჯეს. იმავე წელს დიგორულ ენას მოუხსნეს ენის სტატუსი, დიალექტად აღიარეს და დიგორული ენის ანბანი გამოაცხადეს კონტრრევოლუციურად. გიორგი მალითი გადასახლებაში გარდაიცვალა.

საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი იყო ოსი მწერალი ჩერმენ ბეჯიზათი (1898-1938). იგი ჯავის რაიონში დაიბადა და თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა 1914-1917 წლებში. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო მან ლიტერატურული საქმიანობა. ჩ. ბეჯიზათი იყო სამხრეთ ოსეთის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი, ასევე, ლიტერატურული ჟურნალის, „ფიდუაგის“, რედაქტორი. მისი პირველი კრებული 1920 წელს დაიბეჭდა. 1938 წელს ანტისაბჭოთა მოქმედების ბრალდებით დააპატიმრეს და დახვრიტეს. როგორც მის საბრალდებო დასკვნაშია მითითებული, დახვრეტის მიზეზი იყო ოსური ენისათვის ლათინური და ქართული ანბანების დამკვიდრებაში ხელის შეშლა (Дзантиев, 2013).

ოსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ოსური ლიტერატურის კლასიკოსი, სოზირიყო ყულათი (1900-1938) სტალინური რეპრესიების მსხვერპლი გახდა. იგი ჯავის რაიონში დაიბადა და გორის სასულიერო გიმნაზიის დასრულების შემდეგ უმაღლესი განათლება მოსკოვში მიიღო. ს. ყულათი ცხინვალში მუშაობდა, ის იყო სამხრეთ ოსეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. აქვეყნებდა პუბლიცისტურ და ლიტერატურულ ნაწარმოებებს, მისი პიესები კი ოსური თეატრის სცენაზე იდგმებოდა. 1938 წელს დააკავეს ტროცკისტული იდეების მხარდაჭერის ბრალდებით. პირადად სოზირიყო ყულათი დადანაშაულებული იყო იმაში, რომ მისი მმართველობის დროს „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა მწერლების კავშირი თითქმის არანაირ მონაწილეობას არ იღებდა არც ოსური ანბანის ლათინიზაციის და არც ოსური ანბანის ქართულ ანბანზე გადასვლის საქმეში“ (Дзантиев, 2013).

აფხაზი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ვლადიმერ აგრბა (1912-1937) გუდაუთის რაიონში დაიბადა, 1933 წელს დაასრულა მოსკოვის ჟურნალისტიკის ინსტიტუტი. მისი პირველი ლიტერატურული პუბლიკაცია იყო პიესა „თუ ქარს დათეს, ქარიშხალს მოიმკი“, 1928 წ. 1931 წელს გამოიცა „კოლმეურნეობა „წინსვლის“ დაბადება“, რომელიც კოლექტივიზაციას ეძღვნება. ვლადიმერ აგრბა რეპრესირებულია 1937 წელს.

მთი (მუთი) კოვე (1909-1938) დაიბადა გუდაუთაში. აფხაზი მწერალი, დრამატურგი, რეჟისორი, მსახიობი, მოცეკვავე, აფხაზეთისა და საქართველოს სახალხო არტისტი. სკოლაში სწავლის დროს შეარჩიეს სოხუმის დრამატული წრის მსახიობად. დრამატული სტუდიის დასრულების შემდეგ მ. კოვე დარჩა სოხუმის დრამატულ თეატრში. 1936 წელს სწავლობდა თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ ა. ხორავა, ა. ვასაძე და სხვები. მ. კოვე სოხუმის დრამატულ თეატრში

თამაშობდა მთავარ როლებს, იგი ასევე არის ავტორი ს. ჭანბას პიესის, „მუჰაჯირების“, მიხედვით შექმნილი ეტიუდისა „დაბრუნდით“. მ. კოვემ შექმნა პიესები „ვაზის რტოს სიმღერა“, „კეთილი იყოს შენი გზა, ქალწულო“ და სხვ. 1938 წლის დასაწყისში მ. კოვე დააკავეს თბილისში და მას შემდეგ არავის უნახავს. მანამდე დახვრიტეს მისი ძმა შიირიფი. მ. კოვე გაასამართლეს 1938 წლის 14 მარტს 58. 10-58. 11 მუხლების მიხედვით. მას ბრალს სდებდნენ პარტიისა და ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებაში. მიუსაჯეს დახვრეტა.

სამსონ ჭანბა (1886-1937), აფხაზი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე, სწავლობდა დრანდის სამონასტრო სკოლაში. 1914 წელს დაასრულა ხონის სამასწავლებლო (საოსტატო) სემინარია, იყო მასწავლებელი. წერდა აფხაზურსა და რუსულ ენებზე. მისი ნაწარმოებები იბეჭდებოდა 1916 წლიდან. მას ეკუთვნის პირველი აფხაზურენოვანი დრამები: „მუჰაჯირები“ 1920 წ. (დაიდგა 1928 წელს); „აფხაზი ქალბატონი“ 1923 წ.; „წარსული დღეებიდან“ 1929 წ. და სხვ. იგი ითვლება აფხაზური ნაციონალური დრამატურგიის ფუძემდებლად. წერდა ნოველებსაც. ჭანბამ შეადგინა „აფხაზეთის გეოგრაფია“, სოხუმი, 1925 წ. იყო გაზეთის «Апсны-Капш» („წითელი აფხაზეთი“) – რედაქტორი. სამსონ ჭანბას მონაწილეობით 1929 წელს შეიქმნა პირველი აფხაზური პროფესიული თეატრი. იყო აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარი 1922-25 წლებში. 1925-30 წლებში აფხაზეთის ცენტრალური კომიტეტის მდივანი. 1930-32 წლებში განათლების სახალხო კომისარი. 1937 წელს დააკავეს და დახვრიტეს.

რეპრესიები ეხებოდა პედაგოგებს, განათლების მუშაკებს, მეცნიერებს, მწერლებს, მათ ნაწარმოებებს. ეს კიდევ უფრო აბრკოლებდა ეროვნული მწერლობის განვითარებასა და ნაციონალურ ენაზე განათლების მიღების საშუალებას.

მეოცე საუკუნის 20-50-იანი წლების პოლიტიკური და იდეოლოგიური პრობლემები, ისევე, როგორც ანბანთა ცვლილებები, ხელს არ უწყობდა აფხაზური და ოსური ლიტერატურის განვითარებას და მწერლების რეპრესიებით სრულდებოდა. ეს კი ტოტალიტარული საბჭოთა ეპოქის საერთო მეთოდი იყო ინტელიგენციის, მათ შორის, განსაკუთრებით, მწერლების წინააღმდეგ.

III.III. 10 სოხუმისა და ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტების დაარსება და ფუნქციონირება საბჭოთა ეპოქაში

სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი

აფხაზური და ოსური ენების სწავლებისა და საგანმანათლებლო სივრცის გაფართოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სოხუმისა და ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტების დაარსების საკითხი.

1924 წელს დაამტკიცეს სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დებულება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ უნდა დაარსებულიყო ინსტიტუტი და ტექნიკუმი, თუმცა პედაგოგიური ინსტიტუტი ამ პერიოდში არ გახსნილა, გაიხსნა მხოლოდ პედაგოგიური ტექნიკუმი.

სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი გაიხსნა 1932 წელს. ინსტიტუტის დაარსების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსა და ეკონომიკის საბჭოს ერთობლივ სხდომაზე, 1931 წლის 12 დეკემბერს. 1932 წლის 13 იანვარს კი საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ გადაწყვიტა, სოხუმში გახსნილიყო პედაგოგიური ინსტიტუტი ორი: აგრობიოლოგიური და ფიზიკა-მათემატიკის განყოფილებებით. ინსტიტუტის დაარსების ორგანიზებისათვის აფხაზეთში შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა მოკლე დროში ყველა მოსამზადებელი სამუშოს ჩატარება ინსტიტუტის გასახსნელად და სასწავლო პროცესის წარსამართავად. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ აფხაზი და ქართველი წევრები: ა. ჭოჭუა, გ. გეთია, ბ. ბახტაძე, მ. ეხვაია, ა. მიშველაძე.

1932 წლის 4 თებერვალს აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი გახსნილიყო 1 აპრილს. განისაზღვრა ჩასარიცხი სტუდენტების რაოდენობა: თითო მიმართულებაზე 30 სტუდენტი, სულ – 60 სტუდენტი, თუმცა შემდგომ, სტატისტიკაში მითითებულია, რომ 1932-33 სასწავლო წელს მიიღეს 85 სტუდენტი.

„1932 წლის 1 აპრილს ამოქმედდა ეს სასწავლებელი სოხუმის აგრო-პედაგოგიური ინსტიტუტის სახელწოდებით, ხოლო მის დირექტორად დაინიშნა აფხაზი განმანათლებელი ანდრეი ჭოჭუა. ერთი წლის შემდეგ მას ეწოდა ალექსეი (მაქსიმ) გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. ორივე

ფაკულტეტზე სწავლა მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, ანუ იგნორირებული იყო სამიდან ორი სახელმწიფო ენა: აფხაზური და ქართული. ქართული სექტორი 1937 წელს გაიხსნა ისტორიის, ენისა და ლიტერატურის სპეციალობებზე, აფხაზური სექტორი კი დაარსდა ბევრად უფრო გვიან (სამწუხაროდ, ზუსტი თარიღი ვერ დავადგინეთ), ვიცით მხოლოდ ის, რომ ამ ინსტიტუტში 30-იანი წლების მეორე ნახევარში უკვე ასწავლიდნენ აფხაზურ ენას (ამ ენის კურსს უძღვებოდა 1938 წლის 8 თებერვალს რეპრესირებული ენათმეცნიერი, დოცენტი არსენი ჰაშბა)” (გვანცელაძე, ჭავჭავაძე, 2021, გვ. 105).

1936 წელს აფხაზეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა, გაეზარდა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში კონტინგენტის რაოდენობა აფხაზი აბიტურიენტებით, რის გამოც მიღებულ იქნა დადგენილება 1937-38 სასწავლო წლიდან აგუბრდის, მოქვის, დურიფშის სკოლების რეორგანიზაციის შესახებ და ამ სკოლებში აფხაზურის ნაცვლად რუსულ ენაზე გაგრძელდა სწავლება.

1937 წელს სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიხსნა უცხო ენების ფაკულტეტი, ასევე, ქართული სექტორი ისტორიის ფაკულტეტზე და ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. შესაბამისად, სწავლება მიმდინარეობდა ორ ენაზე: რუსულად და ქართულად. ქართულ ენაზე მხოლოდ ენისა და ლიტერატურის და ისტორიის ფაკულტეტებზე.

1937 წელს სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ექსტერნის წესით ჩარიცხეს ის პედაგოგები, რომლებიც ასწავლიდნენ სკოლებში, მაგრამ არ გააჩნდათ შესაბამისი კვალიფიკაცია. ეს წესი მთელ საბჭოთა კავშირში ვრცელდებოდა. შესაბამისად, იმ პირთა განათლება, რომლებმაც გაიარეს ექსტერნი სწავლება და ჩააბარეს გამოცდები, გაიგივდა პედაგოგიური ინსტიტუტის სწავლის სრული კურსის განათლებასთან. 1936-40 წლებში სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი დაასრულა სულ 674 მასწავლებელმა. მათ შორის დაახლოებით 250 იყო ეთნიკურად აფხაზი პედაგოგი. აღსანიშნავია, რომ ამ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა აფხაზური ფილოლოგიის სპეციალობა. 1938 წელს სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიხსნა გეოგრაფიის ფაკულტეტი.

1939 წელს სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ოთხ ფაკულტეტზე გაიხსნა დაუსწრებელი სწავლება. ეს იყო ისტორიის, ენისა და ლიტერატურის, საბუნებისმეტყველო და ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტები. დაუსწრებელი სწავლების გადაწყვეტილების მთავარი მიზანი იყო უმაღლესი განათლების არმქონე საშუალო სკოლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება. დაუსწრებელი სწავლება

მრავალი წლის განმავლობაში მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ყველა უმაღლეს სასწავლებელში იყო დანერგილი.

1940-46 წლებში სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფუნქციონირებდა უცხო ენების სწავლების ორწლიანი კურსები სამი განყოფილებით: ინგლისური ენა, გერმანული ენა და ფრანგული ენა. უცხო ენების ორწლიანი კურსები განკუთვნილი იყო არასრული საშუალო სკოლის მასწავლებლებისთვის.

ცხრილი №12

**1932-33 – 1940-41 სასწავლო წლებში სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის
სტუდენტთა რაოდენობა**

№	სასწავლო წელი	დასწრებული სწავლების სტუდენტთა რაოდენობა	დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა რაოდენობა	უცხო ენების კურსებზე სტუდენტთა რაოდენობა	სულ
1	1932-33	85	-	-	85
2	1933-34	183	-	-	157
3	1934-35	237	-	-	265
4	1935-36	273	-	-	354
5	1936-37	452	-	-	452
6	1937-38	504	-	-	504
7	1938-39	755	-	-	755
8	1939-40	928	300	-	1228
9	1940-41	1077	918	81	2076

სტატისტიკა მომზადებულია ყურასქუას ნაშრომის მიხედვით (Kypackya 2003)

1946 წელს სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე გაიხსნა ასპირანტურის განყოფილება მათემატიკის, ფიზიკური გეოგრაფიის, სსრკ ისტორიის, ახალი ისტორიის, ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის მიმართულებებით.

1952 წელს გაიხსნა სადამოს დასწრებული განყოფილება.

1954 წელს ფილოლოგიის ფაკულტეტზე გაიხსნა აფხაზური სექტორი, რომლის მთავარი მიზანი იყო აფხაზური სკოლებისათვის კადრების მომზადება. 1956 წელს შეიქმნა აფხაზური ენისა და ლიტერატურის კათედრა.

1957 წელს გაიხსნა პედაგოგიური ფაკულტეტი აფხაზური, რუსული და ქართული სკოლების მასწავლებლებისთვის.

1960-იანი წლებიდან სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლა მიმდინარეობდა სამ ენაზე: ქართულად, აფხაზურად და რუსულად.

1965 წელს აფხაზური ენისა და ლიტერატურის კათედრა გაიყო ორ ნაწილად: აფხაზური ენის კათედრა და აფხაზური ლიტერატურის კათედრა. 1979 წელს სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტს შეეცვალა სტატუსი, ეწოდა ალექსეი (მაქსიმ) გორკის სახელობის აფხაზეთის (სოხუმის) უნივერსიტეტი. ამავე წელს, უნივერსიტეტის პირველი რექტორის, ზურაბ ანჩაბაძის ინიციატივით, უნივერსიტეტში დაარსდა ახალი სპეციალიზაცია – სამართალმცოდნეობა. 1980 წელს დაარსდა ეკონომიკის ფაკულტეტი.

1989 წელს აფხაზეთის (სოხუმის) უნივერსიტეტი გაიყო აფხაზურ და ქართულ ნაწილებად. ქართული ნაწილი 1989 წლის 14 მაისს გადაკეთდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალად.

1993 წელს, აფხაზეთის ოკუპაციის გამო, თსუ სოხუმის ფილიალმა თბილისში გააგრძელა მუშაობა.

2007 წლის 31 ივლისს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, თსუ სოხუმის ფილიალის ბაზაზე დაფუძნდა სსიპ სოხუმის უნივერსიტეტი. 2008 წლიდან უნივერსიტეტმა მიიღო საგანმანათლებლო საქმიანობის წარმოების სახელმწიფო ლიცენზია, იმავე წელს სახელმწიფო აკრედიტაცია.

ამჟამად სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებელი, უნივერსიტეტში მოქმედებს ხუთი ფაკულტეტი: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტი; ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტი; განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები.

სოხუმში აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს 8 ფაკულტეტი: ფიზიკა-მათემატიკის; ბიოლოგია-გეოგრაფიის; ისტორიის; ფილოლოგიის; იურიდიული; ეკონომიკის; პედაგოგიკის; აგროინჟინერიის; ხელოვნების ფაკულტეტები.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობს 42 კათედრა. უნივერსიტეტში 3000-ზე მეტი სტუდენტია. მოქმედებს სადისერტაციო საბჭოები შემდეგი მიმართულებით: ბიოლოგია, ეკოლოგია, აფხაზოლოგია, არქეოლოგია, პედაგოგიკა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ატარებს დ. გულიას სახელს, უნივერსიტეტის ბაზაზე მუშაობს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ცენტრი. უნივერსიტეტის პერიოდული ორგანოა გაზეთი «Апсуа университет».

ფილოლოგიის ფაკულტეტზე აფხაზური ფილოლოგიის მიმართულებით ორი სპეციალიზაციაა: აფხაზური ენა და ლიტერატურა – ბაკალავრი და აფხაზური, როგორც მეორე ენა – აფხაზური ენა არააფხაზური სკოლებისათვის – ბაკალავრი.

ფილოლოგიის ფაკულტეტზე აფხაზური ფილოლოგიის გარდა ფუნქციონირებს შემდეგი მიმართულებები: რუსული ფილოლოგიის ბაკალავრი, ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი, გერმანული ფილოლოგიის ბაკალავრი.

ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური ადმინისტრაციული კომიტეტის ЦК ВКП(б) 1931 წლის 11 ოქტომბრის კოლეგიის სხდომაზე დღის წესრიგში დადგა ცხინვალში პედაგოგიური ინსტიტუტის გახსნა 1932 წლის 1 იანვრიდან. დასაწყისში ორი განყოფილება ფუნქციონირებდა: აგრობიოლოგიური და ფიზიკა-მათემატიკური. შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი ა. თიბილოვი (ხელმძღვანელი), ა. ისაკოვა, ი. გასიევი, გ. გაზაევი. საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატი დაეთანხმა საორგანიზაციო კომიტეტის წინადადებას და გადაწყდა, პერსონალი მოეწვიათ თბილისის, მოსკოვისა და სხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებლებიდან. კომისარიატის ამავე სხდომაზე დადგინდა, ინსტიტუტი გახსნილიყო ცხინვალის მუშათა ინსტიტუტის ბაზაზე, რომელიც ორწლიანი იყო.

საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატმა 1932 წლის 13 იანვარს დაამტკიცა ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის სტრუქტურა. საბოლოო გადაწყვეტილებით, ინსტიტუტი უნდა გახსნილიყო 1932 წლის თებერვლიდან. 7 მაისს

30 სტუდენტი ჩაირიცხა მოსამზადებელ განყოფილებაზე, რომელიც სამთვიანი იყო. მოსამზადებელი განყოფილება ხუთი წლის განმავლობაში არსებობდა.

პირველი სასწავლო წელი დაიწყო 1932 წლის ოქტომბერში. ინსტიტუტის დამაარსებლად მოიაზრება ალექსანდრე თიბილოვი, ფილოლოგი, ოსური ფოლკლორის, ენისა და ლიტერატურის მკვლევარი, რომელიც 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა. ინსტიტუტის პირველი დირექტორები კი იყვნენ ა. ხუბოვი, ი. გასიევი.

ინსტიტუტი თავდაპირველად ცხინვალის თეატრის მეორე სართულზე განთავსდა. აუდიტორიის სიმცირის გამო სწავლა მიმდინარეობდა ორ ცვლაში. 1932 წელს ინსტიტუტში თოთხმეტი პედაგოგი და ორი ასისტენტი იყო დასაქმებული.

1933-34 სასწავლო წელს ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიხსნა ორი სექტორი: ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი – რუსული სექტორი და ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი – ოსური და რუსული სექტორები. ინსტიტუტში სწავლა ოთხწლიანი იყო. იმ პერიოდში ცხინვალს გადაერქვა სახელი და დაერქვა სტალინირი. შესაბამისად, ინსტიტუტს ერქვა სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტი

1937 წელს ცხინვალის/სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტი გადაკეთდა ცხინვალის/სტალინირის სამასწავლებლო ინსტიტუტად და სწავლის ხანგრძლივობა იყო ორი წელი. ინსტიტუტი ამზადებდა არასრული საშუალო სკოლის პედაგოგებს.

1937-38 სასწავლო წელს გაიხსნა ქართული სექტორი.

რეპრესიების მძიმე პერიოდში „ბევრი დისციპლინა დაწყებული და ბოლომდე წაუკითხავი დარჩა. რა თქმა უნდა, ამ გარემოებამ ნეგატიური გავლენა იქონია სასწავლო პროცესის ხარისხზე” (მღებრიშვილი 2019, გვ. 196).

1939 წლიდან კვლავ აღდგა ცხინვალის/სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის სტატუსი. ცვლილების მიზეზი იყო სკოლებისა და მოსწავლეების მზარდი რაოდენობა. მეორე მსოფლიო ომის დროს ძალზე შემცირდა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა. 1948-49 წლებში ინსტიტუტში 11 განყოფილება არსებობდა, ხოლო 1954 წლიდან – 15 კათედრა. 1957 წელს ინსტიტუტში გაიხსნა დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდის ფაკულტეტი.

1961 წლიდან ინსტიტუტის დასახელებაში სტალინის სახელი ამოიღეს და ეწოდა სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. ამავე წელს ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიხსნა სადამოს დასწრეული განყოფილება, რომელიც აერთიანებდა შემდეგ სპეციალობებს: რუსული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა

(ქართული და რუსული სექტორები), დაწყებითი განათლება, პედაგოგიკა-მეთოდოლოგია, ქართული ენა და ლიტერატურა, ბიოლოგია. 1966 წელს კი საღამოს დასწრებულზე გაიხსნა ფაკულტეტები.

1989 წელს სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს ეწოდა ალექსანდრე თიბილოვის სახელი. 1993 წელს ინსტიტუტი გადაკეთდა უნივერსიტეტად.

1991 წლიდან, ქართულ-ოსური კონფლიქტის შემდგომ, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართულმა ნაწილმა ქალაქ გორში გააგრძელა მუშაობა. 2000 წლის 16 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი მიენიჭა. 2007 წლის 22 აგვისტოს N176 დადგენილებით გორის სახელმწიფო და ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტები გაერთიანდა და დაარსდა „სსიპ გორის უნივერსიტეტი“; 2010 წლის 20 აგვისტოს №247 დადგენილებით „სსიპ გორის უნივერსიტეტს“ ეწოდა „გორის სასწავლო უნივერსიტეტი“; 2022 წლიდან გორის უნივერსიტეტს ეწოდა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სოხუმისა და ცხინვალის ინსტიტუტების დაარსება და მუშაობა ამჟღავნებს საერთო ნიშან-თვისებებს: ორივე სასწავლებლის დაარსების თარიღია 1932 წელი. ჩანს, რომ ინსტიტუტის გასახსნელად მოსამზადებელი სამუშაოები ერთი წლით ადრე, 1931 წლიდან მიმდინარეობს. ასევე, აღსანიშნავია, რომ ორივე ინსტიტუტში პირველი ფაკულტეტები იყო აგრობიოლოგიური და ფიზიკა-მათემატიკის განყოფილებები. ამასთან ერთად, ორივე ინსტიტუტში 1937 წლიდან იწერება ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებები, რაც, როგორც ჩანს, განპირობებული იყო ამ რეგიონებში აფხაზური და ოსური ანბანების ქართული ანბანით ცვლილებების საკითხთან.

სოხუმისა და ცხინვალის სახელმწიფო ინსტიტუტებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რეგიონისა და ქვეყნის უმაღლეს განათლებაში, მეცნიერებაში. ამ უმაღლეს დაწესებულებებში მომზადებული პედაგოგები მუშაობდნენ სკოლებში, სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აფხაზური და ოსური ენების ფილოლოგიური განყოფილებები ამზადებდა სპეციალისტებს, რომლებიც შემდგომ ასწავლიდნენ ამ ენებს სკოლებში. დღესაც ამ უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები ასწავლიან სკოლებში აფხაზურ და ოსურ ენებს.

III.IV აფხაზური და ოსური ენების სწავლება მე-20 საუკუნის 60-80-იან წლებში

აფხაზური და ოსური ენების სწავლება სტალინიზმის ეპოქის შემდგომ, სტალინური რეფორმებისა და ანბანთა მრავალჯერადი ცვლილებების ფონზე, ხასიათდება სტაბილურობით, თუმცა, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის არსებობის მთელ პერიოდში, მე-20 საუკუნის 60-80-იანი წლებიც იყო იდეოლოგიზებული, სამეცნიერო და სასწავლო პროცესის თვალსაზრისით, ერთპარტიულ, საბჭოთა იდეოლოგიას დაქვემდებარებული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს პერიოდი არ გამოირჩევა რეფორმებით, განსაკუთრებით, აფხაზური და ოსური ენების სწავლების მიმართულებით. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები ძირითადად, 10-წლიანია, „1964 წელს სრული საშუალო განათლების ხანგრძლივობა კვლავ 10 წლამდე შემცირდა. მხოლოდ სსრკ მინისტრთა საბჭოს ნებართვით იყო შესაძლებელი 11-წლიანი საშუალო განათლება იმ ადგილებში, სადაც სწავლების ენა არ იყო რუსული (მათ შორის საქართველოში). თუმცა, საქართველოს სსრ სკოლებში ეს გამოჩენილი არ განხორციელებულა. სკოლის დაწყებითი საფეხური იყო 1-ელი-მე-3 კლასები, არასრული საშუალო განათლების საფეხური მე-4-მე-8 კლასები და საშუალო განათლების საფეხური მე-9-მე-10 კლასები. 1966 წლიდან სახელობო-საწარმოო სწავლება დატოვეს მხოლოდ იმ სკოლებში, სადაც იყო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა” (ჭანტურია და სხვ., 2020, გვ. 26).

1977 წლიდან სკოლებში აბარებდნენ მხოლოდ არასრული საშუალო და საშუალო საფეხურის გამოცდებს მე-8 და მე-10 კლასების ბოლოს. 1970-იანი წლებიდან გაიზარდა ტექნიკუმების ქსელი (საქართველოს განათლების მატრიანე 2015).

1984 წლიდან დაიწყო თერთმეტკლასიანი განათლება. სკოლაში კი 6 წლის ბავშვებს იღებდნენ.

1956 წლიდან შეიქმნა ახალი საგანმანათლებლო პროგრამები, რაც გულისხმობდა ჰუმანიტარული საგნების შემცირებას და ტექნიკური საგნების გაძლიერებას, მოსწავლეთა პროფესიულ სასწავლებლებში გადამწილებას, რუსული ენის გაძლიერებულ სწავლებას. მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების გარდა სხვა სახელმძღვანელოები და სასწავლო პროგრამები ეყრდნობოდა საკავშირო სასწავლო მასალას. ცალკე შემუშავდა ისტორიის წიგნები, თუმცა საბჭოთა კავშირის ისტორია სავალდებულო საგნად ისწავლებოდა. ნაციონალურ სკოლებში მშობლიური

ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების გარდა გამოიყენებოდა რუსულიდან ნათარგმნი სახელმძღვანელოები.

აფხაზური ენა და ლიტერატურა ისწავლებოდა შემდეგი სახელმძღვანელოებით: ბ. ვ. შინკუბას სახელმძღვანელოები „აფხაზური ენა“ დაწყებითი სკოლის I-II კლასებისთვის, ხ. ს. ბლაჟბა – „აფხაზური ენა“ დაწყებითი სკოლის III-IV კლასებისთვის, გამოცემული 1956-1957 წლებში. სახელმძღვანელოებში შესულია აფხაზური ფოლკლორის ნიმუშები: ანდაზები, გამოცანები და სხვ. ასევე გათვალისწინებულია საშინაო დავალებები. 1955 წელს გამოიცა კ. ს. შაკრილის „აფხაზური ენის გრამატიკის“ პირველი ნაწილი, რომელიც ფონეტიკისა და მორფოლოგიის სწავლებისთვის იყო გათვალისწინებული მე-5 მე-6 კლასებისათვის.

1955-57 წლებში გამოიცა აფხაზური ენის სხვადასხვა სახელმძღვანელო: ნ. ე. გერიას „აფხაზური ლიტერატურა VI კლასებისთვის“ (1955); ს. ბგაზბას „ანთოლოგია აფხაზურ ლიტერატურაზე“ X კლასისთვის (1956); ბ. ა. კაციასა და ა. ნ. ჯონუას „ანთოლოგია აფხაზურ ლიტერატურაზე“ IX კლასისათვის; (1957); კ. ს. შაკრილისა და ე. კ. შაკრილის „ანთოლოგია აფხაზურ ლიტერატურაზე“ VIII კლასისთვის (1956წ); გ. ა. ძიძარიასა და შ. დ. ინალ-იპას „ანთოლოგია აფხაზურ ლიტერატურაზე“ VII კლასისთვის (1956წ.). სახელმძღვანელოებში ფართოდ გამოიყენებოდა აფხაზური ფოლკლორის ნიმუშები, ასევე აფხაზური ლიტერატურის დამაარსებლის, დ. გულიას, აფხაზური პროზის თვალსაჩინო წარმომადგენლების, ს. ჭანბას, დ. დარსალიას, ი. პაპასკირისა და სხვათა ნაწარმოებებს. გამოიცა აგრეთვე ა. ჩოჩუას/ჭოჭუას აფხაზური საანბანო წიგნი და ანბანისშემდგომი წიგნი (გვანცელაძე 2010).

ოსური ენის შესასწავლად სკოლებში გამოიყენებოდა შემდეგი წიგნები:

ბ. კარსანთი, ოსური ენის სახელმძღვანელო, დაწყებითი სკოლის 1-ელი-მე-2 კლასებისათვის, ორჯონიკიძე, 1960; ნ. არსადთი, ოსური ენის სახელმძღვანელო, დაწყებითი სკოლის მე-2 კლასისათვის, ორჯონიკიძე, 1952; მ. გურიათი, ა. ცაგათი, ოსური ენის გრამატიკა დაწყებითი სკოლის მე-3 კლასისათვის, ორჯონიკიძე, 1960; ნ. ბაგათი, ოსური ენის სახელმძღვანელო, დაწყებითი სკოლის მე-4 კლასის სახელმძღვანელო, ორჯონიკიძე, 1960; ნ. ბაგათი, ოსური ენის გრამატიკა, ფონეტიკა და მორფოლოგია, მე-5-მე-6 კლასების სახელმძღვანელო, ორჯონიკიძე, 1960; დ. ბეკოითი, ოსური ენის გრამატიკა, პირველი ნაწილი, ფონეტიკა და მორფოლოგია, სტალინირი, 1960; რ. ზანჯინათი, ოსური ლიტერატურა, ქრესტომათია, საშუალო სკოლის მე-5 კლასი,

ორჯონიკიძე, 1960 და სხვ. სასკოლო სახელმძღვანელოებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ოსური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები გამოიცემოდა ყოველწლიურად. მაგალითად, ბაგათის მე-5-მე-6 კლასების სახელმძღვანელო, ოსური ენის გრამატიკა, პირველი ნაწილი, ფონეტიკა და მორფოლოგია გამოიცემოდა 1960, 1961, 1962 წლებში. 1960 წელს პირველი ნაწილი გამოიცა ტირაჟით 6400. 1961 წელს კი, გამოიცა ტირაჟით 4000. ამავე წიგნის მე-2 ნაწილი გამოიცა 1961 წელს ტირაჟით 9000.

მე-20 საუკუნის 60-80-იან წლებში ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური საგანმანათლებლო ურთიერთობები განსაკუთრებით ინტენსიური გახდა. მრავალმა ახალგაზრდამ სწავლა გააგრძელა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, მომზადდა არაერთი სადისერტაციო ნაშრომი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, სხვადასხვა დარგთან ერთად, აფხაზური ენისა და ლიტერატურის, ოსური ენისა და ლიტერატურის მიმართულებებით. აფხაზი და ოსი ახალგაზრდა მკვლევრები ასევე სწავლობდნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა უნივერსიტეტის, მათ შორის, მოსკოვის უნივერსიტეტების ასპირანტურებსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, თუმცა ხაზგასასმელია, რომ მათი დიდი უმრავლესობა თბილისში ამზადებდა კვლევით ნაშრომებს.

თავი IV

აფხაზური და ოსური ენების სწავლება პოსტსაბჭოთა პერიოდში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან, დაიწყო ჯერ ქართულ-ოსური კონფლიქტი (1991-1992 წ. წ.) ხოლო შემდგომ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი (1992-1993 წ. წ.). 2008 წელს კი, ქართულ-ოსური ურთიერთობები კვლავ გადაიზარდა შეიარაღებულ დაპირისპირებაში, რის შედეგადაც კოდორის ხეობასა და ახალგორის რაიონში აღარ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია.

აფხაზური ენა საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ისწავლებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი სკოლების ნაწილში, ე. წ. აფხაზურ სკოლებში, სადაც, როგორც უკვე აღინიშნა, აფხაზური ენასა და ლიტერატურას სწავლობდნენ პირველიდან დამამთავრებელი კლასის ჩათვლით, ხოლო დარგობრივი საგნები ისწავლებოდა მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან რუსულ ენაზე. ოსური ენა საბჭოთა კავშირში ისწავლებოდა ჩრდილოეთ ოსეთში, ასევე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე და საქართველოს სხვა რაიონებსა და ქალაქებში, მათ შორის, თბილისში, ქარელში, ხაშურში, გურჯაანში, ბორჯომში, ლაგოდეხში, ყვარელში და სხვ (საქართველოს განათლების მატთანე, 2015). სხვადასხვა დროს ფუნქციონირებდა ე. წ. ოსური სკოლები, სადაც ოსური ენა ისწავლებოდა პირველიდან დამამთავრებელი კლასის ჩათვლით, ხოლო დანარჩენი საგნები ისწავლებოდა რუსულ ენაზე. აფხაზური და ოსური სკოლების სტრუქტურა იდენტური იყო²¹.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ წარმოქმნილი ქართულ-ოსური კონფლიქტისა და ოსთა მიგრაციული პროცესების გამო ოსური სკოლების უმრავლესობაში გაუქმდა ოსური ენის სწავლება. ზოგი სკოლა საერთოდ დაიხურა მოსწავლეთა არარსებობის გამო, მაგ. სოფ. მიტარბის სკოლა ბორჯომის რაიონში. ოსური სკოლების უმრავლესობა ფუნქციონირებას აგრძელებდა რუსული სკოლის სტატუსით. მაგ. თბილისის მე-11 საშუალო სკოლა. 2004-05 წლებიდან რუსული სკოლების ნაწილი გადაკეთდა ქართულ

²¹ ვინაიდან აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი განათლება სწავლების ძირითად ენად რუსულს ეყრდნობოდა, სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსებიც ძირითადად, აფხაზურ-რუსული და ოსურ-რუსული იყო. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა მდიდარი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური საგანმანათლებლო ურთიერთობები, საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში ეს ტენდენცია აღარ გაგრძელდებულა. მხოლოდ ბოლო წლებში შეიქმნა ქართულ-აფხაზური და აფხაზურ-ქართული, ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონები, სახელმძღვანელო წიგნები.

სკოლებად მაგ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. არეშფერნის საჯარო სკოლა. ოსური ენის სწავლება დღეისათვის შენარჩუნებულია კახეთის სამ სკოლაში, ასევე, ქართლის სკოლებში. აფხაზური ენა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა არ ისწავლებოდა საქართველოს დანარჩენ რეგიონებში. აფხაზური ენის სწავლება შემოღებულ იქნა 2016 წელს აჭარაში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლები.

სადისერტაციო ნაშრომში ნაკვეთი – აფხაზური და ოსური ენების სწავლება პოსტსაბჭოთა საქართველოში – დავყავით შემდეგ ნაწილებად:

აფხაზური და ოსური ენების სწავლება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე;

აფხაზური და ოსური ენების სწავლება საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიებზე.

IV. I საქართველოში განხორციელებული პროგრამები ეთნიკური უმცირესობების განათლების ხელშეწყობასთან დაკავშირებით

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს რამდენიმე პროგრამას, რომელთა მიზანია ეთნიკური უმცირესობების განათლების ხელშეწყობა, მათ შორის, აფხაზური და ოსური ენების მიმართულებით. ამ მხრივ უნდა დასახელდეს:

„არაქართულენოვანი სექტორის მოსწავლეთა სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ქვეპროგრამა“;

„უმცირესობათა ენის დაცვის ქვეპროგრამა“;

„ქართველი და ოსი ეროვნების სტუდენტთა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის ხელშეწყობის ქვეპროგრამა“;

„ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის დახმარების ქვეპროგრამა“.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოქმედებს „სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა“, რომელიც გულისხმობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარებას და უმაღლესი განათლებისათვის ინტენსიურ მომზადებას. ეს პროგრამა ფუნქციონირებს 2019 წლიდან

და 2022 წლამდე 139 პირს მიენიჭა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება.

ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამინისტროს სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავდა 2009-2014; 2014-2020 წლებში.

მიუხედავად სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკისა, აფხაზური და ოსური ენების შესწავლა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე საჭიროებს გაუმჯობესებას. სკოლებისათვის არ არსებობს თანამედროვე, გრიფირებული სახელმძღვანელოები.

2020 და 2021 წელს სახელმძღვანელოების გრიფირების დროს აფხაზური ენისა და ლიტერატურის V-IX კლასების სახელმძღვანელოებზე განაცხადი არ შესულა. ასევე არ შესულა განაცხადი რუსულის, როგორც მშობლიური ენისა და ლიტერატურის, სომხურის, როგორც მშობლიური ენისა და ლიტერატურის, აზერბაიჯანულის, როგორც მშობლიური ენისა და ლიტერატურის I-IX კლასების სახელმძღვანელოებზე, ხოლო ოსური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს გრიფირებაზე კონკურსი არ გამოცხადებულა.

2018 წელს შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადდა ინიციატივა – „ნაბიჯი უკეთესი მომავლისთვის“ პროგრამის მიზანია ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები აბიტურიენტების მომზადება. დებულებაში აღნიშნულია: „აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში არსებული განათლების დონის გათვალისწინებით, ასევე სასწავლო პროცესში აფხაზური და ოსური ენის არასაკმარისი განვითარების პირობებში, შესაბამისი ინტერესის მქონე აფხაზ და ოს აბიტურიენტებს უჭირთ აფხაზურ და ოსურ ენაზე ნათარგმნი ზოგადი უნარების გამოცდისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ტერმინებით გაჯერებული ტესტის ჩაბარება. შესაბამისად, 1+4 პროგრამით ყოველწლიურად მოსარგებლე აფხაზი და ოსი სტუდენტების რიცხვი არ არის მაღალი“ (ნაბიჯი უკეთესი მომავლისათვის, 2018). სამშვიდობო ინიციატივის მიერ განსაზღვრულია შემდეგი ეტაპები: აბიტურიენტების მომზადება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, რათა სასწავლო წლის ბოლოს აბიტურიენტებმა ჩააბარონ ორი გამოცდა – სპეციალობაში და ქართულ ენასა და ლიტერატურაში. აბიტურიენტებისათვის გათვალისწინებულია ყოველთვიური სტიპენდია 150 ლარი. პროგრამაზე 2019 წელს

დარეგისტრირდა 142 აბიტურიენტი, 140 გალის, 2 ახალგორის რაიონიდან. შეირჩა ორი უნივერსიტეტი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 70 აბიტურიენტი სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 72 – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2020-21 წლებში აბიტურიენტების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. აბიტურიენტები ძირითადად ქართულენოვანი, ან შერეული ოჯახის წარმომადგენლები არიან, რომლებიც ცხოვრობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

ყოფილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მე-20 საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ გაცემულ დოკუმენტებს, მათ შორის, დაბადების მოწმობებს, პასპორტებს, ატესტატებსა და სხვ. არ ცნობდა ქართული მხარე, რაც კმნიდა დამატებით დაბრკოლებებს იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც სურვილს გამოთქვამდნენ, სწავლა გაეგრძელებინათ საქართველოში. 2011 წლიდან ეს მიდგომა შეიცვალა. თანამედროვე საკანონმდებლო რეგულაციებით, აღნიშნულ რეგიონებში გაცემული იურიდიული დოკუმენტაცია ექვემდებარება აღიარებას და სურვილის შემთხვევაში, ახალგაზრდებს შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

IV. II კვლევითი ნაწილი

აფხაზური და ოსური ენების სწავლების თავისებურებებზე დაკვირვების მიზნით ჩავატარეთ თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევები. კვლევით ნაწილში წარმოვადგენთ ჩვენ მიერ მოპოვებული მასალებს, მათ ანალიზს.

ინფორმაციის დახარისხება და შერჩევა: ერთი მხრივ, კვლევის მასშტაბებიდან გამომდინარე, ხოლო მეორე მხრივ, ნაშრომის შეზღუდული ფორმატის გათვალისწინებით, მოგვიხდა საქართველოში ეთნიკური უმცირესობების სწავლების თავისებურებებზე არსებული ნაშრომების, წყაროებისა და ფაქტების დახარისხება. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საკითხებზე ძალზე ბევრი წყარო და ნაშრომი მოხვდა ჩვენი თვალთახედვის არეში, მათ შორის, აფხაზური და ოსური ენების სწავლების მიმართულებით, თუმცა, ბუნებრივია, ყოველი მათგანი ვერ აისახებოდა ჩვენს გამოკვლევაში, რაც, რასაკვირველია, სრულებით არ აკნინებს ამ ნაშრომების მნიშვნელობას.

საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებთან ღია კონტაქტი: ჩვენი კონტაქტებიდან გამომდინარე, მოვიპოვეთ კვლევისათვის საჭირო მასალები. რესპონდენტების მოძიებასა და კვლევების ნაწილის ჩატარებაში დიდად დაგვეხმარნენ აფხაზი და ოსი კოლეგები, რომლებთანაც მრავალწლიანი თანამშრომლობა გვაკავშირებს.

ფაქტების სიზუსტე და ინფორმაციის საკმარისობა: ჩვენი კვლევის ნაწილისათვის, რომელიც ეხება აფხაზური და ოსური ენების სწავლების თავისებურებებს თანამედროვე ეტაპზე, ზოგი ინფორმაცია და მონაცემები მოვიძიეთ დამოუკიდებლად, მივიღეთ ფოკუს-ჯგუფებისგან, ან ექსპერტებისგან. ასევე, ზოგიერთი საკითხის შესახებ ცოდნა ემყარება ცალკეული ადამიანების მეხსიერებას, რაც ადასტურებს ნაშრომებში არსებულ ჰიპოთეზას და სხვა მონაცემებს. საზოგადოდ კი, კვლევაში გამოყენებულია მაღალი სანდოობის სამეცნიერო, საკანონმდებლო და საცნობარო წყაროები, ინტერვიუების შედეგები.

სამაგიდე კვლევის ფარგლებში დამუშავდა ისტორიული დოკუმენტები, დარგში არსებული კვლევები, კანონები, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები, მოვიპოვეთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის სტატისტიკური მონაცემები, დავამუშავეთ ჩვენი კვლევითი მიზნების შესაბამისად.

ჩავატარეთ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევები და ინტერვიუები. შემუშავდა კითხვარები სკოლების პედაგოგებისათვის, უნივერსიტეტების სამეცნიერო-კვლევით ცენტრებისათვის, აფხაზი, ოსი და ქართველი ექსპერტებისათვის, აფხაზი და ოსი ახალგაზრდებისათვის.

კერძოდ, ჩავატარეთ ჩაღრმავებული ინტერვიუ ცხინვალში მცხოვრებ მწერალთან ოსური ენის ანბანების ცვლილებების საკითხებზე (იხ, დანართი 1); ჩავატარეთ თვისებრივი კვლევა აფხაზური ენის მასწავლებლებთან ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ფერიაში (დანართი 2); ჩავატარეთ კვლევა ფოკუს-ჯგუფთან აფხაზური ენის მასწავლებლებთან თბილისის უნივერსიტეტებში (დანართი 3); ჩავატარეთ ჩაღრმავებული ინტერვიუ თსუ აფხაზეთის შემსწავლელ ინსტიტუტში (დანართი 4); ჩავატარეთ რაოდენობრივი კვლევა ოსური ენის მასწავლებლებთან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე (დანართი 5); ჩავატარეთ კვლევა ფოკუს-ჯგუფთან ოსური საკვირაო სკოლის მასწავლებლებთან (დანართი 6); ჩავატარეთ ჩაღრმავებული

ინტერვიუ ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევით ცენტრში (დანართი 7); ჩავატარეთ ჩადრმავებული ინტერვიუ გალის რაიონში მცხოვრებ ახალგაზრდასთან (დანართი 8); ჩავატარეთ ჩადრმავებული ინტერვიუ ცხინვალის რაიონის სკოლის პედაგოგთან (დანართი 9); ჩავატარეთ ჩადრმავებული ინტერვიუ ლენინგორის/ახალგორის რაიონში მცხოვრებ ახალგაზრდასთან (დანართი 10).

ცალკე უნდა გამოვყოთ ემპირიული კვლევა აფხაზი და ოსი ახალგაზრდების საუნივერსიტეტო განათლების პერსპექტივებთან დაკავშირებით. არსებული კონფლიქტური მდგომარეობიდან და საზღვრების შეზღუდვიდან გამომდინარე, ემპირიული კვლევის მასშტაბები შემოფარგლული იყო, თუმცა, მიუხედავად ამისა, ჩავატარეთ მცირე რაოდენობრივი კვლევა აფხაზეთში მცხოვრები ახალგაზრდებთან (აბიტურიენტები/სტუდენტები) (დანართი 11) და მცირე რაოდენობრივი კვლევა ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ახალგაზრდებთან (აბიტურიენტები/სტუდენტები) (დანართი 12). ვფიქრობთ, მიუხედავად კვლევითი მასშტაბების სიმცირისა, კვლევის შედეგების განზოგადება შესაძლებელია საუნივერსიტეტო განათლების პერსპექტივების თვალსაზრისით.

ინფორმაციის მოძიების მიზნით კომუნიკაცია შედგა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის საგანმანათლებლო და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებთან.

საველე ვიზიტით ვიმყოფებოდით ლაგოდეხის, ყვარლის, გორის, კასპის მუნიციპალიტეტების სკოლებში, აჭარაში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიას საჯარო სკოლაში. ჩავატარეთ ინტერვიუები, გავეცანით მასალებს, დავაკვირდით საგაკვეთილო პროცესებს.

IV. III. აფხაზური და ოსური ენების სწავლება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე

საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე აფხაზური და ოსური ენების სწავლება მიმდინარეობს რამდენიმე მიმართულებით:

1. აფხაზური ენა ისწავლება 2016 წლიდან ბათუმის მე-14 და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ფერიას საჯარო სკოლებში.
2. ოსური ენა ისწავლება ყვარლისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლებში; გორის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში.

3. აფხაზური და ოსური ენები ისწავლება რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

უმაღლესი განათლების სწავლის სფეროების კლასიფიკატორში (რომელიც აღწერს აღწერს საქართველოში არსებული სწავლის სფეროების კლასიფიკაციას და განსაზღვრავს სწავლის თითოეულ სფეროში მისანიჭებელ კვალიფიკაციას). დადგენილია ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საუნივერსიტეტო საფეხურებზე აფხაზური ფილოლოგიისა და აფხაზურის, როგორც მეორე ენის კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობა, ხოლო ოსური ენის ფილოლოგიისა და ოსურის, როგორც მეორე ენის კვალიფიკაცია კლასიფიკატორის ჩამონათვალში არ არის (იხ. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება 69/ნ, 10.04.20019. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ.).

IV.III. 1 აფხაზური ენის სწავლება სკოლაში – ენის სტატუსი და სწავლების

თავისებურებები (აჭარის სკოლების მაგალითზე)

საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე აფხაზური ენა 2016 წლიდან ისწავლება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ორ სკოლაში: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიაში და ბათუმის მე-14 სკოლაში.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, აჭარის სკოლებში, აფხაზური ენის სწავლების თავისებურებები. ამ მიზნით ვიმყოფებოდით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიაში, დავაკვირდით საგაკვეთილო პროცესს, თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით ჩავიწერეთ ჩაღრმავებული ინტერვიუები აფხაზური ენის პედაგოგთან და სკოლის დირექტორთან (იხ. დანართი 2). კვლევის შედეგად ჩამოვაყალიბეთ შემდეგი შედეგები:

აფხაზური ენის სწავლება აჭარის სკოლებში განსაზღვრულია კვირაში 4 საათის ოდენობით. ორივე სკოლაში ისწავლება ერთნაირი პროგრამითა და სახელმძღვანელოებით.

სახელმძღვანელოები:

2017 წელს, სკოლებში აფხაზური ენის სწავლების მიზნით, ხელახლა დაიბეჭდა 1991 წელს გამოცემული აფხაზური დედაენა და აფხაზური ენის ანბანი.

2019 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ გამოსცა სახელმძღვანელო „აფხაზური ენა დამწყებთათვის“ (წიგნის შემდგენლები: პროფ. თეიმურაზ გვანცელაძე, რიტა ამიჭბა-მარღანია, ირმა ოსიაკინწურაშვილი). ეს წიგნი გამოიყენება აფხაზური ენის ძირითად სახელმძღვანელოდ აჭარის სკოლებში.

გაკვეთილებზე იყენებენ აფხაზური ენის აუდიოგაკვეთილებს, „ვისწავლოთ აფხაზური ენა“, რომელიც მომზადდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლობით 2013 წელს. აღსანიშნავია, რომ ეს აუდიო-ვიდეო კურსი ჩაწერილია და ერთვის საჯარო სკოლის პირველკლასელებისათვის გადასაცემ კომპიუტერს.

პედაგოგთა შეხედულებით, აფხაზური ენის სწავლების შემოღება განაპირობა იმ საკითხმა, რომ აჭარაში აფხაზთა კომპაქტური დასახლებებია, ასევე, სწავლების მიზანს წარმოადგენს სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელება. აჭარაში მცხოვრები აფხაზების ნაწილი ინარჩუნებს ნათესაურ ურთიერთობებს აფხაზეთში მცხოვრებლებთან.

სოფელ ფერიაში ყოველწლიურად 20-მდე ბავშვი ეუფლება აფხაზურ ენას. ბავშვების უმრავლესობა აფხაზია, ან შერეული ოჯახის წარმომადგენელი. აფხაზური ენის პედაგოგთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სწავლების შემოღების პირველ წლებში სოფელ ფერიაში მსმენელები უფრო მოტივირებულები იყვნენ, მოსწავლეებთან ერთად გაკვეთილებს ესწრებოდნენ მათი მშობლებიც, თუმცა ბოლო პერიოდში შემსწავლელთა მოტივაციამ იკლო, რის მიზეზადაც დასახელდა აფხაზური ენის შესწავლის სირთულეები.

სკოლის პედაგოგები არიან ეთნიკური აფხაზები (სულ 2 პედაგოგი). მათ დამთავრებული აქვთ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი სოხუმში.

აფხაზური ენის პედაგოგები აღნიშნავენ, რომ არ ჩასტარებიან სპეციალური მეთოდური ტრენინგი და გადამზადება. სასწავლო მასალები არსებითად, საკმარისია და შეესაბამება მსმენელთა ენობრივ დონეს, რადგან აფხაზური ენა აჭარაში ძირითადად მოხუცებმა იციან და მოსწავლეებს უწევთ ენის საწყისი დონიდან შესწავლა.

აფხაზური საკვირაო სკოლები

აფხაზური საკვირაო სკოლები სხვადასხვა დროს მოქმედებდა – რუსთავეში 2007-2010 წლებში; თბილისში – 2009 წელს.

საკვირაო სკოლებში მოსწავლეები სწავლობდნენ აფხაზური ენის ანბანს და საწყის ლექსიკას. საკვირაო სკოლების პროექტებს ჰქონდა ხანმოკლე დაფინანსება.

IV.III. 2 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზეთის ინსტიტუტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011 წელს შეიქმნა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, ხოლო 2022 წელს ცენტრი გადაკეთდა აფხაზეთის ინსტიტუტად, რომლის ძირითადი მიზანია ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კვლევა. ინსტიტუტი მუშაობს არაერთ პროექტზე, მათ შორის, გამოსცემს წიგნებს, ატარებს აფხაზური ენის ზეპირმეტყველების გაკვეთილებს.

ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ჩავატარეთ სიღრმისეული ინტერვიუ ცენტრის დირექტორთან (*იხ. დანართი 3*). ასევე, შევადგინეთ ფოკუს ჯგუფი ცენტრში მომუშავე ორ პედაგოგთან (*იხ. დანართი 4*).

კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ ინსტიტუტში აფხაზური ენის ზეპირმეტყველების გაკვეთილებზე მიღება ცხადდება ყოველწლიურად. ინსტიტუტში არის აფხაზური ენის 2 მასწავლებელი. სხვადასხვა დროს ჰყავთ მსმენელები, რომლებთანაც მუშაობენ შერეულ ფორმატში: დასწრებულად და დისტანციურად. აფხაზური ენის მასწავლებლები მიუთითებენ, რომ აქვთ აფხაზური ენის სწავლების გამოცდილება 2001 წლიდან სხვადასხვა ინტენსივობით. აფხაზური ენის პედაგოგი სწავლების სირთულეებს შორის ასახელებს ენის შესწავლის სირთულეს: „სირთულე, რომელიც „აფრთხობს“ ენის შესწავლის მსურველს, არის ანბანი (ჟღერადობა), ენის საკმაოდ რთული გრამატიკული წყობა, არაკავკასიელებისთვის განსაკუთრებით რთულია კავკასიური ენებისთვის დამახასიათებელი ასო-ბგერების გამოთქმა“. აფხაზური ენის სწავლებისას ძირითადად გამოიყენებენ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევით ცენტრში შექმნილ სახელმძღვანელოს „აფხაზური ზეპირმეტყველების გაკვეთილები“ (თბ., 2014; განმეორებითი გამოცემა, თბ., 2017).

აფხაზური და ოსური ენები ისწავლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კავკასიოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები.

IV.III. 3 ოსური ენის სწავლება სკოლაში: ენის სტატუსი და სწავლების თავისებურებები

(კახეთისა და ქართლის სკოლების მაგალითზე)

ოსური ენის სწავლებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა განსხვავებული იყო როგორც ოსური ენის სტატუსი, ისე მისი სწავლების მეთოდოლოგია. თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში ფუნქციონირებდა ე. წ. ოსური სკოლები, რომლებიც საბჭოთა საგანმანათლებლო სისტემის შესაბამისად, დაწყებით კლასებში ითვალისწინებდა ოსურ ენაზე სწავლებას, ხოლო შემდგომ – რუსულენოვან სწავლებას. 2005-2009 წლის საგანმანათლებლო რეფორმის შემდეგ სკოლებში რუსულენოვანი სწავლება შეიცვალა ქართულენოვანი სწავლებით. ეს ცვლილება შეეხო ლაგოდეხისა და ყვარლის მუნიციპალიტეტების ე. წ. ოსურ სკოლებს, სადაც ქართულენოვანი სწავლება მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ოსური ენის სწავლება კი არ არის სტანდარტიზებული. ამჟამად ოსური ენა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე რამდენიმე სკოლაში ისწავლება. მათ შორის არის ლაგოდეხისა და ყვარლის მუნიციპალიტეტების სოფ. არეშფერნის, ფონასა და წიწკენაანოსერის სოფლები, ასევე, დევნილთა დასახლებები გორის მუნიციპალიტეტში. ამ რეგიონებში კომპაქტურად ცხოვრობენ ოსები და შერეული, ქართულ-ოსური ოჯახების წარმომადგენლები.

ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რა სტატუსი აქვს ოსურ ენას, რა მეთოდებით ისწავლება და რამდენად განსხვავდება ოსური ენის სწავლება სკოლებში. ამ მიზნით შევქმენით რაოდენობრივი კვლევის კითხვარი ოსური ენის მასწავლებლებისათვის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე (იხ. დანართი 5). კვლევაში მონაწილეობდა საჯარო სკოლების ოსური ენის ყველა პედაგოგი.

კვლევამ აჩვენა, რომ ოსური ენის სწავლება კახეთის რეგიონისა და ქართლის რეგიონის სკოლებში განსხვავებულად მიმდინარეობს. ლაგოდეხისა და ყვარლის

მუნიციპალიტეტებში ოსური ენა ისწავლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგიდით, ხოლო გორის მუნიციპალიტეტში – დევნილთა დასახლებებში – სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის²² ეგიდით. განსხვავდება სწავლების საათობრივი ბადეც.

კვლევის მიზანი და ამოცანები:

კვლევის მიზანი იყო განგვესაზღვრა, თუ როგორია სკოლებში ოსური ენის სწავლების ტრადიცია და თანამედროვე მდგომარეობა. რა სტატუსი ჰქონდა ოსურ ენას და რა სტატუსი აქვს მას ამ დროისათვის. რომელი მასალებითა და როგორი მეთოდებით ისწავლება ოსური ენა ამჟამად.

კვლევის ამოცანები იყო:

- გამოგვევლინა ინფორმაცია ოსური ენის სტატუსის ისტორიული და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, შეგვეგროვებინა და მოგვეხდინა მისი ანალიზი, დეფინიცია რეგიონების მიხედვით;
- ოსური ენის სწავლების თავისებურებებზე ისტორიულ და თანამედროვე მდგომარეობის მიხედვით ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება;
- ოსური ენის სასწავლო ბადეზე ინფორმაციის დაზუსტება პირველწყაროდან;
- ოსური ენის მასწავლებლების განათლებისა და კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის შეგროვება;
- ინფორმაციის შეგროვება იმ საკითხებზე, რომლებიც შეიძლება უკავშირდებოდეს ოსური ენის სწავლებას შერჩეულ რეგიონებში;
- შეგროვილ მონაცემებზე დაყრდნობით დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ოსური ენის სწავლებას.

მეთოდოლოგია:

კვლევისათვის შევარჩიეთ ორივე სამიზნე რეგიონი, სადაც ისწავლება ოსური ენა: კახეთი და ქართლი. გამოკითხვისთვის შეირჩა ოსური ენის მოქმედი მასწავლებლები იმ სკოლებში, რომლებშიც ამჟამად ისწავლება ოსური ენა. წინასწარ იყო მომზადებული კითხვარი, რომელსაც პედაგოგები პასუხობდნენ და გვიგზავნიდნენ. კითხვები დაყოფილი იყო ორ ძირითად ნაწილად: ისტორიული და თანამედროვე მდგომარეობა. თითოეულ ნაწილში გამოყოფილი იყო ოთხი საკითხი: ენის სწავლება; მასწავლებლები;

²² სრული დასახელება: ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია.

მოსწავლეები; სახელმძღვანელოები. მასწავლებელთა დიდმა ნაწილმა უპასუხა მხოლოდ იმ შეკითხვებს, რომლებზე პასუხიც ჰქონდათ. ძირითადად, მათი პასუხები ასახავდა თანამედროვე მდგომარეობას. ისტორიული ვითარების შესახებ მასწავლებელთა დიდმა ნაწილმა არ უპასუხა შეკითხვებს, რადგან ან არ ჰქონდათ ინფორმაცია, ან, დევნილთა დასახლებების შემთხვევაში, სკოლები ახალი დაარსებული იყო და იმ სკოლებში ადრე არ ისწავლებოდა ოსური ენა.

მასწავლებელთა პასუხების მიღების შემდეგ დაჯგუფდა პასუხები და გამოიკვეთა ძირითადი მიგნებები.

ისტორიული მდგომარეობა:

ამ შეკითხვაზე პასუხების დროს წარმოჩნდა, რომ მასწავლებლების ნაწილი, რომლებიც ამჟამად დევნილთა დასახლებებში ცხოვრობდნენ, ასახელებდნენ იმ სკოლებს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან, რომლებშიც ისწავლებოდა ოსური ენა. კახეთში მცხოვრები მასწავლებლები გვაწვდიდნენ ინფორმაციას კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში ოსური ენის სწავლების ისტორიულ მდგომარეობაზე. კერძოდ, კახეთში მცხოვრებმა მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ოსური ენა ისწავლებოდა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან და მას ჰქონდა სავალდებულო სტატუსი. მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში ამ სკოლებში ოსური ენისათვის შემოღებული იყო ლათინური შრიფტი, ხოლო შემდგომ – ქართული შრიფტი. ასევე, კვლევამ აჩვენა, რომ ოსურ სკოლებში ოსურენოვანი განათლება სრულად მიმდინარეობდა მხოლოდ დაწყებით კლასებში, ხოლო შემდგომი განათლება 1938 წლიდან 1954 წლამდე იყო ქართულ ენაზე, 1954-55 სასწავლო წლიდან კი – რუსულ ენაზე. სკოლაში ისწავლებოდა რუსული ენა სავალდებულო ენის სტატუსით, ასევე, გერმანული ენა უცხო ენის სტატუსით.

თანამედროვე მდგომარეობა

მასწავლებელთა განათლება და კვალიფიკაცია: მიღებული პასუხების შედეგად ირკვევა, რომ ოსური ენის მასწავლებლების დიდ უმრავლესობას დამთავრებული აქვს ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც შევსებულ კითხვარებში სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება: ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ალ. თიბილოვის სახელობის ცხინვალის უნივერსიტეტი. სახელწოდებებს შორის განსხვავება განპირობებულია საგანმანათლებლო დაწესებულების სახელის ცვლილებით.

ასევე ერთი მასწავლებელი აღნიშნავს, რომ დამთავრებული აქვს იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მასწავლებლების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ოსური ენის მასწავლებლების უმრავლესობას არ აქვს ოსური ენის მასწავლებლის კვალიფიკაცია. ოსური ენის ყველა მასწავლებელი არის ეთნიკურად ოსი და აქვთ პედაგოგის (რუსული ენისა და ლიტერატურის და სხვა საგნების მასწავლებლების) კვალიფიკაციები.

მასწავლებლების ნაწილი მიუთითებს, თსუ ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ინიციატივით ოსური ენის მასწავლებლებს 2018 და 2020 წლებში ჩაუტარდათ ტრენინგები, თუმცა გამოთქვამენ სურვილს, გარკვეული პერიოდულობით ჩატარდეს ოსური ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიაზე ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები.

სწავლების გამოცდილება

მიღებული პასუხების შედეგად გამოიკვეთა, რომ ქართლის რეგიონის დევნილთა დასახლებებში მცხოვრები მასწავლებლები ოსურ ენას ასწავლიან 2008 წლის შემდგომ, მათი საცხოვრებელი ადგილებიდან დევნილობის შემდეგ. მასწავლებელთა ნაწილი ასევე აღნიშნავს თავიანთ პედაგოგიურ გამოცდილებას ცხინვალისა და გორის რაიონების სხვადასხვა სკოლაში.

კახეთის რეგიონის სკოლების მასწავლებლებს აქვთ ოსური ენის სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება, ასევე, მასწავლებელთა ნაწილი ასწავლიდა სხვა საგნებს, მაგალითად, რუსულ ენას, ხოლო ამჟამად ოსურ ენას ასწავლის. კვლევისას გამოიკვეთა ისიც, რომ ოსური ენის მასწავლებლების ნაწილი აღარ ასწავლის ოსურ ენასა და ლიტერატურას საათების სიმცირის გამო.

ენის სწავლება

ოსური ენა ქართლის რეგიონის დევნილთა დასახლებებში ისწავლება ერთ სკოლაში და ასევე, კახეთის რეგიონში სამ სკოლაში.

ქართლის რეგიონის დევნილთა დასახლებების სკოლებში და კახეთის რეგიონში ოსურ ენას ეთმობა კვირაში ორი საათი. თითოეულ სკოლაში ოსურ ენას ასწავლის ერთი მასწავლებელი.

ოსური ენის სწავლებას ამჟამად აქვს არჩევითი სტატუსი, ოსური ენის შესახებ ინფორმაცია არ აისახება მოსწავლეთა ატესტატებში. კახეთის რეგიონის სკოლებში,

რომლებშიც ოსური ენა ისწავლება, ადრე ეს ინფორმაცია აისახებოდა ატესტატებში, ახლა მხოლოდ საკლასო ჟურნალებსა და მოსწავლეთა პირად საქმეებში.

ოსური ენა ისწავლება შერეულ ასაკობრივ ჯგუფებსა და კლას-კომპლექტებში. მოსწავლეების განაწილება ასეთია:

1-2 კლასი

3-4 კლასი

5-6 კლასი

7-8-9 კლას-კომპლექტი

10-11-12 კლას-კომპლექტი

ოსურ ენას სწავლობენ მოსწავლეები 12 წლის განმავლობაში, პირველი კლასიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით.

სკოლებში, რომლებშიც ისწავლება ოსური ენა, ისწავლება ქართული ენა და ლიტერატურა, როგორც მშობლიური ენა. ასევე, ისწავლება ინგლისური და რუსული ენები. სხვადასხვა პერსპექტივიდან მოსწავლეებისათვის ოსური ენა არის მშობლიური ენა/მეორე ენა/უცხო ენა/მეორე უცხო ენა/დამატებითი უცხო ენა.

სახელმძღვანელოები

ქართლის რეგიონის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სახელმძღვანელოებს აწვდის სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია. ასევე, იყენებენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიური მოზაიკა“ მიერ გამოცემულ საგანმანათლებლო წიგნებს, რომელთა ავტორი არის ნაირა ბეპიევი.

კახეთის რეგიონის სკოლებში იყენებენ სხვადასხვა სახელმძღვანელოს, მათ შორის, ძველ წიგნებს, რომლებითაც ადრე ისწავლებოდა ოსური ენა ამ სკოლებში. ასევე, იყენებენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიური მოზაიკა“ მიერ გამოცემულ საგანმანათლებლო წიგნებს, რომელთა ავტორი არის ნაირა ბეპიევი.

ნ. ბეპიევი, „ოსური ენის თვითმასწავლებელი“, თბ., 2018;

ნ. ბეპიევი, „ოსური ენა დამწყებთათვის“, თბ., 2019;

ნ. ბეპიევი, „ოსური ენის პრაქტიკული გრამატიკა“, თბ., 2017

ოსური ლიტერატურის ქრესტომათიები – სასკოლო სახელმძღვანელოები (1960-80 წლებში გამოცემული);

დამატებით სასწავლო მასალად იყენებენ შემდეგ წიგნებს: „ოსური თქმულებები“ (თბ., 2009); „ნართები“ (თბ., 2016); „ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონი“ (თბ., 2011) და სხვ. რომლებიც გამოიცა ნაირა ბეპიევის რედაქტორობით. ერთმა პედაგოგმა დაასახელა რიმა კალოევას საანბანო წიგნი: Римма Калоева, Абета, Владикавказ, 1997.

მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ აქვთ სახელმძღვანელოებისა და ტრენინგების ნაკლებობა. სასწავლო მასალები მხოლოდ ნაწილობრივ არის საკმარისი.

მოსწავლეები

კახეთის რეგიონის სკოლებში და ქართლის რეგიონის დევნილთა დასახლებების სკოლებში ოსურ ენის ჯგუფებში მოსწავლეთა რაოდენობა საშუალოდ არის 16-17 მოსწავლე (არეშფერნის საჯარო სკოლაში უფრო მეტია), რომელთა შორის არიან ეთნიკურად ოსი და ქართველი მოსწავლეები, ძირითადად, შერეული ოჯახების წარმომადგენლები. ოსური ენის შემსწავლელებს არ მოეთხოვებათ ენის წინასწარი ცოდნა.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ოსური ენის სწავლებას კახეთის რეგიონის ყვარლისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების სკოლებსა და ქართლის რეგიონის დევნილთა დასახლებების სკოლებში აქვს არჩევითი სტატუსი. არ არის ზუსტად განსაზღვრული ოსური ენის სასწავლო მასალა, ასევე, არ არის განსაზღვრული ოსური ენის სასწავლო პროგრამა. ოსური ენა ისწავლება როგორც მეორე ენა/მშობლიური ენა/უცხო ენა/მეორე უცხო ენა/დამატებითი უცხო ენა. ოსური ენის მასწავლებლები აღნიშნავენ სასწავლო მასალების, სასკოლო სახელმძღვანელოების, მეთოდური ტრენინგების ნაკლებობას.

თბილისის მე-11 საჯარო სკოლასთან არსებული ოსური საკვირაო სკოლა

თბილისის მე-11 სკოლაში ოსურს ასწავლიდნენ 1922-1990 წლებში. ოსური ენის სწავლების შეწყვეტა უკავშირდება ქართულ-ოსურ კონფლიქტს. 2007 წლიდან 2014 წლამდე კი მე-11 სკოლაში გაიხსნა ოსური საკვირაო სკოლა, სადაც სწავლობდნენ ოსი ეროვნების და შერეული ოჯახების მოსწავლეები სხვა ეროვნების ბავშვები ერთად. ოსურ

ენას სწავლობდა 25 მოსწავლე, ჯგუფები დაყოფილი იყო ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით: 6 წლიდან 15 წლამდე და 15 წლიდან ზემოთ.

ჩვენი კვლევისათვის ჩავატარეთ სიღრმისეული ინტერვიუ მე-11 სკოლის ოსური ენის პედაგოგებთან, რათა გაგვეჩვენა, როგორ მიმდინარეობდა ოსურ საკვირაო სკოლაში ოსურის სწავლება (იხ. დანართი 6). ინტერვიუს ანალიზის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2007 წელს, ოსური საკვირაო სკოლის დაარსებისას, ოსური ენის სწავლებას დიდი ინტერესი მოჰყვა, თავდაპირველად 30-ზე მეტმა მოსწავლემ გამოთქვა ოსურის სწავლის სურვილი. საკვირაო სკოლაში ოსურ ენასთან ერთად ისწავლებოდა კავკასიის ისტორია, ქართულ-ოსური ურთიერთობები, ხალხური ცეკვები, ხელსაქმე და სპორტი. 2008 წელს აგვისტოს ომის შემდეგ სხვა სკოლებთან ერთად მე-11 სკოლაში შესახლდნენ დევნილები, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ რამდენიმე თვის განმავლობაში. 2008 წელს სკოლამ, ოსური საკვირაო სკოლის ჩართულობით, მიიღო და გაანაწილა ჰუმანიტარული დახმარება გერმანიიდან დევნილებისა და სოციალურად დაუცველებისათვის. ოსური საკვირაო სკოლის პროგრამა დასრულდა 2014 წელს.

IV.III. 4 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი დაარსდა 2015 წელს. ჩვენი კვლევითი მიზნებიდან გამომდინარე, ჩავატარეთ ჩაღრმავებული ინტერვიუ ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელთან (იხ. დანართი 7). ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ცენტრის მთავარი მიზანია ქართულ-ოსური ურთიერთობების შესწავლა. ცენტრი ყოველწლიურად ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“. 2024 წელს დაგეგმილია მე-10 საერთაშორისო კონფერენცია. ცენტრი გამოსცემს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ნაშრომებს, ოსური ენის დამხმარე სახელმძღვანელოებს.

ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ტარდება ოსური ენის ზეპირმეტყველების გაკვეთილები. ცენტრში მუშაობს ოსური ენის ერთი პედაგოგი, რომელმაც განათლება მიიღო ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში ოსური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაციით. ზეპირმეტყველების გაკვეთილებზე

გამოიყენება ცენტრში შექმნილი ოსური ენის სასწავლო წიგნები: ნ. ბეპიევი, „ოსური ენა დამწყებთათვის“, თბ., 2019; ნ. ბეპიევი, „ოსური ენის თვითმასწავლებელი“, თბ., 2018.

IV. V. აფხაზური და ოსური ენების სწავლება საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიებზე

ჩვენი კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება აფხაზური და ოსური ენების სწავლების საკითხების შესწავლას თანამედროვე ეტაპზე, მათ შორის, აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში. მიგვაჩნია, რომ ეს ანალიზი სამომავლოდ თავის წვლილს შეიტანს ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ საგანმანათლებლო ურთიერთობებში. კვლევაში წარმოდგენილი მონაცემები ეყრდნობა აფხაზურ და ოსურ ოფიციალურ მონაცემებს და ჩვენ მიერ ჩატარებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების შედეგად მოძიებულ მასალას.

აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან მოპოვებული სტატისტიკური მონაცემები არის ოფიციალური ინფორმაცია, რომლებსაც ავრცელებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითადიარებული რესპუბლიკები. მონაცემები შესრულებულია უახლეს პერიოდში. ჩვენ საანალიზოდ ავიღეთ 2022 წლის და რამდენიმე წლით ადრინდელი მასალა (იხ. Абхазия в цифрах (2017-2022), Статистический сборник Южной Осетии (2018-2022)). სტატისტიკური მონაცემები დამუშავებულია სხვადასხვა მეთოდით, ამიტომაც, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაცემები თვისობრივად ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ ჩვენი კვლევისათვის ორივეს დიდი და არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემები პირველად შემოდის ქართულ სამეცნიერო სივრცეში. მონაცემების დამუშავება ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზნებისა და ამოცანების მიხედვით მოხდა ჩვენ მიერ, კერძოდ, ყურადღება მივაქციეთ საგანმანათლებლო სივრცეს, სკოლამდელ, სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლებას და სხვ. განსაკუთრებულად დავამუშავეთ აფხაზური და ოსური ენების სწავლების საკითხები.

IV. V. 1 საგანმანათლებლო სივრცე და აფხაზური ენის სწავლება აფხაზეთში

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკა, როგორც აღინიშნა, მოიცავს ყოფილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიას. აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის კონსტიტუციის (1994 წლის 24 ნოემბერი) თანახმად, აფხაზეთში სახელმწიფო ენა არის აფხაზური, რუსული ენა აფხაზურ ენასთან ერთად აღიარებულია სახელმწიფო და სხვა დაწესებულებების ენად. ასევე, კონსტიტუციაში (თავი 1, მუხლი 6) აღნიშნულია, რომ სახელმწიფო აღიარებს აფხაზეთში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის მშობლიური ენის თავისუფლად გამოყენების უფლებას (Конституция республики Абхазия, 1994).

აფხაზეთში სასკოლო საგანმანათლებლო სისტემა დაყოფილია რამდენიმე ენობრივ სეგმენტად. კერძოდ, ფუნქციონირებს ხუთი ტიპის სკოლა: აფხაზური, აფხაზურ-რუსული, რუსული, სომხური და ქართული სკოლები. სრული საშუალო განათლება თერთმეტწლიანია. სკოლები დაყოფილია შემდეგგვარად: დაწყებითი, 1-4 კლასები, არასრული, 1-9 კლასები და სრული საშუალო სკოლები 9-11 კლასები.

ცხრილი №13

აფხაზეთის მოსახლეობა 2018-2022 წ.წ.

№	წელი	მოსახლეობის რაოდენობა
1	2018	244832
2	2019	245246
3	2020	245424
4	2021	244926
5	2022	244236

მონაცემები დამუშავებულია აფხაზური სტატისტიკის მიხედვით (იხ. Абхазия в цифрах, 2018-2022 წ.წ.).

ცხრილი №14

აფხაზეთის ეთნიკური შემადგენლობა, 2022 წლის 1 იანვრის მონაცემებით

ეროვნება	ქალაქის სოხუმი	გაგრის რაიონი	გუდაუთის რაიონი	სოხუმის რაიონი	გულრიფშის რაიონი	ოჩამჩირის რაიონი	ტყვარჩელის რაიონი	გალის რაიონი	სულ
----------	----------------	---------------	-----------------	----------------	------------------	------------------	-------------------	--------------	-----

ყველა ეროვნება ერთად	65146	38799	38626	11326	17689	25946	16431	30273	244236
აფხაზები	43844	14938	31635	3443	5944	20160	5258	212	125434
ქართველები	1889	972	521	228	781	2490	10253	29728	46860
რუსები	9642	6130	1931	849	1998	1012	559	182	22303
სომხები	6384	14898	3785	6354	8278	1712	49	27	41487
უკრაინელები	717	504	155	56	159	78	66	24	1759
თათრები	130	77	39	34	35	8	16	6	345
თურქები	195	77	39	91	70	208	66	-	746
ბერძნები	651	232	116	147	122	52	16	12	1348
ოსები	195	194	77	11	35	18	49	15	594
ბელორუსები	65	77	39	11	35	21	13	6	267
ბოშები	261	3	11	3	5	2	2	-	287
ესტონელები	65	232	8	9	35	3	2	-	354
სხვა ეროვნებები	1108	465	270	90	192	182	82	61	2450

მონაცემები დამუშავებულია აფხაზური სტატისტიკის მიხედვით (იხ. Абхазия в цифрах, 2022წ.).

ცხრილი №15

საგანმანათლებლო სფეროს დაფინანსება, 2021 წლის მონაცემები

№	წელი	ბიუჯეტიდან თანხები (მილიონი რუბლი)	გამოყოფილი
1	2021	7775,3	

მონაცემები დამუშავებულია აფხაზური სტატისტიკის მიხედვით (იხ. Абхазия в цифрах, 2021წ.).

ცხრილი №16

სკოლების სახეობა და რაოდენობა, 2016 წლის მონაცემები

№	სკოლების რაოდენო ბა	აფხაზურ ი სკოლა	აფხაზუ რ- რუსულ ი სკოლა	რუსულ ი სკოლა	სომხურ ი სკოლა	ქართულ ი სკოლა
1	145	60	15	4	2	11
				7	6	

მონაცემები დამუშავებულია აფხაზური სტატისტიკის მიხედვით (იხ. Абхазия в цифрах, 2016წ.).

ცხრილი №17

აფხაზეთის სკოლების, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა, 2017-2021

წლების მონაცემები

№	წელ ი	სკოლების რაოდენო ბა	სახელმწიფ ო სკოლები	კერძო სკოლებ ი	მოსწავლე თა რაოდენობ ა	მასწავლებლებ ის რაოდენობა
1	2017	157	155	2	27760	3908
2	2018	157	155	2	27995	3623
3	2019	155	155	2	28371	3918
4	2020	155	155	2	28181	4340
5	2021	155	155	2	27069	3830

მონაცემები დამუშავებულია აფხაზური სტატისტიკის მიხედვით (იხ. Абхазия в цифрах, 2017-2021 წ.წ.).

ცხრილი №18

აფხაზეთის საშუალო სპეციალიზებული სკოლების რაოდენობა, 2017-21 წლების

მონაცემები

№	წელ ი	საშუალო სპეციალიზებუ ლი სკოლების რაოდენობა	კურსდამთავრებუ ლთა რაოდენობა	მოსწავლე თა რაოდენობ ა	მასწავლებლებ ის რაოდენობა
1	2017	12	672	1577	338
2	2018	12	583	1504	312

3	2019	12	574	1517	311
4	2020	12	552	1509	358
5	2021	12	561	1515	363

მონაცემები დამუშავებულია აფხაზური სტატისტიკის მიხედვით (იხ. Абхазия в цифрах, 2017-2021 წ.წ.).

საუნივერსიტეტო განათლება აფხაზეთში

აფხაზეთში ორი უმაღლესი სასწავლებელია: აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სოხუმის ღია ინსტიტუტი, რომელიც 1997 წელს დაარსდა. ინსტიტუტს აქვს 6 ფაკულტეტი და 500-მდე სტუდენტი სწავლობს. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1932 წელს დაარსდა, როგორც პედაგოგიური ინსტიტუტი. 1979 წელს გარდაიქმნა უნივერსიტეტად.

ცხრილი №19

აფხაზეთის უნივერსიტეტებში სტუდენტთა და პედაგოგთა რაოდენობა, 2017-21

წლების მონაცემები

წელი	უნივერსიტეტების რაოდენობა	სახელმწიფო უნივერსიტეტი	კერძო უნივერსიტეტი	სტუდენტების რაოდენობა	სახელმწიფო უნივერსიტეტში	კერძო უნივერსიტეტში	პედაგოგების რაოდენობა
2017	2	1	1	3090	2641	449	537
2018	2	1	1	3013	2564	449	529
2019	2	1	1	2864	2389	475	539
2020	2	1	1	3121	2635	486	546
2021	2	1	1	3018	2540	478	519

მონაცემები დამუშავებულია აფხაზური სტატისტიკის მიხედვით (იხ. Абхазия в цифрах, 2017-2021 წ.წ.).

ცხრილი №20

აფხაზეთის უნივერსიტეტების პირველკურსელთა და კურსდამთავრებულთა
რაოდენობა, 2017-21 წლების მონაცემები

წელი	პირველკურსელთა რაოდენობა	პირველკურსელთა რაოდენობა სახელმწიფო უნივერსიტეტში	პირველკურსელთა რაოდენობა კერძო უნივერსიტეტში	კურსდამთავრებულთა რაოდენობა	კურსდამთავრებულთა რაოდენობა სახელმწიფო უნივერსიტეტში	კურსდამთავრებულთა რაოდენობა კერძო უნივერსიტეტში
2017	686	562	124	703	703	-
2018	667	552	115	708	708	18
2019	670	556	114	759	759	77
2020	838	735	103	626	626	79
2021	700	592	108	705	705	75

მონაცემები დამუშავებულია აფხაზური სტატისტიკის მიხედვით (იხ. Абхазия в цифрах, 2017-2021 წ.წ.).

ცხრილი №21

აფხაზეთის არასასკოლო საგანმანათლებლო დაწესებულებები და სახელოვნებო კლუბები, 2017-21 წლების მონაცემები

№	წელი	ბიბლიოთეკა	საგანმანათლებლო კლუბი	საბავშვო სკოლები: სამხატვრო და ქორეოგრაფიული	სახელოვნებო მუსიკალური და
1	2017	27	22	17	
2	2018	11	7	17	
3	2019	13	7	18	
4	2020	8	12	18	
5	2021	8	12	15	

მონაცემები დამუშავებულია აფხაზური სტატისტიკის მიხედვით (იხ. Абхазия в цифрах, 2017-2021 წ.წ.).

ცხრილი №22

სამეცნიერო საქმიანობა აფხაზეთში, 2017-21 წლების მონაცემები

№	წელი	სამეცნიერო ორგანიზაციების რაოდენობა	მეცნიერთა რაოდენობა
1	2017	8	329
2	2018	8	310
3	2019	8	324
4	2020	8	334
5	2021	7	296

მონაცემები დამუშავებულია აფხაზეთი სტატისტიკის მიხედვით (იხ. Абхазия в цифрах, 2017-2021 წ.წ.).

ცხრილი №23

ასპირანტთა რაოდენობა აფხაზეთში, 2017-21 წლების მონაცემები

№	წელი	ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებიც ამზადებს ასპირანტებს	უნივერსიტეტები	სამეცნიერო -კვლევითი ინსტიტუტები	ასპირანტების რაოდენობა	დაცული დისერტაციების რაოდენობა
1	2017	4	1	3	19	-
2	2018	5	-	5	31	1
3	2019	6	1	5	30	-
4	2020	7	1	6	30	3
5	2021	7	1	6	40	3

მონაცემები დამუშავებულია აფხაზეთი სტატისტიკის მიხედვით (იხ. Абхазия в цифрах, 2017-2021 წ.წ.).

კულტურა

აფხაზეთში ფუნქციონირებს ოთხი პროფესიული თეატრი, ხუთი სახელმწიფო მუზეუმი, ბაგრატ შინკუბას მემორიალური მუზეუმი, მატერიალური და არამატერიალური კულტურის ძეგლები.

წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს აფხაზეთში სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების სტატისტიკურ მდგომარეობას. აფხაზეთში ძირითადად სახელმწიფო სკოლებში ისწავლება აფხაზური ენა და ლიტერატურა. ისევე, როგორც ჯერ რუსეთის იმპერიაში, ხოლო შემდგომ – საბჭოთა კავშირში, სკოლების ნაწილში აფხაზური ენა და ლიტერატურა ისწავლება ბოლო კლასის ჩათვლით, თუმცა ძირითადი სწავლების ენა არის რუსული და სხვა საგნები რუსულ ენაზე ისწავლება. გარდა ამისა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აფხაზური ფილოლოგიის ფაკულტეტი. სოხუმის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში შეისწავლიან აფხაზურ ენასა და ლიტერატურას. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზურ ენას აფხაზეთში არ აქვს ფართო გამოყენება. ამ ენის გამოყენება ფორმალურ და ოფიციალურ დონეზე შემცირებულია უმთავრესად, რუსული ენის ხარჯზე. აფხაზური ენა ნალებად გამოიყენება ახალგაზრდების საურთიერთო ენად.

IV. V. 2 საგანმანათლებლო სივრცე გალში

ყოფილ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში გალი ერთადერთი რაიონია/მუნიციპალიტეტია, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკურად ქართველი იყო.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე გალის რაიონში 58 სკოლა მოქმედებდა. მათ შორის 51 ქართული, 1 აფხაზური, 6 ქართულ-რუსული სკოლა და 1 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. მთლიანობაში, 13180 მოსწავლე და 1638 მასწავლებელი (ზურაბიშვილი 2016, გვ. 4). შეიარაღებული კონფლიქტის დროს გალის რაიონში დაიწვა 19 სკოლა. მოსახლეობამ მოახერხა 31 სკოლაში სასწავლო პროცესის აღდგენა. 1994 წლიდან აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციამ გალის რაიონის 11 სოფელი მიაკუთვნა ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებს, რომლებიც სრულად რუსულენოვანია. 2015 წლის სექტემბრიდან გალის რაიონში რუსულენოვანი სწავლება დაიწყო ე. წ. „პირველი კლასის პრინციპით“, რაც ნიშნავდა ქართულ სკოლებში რუსულენოვანი სწავლების დანერგვას პირველი კლასიდან ზემოთ (სახალხო დამცველის ანგარიში 2015). ბოლო ქართულენოვანმა გამოშვებამ 2022 წელს დაამთავრა სკოლა.

გალი დაიყო ზედა და ქვედა ზონებად. ზედა გალის ზონაში ამჟამად 9 სკოლა ფუნქციონირებს, ხოლო ქვედა გალის ზონაში – 11 სკოლა. 2021-22 სასწავლო წლების მონაცემებით გალის რაიონში 30 სკოლაა, 9 ბაღი და 5 სახელოვნებო სკოლა (იხ. სახალხო

დამცველის ანგარიში 2021, გვ. 333). გალის რაიონის სკოლებში ქართულ ენას აქვს უცხო ენის სტატუსი და კვირაში 1 საათი ეთმობა (სახალხო დამცველის ანგარიში 2015, გვ. 5). სასკოლო სახელმძღვანელოები სკოლებში რუსეთის ფედერაციიდან შედის, გარდა აფხაზეთის ისტორიისა და გეოგრაფიისა.

2016 წლიდან გამკაცრებულია გალის რაიონის სასაზღვრო კონტროლი, რის გამოც მოსწავლეთა ნაწილი, რომელიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ ქართულ სკოლებში სწავლობდა, ვეღარ ახერხებს ქართულ სკოლებში სიარულს. „2015-2016 წლებში, გალის რაიონის სოფელ ოტობაიდან ზუგდიდის სოფელ განმუხურში 15 მოსწავლე გადადიოდა (მაშინ როცა 2013 წელს ეს რაოდენობა 34 იყო), 2017 წლიდან კი არცერთი მოსწავლე აღარ გადადის. სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალური ანგარიშის მიხედვით, მსგავსი სიტუაციაა საბავშვო ბაღებშიც, მაგალითად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურჩის საბავშვო ბაღში 2016 წელს 11 ბავშვი ირიცხებოდა სოფელ ნაბაკევიდან, 2017 წელს – ორი ბავშვი, და მას შემდეგ არცერთი, რადგან ხურჩა-ნაბაკევის გადასასვლელი მთლიანად დაიკეტა. ასეთივე სიტუაციაა სოფელ ორსანტიაში, სადაც გალის რაიონის სოფელ ოტობაიდან ხუთი ბავშვი დადიოდა საბავშვო ბაღში და გადასასვლელის დაკეტვის შემდეგ – არცერთი” (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022, გვ. 35).

დღეისათვის გალის რაიონის სოფლებში მოსწავლეების რაოდენობა შემცირებულია. 2022 წლის მონაცემებით, 30 სკოლაში მოსამზადებელი კლასიდან მე-11 კლასის ჩათვლით 3778 მოსწავლეა რეგისტრირებული. საბავშვო ბაღებში 509 აღსაზრდელია.

ცხრილი №24

გალის რაიონის სკოლებისა და მოსწავლეების რაოდენობა, 2017-2022 წლების მონაცემები

№	წელი	სკოლების რაოდენობა	მოსწავლეთა რაოდენობა
1	2017	31	4267
2	2018	30	4087
3	2019	30	4095
4	2020	30	3797

5	2021	30	3770
6	2022	30	3778

მონაცემები დამუშავებულია სოციალური სამართლიანობის ცენტრის პუბლიკაციის მიხედვით (სოციალური სამართლიანობის ცენტრი 2022).

აღსანიშნავია ისიც, რომ გალის რაიონიდან ახალგაზრდები სასწავლებლად მიდიან სოხუმშიც. სხვადასხვა ინფორმაციით, ყოველწლიურად 14 ახალგაზრდას აქვს ფინანსური მხარდაჭერა, უფასოდ ისწავლოს და იცხოვროს სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022, გვ. 37).

ჩვენი კვლევის ფარგლებში ჩავატარეთ ჩადრმავებული ინტერვიუ გალის რაიონში მცხოვრებ ახალგაზრდასთან (იხ. დანართი 8). შეკითხვები შეეხებოდა გალის რაიონში სასკოლო განათლების საკითხებს, ასევე, უმაღლესი განათლების სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ გალის რაიონის სკოლებში ქართულენოვანი განათლება შეიცავს ბევრ ხარვეზს, არ არის საკმარისი სასკოლო სახელმძღვანელოები და დამატებითი სასწავლო მასალები, სასკოლო წიგნების ნაწილი ძველი გამოცემებია, მაგრამ მაინც უწევთ გამოყენება, რადგან ახალი წიგნების შეტანა გალის რაიონში გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული. ასევე, იყენებენ წიგნების ონლაინ ვერსიებსაც. გალელი ახალგაზრდების დიდ ნაწილს ურჩევია საქართველოში გააგრძელოს სწავლა, ვიდრე აფხაზეთში, რადგან სათანადოდ ვერ ფლობენ აფხაზურ და რუსულ ენებს, თუმცა უჭირთ ქართული ენაც. ასახელებენ საქართველოში, თბილისში ინტეგრაციის პრობლემებსაც. ჩვენი რესპონდენტი აღნიშნავს აგრეთვე, რომ აფხაზეთში სკოლადამთავრებულებს აქვთ უფლება სასწავლებლად გაემგზავრონ რუსეთის უნივერსიტეტებში, ისწავლონ უფასოდ და იცხოვრონ საერთო საცხოვრებლებში. ამ შეღავათით ძირითადად აფხაზები სარგებლობენ. გალელი ახალგაზრდებისათვის რუსული ენის ნაკლები ცოდნა ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია.

საქართველოს უნივერსიტეტებში საშეღავათო პროგრამების ამოქმედება 2016 წლიდან დაიწყო. სულ, 2016-2021 წლებში აფხაზეთიდან ჩაირიცხა 9284 სტუდენტი, გალის რაიონიდან 1889 (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022, გვ. 38).

სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ საქართველოში მიღებული განათლება არ არის აფხაზეთში აღიარებული, რაც

კურსდამთავრებულებისთვის ხელისშემშლელია (სახალხო დამცველის ანგარიში 2021, გვ. 336).

საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ახალგაზრდებისათვის, მათ შორის გალის რაიონის ახალგაზრდებისათვის, ერთ-ერთი რთული და დაუძლეველი საკითხია.

IV. V. 3 საგანმანათლებლო სივრცე და ოსური ენის სწავლება

ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკა, როგორც აღინიშნა, მოიცავს ყოფილი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიას, სადაც მოქმედებს ორი სახელმწიფო ენა: ოსური და რუსული. რუსული ენა ოსურთან ერთად სახელმწიფო ენის სტატუსს ატარებს 2012 წლის 6 ივნისიდან, 2011 წლის 13 ნოემბრის რეფერენდუმის საფუძველზე. ქართული ენა არის ლენინგორის რაიონში, ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში, ოფიციალური ენა.

საომარი მოქმედებების დროს, მე-20 საუკუნის 90-იან წლებში სამხრეთ ოსეთში დაიწვა 70-მდე სკოლა (Трофимов, Диреганова, 2017).

1993 წელს ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე დაარსდა სამხრეთ ოსეთის უნივერსიტეტი.

სამხრეთ ოსეთში ყველა სკოლა ბიუჯეტიდან ფინანსდება, გარდა ორი სკოლისა. კერძო სკოლებია: მართლმადიდებლური გიმნაზია და სკოლა ალბიონი ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლებით.

სკოლებში არსებობს შემდეგი დიფერენციაცია:

1. სკოლების ნაწილში დაწყებითი საფეხური ოსურენოვანია, სადაც რუსული ენა პირველი კლასიდანვე ისწავლება, ხოლო მე-5 კლასიდან სწავლება რუსულენოვანია და მე-11 კლასის ჩათვლით ისწავლება ოსური ენა და ლიტერატურა.

2. სკოლების ნაწილი სრულად რუსულენოვანია, სადაც პირველი კლასიდანვე ისწავლება ოსური ენა და ლიტერატურა.

3. ახალგორის/ლენინგორის რაიონში 2008 წლამდე ვრცელდებოდა საქართველოს იურისდიქცია და ფუნქციონირებდა ქართული სკოლები. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ ქართულენოვანი სწავლება გაუქმდა და სკოლები

რუსულენოვანი გახდა, ქართული ენა და ლიტერატურა ისწავლება პირველი კლასიდანვე.

ჩვენი კვლევითი მიზნებიდან გამომდინარე ჩავატარეთ თვისებრივი კვლევა ცხინვალის რაიონის ერთ-ერთი სოფლის ოსური ენის პედაგოგთან (იხ. დანართი 9). შეკითხვები ძირითადად შეეხებოდა ოსური ენის სწავლებისა და შემდგომი გამოყენების საკითხებს.

ჩვენი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ოსურ ენას ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში აქვს მშობლიური ენის სტატუსი, ამ ენაზე ლაპარაკობენ სახლში, აქვთ კომუნიკაცია სოციალურ ქსელში, სწავლობენ სკოლაში, თუმცა სასკოლო განათლება ოსურ ენაში არ არის სრულფასოვანი, რადგან ამ ენას არ აქვს შემდგომი გამოყენება პროფესიებში, მათ შორის, უმაღლეს განათლებაში, რადგან ცხინვალის უნივერსიტეტში სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობს. საკომუნიკაციო დონეზე ენა სოფლებში კარგად იციან, ხოლო დარგობრივი ლექსიკის ხმარებისას ახალგაზრდები იყენებენ რუსულ სიტყვებს, 50 და მეტი წლის ადამიანებმა შესაძლოა საყოფაცხოვრებო ან/და დარგობრივი ტერმინოლოგიის დასახელებისას იხმარონ ქართული სიტყვები.

სამხრეთ ოსეთის სასკოლო განათლების ძირითად პრობლემად სახელდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზების ნაკლებობა. საგანმანათლებლო, სასწავლო და სამრეწველო, ტექნოლოგიური და სპორტული აღჭურვილობების სიმცირე, მაღალმთიან სოფლებში კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და ხარისხიან განათლებაზე დაბალი ხელმისაწვდომობა (Трофимов, Диреганова, 2017).

სამხრეთ ოსეთში ფუნქციონირებს სამედიცინო სასწავლებელი, ორი მუსიკალური სასწავლებელი, ერთი სამხატვრო სასწავლებელი და ტექნიკური სპეციალობების მრავალპროფილური კოლეჯი. ყველა ეს სასწავლებელი ფინანსდება ბიუჯეტიდან.

ტელევიზია და რადიო მაუწყებლობს ორი ენაზე: ოსურად და რუსულად.

რუსულ ენაზე გამოდის გაზეთი „სამხრეთ ოსეთი“ („Южная Осетия“) – პარლამენტისა და მთავრობის ორგანო და გაზეთი „რესპუბლიკა“ („Республика“) – ინფორმაციისა და პრესის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო. ოსურ ენაზე გამოდის გაზეთი „ხუზარინ“ („Хузарин“) – პარლამენტისა და მთავრობის ორგანო და ჟურნალი „ფიდუაგი“ („Фидиуаг“), მწერალთა კავშირის ორგანო.

ცხრილი №25

სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა, 2018-22 წლების მონაცემები

№	წელი	მოსახლეობის რაოდენობა
1	2018	56450
2	2019	57095
3	2020	56405
4	2021	56520
5	2022	56263

მონაცემები დამუშავებულია სამხრეთ ოსეთის სტატისტიკის მიხედვით (იხ. *Статистический сборник Южной Осети, 2018-2022 წ.წ.*).

ცხრილი №26

სამხრეთ ოსეთის ეთნიკური შემადგენლობა, 2015 წლის მონაცემები

ეროვნება	ცხინვალში	ჯავის რაიონი	ზნაურის/ ყორნისის რაიონი	ლენინგორის/ახალგორის რაიონი	ცხინვალის რაიონი	სულ
ყველა ეროვნება ერთად	30432	6567	4531	4209	7793	53532
ოსები	28712	6148	4051	1844	7391	48146
ქართველები	535	354	431	2337	309	3966
რუსები	479	39	28	10	54	610
სომხები	339	12	10	9	8	378
უკრაინელები	75	0	3	1	7	86
აზერბაიჯანელები	42	3	0	0	5	50
ტაჯიკები	33	0	0	0	0	33
ბერძნები	21	4	1	0	0	31
აფხაზები	8	1	0	0	3	12

ბელორუსე ო	9	2	1	0	0	12
სხვა ეროვნებები	179	4	6	8	11	208

მონაცემები დამუშავებულია სამხრეთ ოსეთის სტატისტიკის მიხედვით (იხ. *Статистический сборник Южной Осети, 2015 წ.*).

ცხრილი №27

საგანმანათლებლო სფეროს დაფინანსება სამხრეთ ოსეთში, 2018-22 წლების
მონაცემები

№	წელი	ბიუჯეტიდან თანხები (მილიონი რუბლი)	გამოყოფილი
1	2018	7507,1	
2	2019	8873.3	
3	2020	7674.5	
4	2021	8795.7	
5	2022	9331.2	

მონაცემები დამუშავებულია სამხრეთ ოსეთის სტატისტიკის მიხედვით (იხ. *Статистический сборник Южной Осети, 2018-2022 წ.წ.*).

ცხრილი №28

სამხრეთ ოსეთის სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა მოსწავლეთა და
მასწავლებელთა რაოდენობის მითითებით, 2018-22 წლების მონაცემები

№	წელი	სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა/ფუნქციონირ ებს	ჯგუფები ს რაოდენო ბა	მოსწავლე თა რაოდენობ ა	მასწავლებელ თა რაოდენობა
1	2018	26/24	125	3134	318
2	2019	26/25	130	3037	334
3	2020	26	143	3001	364
4	2021	26	142	2809	361

5	2022	26	144	2716	368
---	------	----	-----	------	-----

მონაცემები დამუშავებულია სამხრეთ ოსეთის სტატისტიკის მიხედვით (იხ. *Статистический сборник Южной Осети, 2018-2022 წ.წ.*).

ცხრილი №29

სამხრეთ ოსეთის სკოლამდელი დაწესებულებების მასწავლებლების განათლება,
2018-22 წლების მონაცემები

№	წელი	სკოლამდელი დაწესებულების მასწავლებლების რაოდენობა	უმაღლესი განათლებით	არასრული უმაღლესი განათლებით	საშუალო პროფესიული განათლებით
1	2018	318	298	-	20
2	2019	334	330	-	4
3	2020	364	364	-	-
4	2021	361	351	2	8
5	2022	368	356	-	13

მონაცემები დამუშავებულია სამხრეთ ოსეთის სტატისტიკის მიხედვით (იხ. *Статистический сборник Южной Осети, 2018-2022 წ.წ.*).

ცხრილი №30

სამხრეთ ოსეთის სკოლების რაოდენობა და სახეობები, 2018-22 წლების მონაცემები

წელი	სკოლების რაოდენობა	სახელმწიფო სკოლები	კერძო სკოლები	დაწყებითი სკოლები	არასრული საშუალო სკოლები	საშუალო სკოლები
2018	53	51	2	-	5	46
2019	52	50	2	-	4	46
2020	52	50	2	-	4	46
2021	50	48	2	-	1	47
2022	50	48	2	1	3	44

მონაცემები დამუშავებულია სამხრეთ ოსეთის სტატისტიკის მიხედვით (იხ. *Статистический сборник Южной Осети, 2018-2022 წ.წ.*).

ცხრილი №31

სამხრეთ ოსეთის სკოლების რაოდენობა მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობის გათვალისწინებით, 2018-22 წლების მონაცემები

№	წელ ი	სკოლები ს რაოდენობა	მოსწავლე თა რაოდენობა	მასწავლებლებ ის რაოდენობა
1	2018	53	6681	1335
2	2019	52	6904	1326
3	2020	52	6962	1352
4	2021	50	7092	1335
5	2022	50	7198	1339

მონაცემები დამუშავებულია სამხრეთ ოსეთის სტატისტიკის მიხედვით (იხ. *Статистический сборник Южной Осети, 2018-2022 წ.წ.*).

ცხრილი №32

ქ. ცხინვალის სკოლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების რაოდენობა 2018-22 წლებში

№	წელი	სკოლების რაოდენობა სულ	მოსწავლეები ს რაოდენობა	მასწავლებლების რაოდენობა
1	2018	15	5405	730
2	2019	15	5631	732
3	2020	15	5716	754
4	2021	15	5853	781
5	2022	15	5972	780

მონაცემები დამუშავებულია სამხრეთ ოსეთის სტატისტიკის მიხედვით (იხ. *Статистический сборник Южной Осети, 2018-2022 წ.წ.*).

ცხრილი №33

სამხრეთ ოსეთის საშუალო სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების
რაოდენობა მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობის მითითებით

№	წელი	სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა	მოსწავლეების რაოდენობა	მასწავლებლების რაოდენობა
1	2018	4	425	92
2	2019	4	421	100
3	2020	4	466	96
4	2021	4	451	98
5	2022	4	481	106

მონაცემები დამუშავებულია სამხრეთ ოსეთის სტატისტიკის მიხედვით (იხ.
Статистический сборник Южной Осети, 2018-2022 წ.წ.).

არასასკოლო საგანმანათლებლო და სახელოვნებო დაწესებულებები

სამხრეთ ოსეთში ფუნქციონირებს შემდეგი არასასკოლო საგანმანათლებლო და
სახელოვნებო დაწესებულებები: ბავშვთა შემოქმედების სასახლე – 1; ბავშვთა
შემოქმედების სახლები – 3; ახალგაზრდა ტექნიკოსების კლუბი – 1; ახალგაზრდა
ნატურალისტთა კლუბი – 1; საბავშვო სამხატვრო სკოლები, მუსიკალური და სამხატვრო
სკოლები, სტუდიები – 7; ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები – 7.

ცხრილი №34

სამხრეთ ოსეთის არასასკოლო საგანმანათლებლო დაწესებულებები და
სახელოვნებო კლუბები

№	წელი	ბიბლიოთეკა	საგანმანათლებლო კლუბი	სახელოვნებო სკოლები: მუსიკალური, სამხატვრო და ქორეოგრაფიული
1	2018	64	35	7
2	2019	64	35	7
3	2020	64	35	7

4	2021	64	35	7
5	2022	64	35	7

მონაცემები დამუშავებულია სამხრეთ ოსეთის სტატისტიკის მიხედვით (იხ. *Статистический сборник Южной Осетии, 2018-2022 წ.წ.*).

საუნივერსიტეტო განათლება

ალექსანდრე თიბილოვის სახელობის სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს დასწრებული და დაუსწრებელი სწავლება. დასწრებული სწავლება მიმდინარეობს შემდეგ ფაკულტეტებზე:

- ოსურ-რუსული ფაკულტეტი
- ჟურნალისტიკის ფაკულტეტი
- დაწყებითი განათლების, პედაგოგიკისა და მეთოდის ფაკულტეტი
- რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი
- უცხო ენათა ფაკულტეტი
- ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის ფაკულტეტი
- იურიდიული ფაკულტეტი
- გამოყენებითი მათემატიკისა და ინფორმატიკის ფაკულტეტი
- ეკონომიკისა და მართვის ფაკულტეტი
- ბიოლოგიისა და ქიმიის ფაკულტეტი
- სამედიცინო ბიოქიმიის ფაკულტეტი
- ფსიქოლოგიის ფაკულტეტი
- სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტი
- სამსახიობო ხელოვნების ფაკულტეტი

დაუსწრებელი სწავლება მიმდინარეობს შემდეგ ფაკულტეტებზე:

- ოსური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი
- დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდის ფაკულტეტი
- სკოლამდელი პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი
- რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი
- ისტორიის ფაკულტეტი

- იურიდიული ფაკულტეტი
- ფინანსებისა და კრედიტის ფაკულტეტი
- ბიოლოგიის ფაკულტეტი
- ფიზკულტურის ფაკულტეტი
- გეოგრაფიის ფაკულტეტი
- სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტი
- ფარმაციის ფაკულტეტი
- სახელმწიფო მუნიციპალური მართვის ფაკულტეტი
- ფსიქოლოგიის ფაკულტეტი
- საავტომობილო ინდუსტრიის ფაკულტეტი
- საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი
- საერთაშორისო ჟურნალისტიკის ფაკულტეტი
- ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის ფაკულტეტი

ცხრილი №35

სამხრეთ ოსეთის საუნივერსიტეტო განათლება სტუდენტებისა და პედაგოგების
რაოდენობის მითითებით, 2018-22 წლების მონაცემები

№	წელი	უნივერსიტეტის რაოდენობა	სტუდენტების რაოდენობა	პედაგოგების რაოდენობა	მოწვეული პედაგოგების რაოდენობა
1	2018	1	3459	225	58
2	2019	1	3919	194	61
3	2020	1	4010	202	62
4	2021	1	4114	220	117
5	2022	1	3984	213	127

მონაცემები დამუშავებულია სამხრეთ ოსეთის სტატისტიკის მიხედვით (იხ.
Статистический сборник Южной Осетии, 2018-2022 гг.).

სამხრეთ ოსეთში აბიტურიენტთა, პირველკურსელთა და კურსდამთავრებულთა
რაოდენობა, 2018-22 წლების მონაცემები

წელი	სახელმწიფო სკოლადამთავრებულთა რაოდენობა	საშუალო სპეციალური საგანმანათლებლო სკოლადამთავრებულთა რაოდენობა	პირველკურსე ლთა რაოდენობა	კურსდამთავრებულთა რაოდენობა
2018	466	132	522	413
2019	500	117	583	401
2020	506	113	803	475
2021	424	160	686	452
2022	487	149	1008	512

მონაცემები დამუშავებულია სამხრეთ ოსეთის სტატისტიკის მიხედვით (იხ. *Статистический сборник Южной Осети, 2018-2022 წ.წ.*).

წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ნათელია, რომ 2018-2022 წლებში სკოლადამთავრებულების დიდი ნაწილი აბარებს უნივერსიტეტში და ხდება სტუდენტი. 2022 წელს უნივერსიტეტში თითქმის ორჯერ მეტი პირველკურსელია, ვიდრე სკოლადამთავრებული, რაც, ვფიქრობთ, ერთჯერადი აუცილებლობით იყო განპირობებული.

ოსურენოვანი საუნივერსიტეტო განათლება – სტუდენტთა და
კურსდამთავრებულთა რაოდენობების მითითებით, 2018-22 წლების მონაცემები

წელი	სტუდენტთა რაოდენობა, ოსურ- რუსული ფაკულტეტი, დასწრებული სწავლება	სტუდენტთა რაოდენობა, ოსური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, დაუსწრებელი სწავლება	კურსდამთავრებულთა რაოდენობა, ოსურ-რუსული ფაკულტეტი, დასწრებული სწავლება	კურსდამთავრებულთა რაოდენობა, ოსური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, დაუსწრებელი სწავლება
2018	34	91	-	8

2019	36	67	7	16
2020	32	64	3	11
2021	33	66	7	9
2022	24	58	8	6

მონაცემები დამუშავებულია სამხრეთ ოსეთის სტატისტიკის მიხედვით (იხ. *Статистический сборник Южной Осети, 2018-2022 წ.წ.*).

კულტურა

სამხრეთ ოსეთში ფუნქციონირებს სახელმწიფო დრამატული თეატრი და ცხინვალის სახალხო თეატრი. სპექტაკლები იდგმება ოსურ და რუსულ ენებზე. ასევე ფუნქციონირებს სამხრეთ ოსეთის ეროვნული მუზეუმი, სამხრეთ ოსეთის მუზეუმი და ვასო აბაევის სახლ-მუზეუმი, კინოთეატრი „ჩერმენი“, ღია კინოთეატრი.

ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების წარმოდგენილი სტატისტიკა თვალსაჩინოდ წარმოაჩენს სამხრეთ ოსეთის საგანმანათლებლო სისტემას და 2018-2022 წლების მდგომარეობას. აღნუსხულია საგანმანათლებლო დაწესებულებების, მოსწავლეების, მასწავლებლების, ასევე, აბიტურიენტთა, პირველკურსელთა და კურსდამთავრებულთა რაოდენობები. ეს მონაცემები საშუალებას გვაძლევს ფართოდ ვიმსჯელოთ განათლების მდგომარეობაზე სამხრეთ ოსეთში რაოდენობრივი თვალსაზრისით.

IV. V. 4 საგანმანათლებლო სივრცე ახალგორში

ახალგორის რაიონი/მუნიციპალიტეტი 2008 წლამდე გარკვეულწილად ინარჩუნებდა იმ ვითარებას, რაც მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე არსებობდა სამხრეთ ოსეთის ყოფილ ავტონომიურ ოლქში. კერძოდ, ამ რეგიონში 2008 წლამდე ვრცელდებოდა საქართველოს იურისდიქცია (რაიონულ ცენტრსა და სოფლების ნაწილზე). ამ ტერიტორიას გასაბჭოებამდე ერქვა ახალგორი, გასაბჭოების შემდგომ დაერქვა ლენინგორი. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ, ცხინვალის არაღიარებულმა ხელისუფლებამ შეუცვალა სახელი და კვლავ ლენინგორის რაიონი უწოდა, ხოლო რაიონულ ცენტრს – ლენინგორი.

ახალგორში 2002 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით 5254 ადამიანი ცხოვრობდა, 2009 წლის მონაცემებით – 3006, 2015 წელს – 2300 (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022. გვ. 54). რაიონში არის დაბა ახალგორი/ლენინგორი და 83 სოფელი. სოფლების ერთი ნაწილი დაცლილია მოსახლეობისგან, სოფლების ნაწილში წლების განმავლობაში სკოლა აღარ ფუნქციონირებს, მაგ. სოფელ ლარგვისში, მოსაბრუნში და სხვ. ნაწილში, მაგ. კორინთაში, ქარჩოხში, ფუნქციონირებს ცხრაწლიანი სკოლები.

ლენინგორის/ახალგორის რაიონში 2016 წელს იყო 11 სკოლა, მათ შორის 6 ქართული²³ და 5 რუსულ-ოსური სკოლა. ქართული სკოლები ფუნქციონირებს: ლენინგორში/ახალგორში, სოფლებში: იკოთში, ბოლში, ახმაზში, კორინთაში, ბალაანში. რუსულ-ოსური სკოლები: ლენინგორში/ახალგორში, სოფ. ძუკანთკარში, წინაგარში, ზაყორში, ორჭოსანში. 2020-2021 წლებში სკოლების რაოდენობა შემცირდა და ფუნქციონირებს სულ 5 სკოლა, აქედან 1 რუსული სკოლაა. 2021 წელს სკოლებში 131 მოსწავლე იყო, მათ შორის 73 მოსწავლე რუსული სკოლიდან, ქართულ სკოლებში 58 მოსწავლე სწავლობდა. სკოლებში მუშაობდა 115 მასწავლებელი. 2021 წელს ახალგორის ორ სკოლაში: სოფ. ბალაანსა და სოფ. ზემო ბოლში პირველკლასელი მოსწავლე არ დარეგისტრირებულა.

2017 წლიდან ახალგორში დაიწყო რუსულენოვანი სწავლება პირველი კლასიდან. ქართული, როგორც უცხო ენა ისწავლება კვირაში ხუთი საათი (სახალხო დამცველის ანგარიში, 2021, გვ. 334). სასწავლო პროცესის რუსულ ენაზე გადასვლა რთული პროცესი აღმოჩნდა როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის.

ახალგორელ ახალგაზრდებს შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ საქართველოს უნივერსიტეტებში. ასევე, მათ აქვთ უფლება, ისწავლონ ცხინვალის უნივერსიტეტში, ან სწავლა გააგრძელონ რუსეთის უნივერსიტეტებში.

2020 წლიდან საქართველოს ხელისუფლებამ გამონაკლისის სახით ახალგორელი ახალგაზრდები უგამოცდოდ ჩარიცხა საქართველოს უნივერსიტეტებში და დაუფინანსდათ გრანტის მაქსიმალური თანხა. ანალოგიური ნაბიჯი გადადგა სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობამ, ახალგორელ ახალგაზრდებს შეუძლიათ უგამოცდოდ

²³ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ ოსეთში ახალგორის/ლენინგორის რაიონის გარდა მცირეკონტიგენტიანი ქართული სკოლა ფუნქციონირებს ზნაურის რაიონში, სოფ. ახაშენში. 2023 წლის მონაცემებით სკოლაში 15 პედაგოგი და 10 მოსწავლეა.

ჩააბარონ ცხინვალის უნივერსიტეტებში (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, გვ. 74).

ჩვენი კვლევითი მიზნებიდან გამომდინარე, ჩავატარეთ ჩაღრმავებული ინტერვიუ ლენინგორში/ახალგორში მცხოვრებ ახალგაზრდასთან (იხ. დანართი 10). შეკითხვები ძირითადად შეეხებოდა სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების საკითხებს. ჩვენი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ საქართველოში სასწავლებლად წასვლა ქართველი ახალგაზრდებისთვის მიმზიდველია, თუმცა ახლავს სირთულეებიც. ზოგი ახალგაზრდა ირჩევს რუსეთში მიიღოს განათლება, ზოგი – ცხინვალში მიდის. ინტერვიუს დროს აღინიშნა აგრეთვე ქართულენოვან სკოლებში სასკოლო განათლების პრობლემები: სახელმძღვანელოების ნაკლებობა, ქართულენოვანი სასწავლო სივრცის შეზღუდულობა; ასევე, ოსურენოვანი სასკოლო განათლების სიმცირე და რუსულენოვანი სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობის ტენდენცია. ჩვენი რესპონდენტი ასევე მოგვითხრობს, რომ რუსულენოვანი სწავლება მასწავლებლებს დამატებით პრობლემებს უქმნის როგორც ენობრივი ბარიერის, ისე სასკოლო პროგრამების მხრივ, რადგან შეიცვალა პროგრამები, სახელმძღვანელოები, ზოგიერთი საგნის პროგრამა სრულიად განსხვავდება აქამდე არსებული პროგრამისაგან და სხვ.

2016-21 წლებში სამხრეთ ოსეთიდან 1018 აბიტურიენტი ჩაირიცხა უნივერსიტეტებში, მათ შორის, 312 ახალგაზრდა ახალგორიდან. ჩარიცხულ აბიტურიენტთა შორის დაფინანსება მიიღო 793 სტუდენტმა.

1990-2008 წლებში წინაგარის ოსურ-რუსულ საშუალო სკოლას და საბავშვო ბაღს აფინანსებდა საქართველოს მთავრობა, თუმცა, როგორც ჩვენი რესპონდენტი აღნიშნავს, დაფინანსება შეწყდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, სექტემბერში.

ახალგორის/ლენინგორის რაიონს სოფლების სკოლის ბიბლიოთეკებში დღემდე არსებობს ქართული წიგნები, რომლებიც საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ არის გრიფირებული ქართული სკოლებისათვის. ამავდროულად, სკოლის ბიბლიოთეკებში არის რუსული სკოლებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები, რომელსაც სკოლებს აწვდის სამხრეთ ოსეთის განათლების სამინისტრო.

ახალგორში/ლენინგორში ქართულ სკოლებში ძირითადად ქართველები, შერეული ოჯახების წარმომადგენლები და ის ოსები სწავლობენ, რომლებიც თბილისში გეგმავენ უმაღლესი განათლების მიღებას, თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ ქართველი ახალგაზრდების ნაწილი, ასევე, ოსები და შერეული ოჯახების წარმომადგენლები

უმაღლეს განათლებას იღებენ ცხინვალში და რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ქალაქის უნივერსიტეტებში. ასეთი მოსწავლეები ძირითადად, რუსულ სკოლებში დადიან. სასკოლო ღონისძიებები ქართულ სკოლებში იმართება ქართულ ენაზე, ხოლო რუსულ სკოლებში – რუსულ ენაზე. თუ ღონისძიება რაიონული მასშტაბისაა, შეიძლება გაიმართოს სამ ენაზე: ქართულად, ოსურად და რუსულად. ახალგორის/ლენინგორის რაიონში ქართული ენისა და ლიტერატურის და ოსური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების საკითხი არ არის სისტემურად მოგვარებული. ზოგ შემთხვევაში სხვადასხვა ასაკობრივ კლასში ქართული ენა და ლიტერატურა და ოსური ენა და ლიტერატურა ერთი და იმავე სახელმძღვანელოთი ისწავლება, რაც გამოწვეულია არა სახელმძღვანელოთა ნაკლებობით, არამედ მოსწავლეთა ცოდნისა და სასწავლო პროგრამების შეუთავსებლობით.

გალისა და ლენინგორის/ახალგორის რაიონების საგანმანათლებლო გარემოზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ამ რეგიონებში მსგავსი პროცესები მიმდინარეობს. კერძოდ, ორივე რაიონში ცხოვრობენ ეთნიკური ქართველები და კონფლიქტებისა და შეიარაღებული დაპირისპირებების შემდგომაც ფუნქციონირებდა ქართული სკოლები, თუმცა ბოლო პერიოდის რეფორმების გამო ქართულენოვანი სასკოლო სწავლება შეიზღუდა და გადავიდა რუსულენოვან სწავლებაზე, რაც ლახავს გალისა და ლენინგორის/ახალგორის რაიონების ქართულენოვანი მოსახლეობისა და შერეული ოჯახების წარმომადგენლების მშობლიურ ენაზე სასკოლო განათლების მიღების უფლებებს. ამასთან, რუსულენოვანი სასკოლო განათლება არის იმისი წინაპირობაც, რომ ახალგაზრდამ მომავალში სწავლა გააგრძელოს რუსულენოვან სასწავლებლებში და ვერ შეძლოს ქართულენოვანი უმაღლესი განათლების მიღება.

IV. V. 5 ახალგაზრდების საუნივერსიტეტო განათლების პერსპექტივები

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში გამოწვევად რჩება საერთაშორისო განათლებაზე ხელმისაწვდომობა. ჩვენი კვლევითი მიზნებიდან გამომდინარე, ჩავატარეთ კვლევა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

კვლევის მიზანი იყო, გამოგვეჩვენა, რას ფიქრობენ აფხაზი და ოსი ახალგაზრდები საზღვარგარეთ, კერძოდ, ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში, სწავლის

გაგრძელებასთან დაკავშირებით; რა სახის დანაკლისები არსებობს საერთაშორისო განათლების ხელმისაწვდომობის მიმართულებით.

კვლევაში მონაწილეობდა 50 ახალგაზრდა აფხაზეთიდან: სოხუმისა და ოჩამჩირის რაიონები (იხ. დანართი 11) და 50 ახალგაზრდა სამხრეთ ოსეთიდან: ცხინვალის რაიონი (იხ. დანართი 12). სულ: 100 ახალგაზრდა.

კითხვარი შედგებოდა ღია და დახურული შეკითხვებისაგან. გარდა მითითებულისა, ახალგაზრდებს შეეძლოთ სხვა პასუხის შემოთავაზება.

კვლევაში მონაწილეებმა გამოთქვეს ანონიმურად დარჩენის სურვილი.

კვლევისას დაისვა შემდეგი საკითხები:

სად ურჩევიათ სწავლის გაგრძელება აფხაზ და ოს სტუდენტებს: აფხაზეთში/სამხრეთ ოსეთში, რუსეთის ფედერაციაში, საქართველოში, საზღვარგარეთ. რა დაბრკოლებები იქმნება სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

პასუხების ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

გამოკითხულთა შორის არსებობს საქართველოში სწავლის გაგრძელების ინტერესი, მათ შორის, ქართველ ახალგაზრდებთან ერთად განათლების მიღების ინტერესი, თუმცა უახლოეს მომავალში ვერ წარმოუდგენიათ საქართველოში სწავლის გაგრძელება და უახლოეს მომავალში ამ ფაქტორს გამორიცხავენ. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა სწავლას აგრძელებს აფხაზეთში/სამხრეთ ოსეთში, ასევე, რუსეთის ფედერაციაში. ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ რუსეთში სწავლის გაგრძელების მსურველთა შორის არის კონკურსი.

უცხოეთში სწავლის გაგრძელების დაბრკოლებებთან დაკავშირებით ასახელებენ რამდენიმე მიზეზს, მათ შორის:

- ადგილობრივი შეზღუდვები, რომ მიიღონ ნებართვა, ან უფლება, სწავლა გააგრძელონ უცხოეთში.
- ბევრი უცხოური უნივერსიტეტი არ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას და განათლების დამადასტურებელ საბუთებს.
- არ აქვთ საშუალება, ჩააბარონ საერთაშორისო გამოცდები, როგორცაა TOEFL, IELTS და სხვ.
- არ აქვთ დაფინანსების იმედი.

- აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის უნივერსიტეტები არ არის საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემის ნაწილი, არ აქვს აკრედიტაცია და საერთაშორისო ლეგიტიმაცია.
- აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გაცემული საბუთები, პასპორტები არალეგიტიმურად ითვლება ევროპისა და დასავლეთის ქვეყნებში.
- ვიზების მიღების პრობლემები.
- ონლაინ აპლიკაციებში აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არ არის ჩამონათვალში.
- უცხო ენის ცოდნის ნაკლებობა.
- უცხოურ გაცვლით პროგრამებზე ხელმისაწვდომობის არარსებობა.
- აკადემიური ცოდნის ნაკლებობა.

კვლევის შედეგების ანალიზისას გამოკვეთილ მიგნებებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დადასტურდა ჩვენ მიერ შემუშავებული კვლევითი ჰიპოთეზები. კერძოდ, აფხაზური და ოსური ენების სწავლება შეიცავს მსგავს ნიშნებს. სწავლების თავისებურებებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ამ ენებზე სწავლება დაიწყო ძირითადად, მე-19 საუკუნიდან, მე-20 საუკუნეში განსაკუთრებულ ინტენსივობას მიაღწია, თუმცა საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის, მათ შორის, ანბანთა ცვალებადობის გამო ვერ შემუშავდა დარგობრივი ტერმინოლოგიები და სწავლების სისტემატიზებული პროცესი, რის გამოც სასკოლო განათლება საბაზო საფეხურიდან მიმდინარეობდა რუსულ ენაზე. თანამედროვე ვითარებაში აფხაზური და ოსური ენები ისწავლება როგორც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ისე არაკონტროლირებად ტერიტორიებზე, მაგრამ კვლავაც შენარჩუნდა ძველი მეთოდი, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში – რუსული ენის ბაზაზე, ხოლო საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე – ქართული ენის ბაზაზე. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევები და მოპოვებული მასალა ასახავს აფხაზური და ოსური ენების სწავლების თავისებურებებს პოსტსაბჭოთა პერიოდში, თუმცა ნაშრომის შეზღუდული ფორმატის გამო ვერ შევძელით უფრო ფართოდ განგვეხილა თანამედროვე მდგომარეობა. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით სამომავლოდ გავაგრძელოთ მუშაობა, უფრო დეტალურად დავამუშაოთ მოპოვებული მასალა და შემდგომ კვლევებში ავსახოთ.

დასკვნები:

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დასკვნებია:

1. აფხაზური და ოსური ენების სწავლება დასაწყისიდანვე მიმდინარეობდა ქართული საგანმანათლებლო სივრცეების ჩართულობით და აქტიური მონაწილეობით.
2. აფხაზური და ოსური ენებისათვის მე-18-მე-19 საუკუნეებში პარალელურად შეიქმნა სლავური და ქართული ანბანების საფუძველზე ორი ანბანი. აფხაზურის შემთხვევაში ქართული ანბანი ამ პერიოდში არ გამოიყენებოდა, ხოლო ოსურის შემთხვევაში ქართული (ნუსხური და მხედრული) დამწერლობები გამოიყენებოდა სამხრეთით მცხოვრებთათვის. ქართულ შრიფტზე დაფუძნებული ანბანით გამოიცემოდა წიგნები, იწერებოდა სახელმწიფო დოკუმენტები.
3. აფხაზური და ოსური ენების სწავლებისას რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის საგანმანათლებლო პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში ურთიერთმსგავსია.
4. აფხაზური და ოსური ენების სწავლებისას ჯერ რუსეთის იმპერიაში, შემდგომ საბჭოთა კავშირში და დღესაც, ძირითადად, გამოიყენება რუსულენოვანი სწავლება.
5. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წ. წ.) არსებობდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ენების გამოყენებისა და ამ ენებზე სწავლების შესაძლებლობები.
6. მე-20 საუკუნის 20-50-იან წლებში აფხაზური და ოსური ანბანების ცვლილებები ხასიათდებოდა მსგავსი ტენდენციებით და განპირობებული იყო საბჭოთა კავშირის ენობრივი პოლიტიკით. კერძოდ, ანბანთა საერთო ლათინიზაციის პროცესით და შემდგომ ლათინური ანბანის გამოყენების დაგმოვის გამო შეიცვალა აფხაზური და ოსური ენებისათვის სასწავლო მასალები, ვერ შემუშავდა დარგობრივი სასწავლო და სამეცნიერო სახელმძღვანელოები, რამაც გამოიწვია რუსულენოვანი სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების ჰეგემონიზაცია.
7. მე-20 საუკუნის 30-50-იან წლებში აფხაზური და ოსური ენებისათვის (სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და საქართველოს სხვა ტერიტორიებზე) გამოიყენებოდა ქართული ანბანი, ხოლო სწავლების ძირითადი ენა იყო ქართული ენა.
8. 1954 წლიდან კვლავ შეიცვალა აფხაზური და ოსური ენების ანბანი და ძირითადი სწავლების ენა რუსული.

9. აფხაზური და ოსური ანბანების ხშირი ცვლილება საფრთხეს უქმნიდა აფხაზურ და ოსურენოვან საგანმანათლებლო პროცესს, ორიგინალური აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ლიტერატურის შექმნას.

10. მე-20 საუკუნის 60-80-იანი წლებში აფხაზური და ოსური ენების სწავლება ხასიათდება სტაბილურობით. ამ პერიოდში აღარ ხდება ანბანთა ცვლილება, გამოიცემა სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები, აფხაზი და ოსი ახალგაზრდა მეცნიერების მნიშვნელოვანი ნაწილი სწავლას აგრძელებენ თბილისის უნივერსიტეტსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში.

11. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში წარმოქმნილმა ქართულ-ოსურმა და ქართულ-აფხაზურმა კონფლიქტებმა და შეიარაღებულმა დაპირისპირებებმა, ასევე, 2008 წლის ომმა, მნიშვნელოვნად დააზარალა საგანმანათლებლო პროცესები, მათ შორის, აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი და ქართულენოვანი განათლება.

12. საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე აფხაზური და ოსური ენების სწავლება მიმდინარეობს რამდენიმე საჯარო სკოლასა და უნივერსიტეტში. სკოლებში ენის სწავლებას არ აქვს ოფიციალური ენის სტატუსი. აფხაზური და ოსური ენების მასწავლებლებისათვის არ ტარდება მეთოდური ტრენინგები.

13. საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე აფხაზური და ოსური ენები შესაბამის სკოლებში ისწავლება სავალდებულო სტატუსით დაწყებით სკოლაში, ხოლო შემდგომ სწავლების ძირითადი ენა არის რუსული, აფხაზური და ოსური ენები და ლიტერატურები ისწავლება ბოლო კლასის ჩათვლით.

14. საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიებზე, კერძოდ, გალისა და ახალგორის/ლენინგორის რაიონებში, ქართულენოვან მოსახლეობას შეზღუდული აქვს ქართულ ენაზე სასკოლო განათლების მიღების საშუალება. ორივე რაიონში შეინიშნება ქართულენოვანი სასკოლო განათლების შეზღუდვის ტენდენცია.

15. საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს რამდენიმე ინიციატივასა და პროგრამას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები აბიტურიენტებისათვის.

16. აფხაზ და ოს ახალგაზრდებს შეზღუდული აქვთ საერთაშორისო განათლების მიღების შესაძლებლობა.

17. აფხაზური და ოსური ენები გადაშენების საფრთხის პირას მყოფი ენებია. აშკარაა, რომ ამ ენებზე სულ უფრო მცირდება ახალი მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, ლიტერატურული და სამეცნიერო ტექსტების თარგმნა.

18. რუსული ენა დიდ გავლენას ახდენს აფხაზური და ოსური ენების მოხმარებაზე, რუსულენოვანი სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლება იწვევს აფხაზურ და ოსურ ენებზე ორიგინალური ლიტერატურისა და თარგმანების შემცირების ტენდენციას.

19. აფხაზური და ოსური ენების სწავლება როგორც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ისე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში საჭიროებს გაუმჯობესებას.

რეკომენდაციები:

აფხაზური და ოსური ენების სწავლების თავისებურებებზე დაკვირვებისას გამოიკვეთა რეკომენდაციები, რომლებიც ეხება ამ ენებზე სწავლებასა და შემდგომ გამოყენებას:

- მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს აფხაზური და ოსური ენების სწავლება როგორც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ისე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში.
- მნიშვნელოვანია აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალის თანამედროვე სტანდარტებით შემუშავება და ტირაჟირება.
- მნიშვნელოვანია აფხაზური და ოსური ენების გამოყენების არეალის გაზრდა სკოლებში, უნივერსიტეტებში, განსაკუთრებით, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში.
- მნიშვნელოვანია გალისა და ლენინგორის/ახალგორის რაიონების სკოლებში ხელშეწყობილი იყოს ქართულის, როგორც მშობლიური ენის სწავლება და ქართულენოვანი სასკოლო განათლება.
- მნიშვნელოვანია აფხაზი და ოსი ახალგაზრდებისათვის საერთაშორისო განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა.
- მნიშვნელოვანია ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაიწეროს აფხაზური და ოსური ენების საგნობრივი პროგრამები.
- მნიშვნელოვანია საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოქმედი სკოლებისათვის აფხაზური და ოსური ენების სტანდარტების დადგენა, ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე, განსაკუთრებით, გალის რაიონსა და ლენინგორის/ახალგორის რაიონებში, ქართულენოვანი განათლების ხელშეწყობა.
- ენის სწავლების ერთიანი სახელმწიფოებრივი მიდგომის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია შემუშავდეს აფხაზური და ოსური ენების მასწავლებელთა საგნობრივი სტანდარტები.
- მნიშვნელოვანია საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე აფხაზური და ოსური ენების მასწავლებლებისათვის, ისევე, როგორც საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიებზე, განსაკუთრებით, გალის რაიონსა და

ლენინგორის/ახალგორის რაიონებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისათვის სასწავლო-მეთოდური ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ჩატარება.

- მნიშვნელოვანია უნივერსიტეტების მიერ შემუშავდეს აფხაზური და ოსური ენების მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამები.

- მნიშვნელოვანია გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა შეიმუშაოს აფხაზური და ოსური ენების მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარების წესი და ამ ენების მასწავლებლებს შესთავაზოს გამოცდების ჩაბარება, რათა აფხაზური და ოსური ენები ასწავლოს კვალიფიციურმა კადრმა, ამასთან, აფხაზური და ოსური ენების პრაქტიკოს მასწავლებლებს მიეცეთ საშუალება აიმაღლონ სტატუსი უფროსი მასწავლებლის წოდებამდე. ასევე სასერტიფიკაციო გამოცდა არაპროფესიული ნიშნით დასაქმებულ კადრს საშუალებას მისცემს, მოიპოვოს მასწავლებლის სტატუსი მასწავლებლის მომზადების პროგრამის დასრულების საშუალებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანდერსონი, ბ. (2003). წარმოსახვითი საზოგადოებანი, მოსაზრებანი ნაციონალიზმის წარმოშობისა და გავრცელების შესახებ, თბილისი: ენა და კულტურა
2. ანდრონიკაშვილი, მ. (1996). ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. II. თბილისი
3. აფხაზური ზეპირმეტყველების გაკვეთილები (2014) ავიძა, ლ. კოკოსკერია, ე., აფხაზური ზეპირმეტყველების გაკვეთილები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. თბილისი
4. ბაბევი, ვ. (2002). კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995), გერმანულიდან თარგმნა კ. კუბლაშვილმა, თბილისი
5. ბეპიევი, ნ. (2008) ოსთა განათლების საკითხი, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალათა კრებული, თბილისი
6. ბეპიევი, ნ. (2009). თბილისის სასულიერო სემინარია და ოსთა განათლების საკითხი, ჟურნ. ქრისტიანობის კვლევები, ტ. 2, თბილისი
7. ბეპიევი, ნ. (2016). სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ ოსი გადამწერნი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი
8. ბეპიევი, ნ. (2017ა). ოსური ენის ისტორია, თბილისი: უნივერსალი
9. ბეპიევი, ნ. (2017ბ) ოსური ენის პრაქტიკული გრამატიკა, თბილისი: უნივერსალი
10. ბეპიევი, ნ. (2018). ოსური ენის თვითმასწავლებელი, თბილისი: უნივერსალი
11. ბეპიევი, ნ. (2019ა). მიხეილ ყიფიანი და კოსტა ხეთაგუროვი, კრებულში: ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები, თბილისი: თსუ, 2019. გვ. 41-48
12. ბეპიევი, ნ. (2019ბ). ოსური ენა დამწყებთათვის, თბილისი: უნივერსალი
13. ბეპიევი, ნ. (2023). ოსური წიგნის ბიბლიოგრაფია, თბილისი: უნივერსალი
14. ბოლქვაძე, თ. (2018) საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი, თბილისი: უნივერსალი
15. გაბუნია, კ. (2017). უმცირესობათა ენობრივი განათლების ასპექტები პოსტსაბჭოურ საქართველოში, კრებულში: ქართულ-ოსური ურთიერთობები – ისტორია და თანამედროვეობა, მესამე საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
16. გამახარია, ჯ. (2006). წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი, თბილისი.
17. გვანცელაძე, გ. გვანცელაძე, თ. ჭავჭავაძე, ს. ხობელია, მ. (2024). ენათა შერწყმის ბოლშევიკური კონცეფცია და ენობრივი პოლიტიკა 30-იანი წლების აფხაზეთში, თბილისი: უნივერსალი
18. გვანცელაძე, თ. (2003). აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის. I ტ. თბილისი
19. გვანცელაძე, თ. (2010). აფხაზური ენის ფუნქციონირება განათლების სფეროში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეგენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი სპეკალი, <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/2/20> ნანახია: 07.07.24
20. გვანცელაძე, თ. (2011), აფხაზური ენის ფუნქციონირება განათლების სფეროში <https://abkhazology.files.wordpress.com/2011/06/ganatleba.pdf> ნანახია: 07.07.24
21. გვანცელაძე, თ. (2013). აფხაზური ენა და ქართული გრაფიკა, ელექტრონული სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი სპეკალი, <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/users/authorBio/34> ნანახია: 07.07.24
22. გვანცელაძე, თ. ამიჭბა-მარღანია, რ. ოსია-კინწურაშვილი, ი. (2019). აფხაზური ენა დამწყებთათვის, თბილისი

23. გვანცელაძე, თ. ჭავჭავაძე, ს. (2021). აფხაზური ენა: წარსული, აწმყო და... (ეკოლინგვისტური და სოციოლინგვისტური ანალიზი), თბილისი: სამშობლო
24. გითოლენდია, თ. (2013). აფხაზოლოგია თბილისის სამეცნიერო ცენტრებში, <https://abkhazology.wordpress.com/2013/06/26/%e1%83%90%e1%83%a4%e1%83%ae%e1%83%90%e1%83%96%e1%83%9d%e1%83%9a%e1%83%9d%e1%83%92%e1%83%98%e1%83%90%e1%83%97%e1%83%91%e1%83%98%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%9b/> ნანახია: 07.07.24
25. გოგებაშვილი, ი. (1952). თხზულებანი, ტ. 1, თბილისი
26. გოგებაშვილი, ი. (1954). თხზულებანი, ტ. 2, თბილისი
27. დარჩია, მ. (1972). გაიოზ რექტორი, თბილისი
28. დროება, 1881. №15
29. დროება, 1881. №73
30. ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ სტრასბურგი, 5. XI. 1992 <https://rm.coe.int/1680301f0f> ნანახია: 07.07.24
31. ენობრივი განათლების პოლიტიკის... (2008). ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარება ევროპაში ენობრივი მრავალფეროვნებიდან მრავალენოვან განათლებამდე ძირითადი ვერსია ენობრივი პოლიტიკის განყოფილება ევროპის საბჭო
32. ერთობა, 1918. №2
33. ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენცია, (2006). თბილისი
34. ვაჩნაძე, მ. გურული, ვ. (2004). ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე, თბილისი
35. ზურაბიშვილი, თ. (2016). მშობლიურ ენაზე განათლების შეზღუდვა გალის რაიონში: გამოსავლის ძიებაში, პოლიტიკის დოკუმენტი, GRASS
36. თავზიშვილი, გ. (1938). უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში, ნარკვევი პირველი, პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი
37. თავზიშვილი, გ. (1948). სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში 1801-1870, თბილისი
38. თაქთაქიშვილი, ლ. (2001). 1926-37 წლებში „დედა ენა“ არ გამოცემულა, გაზ. ქართული წიგნი, №9
39. თედევი, ო. (1965) იოანე იალღუზიძე, ჟურნ. „მნათობი“, საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო, თბილისი, 1965, №12
40. თედევი, ო. (1985) პირველი ოსური ხელნაწერების ენა. თბილისი: მეცნიერება.
41. ივერია, 1881. №2
42. ივერია, 1891. №279
43. ივერია, 1898. №273
44. ივერია, 1900. №6
45. ივერია, 1900. №8
46. ივერია, 1900. №55
47. ივერია, 1900. №58
48. ივერია, 1900. №209
49. ივერია, 1901. №144
50. ივერია, 1901. №152
51. ივერია, 1904. №5
52. ივერია, 1909. №28
53. იზორია, ლ. (2015). აფხაზური სეპარატისტული მოძრაობა (1945-1993 წ.წ.) სადოქტორო ნაშრომი ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი: <https://sangu.ge/images/2015/lizoria.pdf> ნანახია: 07.07.24
54. კეკელიძე, კ. (1941). ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1

55. კუმინსი, ჯ. სვეინი, მ. (2016). ბილინგვიზმი განათლებაში, თბილისი: სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის ცენტრი
56. ლასხიშვილი, გ. (1934). ლასხიშვილი გიორგი, მემუარები (1885-1915). ტფილისი: პოლიტკატორღელთა საზოგადოების გამოცემა
57. მაცაბერიძე, დ. წერეთელი, ი. (2014). სომხების, აზერბაიჯანელების, ოსებისა და აფხაზების იდენტობის ნარატივები, წიგნში: ჩიქოვანი ნ. და სხვ. იდენტობის ნარატივები საქართველოში: მრავალეთნიკური ქართველი ერის სათავეებთან (1860-1918), თბილისი
58. მაცაბერიძე, მ. (2011). საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება და მიღება კრებულში: ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, ბათუმი
59. მაჭავარიანი ნ. მარღანია რ. (2018). აფხაზური ენის პრაქტიკული სახელმძღვანელო გრამატიკული მიმოხილვით, ტექსტებითა და ლექსიკონით. თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია. თბილისი
60. მოამბე, 1900. №3
61. მოსია, ტ. (2013). ნარკვევები აფხაზური ლიტერატურის ისტორიიდან, თბილისი
62. მღებრიშვილი, ა. (2019). ცხინვალის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ისტორია, თბილისი: უნივერსალი
63. მწყემსი, 1883. №11
64. ნაბიჯი უკეთესი მომავლისათვის (2018). ნაბიჯი უკეთესი მომავლისათვის: სამშვიდობო ინიციატივა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის განათლების შესაძლებლობის განვითარება, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი <https://www.smr.gov.ge/uploads/prev/a2beda36.pdf> ნანახია: 07.07.24
65. ნარკვევები, (2007). ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, ინტელექტი
66. ნორმატიული აქტები, (1918-1921). საქართველოს პირველი რესპუბლიკის ნორმატიული აქტები (1918-1921)
67. პაპასქირი, ზ. (2007). ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვეთი II, 1917-1993. თბილისი
68. პაპუაშვილი, გ. (2013). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია 90 წლის გადასახედიდან, კრებულში: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, ბათუმი
69. პოპიაშვილი, ნ. (2017). ეთნიკური უმცირესობების ენების სწავლების თავისებურებები საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოში (აფხაზური და ოსური ენების მაგალითზე), კრებულში: ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები: ქართულ-ოსური ურთიერთობები, ისტორია და თანამედროვეობა, მესამე საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი: თსუ გამომცემლობა (გვ. 112-119)
70. პროგრამა. (1938). ოსური ენის პროგრამა, სტალინის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, რედაქტორი: გ. ახვლედიანი, თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
71. საბჭოთა აფხაზეთი. 1937. №6
72. საბჭოთა ენათმეცნიერების... (2018) საბჭოთა ენათმეცნიერების ისტორიიდან: საარქივო მასალები. რედაქტორი: თ. ბოლქვაძე, თბილისი: უნივერსალი
73. საგანმანათლებლო პოლიტიკა და ეროვნული უმცირესობანი საქართველოში, (2007). თბილისი
74. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 141
75. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 93
76. სარალიძე, ლ. (2019). მიხეილ ყიფიანის (1833-1891 წ. წ.) მოღვაწეობის ისტორიიდან, კრებულში: ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები, თბილისი, თსუ, 2019. (გვ. 250-254)

77. სარიშვილი, ტ. (1965). ოსეთ-საქართველოს კულტურულ-პედაგოგიური ურთიერთობა (1801-1921), თბილისი: განათლება
78. სარიშვილი, ტ. (1968). ოსეთის გამოჩენილ მოღვაწეთა პედაგოგიური შეხედულებანი, ცხინვალი
79. საქართველოს განათლების მატანე, (2015). საქართველოს განათლების მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემია, თბილისი
80. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, 1918, საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი. ტფილისი
81. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, ბათუმი 2013
82. საქართველოს დემოკრატიული... (1990) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921, შემდგ. ე. გურგენიძე, რედ. კ. ცეციტიშვილი, თბილისი: გამომც. ივერთა მხარე
83. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №133 2011 წლის 11 ოქტომბერი ქ. თბილისი პირადობის ნეიტრალური მოწმობის და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაფორმების, გაცემის და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1488682?publication=0> ნანახია: 07.07.24
84. საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. 23.10.2008. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/19132?publication=10> ნანახია: 07.07.24
85. საქართველოს კანონი ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის სათანადო პირობების შექმნის შესახებ. 13.04.2007. კონსოლიდირებული ვერსია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/24280?publication=1> ნანახია: 07.07.24
86. საქართველოს კონსტიტუცია. 24.08.1995. კონსოლიდირებული ვერსია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> ნანახია: 07.07.24
87. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, (2015). განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევი პრობლემები, თბილისი
88. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, განათლების უფლება გალის რაიონში, 2021, თბილისი
89. სდკ, სტ. ანგარიშები. (1919). საქართველოს დამფუძნებელთა კრების ანგარიშები, მე-6 სხდომა, გვ. 16, სეა, ფონ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 1
90. სმითი, ე. (2006). ნაციონალური იდენტობა, თბილისი
91. სოციალური სამართლიანობის ცენტრი (2022). თეონა ფირანიშვილი, ორმხრივი გამოტოვების ადგილები – უფლებრივი და სოციალური გამოწვევები გალსა და ახალგორში, თბილისი
92. სტალინი, ი. (1954). ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი: პასუხი ამხანაგებს მეშკოვს, კოვალჩუკსა და სხვებს, თბილისი: სახელგამი
93. ტაბატაძე, შ. (2008) მულტილინგვური/ბილინგვური განათლების პოლიტიკა საქართველოში, ჟურნალი სოლიდარობა (გვ. 66-80)
94. ტაბიძე, მ. (2012). ფარული და ღია ენობრივი დაგეგმვის თავისებურებანი XIX-XX საუკუნეების საქართველოში, ჟურნ. „სპეკალი“, №5, <https://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/5/43> ნანახია: 07.07.24
95. ფუტკარაძე, ტ. ვაშაკიძე, ი. (2011). ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა 1917-1935 წლებში, თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრი
96. ქირია, ზ. (2005). ოსთა საკითხი და ქართული სინამდვილე 1921-40 წლებში, თბილისი
97. ქრესტომათია. (1946). ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 1. შემდგენელი ს. ყუბანეიშვილი, თბილისი

98. ღლონტი, ა. (1955). ნარკვევები. სტალინირი
99. ლუდუშაური, გ. (1986). მიხეილ ყიფიანი, თბილისი: მერანი
100. შანიძე, ა. (1964) ერთი ფურცელი ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (ქართულ-ოსური წიგნი 1823 წლისა), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, მაცნე, 1 (16), თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, გვ. 170-175
101. შრომა, 1883 წ. №17
102. ჩარკვიანი, გ. (2013). ინტერვიუ მამასთან. თბილისი: არტანუჯი
103. ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, სტრასბურგი, 01.02.1995 <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1244853?publication=0> ნანახია: 07.07.24
104. ჩუხუა, მ. ანთელავა, ნ. მაგომედხანოვი, მ. (2023). კავკასიის ხალხები, თბილისი
105. ცნობის ფურცელი, 1898. №775
106. ცნობის ფურცელი, 1899. №778
107. ცნობის ფურცელი, 1899. №770
108. ცნობის ფურცელი, 1899. №777
109. ცნობის ფურცელი, 1899. №779
110. ცნობის ფურცელი, 1899. №780
111. ცნობის ფურცელი, 1900. №1036
112. ცნობის ფურცელი, 1900. №1124
113. ცნობის ფურცელი, 1900. №1319
114. ცნობის ფურცელი, 1903. №2355
115. ცნობის ფურცელი, 1904. №2393
116. ცნობის ფურცელი, 1904. №2538
117. ცხოვრებოვი, ზ. (1972). ქართულ-ოსური კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“ 18.04.
118. ძველი საქართველო. (1909). საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. I. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფილისი
119. წვერავა, ვ. (2009). ქართველი მოღვაწეები „ოსეთის სასულიერო კომისიაში“ ოსური კულტურის სარბიელზე, კრებულში: საერთაშორისო კონფერენცია „დიდაქარობა“, ხულო-დიდაქარა 2009 წლის მაისი, გვ. 202-203
120. ჭავჭავაძე, ი. (1955). თხზულებანი, ტ. IV, თბილისი
121. ჭანტურია, გ. ქადაგიძე, მ. მელიქიძე, გ. (2020). სასკოლო განათლების ისტორია 1990-2020, თბილისი: დაიბეჭდა სტამბა კოლორში
122. ჭიჭინაძე, ზ. (1903). გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე: ბიოგრაფიული და სხვა წერილები, გამომცემელი ზ. ჭიჭინაძე, ტფილისი: სტამბა ა. ქუთათელაძისა
123. ჭიჭინაძე, ზ. (1908). სიტყვები და წერილები ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეზე, შეკრებული და გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ, თფილისი: სტამბა „ნადეჟდა“
124. ჭიჭინაძე, ზ. (1913) ოსეთის ისტორია ქართულის ისტორიულის წყაროებით, სურათებით, აღწერილი ზ. ჭიჭინაძის მიერ, ტფილისი
125. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი ს. 908
126. ხორავა, ბ. (2004). აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, თბილისი
127. ხუნდაძე, ტ. (1937). საერო განათლება საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, წიგნში: სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სახალხო განათლების ისტორიის სექცია, ტფილისი: პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოცემა
